

# შინაარსი

ერი და პედისწერა	2	ნანა კუცია ზედროშოლოგის კონტექსტში (როსტომ ჩხეიძის „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“)
მხსარეს-ინტერვიუ	11	ბესო კალანდაძე „...რას ნიშნავს უსასრულოა“ (მომამზადა მაკა ჯაფარიძე)
პირველი შთაბეჭდილება	12	მაკა ჯოხაძე დიდი თვალაბით დანარილი ტექსტი (თორნიკე გოგნიაშვილის ბელეტრისტული დებიუტი)
პროზა	13	თორნიკე გოგნიაშვილი ოთხი ნოველა
პოეზია	18	დალი კახიანი რჩება ლებენდა და სხვა ლექსები
	21	რობერტ მესხი ეპკალიპტიკა და სხვა ლექსები
კულტურის სიღარი	22	როსტომ ჩხეიძე ჯვარცმული დიონისე (ნიცშე, ბელი, გამსახურდიები)
	25	სოკრატე „ნაკრძალში“ („სოკრატეს აპოლოგიის“ პირველწყარო ოთარ ჩხეიძის რომანში)
შპრინხები პორტრეტისათვის	28	ემზარ კვიციანიშვილი მხატვრული თარგმანის დიდოსტატი (თამაზ ჩხენკელი)
ახალი წიგნები	33	ნინო ჩხიკვიშვილი სულის ძახილი (ნათია ხორნაულის მხატვრულ-დოკუმენტური ჩანახატები „ქროლვანი უნაპირონი“)
ისტორიის თეთრი ლაქები	34	მერაბ კალანდაძე ვარლამ ჩარქაზიშვილი ალექსის დე ტოკვილზე
რეპორაჟი	36	ეკა ბუჯიაშვილი „წყლით ძვანისა გამოსდინა“ (გომარ სიხარულიძე და მისი ანსამბლი „ქალგული“)
დაუვიწყარი სახელები	38	ნათელა არველაძე ასეთი იყო ეროსი... (ეროსი მანჯგალაძის სულიერ-ბიოგრაფიული შტრიხები)
მოგონებათა სივრდი	42	გიორგი ლობჯანიძე ჩემი ფანჯრებიდან
კინო	62	ნატო კორსანტია ღრამა ნაპირებისა „სიმიდის კუნძულები“ გრძელდება (სიტყვებზე უფრო მეტყველი კადრებით)
პოეზიის მარილიანები	64	უოლეს სტივენსი ჯარისკაცის სიკვდილი
ახალი თარგმანები	64	ფელისიან მარსო ორი ნოველა
ამ მთისა და იმ ბარისა	71	ხამს მოყვარე მოყვრისათვის



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 12 დეკემბერს

დაარსებულია  
ომეგა ჯგუფის მიერ  
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი  
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში  
ომაგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,  
თბილისი საქართველო  
ტელ: 00 995 32 53 12 77  
ფაქსი: 00 995 32 53 08 33  
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge  
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დევანოძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: დალი კახიანი, გოგი სულაბერიძის ფოტო  
მესპელბრუნის ციხე-სიმაგრე, ბავარია (გერმანია)

ნანა კუცია

# ზედროულობის კონტექსტში

(როსტომ ჩხეიძის „ქართული მწერლობა თვალის გადავლახით“)

„ამონურვის ლიტერატურის ხანაში“, როგორც ჯონ ბარტი იხსენიებს პოსტმოდერნიზმის ეპოქას [„არილი“ №4, 2014], განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურის, როგორც პროცესის გააზრებას, ანალებში ჩაღრმავებას მხატვრული სიტყვის განვითარების მაგისტრალური ხაზის თვალის მისადავენებლად, გულითა და გონებით გასააზრებლად.

ყოველი კულტურული ეპოქა თავიდან, ხელახლა კითხულობს კლასიკას, რათა, კონკრეტული ჟამის კონტექსტისა და ფასეულობათა სისტემის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ გაიცნობიეროს მისი მარადი ღირებულება.

გამონაკლისი არც პოსტმოდერნიზმის (თუ პოსტპოსტმოდერნიზმის) ხანაა, როდესაც „მთელი ლიტერატურის პოსტსკრიპტუმის“ შექმნის პრეტენზიაც ჩნდება (ყოველ შემთხვევაში, სწორედ „მთელი ლიტერატურის პოსტსკრიპტუმად“ იხსენიებენ ბორხესის მემკვიდრეობას, სადაც არამცირედი სივრცეა მონიშნული მსოფლიო ლიტერატურის ეპოქალურ თხზულებათა ანალიზისთვის).

ქართული ლიტერატურა, მისი ზოგადი სურათი თუ ცალკეული ასპექტები, ქართველი ერის ისტორიასთან ერთად, მსოფლიო მხატვრული აზროვნების უაღრესად საინტერესო, თვითმყოფი და ხშირად თვითმკმარი სივრცე, ერის ერთი უპირველეს მახასიათებელთაგანი, ქართველ (და არა მხოლოდ) მკვლევართა ინტერესის საგანი არაერთგზის გამხდარა. მხოლოდ უორდროუპის, ბროსეს, ლისტის, ლენგის, რეიფილდის, მაგაროტოს, ლოსევის... სახელთა გახსენება კმარა დასტურად, უცხოელთაგან რამდენად ავტორიტეტული მოაზროვნენი უღრმავდებოდნენ პრობლემას, რომ არაფერი ვთქვათ საკუთრივ ქართველთა (ვახტანგ კოტეტიშვილის, კორნელი კეკელიძის, პაველ ინგოროყვას, გერონტი ქიქოძის, არჩილ ჯორჯაძის, რევაზ სირაძის, გრიგოლ კიკნაძის, აკაკი განერელიას, გურამ ასათიანის, თამაზ ჩხენკელის, ზურაბ კიკნაძის, ...თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა თუ ლიტერატურის ინსტიტუტის გამორჩეულ მეცნიერთა თაობების) ღვაწლზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მწერალთა ნააზრევი მრავალსაუკუნოვან ლიტერატურულ საგანძურზე. ნიმუშად გრიგოლ რობაქიძის ესკიზი — „ქართული პროზისათვის“ — დავასახელებდით, რომელშიც ერთგვარი კონსპექტის, სინოპსისის სახითაა წარმოდგენილი ავტორისეული გეგმა ქართული მწერლობის მაგისტრალური ხაზის წარმოსაჩენად.

როსტომ ჩხეიძის „ქართული მწერლობა თვალის გადავლახით“ („ლიტერატურული პალიტრა“ №9-10, 2014) ჟანრობრივად ესეიდაც შეიძლება გააზრებულ იქნეს, ნარკვევადაც და სამეცნიერო ნაშრომადაც, რადგანაც თითოეულის ნიშნებს ატარებს. ორიგინალურისა და კომპილაციურის დახვეწილი ნაზავი, აკადემიური მეცნიერების მონაპოვრის ესეისტური გააზრება თხზულებას უაღრესად საინტერესო საკითხავად აქცევს, თუმცა აკადემიურის პრევალირება, ლირიკული ინტერმეცოების სიმრავლის მიუხედავად, მაინც აშკარაა, განსხვავებით, ვთქვათ, პოსტმოდერნიზმისავე ხანაში ნათხზი ტექსტებისაგან (ბორის აკუნინის „ჰამლეტი. ვერსია“, ჯულიან ბარნის „ფლობერის თუთიყუში“, მაიკლ კანიგემის „საათები“, ენტონი ბერჯესის „ოთხმოცდაცხრამეტი რომანი“,

ფრედერიკ ბეგბედერის „საბოლოო აღწერა ჩამოფასებად“ ... თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული მათგანი უფრო კონკრეტულ ნაწარმოებთა ანალიზს ისახავს მიზნად და არა ლიტერატურის ისტორიის ერთიანი სურათის წარმოჩენას).

პოსტმოდერნიზმის ეპოქაში „ნაკითხვა“ „ვერსიად“ გაიზრება (ამადაც გაიტანს ამ ცნებას აკუნინი „ჰამლეტის“ გააზრების სათაურში).  
XX-XXI ს. ლიტერატურის ჟანრული გენერალიზაციისას მკვლევარი ლუკოვი განასხვავებს „კონცეპტუალურ-საავტოროს“ („კულტურული მოთხოვნის“ პარადიგმა) „მასის ბელეტრისტიკისაგან“ („ლიტერატურული ინდუსტრიის“ პარადიგმა) [ვლ. ლუკოვი, ლიტერატურის ისტორია — საზღვარგარეთის ლიტერატურა სათავეებიდან თანამედროვეობამდის, მ., 2005, გვ. 431].  
ქართული ლიტერატურის ისტორიის როსტომ ჩხეიძისეული „ვერსია“ სწორედ კონცეპტუალურ-საავტოროსა და მასის ბელეტრისტიკის (პუბლიცისტიკისაც) ერთგვარ მიქსს წარმოადგენს, გავიშვებთ, კონცეპტუალურ-საავტოროს პრევალირებით.

მწერალი-მკვლევარი ქმნის პანორამას, მონუმენტურ ტილოს, ერთგვარ მოზაიკას, სადაც ყოველ დეტალს არსებითი მნიშვნელობა აქვს ერთიანი სურათის სრულყოფილად წარმოჩენისათვის, იმავდროულად, ერთგვარ დისტანცირებასაც გვთავაზობს, რათა „პანო“ უკეთ იქნეს აღქმული.

ტონი, როგორც როსტომ ჩხეიძის ყოველი თხზულებისა, აკადემიურია, მაგრამ ბელეტრიზებულიც. მკითხველი თანამოაზრედ, თანაგამაზრებლად და წარმოდგენილი — მთხრობელი და მკითხველი თითქოს ერთად მოუყვებიან ქართული ლიტერატურის მაგისტრალურ ხაზს — „სათავეებიდან თანამედროვეობამდის.“

ტექსტის მხატვრულ ქსოვილში ასევე საცნაურია მიხაილ ბახტინის პოლიფონიური რომანის კონცეფციით ინსპირირებული ტენდენცია, იულია კრისტევამ რომ ინტერტექსტუალობად მონათლა — ტექსტის დიალოგი სხვა ტექსტებთან — როგორც მხატვრულ, ასევე მეცნიერულ ნაშრომებთან. წერილსა და კითხვისას (თხზვისა და რეპროდუცირებისას, გონისმიერი პროეცირებისას), როგორც ყოველი პოსტმოდერნისტული ტექსტი, როსტომ ჩხეიძისეული ბელეტრიზებული კვლევაც სხვა ტექსტებს, ე.წ. დაკარგულ (მისილულ) ურცხვ კოდს გამოიხმობს. როგორც როლან ბარტი იტყვოდა: „ყოველი ტექსტი ინტერტექსტია, წინმსწრებ თუ გარემომცველ კულტურათა ტექსტები მათში სხვადასხვა დონეზე მყოფობს მეტნაკლებად საცნაური ფორმით. ყოველი ახალი ტექსტი ძველი ციტატებით ნაქსოვი ახალი ქსოვილია“ [ლუკოვი, 485].

უმბერტო ეკო ესეიში „როგორ დაწეროთ რომანი“ პოსტმოდერნისტისათვის დამახასიათებელი ტრაგიკული ირონიულობით კონსტატირებს: „ასობით რომანს დავასკანერებდი, იმავე რაოდენობის სამეცნიერო ნაშრომსაც, ბიბლიას, ყურანს, სატელეფონო ცნობარებს (სახელთა ნამდვილ საგანძურს), სულ დაახლოებით ას-ასოც ათას გვერდს. შემდეგ რომელიმე კომპიუტერული პროგრამით ყველაფერს ერთმანეთში ავურევდი და შიგ რაიმე ცვლილებას შევიტანდი, მაგალითად, ყველა ასო „ა“-ს ამოვადგებდი...“ [ლი მარშალი, ეკოს სამყარო, „ჩვენი მწერლობა“ №16, 8 აგვისტო, 2014].

გროტესკული ინტონაცია ეპოქის სულისკვეთების ანარეკლია.



ბუნებრივია, აბსოლუტურად განსხვავებულია ბელეტრი-  
ზებული კვლევის ფაქტურაც, მიზანიც, შინაარსიც. მხოლოდ  
მასალის მოცულობითობის წარმოსაჩენად მოვიხმეთ ეკოსე-  
ული ციტატა. გონებაში „დასკანერებული“ რომანები თუ სა-  
მეცნიერო ნაშრომი, ფიქსიონი თუ ნონფიქსიონი მეცნიერულ-  
ბელეტრიზებულ გაროზს მოისხამს და იქცევა „ქართულ  
მწერლობად თვალის გადავლებით.“

„მოსალოდნელია, მხატვრულ-იდეურმა ხორცშესხმამ სულ  
სხვაგვარად წარმოგადგენოს ცალკეულ თხზულებათა თან-  
მიმდევრობა ისტორიულ-ქრონოლოგიურ დროსა და სულიერ  
პლანში, ხან კიდევ მისედაგოს ერთიმეორეს, ხანაც ორი განს-  
ხვავებული სურათი გადაგვეშალს — უხილავი საზღვრით აღ-  
მოჩნდეს გამიჯნული ისტორიულ-ქრონოლოგიური დრო და  
სულიერი განვითარების დრო... არსებობს ფარული, იდუმალი  
დინებანი, რაც საშუალებას გაძლევს, გაარღვიო გარემომცვე-  
ლი, თუნდ უკიდურესად დახუთული, შემოპყველი სივრცე და  
არ ამოვარდე დასავლური (მსოფლიო) სალიტერატურო პრო-  
ცესის ზოგადი მდინარეებისაგან“, — განსაზღვრავს თხრობის  
ძირითად მიმართულებას ავტორი, ტექსტთა და სკოლათა სა-  
კუთარი თანმიმდევრობის (უკეთ — გააზრების) შემოთავაზე-  
ბამდის რომ სოცრეალიზმის ეპოქის კრიტიკის არსებით „თავი-  
სებურებებზე“ ჰყვება: „პროკრუსტეს სარეცელზე მომწყვდეუ-  
ლი სალიტერატურო პროცესი ძალდატანებით შეეფარდები-  
ნათ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა მონაცვლეო-  
ბისათვის. ამგვარი განსაზღვრებით ლაგდებოდა „ფეოდალუ-  
რი, ბურჟუაზიული თუ სოციალისტური მწერლობანი“, თით-  
ქოს სოციალური დანიშნულება მწერლობის ერთადერთი მოვა-  
ლეობა ყოფილიყო (და არა ერთ-ერთი ასპექტი).“

იქვე რემარკაა, რომ ღვთისდამვიწყებელ სახელმწიფოშიც  
არსებობდა ლიტერატურის „საღმრთოობისა და საღმრთოდ  
გასაგონობის“ გამაცნობიერებელთა დასი: „ჯერ კიდევ პავლე  
ინგოროყვა ისევე გამიჯნავდა ქრონოლოგიურ დროსა და  
ზედროულობას, როგორც დასავლურმა მოდერნიზტულმა  
მწერლობამ დააცალკევა გარეგანი და შინაგანი დრო. მწერ-  
ლობის მკაცრ ისტორიულ-ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქ-  
ცევა არ ეჭაშნიკებოდა, და თუმცა ვერ განახორციელა, გულში  
კი ამოეჭრა, ოდესმე ისე დაენერა ქართული ლიტერატურის  
ისტორია, შეეფარდებინა არა იმდენად ისტორიული ქრონო-  
ლოგიისათვის, არამედ — იდუმალი კანონებისათვის, რაც ამა  
თუ იმ მხატვრულ ქმნილებას სულ სხვა ადგილს მოუძებნიდა  
სულიერების ფონზე, ზედროულობის კონტექსტში.“

სწორედ ამ „იდუმალ კანონთა“ გათვალისწინებით ააგებს  
თავის ტექსტს როსტომ ჩხეიძე და თხრობის თუ კვლევის ყო-  
ველ „ტეხილში“ (დეფინიცია ავტორისეულია) კეთილსინდი-  
სიერად მოიხსენიებს ღირსეულ მკვლევართ, ვისი ნააზრევიც  
მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან აკავშირებდა „რკი-  
ნის ფარდით“ მსოფლიო კულტურისაგანვე გამიჯნულ საზო-  
გადოებას (არა მხოლოდ ქართულს).

„საქართველოს დამოუკიდებლობის ეფემერულ ხანაში“ ხე-  
ლისუფალთ პავლე ინგოროყვასათვის მიენდოთ ქართული ლი-  
ტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვის შედგენა, ოდნავ მოგ-  
ვიანებით კი, როდესაც წამიერად დაემთხვა ერთურთს საბჭოთა  
იმპერატორისა და ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა ინტერესები,  
პავლე ინგოროყვასვე ნება დაერთო, ქართული მწერლობის ის-  
ტორია წარმოედგინა არა უაღრესად შეკვეცილი, დაკნინებული  
სახით — ეგნატე ნინოშვილით დაწყებული, არამედ წარმოესახა  
მთავარი ტეხილები და მიმდინარეობანი ხეთური ეპოქიდან.

წარმართული სამწერლო ტრადიციიდან ვიდრე უახლესი  
მწერლობის კონტურებამდის — ამავე მანძილზე „გადავლე-  
ბა თვალი“ ოცდაცამეტ ნაკვეთად წარმოდგენილ პანორამაში  
როსტომ ჩხეიძისა, წარმოჩნდება „მთავარი ტეხილები და მიმ-  
დინარეობანი.“

სიზმარი ფარნავაზისა, პროზის სახედ არანჟირებული,  
წარხოცილი რიტმიკა „წყობილი სიტყვისა“ — ეპიკური თქმუ-

ლებანი ფარნავაზზე, ამ ყაიდის მთელი ციკლის სავარაუდოო-  
ბა, როგორც გილგამეშზე შუმერულ ხანაში შექმნილი პოეტურ-  
ჰეროიკულ თქმულებათა სერია, გილგამეშის შუმერული თავ-  
გადასავლის ქართული ანალოგი (პავლე ინგოროყვასა და სარ-  
გის ცაიშვილის ვარაუდი) კვლევის ექსპოზიციად წარმოდგება.

ათასხუთასწლოვანი ლიტერატურა, პავლე ინგოროყვასავ  
განმარტებით, „მარტოდენ ახალი ხანაა ქართული მწერლო-  
ბისა.“ იგივე კონტექსტი, კვლევის იგივე რაკურსი ილანდება  
როსტომ ჩხეიძისეულ ვარიანტშიც.

საგულსხმთა ვარაუდი: „იმის მიუხედავად, შექმნა თუ  
არა ქრისტეს დაბადებამდე III-II საუკუნეთა რაფსოდმა ფარ-  
ნავაზის ეპოსი, ამ გმირმა უთუოდ შეუშალა ხელი გაცილებით  
არქაული — ამირანის ეპიკური სიმღერების გამთლიანებას  
ერთიან ეპოსად და ეს ფოლკლორული ძეგლი კიდევ დაიკარ-  
გებოდა, შუა საუკუნეებში მოსე ხონელს რომ არ მოენდომე-  
ბინა ბუნდოვან ხსოვნად შემორჩენილ ეპიკურ სიმღერათა  
შთაგონებით რაინდული ყაიდის თხზულების — „ამირანდა-  
რეჯანიანის“ შექმნა, მოსე ხონელი რომ არა, ეს სახეობაც და  
ეპიკური ქარგაც ისევე ამოიშლებოდა ეროვნული ცნობიერე-  
ბიდან, როგორც აიეტის სამეფოს ხსოვნა.“

მეორევე „ტეხილში“ მოხსენიება მოსე ხონელისა (უზარმა-  
ზარი ისტორიული მანძილის, უამრავი ავტორისა და ტექსტის  
გამოტოვებით) ნათელყოფს, რომ ავტორი სწორედ ლიტერატურ-  
ის „იდუმალ კანონთა“, „ზედროულობის კონტექსტის“ გააზრე-  
ბა-მოხელთებას ესწრაფვის და არა კიდევ ერთი, მოსაწყენი  
ქრონოლოგიური ნუსხის შემოთავაზებას მკითხველისათვის.

მკვლევარს შემთხვევითად როდი მიაჩნია „ვეფხისტყაოს-  
ნის“ ეპილოგის „რეტიკულისტში“ მოსე ხონელის „ამირანდა-  
რეჯანიანის“ ჩამონათვალის სათავეში მოხსენიება, რადგანაც  
ბელეტრისტული ფორმით შესრულებული ტექსტი ალუქვამს  
კლასიკურ ნიმუშად რაინდული რომანისა, რომელიც „ზღვად  
მოსკდა ვეროპაში და თავისი ერთფეროვნებითა და უსახურო-  
ბით გამოიწვია სერვანტესის „ღონ კიხოტის“ შექმნა — ჟანრის  
პაროდისა, კიდევ რომ მოათავა ეს დაუსრულებელი ნაკადი,  
ვიდრე უოლტერ სკოტი ახალ სიცოცხლეს შთაბერავდა.“

მორიგ „ტეხილში“ თხრობა ათასწლეულებით წინ იმაცვლებს:  
„ძველბერძნული ტრადიციით შემონახული ცნობა კოლხეთის სა-  
მეფოში ოქროთი ნაწერი კვირების შესახებ ღაგაზებდა მკვლე-  
ვართა წარმოსახვას, ოქროს საწმისის სიმბოლიკაში ეძებნათ ქარ-  
თული დამწერლობის ერთ-ერთი პირველსახეც... კოლხთა სამე-  
ფოს დიდებული სახეობა და ოქროს საწმისის გატაცებაც ამ მიწა-  
წყლდთან ძალაუნებურად აფიქრებინებდა მკვლევართაც, რომ  
შემთხვევითი არც პრომეთეს მიჯაჭვა უნდა ყოფილიყო მაინცდა-  
მაინც კავკასიონის ქედზე და ბერძენი ღვთაებისბიოგრაფიის ეს  
ეპიზოდი ახსნად, როგორც ნაშთი პრომეთეს ნამდვილი წარმო-  
მავლობისა — მისი ქართული ფეხვებისაკენ გზის გამკაფავი.“

უხვი ციტაცია განპირობებულია სურველით, მეტ-ნაკლე-  
ბი სიზუსტით შევიწარმონოთ ტექსტის სურნელი და სიღრმე,  
სურათთა მეყსეული, ერთდროულად ლოგიკური და ინტუი-  
ციური მონაცვლეობა, ხან გაბმულ, დისტანცირებულ, ხანაც  
მოახლოებულ კადრთა ეფექტი.

მორიგი წიაღსვლა ანტიკური ხანიდან XIX საუკუნის სივ-  
რცეში შემოგვიყვანს:

„ახალი დროის ქართული სინამდვილის ორმა შემოქმედმა  
ზეპორსიტყვიერების ეს სახე თუ პერსონაჟი განაზოგადა სა-  
ქართველოს დრამატული ისტორიის თუ ბედისწერის სიმბო-  
ლოდ. ფოლკლორული მასალის პოლიტიზებით აკაკი წერე-  
თელმა და ვაჟა-ფშაველამ ქართველთა მოდგმის ისტორია,  
ზნე-ჩვეულებანი, ხანგრძლივობა მიაწმენს. აკაკი თუ პრომე-  
თე-ამირანის ქართულ სულიერებასთან იდენტობას გაამკ-  
ვეთრებდა, ვაჟა გაზაფხულის მოვლინებას შეუთანბრებდა,  
მითოსური პროცესის ციკლორობაში ჩართავდა.“

პარალელიზმისა და დაპირისპირების ხერხთა ერთდროუ-  
ლი გამოყენებით ძველთუძველესი პერსონა-პერსონაჟის

(იმავდროულად, პერსონიფიკაციის) მრავალნახანაგოვანი, ნი-  
ნაალმდეგობრივი ბუნება გამკვეთრებული.

როსტომ ჩხეიძე ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟის მითო-  
ლოგიზებული ხატების ანალიზისას კიდევ ერთხელ გაიხსენებს  
მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიას“, დასავლელ რაინდთაგან  
რომელსა აქვს ასეთი ბიოგრაფია, შუა საუკუნეების ყოფიდან კი  
არა, უმორესი ჟამიდან მოდიოდეს და მითოსშიც ედგას ფეხით.  
ამიტომაც ვერ იმეტებს მას „დონ კიხოტი“ გაპამპულეზულ რა-  
ინდთა შორის საგულვებლად. „ოქროს ხანაში“ მითოსური გმი-  
რის აღორძინება მწერალს ლოგიკურ ქმედებად მიაჩნია, ბუნებ-  
რივად იმ ჟამისათვის, საუკუნეთა შემდგომ დასავლური რენე-  
სანსის სრულყოფილებიან ნაწილად რომ შეირაცხებოდა.

პასაჟი ნათლად წარმოაჩენს ბელეტრიზებული კვლევის ერთ  
არსებით მახასიათებელსაც — ქართული ლიტერატურის გააზრე-  
ბას მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კონტექსტში (რაკურსის  
ერთ-ერთ არქიტექტურულ აღქმება კონსტანტინე გამსახურდიას უაღ-  
რესად საგულისხმო ესეი „ქართველობა და უცხოეთის გენია“).

„ქართული ჰაგიოგრაფიის უმთავრეს თავისებურებად ერის  
გადარჩენისათვის ზრუნვა და თავგანწირვა გამოკვეთილა და  
უკეთესი გამოვლინებისას სწორედ ამით განიჩქევა ბერძ-  
ნულ-ლათინურ მარტივობათაგან, რომელთაც მხოლოდ ქრის-  
ტიანობისათვის წამებული ბიოგრაფიების ცალკეულ ეპიზოდ-  
თა მორწმუნეთათვის მგავლითად დასახვა დაეკისრებოდა.“

პასაჟში გერონტი ქიქოძისეულიც გამოილანდებდა, „ჩვენ  
გვიყვარდა ცხოველი სარწმუნოება, ბიზანტიელებს — თეო-  
ლოგია“ [გერონტი ქიქოძე, მელანქოლიური შენიშვნები,  
„ლიტერატურული საქართველო“, 12 ოქტომბერი, 1990].

ჰაგიოგრაფიულ რკალს პავლე ინგოროყვა მოიხსენიებდა „ბი-  
ოგრაფიული ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურის“ სახელით  
და ჟანრს აახლოებდა ბიოგრაფიულ-დოკუმენტურ რომანთან.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებებზე მსჯელობისას ძველი ქარ-  
თული ლიტერატურის ისტორიის სამეცნიერო კორპუსის პოზი-  
ცია მეორდება: „იაკობ ხუცესის ქმნილება ტრადიციას უახლოვ-  
დება მოქმედების ერთიანობით, კომპოზიციის მთლიანობით,  
დილოგის აგების ხერხით, ფონისა და მოქმედების შეთავსებით,  
კონფლიქტის განვითარების ალლოთი. სტრუქტურულად განსხ-  
ვავებულია „აბოს წამება“ — ამბავი „ჩადგმულია“ პროლოგსა და  
ეპილოგში, პროლოგად ეპისტოლენი და მორალიტე შეიჩქევა,  
ეპილოგად — ქებაი. მიჩქმალული გმირის — ნერსე ერისთავის  
აპოლოგისაც გაესმის ხაზი, როგორც „გრიგოლ ხანძთელის  
ცხოვრების“ რეზიუმირებისასა ბუნებრივი პერსონაჟის ღვან-  
ლის ხაზგასმა — კულტურის უწყვეტობის შენარჩუნება ტაო-  
კლარჯეთში გამლილი სამონასტრო მშენებლობით, სულიერე-  
ბის განმტკიცება, დაპირისპირება არა მხოლოდ არაბულ ექსპან-  
სიასთან, ბიზანტიის ეკლესიის ზეგავლენასთანაც.“

მხოლოდ „კვირიელისონის“ ბერძნული ტრანსკრიფცია-  
ტრანსლიტერაციის ხაზგასმას ქართული ენის მესიანისტური  
არისს საქადაგებლად ნიადაგის შემზადებად აღიქვამს მკვლე-  
ვარი. მისი აზრით, გიორგი მერჩულის ენობრივ-სარწმუნოებ-  
რივი ფორმულა „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს წა-  
ნამძღვარია. საგალობელში რეზიუმირებულია პოლიტიკურ-  
ეკონომიკური და კულტურული აღზევების ასწლიანი ოქროს  
ხანის იდეალი, მესიანისტური მრწამსი. „ისტორიანი და აზმანი  
შარავანდედთან“-ში კონსტატირებული „სამებისა თანა  
ოთხებად თამარის“, „ტაბახმელისა ბეთლემყოფელის“ (ორ-  
თოდოქსული ქრისტიანობით ერეტიკული) თვალსაზრისი ერ-  
თი კონკრეტული მემკვიდრის პირადი განწყობილება როდია.

ხედვის ეს რაკურსი განსაკუთრებული ანალიზის საგანი  
ჯერ XX საუკუნის ოციან წლებში გახდებდა. მოგვიანებით, „ეფე-  
მერულად გადაელვებული დამოუკიდებლობის“ ჟამიდან სამო-  
ცი წლის შემდეგ, მეოცე საუკუნისავე ოთხმოციან წლებში, აკა-  
კი ბაქრაძე გამოკვეთს მესიანისტური იდეის ოთხ მუხლს:

1. ქართული ენის დაკავშირება მაცხოვრის სახელთან  
(„ქებაი“, „შოსა და ევაგრეს ცხოვრება“, „იოანესა და ეფთვი-  
მეს ცხოვრება“);

2. უფლის კვართის ადგილსამყოფლად მცხეთის მიჩნევა;  
3. საქართველოს აღიარება ღვთისმშობლის ნილხვედრ  
ქვეყნად;

4. ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის დაკავშირება დავით  
წინასწარმეტყველსა და სოლომონ მეფესთან;

აღნიშნულ პრობლემას თხრობის ერთგვარად სპირალურ  
„ტეხილიში“ კვლავაც დაუბრუნდება როსტომ ჩხეიძე — XX სა-  
უკუნის ლიტერატურის ანალიზისას.

წყობილი სიტყვის ურთიმო რიტმიზებულ ტექსტებს უზვად  
მოწყვებდა თავისუფალი რთული მეტრით შექმნილი სასულიე-  
რო ჰიმნები, რომელთა „ლექსითი ბუნებაც“ პავლე ინგოროყვას  
იშვიათმა ერუდიციამ და ინტუიციამ, ბიზანტიურ საგალობელ-  
თა ღრმა ცოდნამ იგუშანა. იოანე მტებვარის, იოანე მინჩხის,  
იოანე ქონქოზისძის, ეზრას, კურდანი-კვირიკეს, სტეფანე სა-  
ნანოსძის, ფილიპე ბეთლემელის, ზოსიმე მთაწმინდელის, მაკა-  
რის, ბორენა დედოფლის, ივზევიელის, არსენგულმაისიმისძის  
ვერსიფიკაციული ოსტატობა, რელიგიურ-ესთეტიკურ სიღრ-  
მესთან ერთად, ქართული ვერლიბრის მრავალსახოვან წანამძღ-  
ვრებადაც მართებულად აღუქვამს მკვლევარს (როგორც უოლტ  
უიტმენის „ბალახის ფოთლებია“ უმაღლესი სინჯის პოეზია,  
თუმც ავტორი გრაფიკულად პროზაულ ტექსტებად ნილბავს).

ექვთიმე მთაწმინდელის სკოლის ღვანლი — ქართულად  
ამეტყველება მსოფლიო ქრისტიანული მონაპოვრისა, ქართ-  
ველ მამათა გავლენა მსოფლიო ქრისტიანულ მოძრაობაზე  
(ბერძნულად „სიბრძნე ბალაჰვარისა“-ს ზუდიზმის ისტორიის  
ქრისტიანიზებული ვერსიის თარგმნა, „ნათესავით ქართვე-  
ლი“ გიორგი მთაწმინდელის აღიარება „სწავლულებითა და  
მეცნიერებითა“ ბერძენთა სწორად...), ქართული ლიტერატურ-  
ის, ზოგადად, ქართული კულტურის ისტორიის ერთ უარსე-  
ბითეს ეპიზოდად გაიაზრება ბელეტრიზებულ კვლევაში.

ოთარ ჩხეიძის საგულისხმო დაკვირვებას დაიდასტურებს  
როსტომ ჩხეიძე, რომ „უცხოურ გარემოში მოხვედრილი სუ-  
ლიერი მამები თუმც შეეცდებოდნენ იმ მხატვრული სტილის-  
ტიკის შენარჩუნებას, ეროვნული თვითმყოფადობის დიდი  
გრძნობიდან რომ მომდინარეობდა, გაითვალისწინებდნენ  
უცხო გარემოს გემოვნებასა და სტილსაც, ძარღვს გადაარ-  
ჩენდნენ, გადმოცემის მგზნებარება მაინც განსხვავებულია.“

ზემოთქმულის აზრობრივ განვრცობა-გაგრძელება აღიქ-  
მება როსტომ ჩხეიძისეული კომენტარი: „პეტრე იბერი და მისი  
სკოლა თუმც ერთმონწმუნეობის კოსმოპოლიტურ მორევს ჩა-  
ეთრია, დასაკარგავად ვერ გაიმეტებდნენ არეოპაგიტული კორ-  
პუსის შემოქმედს, მნიშვნელოვანწილად რომ განესაზღვრა და-  
სავლური რენესანსის იდეურ-ფილოსოფიური საფუძვლები.“

ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია ეროვნულ თავმოყვარეო-  
ბაზე მალამოს ნაცხებას ჰგავდა პოლიტიკური უფლებობის,  
ეროვნული ჩავგვის ფაქს“ (კვლავ ეპოქალური პარალელიზ-  
მის მოშველიება სულიერი ჟამის უწყვეტობის, ლიტერატურ-  
ის „იდუმალ კანონთა“ დასტურად).

„ნათესავით“ პეტრე იბერის თანამემამულეთა, „სწავლუ-  
ლებითა და მეცნიერებითა“ „ბერძენთა მსგავსი“ იოანე პეტ-  
რინის, არსენ იყალთოელის, ეგრემ მცირეს ქვეყანაში „დრო-  
ნი იცვალენ“ და მატერიალისტური ხანის ფილოსოფიურ  
დოქტრინათა ზეობის ხანაში, როდესაც „ფილოსოფიისაკენ  
ბუნებით მიდრეკილთაც“ კი მხოლოდ ფილოსოფიის ისტორი-  
კოსობა უნდა ეკმარათ „მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა“,  
ქრონოლოგიური დროის და ზედროულობის კონტექსტთა გა-  
მიჯვნა მხოლოდ პავლე ინგოროყვას სულიერი ნყობის მოაზ-  
როვნეთ ძალედვით — ლიტერატურულ პროცესთა აღქმა მა-  
რადისობის სივრცეთა გათვალისწინებით.

ქართული ლიტერატურის ისტორიით დაინტერესებულ-  
თათვის უაღრესად საინტერესო იქნება პავლე ინგოროყვასე-  
ული კონტექსტი, ქრონოლოგიის აბსოლუტური უგულვებელ-  
ყოფა, რაც ხაზგასმული სიმკვეთრითაა კონსტატირებული  
როსტომ ჩხეიძისეულ ტექსტში:

1. საგმირო ეპოსი, წარმართული სულისკვეთებით აღბეჭდილი — ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გოგოთურ და აფშინა“, „ბახტრიონი“;

2. პირველქრისტიანთა განცდა-განწყობილებანი — დავით გურამიშვილის „დავითიანი“;

3. ქრისტიანობის ზეობის დასტური — შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“.

როსტომ ჩხეიძეს უაღრესად საგულისხმოდ მიაჩნია ინგოროყვასეული „ქრონოლოგიის“ ერთი არსებითი ნიუანსი — „რუსთველის ეპოსის იდუმალი პროცესის კვალობაზეც იქ მიეკუთვნა ადგილი, სადაც ისტორიული ქრონოლოგიის თანახმად მოგვევლინა, ვაჟა და გურამიშვილი კი საგრძნობლად გადაადგილდნენ წარსულში, განსაკუთრებით, ვაჟა.“

მკვლევარი ზურაბ კიკნაძის თვალსაზრისსაც დაიდასტურებს, პავლე ინგოროყვასეული მოსაზრების „ჰომოფილს“: „ასეთი თვალთახედვა, ალბათ, ისევე გამართლებულია, როგორც იმ მითოსური ხის სიმბოლიკა, რომელსაც ფესვები ცაში აქვს გადგმული, ტოტემი კი — დედამიწაზე გადმოხობილი. ის, რაც ცაში დასაბამია, დედამიწაზე შეიძლება დასასრულად წარმოგვიდგეს და პირუტყუ. ეს ჰგავს სიზმარში უკუქცეულ დროს.“

ამ თვალსაზრისის დამონშებისასაც უარსებითეს რეზიუმირებს როსტომ ჩხეიძე: „ვაჟას ეპიკური მემკვიდრეობის ფორმულირებისას ზ. კიკნაძე ამჯობინებს არა „წარმართულის“ ხსენებას, არამედ — „ახალი რჯულის დაფუძნებისას.“ ვაჟას პერსონაჟები ქრისტიანობის მესაძირკვლევებად წარმოუდგებოდა არა მარტოდენ ფშავ-ხევსურეთის, არამედ — ზოგადქართულ სინამდვილეში, იმ მხატვრულ გარემოში, რომლის მიღმაც მიედინებოდა ამქვეყნიური ვნებათაღელვანი თავისი ყოფითი წვრილმანებით — ვაჟას საუკეთესო გმირები სწორედ იმისთვის არიან შობილნი, გარღვიონ საზოგადოების წარმართული შეგნება. ჩვენ მის პოემებში ვხედავთ, როგორ იბადება წარმართულ საზოგადოებაში უნივერსალური ქრისტიანული რჯული. ალუდა და ჯოყოლა ამ რჯულის აღმომჩენნი და პირველი მკადრენი არიან... მკადრეში გაბეჯვის ნიუანსიც არის. ისინი ბედავენ ძველის გარღვევას და ამიტომაც იმეორებენ უნივერსალური რჯულის მქადაგებლის ბედს — მათ ჯვარს აცვამს შემინებული საზოგადოება.“

მორიგ „ტექნიკშიც“ პავლე ინგოროყვასეულ ქრონოლოგიას მიჰყვება როსტომ ჩხეიძე:

ელიოტის დაკვირვებით, არსებობს იმ რანგის და ყაიდის ტექსტები, რომელთა ზეგავლენას ერის სულიერ ცხოვრებაზე მათი გაქრობაც კი ვერ განამქვრევდა. ამგვარ ქმნილებად მკვლევარს „ვეფხისტყაოსანი“ ალუქვამს, მომდევნო საუკუნეთა პოეტებიც ხომ ან უშუალოდ ამ ეპოსს აგრძელებდნენ ათასგვარი ინტერპოლაციითა თუ მთავარ გმირთა შთამომავლობის ამბავთა აღწერით (ნანუჩა ციციშვილი, იოსებ ტფილელი, გიორგი თუმანიშვილი, ქაიხოსრო ომანის ძე ჩოლოყაშვილი, ვინმე მესხი მელექსე), ან მის მონაფედ რაცხედნენ თავსო (დავით გურამიშვილი).

„რუსთველურ ათინათს“ გზნებს მკვლევარი ილიას, „ცისფერყანწელთა“ და გალაკტიონის პოეზიაში. გალაკტიონისეულს დაიმონშებს, ვისაც სწამდა, „რომ მხოლოდ მან დაასრულა „ვეფხისტყაოსნის“ გაველნა და სრულიად ახალი სივრცე გაუჭრა ქართულ ლექსს: „ჩვენი დრო ახალ რუსთაველს ელის“ სულაც არ უნდა გავიგოთ, როგორც მოლოდინი, რადგან გამჭვირვალედ მიგვანიშნებს სულ სხვა რაიმეს — ახალი რუსთველი უკვე მოსულია გალაკტიონის სახითო“, კონსტატორებულია კვლევამი.

რუსთველის (და მისი ეპოქის) „ათინათშივე“ ჩნდება როსტომ ჩხეიძის „ქრონოლოგიაში“ აკაკის აბრისიც. მკვლევარი გალაკტიონისეულს მოიშველიებს, ვისაც აკაკი „ძველი საქართველოს უკანასკნელ მოღანდებად“ მიაჩნდა, თითქოს განგებ რომ ამოსულიყო სამარადიდან კიდევ რამდენიმე სურათის შესაქმნელად. ხაზგასმულია ამ ლექსთა აღქმის გალაკტიონისათვის მისაღები, სასურველი რაკურსი — „მეთორმეტე საუკუნის ქართველის თვალნი.“

როსტომ ჩხეიძეს საინტერესოდ მიაჩნია გალაკტიონ ტაბიძისა და პავლე ინგოროყვასეულ თვალსაზრისთა დამთხვევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. თუმც რუსთველის ეპოქა ლირიკას მხოლოდ ეპოსის შემდგომ მიუჩინდა ალაგს, პოეტსაც და მეცნიერსაც სწამდათ, რომ აკაკის რამდენიმე ლექსი ეპოქის ესთეტიკურ გემოვნებაზეც მოახდენდა გავლენას (ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული პასაჟები აღიქმება ლირიკულ ლექსთა ჩინებულ ნიმუშებად).

ლირიკული ინტერმეცო პოსტმოდერნისტულ ესეიში მკითხველის აბრისსაც გამოკვეთს: „შემთხვევით არ არის ნახსენები XII საუკუნის ქართველი მკითხველი. მხოლოდ ერთი პოეტის გადასანაცვლებლად არა ისტორიულ-ქრონოლოგიური ჩარჩოდან ლიტერატურის იდუმალ კანონთა საუფლოში... გალაკტიონს აფიქრებდა იმჟამინდელი მკითხველი — თავისუფალი, დამოუკიდებელი, ძლევამოსილი ქვეყნის შვილი, ვისაც არა მარტო ენების ცოდნის წყალობით მიუწვდებოდა ხელი მსოფლიო სამწერლო მონაპოვარზე, არამედ ქართულ ენაზე მოეპოვებოდა ეს ყოველივე. ახალშექმნილი ნიმუშებიც მაშინვე ხდებოდა მისი მშობლიური ლიტერატურის ნაწილი. მისი თვალსაწიერი ამიტომაც მოიცავდა უკიდურეს სივრცეს... ამ გემოვნების მკითხველთა სიჭარბემ თავისთავად გამოიწვია „ვეფხისტყაოსნის“ შექმნა — იმ კანონზომიერების ძალით, დიდი პოეტების გამოჩენას რომ დიდი აუდიტორიები ინვესს.“

ინტერმეცო ლოგიკური ნიაღვრებით გრძელდება: „ამოუცნობ ენიგმად რჩებოდა, რატომ არ იყო აღნიშნული ამხელა პიროვნების გვარ-სახელი მატინანეთა ფურცლებზე და ამ თავსატეხის ამოსახსენელად მოიმარჯვეს დევნილი პოეტის ლეგენდა, მაგრამ ისეც შესაძლებელია, საისტორიო თხრობის მიღმა აღმოჩნდეს — საკუთრივ უნდა გამოვიჩინდნენ შენი მემატინანე, შენი ბიოგრაფოსი.“ თითქოს (ან რალა თითქოს) დავით აღმაშენებლის მემატინანის ფრაზითაა („არა დიდ იყავ აქილევსი, არამედ დიდსა მიემთხვივე მაქებელსა უმირის“) ინსპირირებული ესეი-კვლევის ეს პასაჟი.

რაკურსი იმდენად მნიშვნელოვანია, მკვლევარი დანანებით აგრძელებს: თავთავისი ბიოგრაფოსები გამოუჩნდებოდნენ გრიგოლ ხანძთელს, ექვთიმე ათონელს, გიორგი ათონელს (ვინც თვითონაცაა სხვისი ბიოგრაფოსი), მაგრამ არ ჰყოლიათ ცხოვრების აღმწერნი იაკობ ხუცესს, იოვანე საბასისძეს, გიორგი მერჩულესო.

ეს ინტონაცია აბსოლუტურად ბუნებრივია და გასაგები ვაჟას-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, იაკობ გოგებაშვილის, არჩილ ჯორჯაძის, ალექსანდრე ბატონიშვილის, ალექსანდრე ორბელიანის, ელიზბარ ერისთავის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის და სხვა გამორჩეულ ქართველთა შესახებ დანერჩილი ბიოგრაფიული რომანების ავტორისაგან.

ახლო კადრს კვლავ დისტანციურულთა ჩანაცვლებს მწერალი-მკვლევარი (თითქოს მაღალ და დაბალ შაირთა ანალოგიით), პიროვნებათა სილუეტებს — ლიტერატურული ლანდშაფტით: „საქართველოს ტერიტორიული საზღვრები აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე შემორკალულიყო და „ვეფხისტყაოსანიც“ ორივე ნაკადს შეირწყამდა, თუმც გარეგნულად უფრო აღმოსავლური იერი დასდებოდა, მოქმედება ამ სივრცეში გაშლილიყო — და ეს იმიტომ, რომ საგმირო ეპოსის მხატვრული კანონები ვერ გულისხმობდა შემოზღუდულ სივრცეს.“

კვლავ ჩნდება პარალელი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის პასაჟთან: „ბეოვულფის მოქმედება არა ბრიტანეთის კუნძულებზე, არამედ დანიამი იშლება, რომლის ხსენებაც მთელი ევროპის კონტინენტს გულისხმობს, მაშინ, როდესაც ბრიტანეთის კუნძულების შერჩევა გმირთა სასაპარეზოდ ეპოსის სივრცეს უკიდურესად შემორკალავდა. ვერც შოთა რუსთველი აირჩევდა ორ ზღვას შუა მოქცეულ ტერიტორიას „ვეფხისტყაოსნის“ სამოქმედო ასპარეზად და მაშინდელ მსოფლიოში განფენდა.“

კონსტანტინე გამსახურდიას ზემოაღნიშნულ ესეიში („ქართველობა და უცხოეთის გენია“) ხსენებული ასპექტი

ასევე გამოკვეთილია და გამოკვეთრებული: „ჩვენი ტერიტორია ხალხთა ხიდი იყო, ჩვენი ისტორიული მისია — შეურიგებელ კონტრასტთა შერიგება-შეგუება, ორი დიდი სამყაროს — ევროპისა და აზიის სულის შეხამება. მთელი ჩვენი კულტურა ამ ორი დიდი სამყაროსაგან გადმოსროლილი ჩრდილისა და სინათლის ნიჟარების ნათელყოფაა. „ვეფხისტყაოსანი“ ერთადერთი ქმნილებაა, რომელშიც ქართული სული სავესებით განსახიერდა“ [თხზულებანი 10 ტომად, VII, თბ., 1983, 294].

კვლევის მორიგ პასაჟში კვლავაც აბსოლუტურად განსხვავებულ ეპოქათა სულში ერთობას გაესმის ხაზი: „აკაკი წერეთელმა ზუსტად მიაკვლია ეპოსის შინაარსში განფენილ საქართველოს ისტორიულ რეალობას (მიუხედავად მძაფრი პოლემიკისა ილია ჭავჭავაძესთან, მათი მოსაზრებანი კი არ უპირისპირდება ერთიმეორეს, არამედ ავსებს, რაკილა კერძო და ზოგადი „ვეფხისტყაოსანში“ ჰარმონიულად ესადაგება და მსჭვალავს ერთმანეთს. ორივე რაკურსით გაიაზრება ეპოსი.“

როსტომ ჩხეიძე კვლავაც იხსენიებს თავისი კვლევის მაგისტრალური ხაზის ინსპირატორს, უთითებს: „როდესაც პავლე ინგოროყვა ჩვენი მწერლობის ამ ხანას „ადრეული რენესანსის“ სახელით იხსენიებს, მხოლოდ ტერმინს კი არ ესესება დასავლელ მეცნიერებს, არამედ ათვალსაჩინოებს, რომ ეპოქა და მხატვრული მონაპოვარი, „ვეფხისტყაოსანი“ დაგვირგვინებული, ბევრნილად თანხვდება დიად კულტურულ მოძრაობას, რომელიც მოგვიანებით გაიშალა ევროპაში და რენესანსის სახელწოდებით განისაზღვრა. ქართული რენესანსის დაბადება ისევე, როგორც იტალიური აღორძინებისა, დაუკავშირდა ანტიკური ხანის საერო ლიტერატურასა და მითოლოგიას.“

ეს ასპექტი საგანგებოდაა ხაზგასმული კვლევაში, როგორც საპირწინე ევოლუციური თეორიისა, თითქოს შუა საუკუნეთა ლიტერატურა უშუალოდ განვითარდა სასულიერო მწერლობიდან, ფილოსოფიურ მოძღვრებათა (მაგალითად, ნეოპლატონიზმის) გვერდის ავლით.

მკვლევარი განსაკუთრებით მალვა ნუცუბიძის ღვანლს გამოკვეთს საკითხთან დაკავშირებით.

კვლევა-სპირალის მორიგ რკალში ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ უთვალსაჩინოეს მიღწევაზე გამახვილდება ყურადღება და მნიშვნელოვანი მოსაზრებაც ამოჩნდება: „მთარგმნელობითი მიღწევათა შორის იმთავითვე დამკვიდრდებოდა სპარსელი პოეტის, ფახრ-ედ-დინ გურგანის ეპიკური ქმნილების, „ვისრამიანის“ ქართული ორეული, უცნობად დარჩენილი ხელოვანის ნაღვანი. რას უნდა გამოენვია პოეტური ეპოსის ამტყვევლება რომანად? ხომ არ ნიშნავს მთარგმნელის ეს გადაწყვეტილება, რომ გუმანიტ გრძნობს იმ ჟამის დადგომას სამწერლო ცხოვრებაში, როდესაც უკან გადაინაცვლებს პოემების ჟანრი და ნინ წამოიწევს ბელეტრისტული თხრობა და რომ რომანი, როგორც უნივერსალური ჟანრი, ყველაზე პოპულარული შეიქნება?! მთარგმნელის გადაწყვეტილება მოულოდნელობითაც გვხიბლავს და გაბედულ განაცხადადაც წარმოგვიდგება, სხვათაგან უბიძგებს, მოსინჯონ ჟანრობრივი გარდასახვა.“

ლოგიკურია აზრის გაგრძელება: „რვა საუკუნეს მინც უნდა ჩაველო, ვიდრე ზურაბ კიკნაძე და თამაზ ჩხენკელი „ვისრამიანის“ უცნობი მთარგმნელის კვალს გაჰყვებოდნენ და პროზაულად აამტყვევებდნენ ახალ სამოსელში „ოდისეას“, მაგრამ მთავარია, რომ ის წარმატება განმეორდებოდა — ძველთაძველი პოემა თანამედროვე რომანად მოგვევლინებოდა — მაინც პირველ ევროპულ რომანად იხსენიებდა „ოდისეას“ გრიგოლ წერეთელი“ (რაც შეეხება „ვისრამიანს“, ჯერ კიდევ გერონტი ქიქოძე იმინებდა „მელანქოლიურ შენიშვნებში“ გერმანელი მეცნიერის, ფინკის, მოსაზრებას, „ქართველებს სრული უფლება გაქვთ, ფახრედინის „ვისრამიანი“ საკუთარ ეროვნულ პოემად აღიაროთ“).

„მართლის თქმის პრინციპით“ ააგებდნენ თხზულებებს თეიმურაზ პირველი და არჩილი. როსტომ ჩხეიძე დაიმონებს თამაზ ნატროშვილისეულ დეფინიციას „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების“ ჟანრისა — „ლექსად დაწერილი დოკუმენტური რომანი.“

მწერლისევე აზრით, სათაურშიევე სიმბოლურად შეპირისპირდა არა მხოლოდ ორი მხატვრული ესთეტიკა, არამედ — ორი ეპოქაც.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსად აღუქვამს მკვლევარს ის პასაჟი პოემისა, რომელიც „სამეფო კარის გახსნილობას, აზრის შეუზღუდაობას, პატრონყმული სინამდვილის გამმსჭვალავ დემოკრატიზმს ადასტურებს, როდესაც მონარქის გაგულისებასაც არ უფრთხიან და სრულ მიუკერძოებლობას იჩენენ ლიტერატურაზე მსჯელობისას („ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკვილად სასმენლად ყურისა, მაინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისა“).

კვლევაში ხაზგასმულია ვახტანგ VI-ის კულტურტრეგერული ღვანლი, მისი და სულხან-საბა ორბელიანის ურთიერთობა კი შედარებულია გრიგოლ ხანძთელისა და აშოტ კურაპალატის, გიორგი ჭყონდიდელისა და დავით აღმაშენებლის თანამოსაგროებასთან — ღვანლთან სულიერ მოძღვართა და მონარქთა, რომელთა „შეთანხმებული და თავდადებული გარჯა სანიმუშოა“ (XVIII საუკუნეშიც განმეორებული რეეკლე მეორისა და სოლომონ ლიონიძის ურთიერთობაში).

კვლევაში ხაზგასმულია, რომ „ქართული ლექსიკონის“ შექმნა მხოლოდ ერთი ასპექტია საბას მრავალმხრივი მოღვაწეობისა, ქართველ „მონაღვლეთაგან“ პირველს რომ დაუმკვიდრა „ერის მამის“ სახელი (როსტომ ჩხეიძე გულისხმობს საფრანგეთში გავრცელებულ აზრს ქართველთა მეფის დესპანზე, „მთელ საქართველოს მამად მიაჩნიაო“).

„სიბრძნე სიცრუისას“ ანალიზისას მკვლევარი კვლავ გვთავაზობს ერთგვარ ინტერმეცოს ლიტერატურის თეორიიდან: „ეპოლუციის თეორია განუსჯეულად მიუჩნდა ადგილს იგავსა და ნოველას რომანის ნინ, თითქოს მცირეფორმიან თხზულებათაგან განვითარდა დიდტანიანი ქმნილება. ნოველის კლასიკურ ქარგას ოთარ ჩხეიძე ლეონტი მროველის ისტორიულ ქრონიკაში („თქმული სიდონია დედაკაცისა“) დაიდასტურებდა, დოკუმენტური ნოველის არქეტიპად წარმოსახვდა მირიანის მოქცევის ამსახველ პასაჟს. ამ „თქმულთ“ ისევე შემორკალოდა გარეჩარჩო, როგორც იოანე მოსხის „ლიმონარს“, არაბულ „ათას ერთ ღამეს“, ინდური მოთხრობის ქრისტიანიზებულ ვერსიას — „სიბრძნე ბალაჰვარისას“, ბოკაროს „დეკამერონს“, სპარსულ „ქილია და დამანას“, ჩოსერის „კენტერბერიულ მოთხრობებს“...

არსებით განსხვავებასაც გაეცმის ხაზი, „სიბრძნე სიცრუისას“ გარესარტყელი ექსპრესიული და დამოუკიდებლადაც მძაფრიაო.

მკვლევარი ლევან ბრეგაძის თვალსაზრისსაც დაიდასტურებს, რომლის მიხედვითაც საბა დეტექტივის სათავეებთან დგას, ედგარ პოზე გაცილებით ადრე ქმნის ჟანრის წანამძღვარს.

ქართულ ლიტერატურაში კლასიციზმის ძიებას (დასავლური ლიტერატურული ცხოვრების სურათის ძალდატანებითი კლიშირებას) არაბუნებრივად, ხელოვნურად მიიჩნევს როსტომ ჩხეიძე, რადგან „კლასიციზმს სჭირდება აბსოლუტური მონარქიის გარემო, რის ნასახიც არ იყო XVIII საუკუნის სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოში, ხოლო, როდესაც ჩვენი სამეფო კარი აბსოლუტიზმის იდეურ საფუძველზე იდგა, დასავლეთში რენესანსის ეპოქაც არ დაწყებულიყო და, ცხადია, ჩახრუხაძე და შავთელი ექვსი საუკუნით ვერ გაუსწრებდნენ ფრანგულ კლასიციზმს, ვერც ბესიკ გაბაშვილი იტივრთებს კლასიციზმის აღმსარებლობას.“

როგორც ზემოთქმულიც ადასტურებს, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კონტექსტთა გათვალისწინება არ შეიძლება თვითმიზნური ქმედება იყოს, არც უცხოურ მწერლობასთან ხელოვნური პარალელები სჭირდება ქართულ მხატვრულ სიტყვას, მით უფრო — „იზმთა“ დროში უაპელაციო ვარირება: „ხელოვნური ნიშნების აღმოჩენა ძნელი არ არის და მონდომებული ადამიანი მოდერნისტულ ნიმუშად გამოაცხადებს, ვთქვამთ, „შუშანიკის წამებას“, „ვეფხისტყაოსანს“ — გაუცხოების ესთეტიკით შექმნილ წანარმოებად, „ეესტათი

მცხეთელის მარტვილობაში“ ფუტურიზმს მიაკვლევს, „დავითიანი“ — პოსტმოდერნისტულ მიდრეკილებას.“

მორიგ საეტაპო თხზულებებზე მსჯელობისას ბელეტრიზებული კვლევაში აღნიშნულია: „დავითიანი“ არა მარტო აირეკლავდა ბიბლიურ სურნელს, ეპოსის კომპოზიციურ სტრუქტურას სულაც ბიბლიურ ყაიდაზე ააგებდა... თხრობითი და ლირიკულ-შესახებითი მონაკვეთები ისე მოხდენილად შეენაცვებოდნენ ერთმანეთს, როგორც მალალი და დაბალი შაირის მონაცვლეობა.“

როსტომ ჩხეიძისათვის ბუნებრივია ავტორისა და ტექსტის ბედისწერათა საკრალური ერთობის გააზრება, რაც განსაკუთრებით დავით გურამიშვილისა და „დავითიანისადმი“ მიძღვნილ პასაჟებში ცნაურდება.

„დავითიანი“ არა მარტო მხატვრულ-იდუური თვალსაზრისითაა ამოვარდნილი ისტორიული ქრონოლოგიიდან, არამედ ბედისწერითაც, გურამიშვილმა თვითვე რომ გამოსჭედა — თითქოს ჩახრუხადის ველად გაჭრილი მოყმის პროტოტიპი ყოფილიყო. დავით გურამიშვილის ერთგვარად „ავანტიურისტული ბუნებით“ (დავით წერედიანი) არის ახსნილი მისი დაუოკებელი სწრაფვა უცნობი სივრცის მოსახილველად, რადგან ვახტანგის აღსასრულის შემდეგ შეეძლო შინ დაბრუნება. რომ არ მოესწრო და შვილივით ნალოლიავეები ქმნილება მირიან ბატონიშვილისათვის არ გამოეტანებინა საქართველოში, იქნებ ეს ამხელა ეპოსი უკვალოდ დაგვკარგოდა.“

საგულისხმო და დასაფიქრებელია საგანგებოდ ხაზგასმული დეტალი: „გამოქვეყნებით გვიან გამოქვეყნდა და არამცთუ ჩვენი რომანტიკოსებისთვის დარჩა უცნობი ეს თხზულება და მათმა სულიერმა თვითდადგინებამ დავით გურამიშვილის გავლენის გარეშე ჩაიარა, ილია ჭავჭავაძეც და აკაკი წერეთელიც მხოლოდ მას შემდეგ გაეცნენ, რაც თავიანთი პოეტური სტილი უკვე შემუშავებული ჰქონდათ.“

განსხვავებით კლასიციზმისაგან, ქართული რომანტიზმი „რეალურ მოვლენად“ ცხადდება კვლევაში. სკოლისა და ეპოქის ზუსტ სურათს ხატავს როსტომ ჩხეიძე, ლიტერატურის ისტორიის კონკრეტული პასაჟის წარმოჩენისას ავტორის ეროვნული პოზიციაც თვალსაჩინოვდება: „რომ არა რუსეთის მფლობელობის დამყარება ჩვენი მინა-წყალზე და საქართველოს სამეფოსა და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ქართველმა მეფეებმა შეძლეს ისლამური ჩიხის გადალახვა, ჩნდებოდა რეალური იმედი, რომ დასავლეთისაკენ გზასაც გავიკვლევდით და, იმ პოლიტიკურ სივრცეში მოხვედრილნი, მისი კულტურისა და სამწერლო ცხოვრების სრულფუნქციონირება ნაწილობრივ გავხდებოდით, უშუალოდ ჩავეერთვოდით ევროპის ლიტერატურულ მიმდინარეობათა მონაცვლეობაში... რუსეთი ერთბაშად ჩავკიცვტავდა ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის ასერიგად საჭირო გზას, იძულებულს გავგზავნა, ნასუფრალი გვეკმარა... ქართული რომანტიკული სკოლა არ იმეორებს ბაირონის რუსულ ვერსიებს, საკუთარ არეალს შემოინერს რომანტიზმის საუფლოში — ბარათაშვილის პოეტური სიტყვით მოშარავანდებულში — სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვით, ჰორიზონტის ჩაბნელებით ინსპირირებულს.“

სოლომონ დოდაშვილის ზეგავლენა ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერ ფორმირებაზე მიაჩნია როსტომ ჩხეიძეს მიზეზად იმისა, რატომ აღიქმება ბარათაშვილის პოეზია ევროპული წიაღიდან ამოზრდილად და არა — რუსულ „ნასესხობათა ნასესხობად.“

მწერლის მრწამსით, სოლომონ დოდაშვილის, გრიგოლ, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების, ალექსანდრე ჭავჭავაძის, სოლომონ რაზმაძის — შეთქმულთა შარავანდი მოჰყვინა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას, ამავე წიაღიდან ამოზრდილა გიორგი ერისთავის მხატვრული სამყაროც.

ბარათაშვილის ხაზისავე გაგრძელებას ხედავს მკვლევარი ილიასა და გალაკტიონის პოეზიაში, ასევე სიმონ ჩიქოვანთანაც, რომლის „თვითრეფლექსიურ ბუნებას ელიოტის მოდერნისტულ ნააზრევს“ ამსგავსებენ (სოსო სიგუა).

ქართული კულტურის ორიენტირად ევროპეიზაციის დასახვისას ინსპირატორად ბარათაშვილს მოიხსენიებდა ილია. როსტომ ჩხეიძე სიმონ ჩიქოვანისეულს დაიდასტურებს, რომ „ევროპეიზმი ილიასთვის იყო არა უბრალოდ დასავლეთ ევროპის ლიტერატურულ მიმდინარეობათა გავლენის ან მათთან სახლოვის მიმანიშნებელი ტერმინი, არამედ — ეროვნულ სამწერლო კულტურაში თუნდ პოეტური კულტურის უნივერსალობის ცნება.“

მნიშვნელოვანია ერთგვარი დიფერენცირების ხაზგასმა, რომ „არც აკაკი წერეთლისათვის, არც ვაჟასთვის ევროპეიზაციისაკენ მოწოდება არ აღმოჩნდებოდა ორიენტირი, არც აღმოსავლურ ნაკადს აჰყვებოდნენ და ქართულ სინამდვილეში არსებობას ამჯობინებდნენ. ილია, აკაკი, ვაჟა საკუთარ ელფერს შეჰმატებდნენ გრიგოლ ორბელიანისაგან მიგნებულ გმირის ძიების მოტივს, მესიის მოლოდინს, რითაც სამოციანელები ბიბლიურ სულისკვეთებას ყოფით რეალობაშიც გაამყვანებდნენ. ამ სულისკვეთების გამჟღავნება მხატვრული სიტყვის გამსჭვალვა რელიგიურ-პოლიტიკურ მოტივთა სიუხვით და ლიტერატურის დასახვა თავშესაფრად და ბრძოლის არენად თავისუფლებანართმეული ქვეყნისათვის, რომელიც გადაქცეულიყო იმპერიის განაპირა პროვინციად და ჯერჯერობით არც რაიმე საიმედო ილანდებოდა პოლიტიკური თავისუფლების დასაბრუნებლად.“

მკვეთრი და პირდაპირი, ფორმულის ლაკონიურობით აღბეჭდილია პასაჟები კვლევისა: „ილია ჭავჭავაძე ლიტერატურისა და პოლიტიკის გაიგივებითა და მწერლის დასახვით ერის წინამძღოლად თვითვე წარმოდგება მოსე წინასწარმეტყველად [მდრ. კონსტანტინე გამსახურდიას ესეი „ილია ჭავჭავაძე“ — ნ. კ.], მოსე წინასწარმეტყველივითვე ვერ ეღიარებოდა თავისუფლებამოგებულ საქართველოში ცხოვრებას ისევე, როგორც ზედ თავისუფლების ზღურბლთან გამოეთხოვებოდნენ სიცოცხლეს აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველაც, ასევე — იაკობ გოგებაშვილი“, რომლის „დედა ენაც“, ბიბლიასა და „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად, ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების უმკვიდრეს საყრდენად მიუჩნევია მკვლევარს.

ძველი ქართული სამთარგმნელო სკოლების ტრადიციათა ღირსეულ გამგრძელებლებად აცხადებს როსტომ ჩხეიძე ივანე მაჩაბელს, ივანე მაჭავარიანს, ნიკო ავალიშვილს, გრიგოლ ყიფშიძეს, თედო სახოკიას, გერონტი ქიქოძეს, განსაკუთრებით გამოკვეთს ღვანლს ივანე მაჩაბლისა, რომლის „თარგმანსაც ისევე შეჰფერის ეპითეტად „ქართული“, როგორც ბიბლიურ ნიგნთა ჩვენეულ ვერსიებს.“

მეოცე საუკუნის დასაწყისში ერეკლე ტატიშვილის ძალიანხმევით ჩნდება „ქართული ნიცში“, მოგვიანებით, საუკუნის შუაგულში — ვახტანგ ჭელიძის, თამარ ერისთავის, თამაზ ჩხენკელის ბრწყინვალე თარგმანები.

საგმირო ეპოსის კანონთა ჭრილში განიხილება „არსენას ლექსი“, საპირისპიროდ სოცრეალიზმის ეპოქაში ტექსტის კონიუნქტურული გაგებისა — მხოლოდ სოციალური კუთხით.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებულ მოვლენად ფასდება ალექსანდრე ყაზბეგისეული „კავკასიური საგა“ თუ „კავკასიური ილიადა“, საგანგებოდაა ხაზგასმული გრიგოლ ორბელიანის მიერ ალექსანდრე ყაზბეგის მოხსენიება „ქართველთა ჰომეროსად“, ისევე, როგორც გრიგოლ რობაქიძე და გალაკტიონი იხსენიებდნენ ვაჟას „ჰომეროსის ნატყხად.“ ლაკონიური და ტყევაიანი რემარკა: „ახალი დროის ჰომეროსთა წყალობით რაინდული ეპოქა გაცოცხლებულიყო და, ერთი მხრივ, „ვეფხისტყაოსანთან“ თუ გადებდნენ ხიდს მონუმენტური ხასიათებით, მეორე მხრივ, მითოსურ-ანდრეზული ნანგრევებიდან ამოიტანდნენ მინავლებულ ჰეროიკას.“

ამავე რკალის ანასხლელადაა აღქმული ვასილ ბარნოვის მემკვიდრეობა, რომლის ისტორიული თხზულებანიც უოლტერ სკოტისეულ ციკლსა შედარებული, ესააო ძველი საქართველოს „ბიოგრაფიული ქარგა“ უშორესი ჟამიდან („შურის-

გება“) ვიდრე „ისკანდერამდის.“ ვაჟა-ფშაველასა და ვასილ ბარნოვის მოვლინებას XIX საუკუნის 80-იან წლებში კვლავაც ლიტერატურის იდუმალ კანონთა, იმ აუხსნელ კანონზომიერებათა თვალნათლივ დადასტურებად მიიჩნევს მკვლევარი, „სულიერი თანხვედრა რომ ხდება ერთმანეთისგან სრულიად დამორიშორებულ რეალობებში.“

როსტომ ჩხეიძე პარალელს ავლებს უილიამ ბატლერ იეიტსისა და ჯეიმზ ჯოისის ანალოგიურ ღვაწლთან (თვალსაზრისის ნანამძღვრები ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „ვასილ ბარნოვი“ იძებნება).

როსტომ ჩხეიძე ჟანრულ ვარიაციებზეც გაამახვილებს ყურადღებას — როგორც ბარნოვმა აზიდა ქართული რომანი ევროპულ სიმაღლეზე, ისევე შიო არაგვისპირელმა — ქართული ნოველო, თუმც ისიც კონსტატირებულია, რომ „მოშლილი საზოგადოებრივი ყოფა ველარც შესაფერის მასალას აწვდიდა ბელეტრისტებს.“

საინტერესო პასაჟია ყურადღების გამახვილება ელიოტისა და ჯოისის მიერ მომარჯვებულ პაროდის ხერხზე, აღნიშნულია, რომ მსგავსი მეთოდი ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანსა“ და ეგნატე ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდშიცაა“ გამოყენებული.

ბასრი სატირის პარალელურად ხაზგასმულია, რომ „მძაფრი დრამატული ვნებების ლალი იუმორით აღბეჭდილი პროზა დავით კლდიაშვილისა ქართველი ხალხის ერთდროულად დრამატულ და კომიკურ სულს გააცხადებდა.“ „კომიკურობის“ უღრმეს შრეებს ძირისძირობამდე სწვდება მკვლევარი: „კომიკურობა გამოუწვევია ყოფითრეალობისა და პერსონაჟთა ოცნების სრულ შეუსაბამობას, რაც ეპოქისმიერი მოვლენა კი არ არის, არამედ ნაშთია ხალხის სულში ჩალექილი ხსოვნის, რომ ოდესღაც დიდი კულტურისა და ცივილიზაციის შემქმნელ-მონაწილენი ვიყავით და გაბედული მისწრაფებანი იქიდან მოგვდგამდა, როგორც იმ დაკარგული სამყაროს მემკვიდრეებს, რომელნიც ვერაფრისდიდებით შეგვგუბოდით ასეთ დაკნინებას.“

უშორესი წარსულისაკენ მზერის მიპყრობას ილიას პუბლიცისტიკაც ესაძიოკვლა („ქვათა ღაღადი“, „აი, ისტორია“), ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში მკვიდრად ჩადულაბდა შეგნება ოდესღაც ქართველურ ტომთა განფენისა გრცელ ტერიტორიაზე, შუამდინაეთამდე რომ უწევდა (გრივოლ რობაქიძე, ტიცინა ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, მიხაკო წერეთელი, ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, რევაზ გაბაშვილი...). „ქალდეა“ თუ „კარდუ“ ამ ხსოვნის სიმბოლოდაც იქცა და მომავლის იდეალადაც (პრობლემა დეტალურად როსტომ ჩხეიძისავე „ქალდეას მონატრებაში“ წარმოჩნდება).

საგანგებო ყურადღება მიეპყრობა სალონური ცხოვრების ეროვნულ-პოლიტიკურ დატვირთვას XIX საუკუნის შუახანებში. „როგორც 50-იან წლებში აღმოცენდა მანანა ორბელიანის სალონიდან ჟურნალი „ცისკარი“ და თეატრალური დასი, ისევე ამოიზარდა 80-იან წლებში იოსებ მამაცაშვილის სალონიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება... ამ პროცესებს გრივოლ რობაქიძე მოხდენილი ლაკონიურობით განსაზღვრავს, ქუთაისის დუქნები უეცრად პარიზის ლიტერატურულ კაფეებზე გადაიქცნენო — არღნის ხრინნიან ხმასა და მრავალჟამიერთან ერთად გაისმა ედგარ პოსა და შარლ ბოდლერის, პოლ ვერლენისა და სტეფან მალარმეს, ხოსე მარია ერედიასა და ემილ ვერჰარნის სახელები“.

ლაკონიურობი და პირუთვნელია როსტომ ჩხეიძე ლიტერატურული ეპოქის პოლიტიკური ფონის წარმოჩენისას, „სოციალ-დემოკრატებს პოლიტიკური მკვლევლობა დასჭირდათ და კიდევ აღასრულეს ნინამურის ტრაგედია, ...ილიას მკვლევლობით ჟამიერ გაერთიანდა ერი, მაგრამ არჩილ ჯორჯაძეს კვლავ თავმისაცემი გახდომია ეროვნული ნიჰილიზმიო.“

XXს. ათიან წლებში მწერლობა თითქოს ძალას იკრებს „ეპიკური სულის ამოსაფრქვევად“, კულტურტრეგერული ჟამი დგას. არჩილ ჯორჯაძე ქმნის გასული საუკუნის ინტელექტუალური და მხატვრული აზროვნების მთლიან სურათს.

ბელეტრისტული პლასტი თითქოს კვლევითს სჭარბობს XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ-პოლიტიკური ლანდშაფტის წარმოჩენისას. „ქართული პოეზიის ტრაგიზმის დასტურად (თუ როგორ უვლიდა ტფილისს ყოველთვის გარს ევროპის რადიუსი), ტიცინა ტაბიძე აღნიშნავდა, რომ, როდესაც ფანტასმაგორიული პო, ბოდლერის პრესგამოვლილი, ხელახლად დაიბადა პოეზიისათვის, როგორც სიმბოლისტური სკოლის წინამორბედი, საქართველოში ჯერ ილიასა და ბარბარე ჯორჯაძეს შორის დავაც არ დაწყებულყოო.“

მწუხარე სტრიქონებით მინიშნებულია, რომ ქართული სიმბოლიზმი მაშინ იშვა, როდესაც ევროპაში ამ მიმდინარეობას უკვე გასვლოდა ყავლი.

სკოლის ყველაზე „სრულქმნილ სახედ“ როსტომ ჩხეიძე გალაკტიონს ასახელებს და არა ცისფერყანწლებს, რომლებსაც უფრო სიმბოლისტური ესთეტიკის პოპულარიზატორებად მიიჩნევს. სხვაა ორდენის მეთაური, გრივოლ რობაქიძე, რომლისთვისაც „სიმბოლიზმი ორგანულია“, თუმც მკვლევარი მის პროზასა და პოეზიაზე უფრო მალლა ესეისტიკას აყენებს.

წარმოჩენილია რობაქიძის კულტურტრეგერული ღვაწლი, ლექციების ციკლი ქართველ და უცხოელ მწერლებზე, განსაკუთრებით — თვით მწერლის მიერ ხაზგასმული — ვაჟას კულტის დამკვიდრება.

პავლე ინგოროყვას „კავკასიონის“ ფურცლებზე კულტურტრეგერულსავე ღვაწლს გასწვება კონსტანტინე გამსახურია.

თხრობის ტემპი თითქოს ჩქარდება, კინოკადრებივით მისდევს ერთმანეთს ფაქტები და მოვლენები (კვლევის რიტმი ეპოქალურს მიჰყვება), კონსტატირდება, რომ ერთბაშად დადგებოდა „რომანის გასხვივების ხანა“ (ვასილ ბარნოვის „არმაზის მსხვერვა“, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯავახი ხიზნები“, „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „გივი შადური“, დემნა შენგელაიას „სანავარდო“, შიო არაგვისპირელის „გაბზარული გული“, შალვა დადიანის „უბედური რუსი“)...

ქართული სიმბოლიზმის ქრესტომათიად თუ ქართულივე მოდერნიზმის სახარებად გალაკტიონის მეორე კრებული — „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“ ცხადდება. მოგვიანებით გალაკტიონოლოგია მხარში ამოუდგება რუსთველოლოგიას.

ვერცერთი მკვლევარი XX საუკუნის ლიტერატურის ანალიზისას გვერდს ვერ აუვლის ეპოქის სურათის წარმოჩენას. კვლავ ბუნებრივად ფიქსირდება მწერლის მკვეთრი ეროვნული პოზიცია: „ეფემერულად გადაილეგებდა დამოუკიდებლობის რამდენიმე წელი, საქართველო კვლავ იქცეოდა რუსეთის იმპერიის განაპირა პროვინციად, მონარქისტული ხელისუფლება ბოლშევიკურით შეიცვლებოდა — კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სასტიკი, ანტიხალხური და ანტისულიერი რეჟიმი, რომლის სისასტიკეც ბოლომდის ინგენია ლიტერატურამ და რეჟიმისავე აღსასრულამდის ერის სულიერი ნინამძღოლის ფუნქციაც შეინარჩუნა დასავლურ სალიტერატურო პროცესს ათწლეულებით იძულებით მოწყვეტილმა, მასავით დარბეულ და სასიკვდილოდ განწირულ თავადაზნაურობასთან ერთად.“

სწორედ პოლიტიკურმა ვითარებამ განსაზღვრა ქართველ მოაზროვნეთა ბედისწერა გასული საუკუნის პირველ (და არა მხოლოდ) ნახევარში. ეპოქისათვის ნიშნულ ფაქტთაგან ერთ-ერთი — აიკრძალა ლიტერატურულ დაჯგუფებათა არსებობა, ყველაფერი დაექვემდებარა მწერალთა კავშირს — შემოქმედებითი ცხოვრების კოლმეურნეობისათვის დასამსგავსებლად.

საგულისხმო და უაღრესად მნიშვნელოვანია მკვლევრისეული თვალსაზრისი, ერთგვარი რჩევა თუ კეთილი სურვილი (იმედიც!) ლიტერატურათმცოდნეთა თუ მკითხველთა მომავალი თაობების დასაკვალაინებლად: „რეალობის გაუთვალისწინებლად უთუოდ დავაკნინებთ XX საუკუნის მწერალთა ღვაწლს, თუკი არაფრად ჩავაგდებთ სახელისუფლებო რეპრესიებს, საიდუმლო სამსახურების, მილიციის, სასამართლოს, ცენზურის, ჩეკისტური კრიტიკის პარპაშს... ეპოქის ქერქში შეღწევის შემ-

დეგ საყვედურის გუნებაზე კი არ დავდგებით, რატომ მეტს არ მიაღწიესო, განვცვიფრდებით მხატვრული მონაპოვრით, დავრწმუნდებით, რაც მოხერხდა — მხოლოდ თავგანწირვით. მიტომაც მოჩანს კონიუნქტურული მწერლობის ნიაღვარსა თუ უდაბნოეთში ჭეშმარიტ მხატვრულ-სულიერ მონაპოვართა ოაზისები და ევროპულ-ამერიკულ სალიტერატურო პროცესს სწორედ ამ ძარღვის სიმრთელით დაფუძნდებიან დღეს თუ ხვალ და მისი განუყოფელი ნაწილიც შევიქნებით.“

ბარნოვისა და ჯავახიშვილის მხატვრულ კონცეფციას ყაზბეგის ენობრივი სტილით ინსპირირებულად მიიჩნევს როსტომ ჩხეიძე, თავად ბარნოვის სტილით შთაგონებულად კი — გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის, ლევან გოთუას, ბასილ მელიქიშვილის მხატვრულ მანერას. ბარნოვიმ გრიგოლ ორბელიანის, ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის რომანტიკული სული გადაიტანა ბელეტრისტიკაში და მისით გამსჭვალა ქართლის ცხოვრების მხატვრული მატრიცა. ნიკო ლორთქიფანიძემ სტილს რომანტიკული სურნელი შეუნარჩუნა, თუმც ხედვის კუთხე რომანტიკულიდან რეალისტურისაკენ გადაანაცვლა.

დავიდასტურებთ პასაჟებს დიდ ქართველ მწერალთა როსტომ ჩხეიძისეული გალერეის წარმოსაჩენად:

„კონსტანტინე გამსახურდიას თუმც მხატვრული ქართლის ცხოვრება აღარ შეუქმნია, სტილური ინდივიდუალობის შენარჩუნებით, გემოვნების პრიმატის აღიარებით დიდწილად განსაზღვრა მწერლობის სასიცოცხლო ძარღვის შენარჩუნება, და ეს ქმედება ძალდაუტანებლად გაუფიგვდა გმირობას.“ მწერლის შემოქმედების გვირგვინად თანადროულ ცხოვრებაზე შექმნილი „მთვარის მოტაცება“, ქართული რომანისტიკის ერთი საუკეთესო მიღწევათაგანი ცხადდება.

„უღმობელი პოლიტიკური რეჟიმის რეფლექსიას სატირიკოსის კალმითა და ანტიკურ ტრაგედიას შეტოლებული სიმძაფრით წარმოადგენს მიხეილ ჯავახიშვილი, რომლის პატიოსანი, მრავალმხრივ განსწავლული, ოღონდ ქვეყნის სახსენლად ყოვლად უძალო თეიმურაზი თავად მწერლის მიერვე გამეტებული თაღლითი და მოძალადე კვაჭის, ჯაყოსა თუ დამპატიჟეს დარად.“

ჩამოთვლილთაგან ყოველი პერსონაჟი ერთდროულად ხასიათდაც ცხადდება და სოციალურ მოვლენადაც, ბოლშევიზმის ანტისულიერ სივრცეში სახელმწიფოებრივის ნაცვლად პარტიული აზროვნების ზეობის ლოგიკურ შედეგად.

როსტომ ჩხეიძის მრწამსით, ანტიკურ ტრაგედიასავით შეკრულ კომპოზიციურ ქარგას რომანისა არაფერი ჩაემატება. „ჯაყოს ხიზნების“ „დაუმთავრებლობის“ ლეგენდა მწერალმა მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით შეთხზა.

„აჭრილმა დრომე“ უკარნახა მწერლებს კვაჭი კვაჭანტირაძისა და ყვარყვარე თუთაბერის ტიპთა შექმნაც.

საგულისხმოა, რომ ერთიანი კულტურული სივრცის წარმოჩენისას როსტომ ჩხეიძის ყურადღების მიღმა არც ქართული თეატრი რჩება, ავქსენტის ცაგარელისა და გიორგი ერისთავის ჟამიდან (გავიმეორებთ ზემოთქმულს — „სათავეებიდან“) — ვიდრე თანამედროვეობამდის.

ქართული თეატრი ჯეროვნად წარმოაჩენდა როგორც ავანტიურისტ მედროვეთა, ასევე — ჰეროიკულ დრამათა პერსონაჟებსაც („ყვარყვარე თუთაბერი“, „ლამარა“).

ბოლშევიზმის არსია გამიშვლებული გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლულ სულშიც“, „გრაალის მცველნი“ კი 1924 წლის ტრაგედიის რეკვიემია (როგორც „ჯაყოს ხიზნები“ და „მთვარის მოტაცება“).

ყურადღება მიეპყრობა ემიგრანტული ლიტერატურის ალაგსაც ერთიან ლიტერატურულ პროცესში. ემიგრაციაში, რომლის სულიერი ისტორია „რკინის ფარდის“ გადმოღმა დარჩენილი საქართველოს კულტურასთან კავშირში საფუძვლიანადაა გაანალიზებული რუსუდან ნიშნიანის ფუნდამენტურ ნაშრომში, „ძვირფასი მემკვიდრეობა“ დატოვა მხატვრულ-დოკუმენტური პროზის სახით (ალექსანდრე სულხანიშ-

ვილის ბიოგრაფიული რომანი ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, ზურაბ ავალიშვილის, რევაზ გაბაშვილის, ალექსანდრე მანგელიშვილის ავტობიოგრაფიული რომანები). საინტერესო დეტალად ჩნდება მოსაზრება, რომ „მიხაკო წერეთლის მიერ საბას იგავთა გერმანულ თარგმანს აღარ მოჰყოლია ის რეზონანსი, რაც ოდესღაც ექვთიმე ათონელის მიერ „სიბრძნე ბლაჰვარისას“ თარგმანს, თუმც „გილაგამეიანის“ ქართულ ენაზე ამეტყველებით არა მხოლოდ საკაცობრიო მნიშვნელობის თხზულებას შემატებს საქართველოს, კიდევ ერთხელ ჩაიძირება ქართული მოდემის დასაბამისულ უშორეს ჟამში.“

ეპოქის ტრაგიკულ აბსურდულობაზე მინიშნებაა პასაჟი, რომ ბოლშევიკური რეჟიმი სალონებს ბურჟუაზიულ გადმონათლად მონათლავდა, აკრძალავდა. 40-იან წლებში მათ განახლებას „წმინდა წყლის პროვოკაციადა“ აცხადებს როსტომ ჩხეიძე, რადგან სახელმწიფომ მათ შეთქმულება დასწამა — 1832 წლის სულიერ მემკვიდრეებად შეარცხა. მკვლევარი საუბრობს კოტე ხიშიაშვილის („ჯონქა ხორნაული“), გიორგი ძიგვაშვილის, სამანელების — ადამ ალვანელის, არჩილ კიტოშვილის ტრაგიკულ ბედზე, „დაწყვეტილი თაობის“ („დაკარგული თაობის“ ანალოგიით) ბედისწერაზე, ლადო ასათიანის (გრიგოლ ორბელიანის, ტიცინ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის სულიერი თანამოსაგრის) კრებულ „წინაპრების“ — ეპოქის კონტექსტიდან აბსოლუტურად ამოვარდნილი ტექსტის — დაჩეხილ-განადგურებულ ტირაჟზე...

„გმირთა ვარამის“ შექმნის ისტორია, თავად რომანის თავგადასავალი დამოუკიდებელ სიუჟეტად წარმოუდგება მკვლევარს.

ჯოხის ტრაგიკული ხვედრის ერთგვარ გამეორებად აღიქვამს როსტომ ჩხეიძე ბედისწერას გივი მარგველაშვილის, მშობლიურ ენობრივ ნიაღვარს გაუცხოებულისა: „შესაძლებელია გივი მარგველაშვილის დაკავშირება ჩვენს სამწერლო პროცესთან, რადგან ტკივილებიც, პრობლემებიცაც, თემატიკაც თავიდან ბოლომდე ქართული სინამდვილითაა ნასაზრდოები, ოღონდ — სტილისტურად მოქცეული დასავლური მწერლობის რკალში. პოსტმოდერნი, ნიშანდობლივი მისი თხზულებებისათვის, უცხო არ არის ქართული ლიტერატურისთვისაც.“ ამ თვალსაზრისით მარგველაშვილი სრულიად ემიჯნება ბუღალტოკუწავასა და ბორის აკუნინის ლიტერატურულ მრწამსს.

ეროვნულ-პოლიტიკური (და არა მხოლოდ სამეცნიერო) დანიშნულებისად აღიქვამს მკვლევარი კორნელი კეკელიძის ორტომეულს „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, რომელიც „ისევე ამოაშუქებდა მრავალფერად სამყაროს თავისი ჟანრებითა და განშტოებებით, როგორც კირით გადადღაბნილი ფრესკები იხილავდნენ მზის სინათლეს“. ჟამი ლამობდა, კირით გადაეგლისა ისტორიაც, ლიტერატურაც, ენაც.

ღრმა პოლიტიკურ ქვეტექსტს ჭფრეტს მკვლევარი ივანე ჯავახიშვილის მიერ საქართველოს ისტორიის ხუთტომეული-სათვის „ქართველი ერის ისტორიის“ დარქმევამი, პავლე ინგოროყვას მიერ „ქართული ცივილიზაციის ისტორიის“ შეთხზვაში (საქართველოს ტერიტორიული საზღვრები რომ პირუთვნელად მოხაზეს და გაამძინეარეს საბჭოთა ხელისუფლება), რადგანაც ამ თხზულებებში წარმოჩნდებოდა „ერი, როგორც კაცობრიული არსებობის, ცხოვრების ბუნებრივი მდინარების საფუძველი, ქვაკუთხედი, წარუვალი, მარადიული“ — აღორძინებულიყო ილიას თაობის მიერ ნაქადაგები იდეები, გაგრძელებული არჩილ ჯორჯაძისა და მიხაკო წერეთლის („ერი და კაცობრიობა“) თხზულებებში.

პოსტსტალინურ ხანაში „კაცია-ადამიანისა?!“ და „ჯაყოს ხიზნების“ სატირულ ტონს აგრძელებს ოთარ ჩხეიძის მხატვრული პროზა, პატიოსანი პიროვნების განწირულებას ტოტალიტარიზმის პირობებში „ექიმ ჟიგაგოს“ პუბლიკაციამდე რომ აღწერდა („ჯაყოს ხიზნების“, „მთვარის მოტაცებისა“ და „დიონისოს ღიმილის“ სულისკვეთებით დამუხტული). ეს — ჯავახიშვილის — მაგისტრალური ხაზი, იქვე ბარნოვისაც — 24 რომანად თხზული მატრიცა ქართლისაი (აქედან ორი პრო-

პედეგოგიური ხასიათის თხზულებაა — ვასილ ბარნოვისა და ლორდ ბაირონის მხატვრული ბიოგრაფიები).

ოთარ ჩხეიძის „ჩემი სოფლის ეტიუდები“, გიორგი ლეონიძის „ნატურის ხის“, თამაზ ბიბილოვის „ნელინადის დროის“ („დროთა ოთხთავის“), რევაზ ინანიშვილის „უნატიფესი პროზის დანურული ანალიზისა“ მკვლევარი არსებით აქცენტირებს: „სოფლისა და ქალაქის სულ უფრო დაახლოება მსოფლიოს სატკივარი და საფიქრალია. საზღვრების წაშლა მათ შორის კიდევ უფრო მოგვწყვეტს მინის მადლს, ბუნების ჯადოსნურ ზეგავლენას. აქა-იქ ნაკრძალებად დარჩენილი ადგილები მხოლოდ ილუზიას გამოგვიკვებავს და, ცხოვრების ნაცვლად, მის სურგატს შემოგვთავაზებს. ვაითუ ველარც მივუხვდეთ, რა ტკივილი ხრავდათ გილგამეშიანის ენქიდუს, ბიბლიურ აბელს და ქართული ფოლკლორისა თუ ვაჟა-ფშაველას მინდიას“ (ესეისტური ნიაღსვლა, ლირიკული ინტერმეცო, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ როსტომ ჩხეიძისეული ბელეტრიზებული კვლევა არაა მხოლოდ ქართული მწერლობისათვის „თვალის გადავლება“, უფრო — „საქართველოს კოსმოსოფია“ (სინტაგმა გიორგი გაჩეჩიაშვილი) კვლავაც კინოკადრების სისწრაფით იხატება ეპოქის ლიტერატურული ისტორია: „მხოლოდ საბჭოთა რეჟიმის დამხობის შემდეგ ესხნება გზა მიხეილ ჯავახიშვილის „დამდნარ ჯაჭვს“, გაბრიელ ჯაბუშანურის „სტალინი — ინვექტივა“-ს, გურამ რჩეულიშვილის „9 მარტს“, ოთარ ჩხეიძის „ცთომილსა“ და „გამოცხადებას“, გივი მაღულარიას „უკუქცევას“...

ამ უმძიმეს (უმძიმესი ეპოქის ამრეკლავ) ტექსტებში ვაჟას პირიმზესავით ამოაშუქებს ანა კალანდაძის პოეზია, რომლის მოხსენიება სწორედ აღნიშნულ ეპიზოდში კვლევისა საცნაურია და „დამაფიქრელი“ — გერონტი ქიქოძის სიტყვები, „ვაჟას შემდეგ ამხელა პოეტი არა გვყოლიაო“, საზგასმით წარმოაჩენს ეპოქის კონტექსტიდან აბსოლუტურად ამოვარდნილ უნატიფეს ლექსთა მნიშვნელობას, კიდევ ერთ თვალნათლივ დასტურს, რომ „მწერლობას თავისი შინაგანი კანონები აქვს.“

საუკუნის მეორე ნახევრის უდიდეს შემოქმედთა ნაწარმოებების მიმოხილვისას საზი გაესმის მნიშვნელოვან და საყურადღებო საკითხს: „ის, რაც უცხოელ მკითხველს მხატვრულ გაზვიადებად შეიძლება მოეჩვენოს, სინამდვილეში სწორედ რეალიზმია, იქნებ სულაც ნატურალიზმი — ჩვენში აბსურდის სტილისტიკას არც კი სჭირდებოდა მწერლის მხატვრული ფანტაზიის მიშველება — სავსებით კმაროდა გარემომცველ სურათთა და ხასიათთა შერჩევა და შეუფერადებლად გადატანა თხრობაში.“

ოთარ ჩხეიძის, გურამ დოჩინაშვილის, ოთარ ჩხეიძის, რეზო ჭეიშვილის, ჯემალ ქარჩხაძის... „პროზის მიდრეკილება, ენობრივი სტილი თავადაც პერსონაჟად წარმოჩნდეს (გიორგი გაჩეჩიაშვილის დაკვირვებით, ეს წამოწყება, კლასიკური სახით ხორცშესხმითურთ, ოთარ ჩხეიძის სახელს უკავშირდება), იუმორი (ნოდარ დუმბაძის ლიმილიან-ცრემლიანი პროზის ნიშატი), ირონია, გროტესკი, აბსურდულ მოტივთა, განწყობილებათა სიუხვე, პარალელურად — ქართველი ერის დრამატული სულის ანარეკლი „დამთრგუნველ ტკივილებში გამონატანჯ იმედს, გადარჩენის სასოებას“ იმარხავს.

ლიტერატურული პროცესის აღწერა ნაკლები იქნებოდა ფილოსოფიური მწერლობის წარმოჩენის გარეშე და, თუ კვლევის საწყის „ტეხილში“ შუა საუკუნეების ფილოსოფიური სკოლებია წარმოჩენილი, დასკვნით ნაწილში აღნიშნულია: „შუა საუკუნეებში უნუგემოდ შეწყვეტილი უცხოური ფილოსოფიური მწერლობის ქართულ სივრცეში შემოსვლაც უნდა აღდგენილიყო ოდესმე და ეს უმნიშვნელოვანესი, მთანმინდელთა სადარი დევნა ბაჩანა ბრეგვაძის ხელით აღსრულებულიყო — თითქოს ერთი დიდი, უგრცესი თვალსაწიერის მომცველი გონება ქმნიდეს იმ ფილოსოფიურ-ესეისტურ განძს, პლატონიდან მოკიდებული, ბაჩანა ბრეგვაძის მიერ თარგმნის, შესავლად მონოგრაფიული ნარკვევის დართვისა და დაწვრილებითი კომენტარების წყალობით დიდებულ შენობად რომ აღმართულა.“

ჰიმნოგრაფიის შემდეგ საუკუნეთა მანძილზე აღარ თარგმნილა ლირიკა. ჩვენს შემოქმედთ უფრო ეპიკურ თხზულებათა თარ-

გმანება ეამაყებოდათო, განმარტავს მკვლევარი და კონსტატირებს, რომ „ეპიკა ჩვენს დროშიც ჩინებულ ორეულს პოვებდა ზურაბ კიკნაძის („გილგამეშიანი“), ვახტანგ ჭელიძის („დაკარგული სამოთხე“), გიორგი ნიშინაიძის („კენტრბერიული მოთხრობები“), დავით წერეთლის („ფაუსტი“) ძალისხმევით...“

XX საუკუნე ლირიკის ბრწყინვალე თარგმანთა ასწლეულია (პაოლო იაშვილის პუშკინი, გრიგოლ აბაშიძის პეტეფი, თამაზ ჩხენკელის თავორი და უიტმენი, თამარ ერისთავის ბერსი და ბაირონი, ვახუშტი კოტეტიშვილის ხაიაში და ჰაფეზი, დავით წერეთლის ვიონინი...) და თუ პროზა არანაკლებს კარგავს თარგმნისას, ვიდრე ლექსი, დასაფასებელია რაბლეს, თომას მანის, რილკეს ისე ამეტყველება ქართულად, როგორც ამას გურამ გოგიაშვილმა, დალი ფანჯიკიძემ და ნაირა გელაშვილმა მიაღწიეს.“

ნარკვევის უკანასკნელ, ოცდამეცამეტე ნაკვეთში კვლავ წარმოჩნდება ტრაგიკული პოლიტიკურ-ლიტერატურული ბედისწერა ქვეყნისა: „პირველი პრეზიდენტი საქართველოს ისტორიაში, ზვიად გამსახურდია, ბაგრატიონთა იმ ტრადიციასაც გააგრძელებდა, მონარქები მწერლებადაც რომ წარმოვიდგებოდნენ (ეს ტრადიცია შეწყდა თეიმურაზ მეორესთან). რაკილა ბაგრატიონთა ღვანლის აღსრულება ყოფილ საქართველოდ გამოცხადებულ ტერიტორიაზე განგებისაგან დაევაღათ ილია ჭავჭავაძესა და არჩილ ჯორჯაძეს, მათმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ თავისებურად აღადგინა ის ტრადიცია, ათწლეულთა შემდგომ ზვიად გამსახურდიას გასამართლებელი რომ შეიქნა — მწერლისა და კულტურტრეგერის. მისი დამხობის შემდგომი საქართველო უნებურად დაემგვანა ჩარლზ პარნელის დამხობის შემდგომ ირლანდიას“.

ერთგვარ რეზიუმედ ჟღერს პასაჟი: „ამ ხანის მხატვრული მატანის შექმნისას დოკუმენტური ფონის გამკვეთრება თავისთავად გამოიწვია ორი ათასწლეულის მიჯნაზე მდგარი საქართველოს ტრაგიკული რეალობის რაც შეიძლება ცხადად, ნიუანსობრივი სიზუსტით შემონახვის ნადილმა, რათა არა მარტო ეპოქის სული გადარჩენილიყო მხატვრულ სიტყვაში, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესთა გარეგნული მხარეც (ჯოისთანაც ამავე ძიებებმა განსაზღვრა სიმბოლისტურ და დოკუმენტურ ნაკადთა შერწყმა)“.

კვლევის უკანასკნელ პასაჟთა კითხვისას, კომპოზიციის აბსოლუტური შეკრულობის მიუხედავად, ჩნდება განცდა, გრიგოლ რობაქიძე რომ წერს ქართული ცეკვის შესახებ, „კი არ მთავრდება, წყდება.“ ტონი თითქოს ძალდაუტანებლად გულისხმობს თხრობის გაგრძელებას, XX საუკუნის უკანასკნელი და ოცდამეერთის პირველი ათწლეულის ლიტერატურული აბრისის წარმოჩენას. ყოველ შემთხვევაში, მკითხველს აშკარად უჩნდება აღნიშნული ეპოქის ანალიზის მოლოდინი.

ახალი ათასწლეულის მხოლოდ კონტურთა მოხაზვისას მკვლევარი არსებით აქცენტირებს: „დასავლეთში უკვე მოცილებული მიდრეკილებანი, თემები თუ სტილური ხერხები ჯერ კიდევ საბჭოურ ეპოქაშიც იჩენდა თავს, ამჯერად კი ეს ყოველივე ერთბაშად მოაწყდა ჩვენს სამწერლო პროცესს, ბევრი რამ აიჭრა, აიბურდა, მაგრამ ჩვენი ლიტერატურის მთავარი ძარღვი კვლავაც მრთელია და, თუმც ისევ და ისევ ტრაგიკული ელფერით აღბეჭდილა, პოლიტიკურ ძვრებსა და წინააღმდეგობებში მონაწილეობასაც ვერ გამოშორებია, იმედ-და მინც გვახსოვდგამულებს, რომ დადება ჟამი საქართველოს სახელმწიფოს ცხოვრებაში, როდესაც ლიტერატურას სრულებით აღარ დასჭირდება ქვეყნის წინამძღოლობა, თავის მთავარ დანიშნულებად დაიტოვებს სულიერ ზეგავლენას ერის თვითმყოფობის შესანარჩუნებლად — ქრისტიანული ეკლესიის თანამდგომად და მოკავშირედ.“

როგორც ყოველი, უკანასკნელი პასაჟიც ბელეტრიზებული კვლევისა ღრმა და ფიქრისათვის განმანყოფილი. ქართული მწერლობისათვის თვალის გადავლება უფრო „ზედროულობის კონტექსტში“ ქართული კოსმოსოფიისათვის „გულის, ცნობისა და გონების“ მიდევნებად აღიქმება.

ბესო კალანდაძე

# „...რას ნიშნავს უსასრულოება“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— ადამიანის მძიმე სულიერ მდგომარეობასა და მძიმე სოციალურ ყოფაში ყოფნა.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ბედნიერი ადამიანებით დასახლებულ ქვეყანაში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— საყვარელი და საინტერესო ადამიანების წრეში ყოფნა, ასევე საყვარელი საქმის კეთება, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს ადამიანის სულიერ და სოციალურ მოთხოვნებს.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ტომ სოიერი, კაპიტანი ნემო (ბავშვობაში), დათა თუთაშხია.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ალექსანდრე მაკედონელი, ატილა, დავით აღმაშენებელი, სალადინი და ჩინგიზ ყანი (რამდენად უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს ქართველი კაცისაგან).

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ტიცინი, ელ გრეკო, ბოსხი...

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— მოცარტი, ბახი, ჰენდელი, დეივ გრუზინი, რევაზ ლალიძე...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— სიდიდვეს, პასუხისმგებლობის მაღალ შეგრძნებას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— სათნობას, პასუხისმგებლობის მაღალ შეგრძნებას.

— რომელი ადამიანური სათნობაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— გაჭირვებული ადამიანისათვის (სხვა არსებებისათვის) დახმარების განვევის სურვილი.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ხელოვნება, უფრო კონკრეტულად მუსიკა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— პრაგმატულობით — ჰენრი ფორდი, საკუთარი ჯანმრთელობისადმი მიდგომით — პოლ ბრეგი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— დანაყოფილი საქმის ბოლომდე მიყვანის სურვილი;

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— უღალატობას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— სიფიცხე.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— გყავდეს ბედნიერი ოჯახი და წარმატებული შვილები, ასევე რეალურად შესრულდეს მე-3 პუნქტისათვის გაცემული პასუხი.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— მოხუცებულობაში მარტო დარჩენა.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ღმერთის მიმართ პრეტენზია არ გამაჩნია!

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ლურჯი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ვარდი.



— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— გელი.

— თქვენი საყვარელი მწერლები?

— დოსტოვესკი, ჩეხოვი, ნოდარ დუმბაძე...

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონ ტაბიძე, ესენინი, ვლადიმერ მაჩაიძე.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— შარლოტა ბრონტეს ჯეინ ეარი.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— სტივ ჯობსი და ბილ გეითსი.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ჟანა დ'არკი.

— საყვარელი სახელები?

— მარიამი, დიმიტრი...

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— უპასუხისმგებლობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ვლადიმერ ლენინი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— არა.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ჩინეთში გატარებული ეკონომიკური რეფორმა.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— ვიყო პოლიგლოტი.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— ჯანმრთელი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ნორმალური, თუმცა უკეთესს ვისურვებდი.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— დანაშაულის ან შეცდომის აღიარება.

— თქვენი დევიზი?

— სხვისი უბედურების ხარჯზე არ ავანყო საკუთარი ბედნიერება.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ვისურვებდი, რომ ღმერთს აეხსნა, რას ნიშნავს უსასრულოება.

მაკა ჯოხაძე

# დიდი თვალებით დანერილი ტექსტი

უკვე წაკითხული მქონდა **თორნიკე გოგინაშვილის** მოთხრობები, რომელთა სინატიფემ, ლექსიკურმა სიმდიდრემ, დროის ღვთაებრივი ციკლის შესატყვისად მარადმედინ პეიზაჟთა გამონათება, ხმის, ფერის, გემოს, სურნელის... შეგრძნებების მდიდარმა პალიტრამ უშუალოდ, ძალდაუტანებლად გაკვალა აზრის, შინაარსის არხები და მკითხველამდე ისე მოიტანა სათქმელი. ამ მოთხრობებში ჩვენი კლასიკური ლიტერატურის კარგი ცოდნაც იგრძნობოდა და პატივისცემაც წინაპართა გამოცდილებისადმი.

ერთი სიტყვით, აქ არსად ჩანდა ასე მომრავლებული და მაინც ღმილიანმოგვრელი ახალგაზრდული ეგოცენტრიზმი, რომლითაც გვაუწყებენ, რომ სწორედ ამ წუთებში, სწორედ ამ ლიტერატურული ტექსტით იწყება ქართული პროზის, ზოგადად ქართული კულტურის ისტორია. ეს ყმანვილი, თავისი შემოქმედებითი იმპულსებით არც იღრინებოდა, არც იჩხვლიტებოდა, არც იგინებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ წარსულისა და ტრადიციების ხელალებით უარყოფას აშკარად არ აპირებდა. ეს უკვე კარგი იყო, საინტერესო, ნიჭიერების მაუწყებელი. მით უფრო, რომ მის მოთხრობებსა თუ მინიატურებში ამავე დროს გაისმოდა სრულიად თანამედროვე ინტონაცია, რომელსაც თავისთავად ახალი რეალობა კი არ განსაზღვრავდა, არამედ ამ რეალობისადმი ავტორის დამოკიდებულება. წარმატებული დებიუტისათვის ესეც კმაროდა...

არადა სულ მალე, ჩემს სარედაქციო მაგიდაზე თორნიკე გოგინაშვილის ახალი ნაწარმოები „მხეცის თვალები“ დამხვდა. „იჩქარე ნელასი“ არ იყოს, სულმოუთქმელად, მაგრამ დიდი დაკვირვებით გავეცანი. ჟანრობრივ კონტექსტში მოსახსენიებლად მე მას პირობითად შეგრძნებათა რომანს ვუნოდებდი. არა მგონია ამ განმარტების ოპონირება მოუნდეს ვინმეს და გულუბრყვილოდ იკითხოს — განა ლიტერატურული ტექსტი შეგრძნებების გარეშე არსებობს? არსებობს რომელია, მით უფრო დღეს, ამ გამომშრალ, გამოფიტულ, უცრემლო ეპოქაში, საცა დესტრუქციულ ვნებებს სქემებში ათავსებენ და „საინტერესო“ კონცეფციად გვათავაზობენ. ეპოქაში, რომელშიც აგრესიაც კი პრაგმატულად დამისამართებული და გათვლილია, საცა „ხელოვანისათვის“ შემოქმედებითი პროცესი საბედისწერო მოთხოვნილება კი არა, პოლიტიკოსებისთვის თავაშვებულობისა და ძალადობის ერთგვარ იარაღადაა ქცეული.

„იყო ლოკრემში დრო, როცა სინდისიც ისე აწუხებდა ხალხს, როგორც კბილის ტკივილი. იყო დრო, როცა ქალები კაკაოსფერი სურებით წყალს დაატარებდნენ ქარვისფერ ქვავენილზე...“ („მხეცის თვალები“)

ეს უკვე მონატრებაა, რომელიც, წესით, ასაკთან ერთად ჩნდება, მაგრამ სამყარო ისე სწრაფად და სასტიკად ვითარდება, რომ გვიახლოვდება „დიდი და საშიში სიცარიელე“. ამიტომ ამ ნოსტალგიით პირდაპირ იბადებიან ჩვილები.

„იყო დრო“ — ორი სიტყვით ამოკემსილი ეს ნოსტალგიური ჭრილობა „მხეცის თვალებში“ თორნიკემ ბოლომდე გადახსნა და მის ფანტასმაგორიულ რელიეფზე გამყინვარების, გაითიოკაცების, დაშლის, რღვევის, გაუცხოების ისეთი საწინარმკვეთი ნაპრალები თუ უფსკრულები დაგვანახა, როგორც მუნკისა თუ აკუტაგავას სივრცეში გატყორცნილი კივილი: „მე არ მაქვს სინდისი, მე მაქვს მხოლოდ ნერვები“.

რა მწარედ დაჭერილი უნდა ყოფილიყო ეს დიდი იაპონელი, რომ ამგვარი ფორმულირებით გაეცნობიერებინა თავისი სულიერი უმწეობა. სწორედ სინდისის — ღვთის ხმის დაჩლუნგებითა თუ უარყოფით შეშლილობის ზღვარზე როგორ იწყება ის გაუსაძლისი ტკივილი, როცა რწმენის გარეშე დარჩენილი მხოლოდ შიშველი ნერვებით ეხები ჯოჯოხეთურ რეალობას.

„მხეცის თვალები“ სიყვარულისა და სიძულვილის, სიკეთისა და ბოროტების, სიმახინჯისა და სილაშხის, უბინობისა და გარყვნილების, რეალურისა და ირეალურის ზღვარზეა დანერილი და მისი „გმირები“, პერსონაჟები აწრდილებით დაიარებიან. „მხეცის თვალებში“ მზეს, ტბებს, ჭალებს, შემოდგომის ყვავილებს და ხეებს ხატებით ცრემლი და სისხლი სდით. სისხლი, როგორც სინანულის, მიტევების, სილაშხის, სიცოცხლის სიმბოლო.

ეს ტექსტი დიდი თვალებით დანერილი ტექსტია. შიშს ხომ დიდი თვალები აქვს.

ხელოვანთა სამყაროში, ისევე როგორც ზოგადად სამყაროში, შიშის ათასგვარი შეფასება და გააზრება არსებობს. ზოგისთვის შიში სამარცხვინო მდგომარეობაა, ზოგი მას ლაჩრობად მოიხსენიებს. ზოგი კიდევ პრაგმატული სიტყვით — სიფრთხილთა ანეიტრალეზს. ზოგისთვის ის სრულიად ბუნებრივი, ადამიანური განცდაა და ზოგისთვის სულაც სტიმული. მაგალითად ისეთი დიდი მწერალი, როგორც პავლიჩა, სწორედ შიშს უმაღლის თავის შემოქმედებით წინსვლას და წარმატებებს. შიშს, რომელიც აძულვებს წინ იაროს და ყველა დაბრკოლება გადალახოს ცხოვრებაში.

„ჩემი შიში არასოდეს დაბერდება“ — პავლიჩის ამ გამონკვევამი არც თავმონონებაა და არც თვითკმაყოფილება. უზრალოდ ეს მისი სულიერი და ფიზიკური ცხოვრების გამოცდილებაა. თორნიკე გოგინაშვილის „მხეცის თვალებში“ მუდმივი ძიება, გზა და გზაზე სიარული ერთგვარი გაუფალობის ილუზიასაც კი ქმნის. ლაბირინთში დაკარგული ადამიანის შეგრძნებებიდან შიში ალბათ ყველაზე მაცდური და ძლიერი შეგრძნებაა. თითქოს ამიტომ მოუნოდებს მწერალი თავის ალტერ ეგოს: „შენ უნდა მიხვდე, ღერი, რომ სიცოცხლის შეგრძნება შიშთან ბრძოლას მოაქვს და არა უშიშრად ყოფნას. ადამიანის ყოფიერების მთავარი არსიც სწორედ ეს არის. დაამარცხოს შიში, გადადგას პირველი ნაბიჯი თავისუფლებისაკენ“.

თავისუფლების მისაღწევად კი ცხოვრების აღმნიშვნელი იმ ჭკვიანი მეტაფორების გაკაფვაა საჭირო, როგორცია: ჭაობი, ტყე, სიზმარი, ილუზია, ჰალუცინაციები...

ამ სიმბოლიკით, ამ მეტაფორების თანამდევით შეგრძნებებითა და შინაარსით იქსოვება თორნიკე გოგინაშვილის მხატვრული სამყარო. მთელი ტექსტის ენერგიაც შიშიდან თავდაღწევის და თავისუფლების მოსაპოვებლად გადადგმული ნაბიჯებით მიიწევს წინ. ამ ნოტიო, დაბურულ, ნისლოვან გარემოში, მარტობითა და მისტიკური, საშიში ხილვებით გაჯერებულ სულიერ სამყაროში, მოულოდნელად, როგორც უღრან ტყეში მზის სხივების სასწაულებრივი შემოღწევა, ისე მოჩანს ნაწარმოების უმთავრესი არსი და მიზანი: „...ბავშვები სხვანაირად ხედავენ პლანეტების მოძრაობას, ისინი მხოლოდ სინათლისაკენ მიიწევენ. მათ არც კი იციან სიბნელის არსებობის შესახებ. ნებისმიერი ბავშვი სინათლის ბინადარია. ისინი პლანეტებთან მეგობრობენ. დაახლოებით ისე, როგორც სერაფიმები. იქ, სადაც წყვდიადი ქრება, ფეთქვას იწყებს ბავშვის გული. იქ, სადაც სიკვდილი აჩერებს სუნთქვას, ბავშვი ქმნის ახალ სამყაროს. სიკვდილი კი იქ წყვეტს სუნთქვას, სადაც სიყვარული ჩნდება. ჩემო მეგობარო, შენ ვინც ახლა ამას კითხულობ, მინდა იცოდე, რომ ისევე მიყვარხარ, როგორც ჩემი თითოეული პერსონაჟი, როგორც ეს წიგნი და ამ წიგნში მოქცეული სამყარო“.

რა შეიძლება ამას დავამატო, არაფერი, გარდა იმისა, რომ სიყვარულმა ამ ლიტერატურულ ტექსტში აშკარად დაამარცხა სიკვდილი.

და განა ეს ცოტაა?

თორნიკე გოგინაშვილი

# ოთხი ნოველა

## მეხანე სული

ხაშმში ხშირია წვიმები, განსაკუთრებით, შემოდგომაზე. „კორძინანებში“ (ხაშმში ტყის მახლობლად მდებარე ტერიტორია, რომელზეც ვენახები გაშენებული) თუ ატალახდა გზა, ადამიანი კი არა, ალი ვერ გაივლის, სოფლის თავიდან რომ გამოიქცეს. აქაფდება, აიზილება თიხანარევი მინა და ჩაიკრავს შენს ნაბიჯებს გულში. ვენახში მიმავალ გლეხებს, ერთობ ურთულესს საქმეს. „კორძინანებში“ ძალიან ლამაზი ბუნებაა, ისევე როგორც მთლიანად სოფელში. გაფუჭებულ გზას თუ არ ჩავთვლით, ვენახებით და ტყით დაფარული სივრცე, საოცარ კომბინაციას ქმნის.

ვენახებში ძირითადად ყურძენია გაშენებული. ხაშმის საფერავი, საქართველოში კი არა, მთელს ევროპაშია ცნობილი, თავისი არომატითა და ფერით. რა ღვინოც არ უნდა დააღვინო ხაშმელ კაცს, ისე ვერ შეაგულიანებს და შეათბობს, როგორც ეს მაგიური სითხე.

ხეხილიც უდგათ, მაგრამ ისეთი არომატული ვერ არის, როგორც ყურძენი. ხანდახან მიფიქრია, ეს ღვინოა თუ ჰალუცინოგენი, ზოგჯერ ისე აგრევეს, კარტივით აგჩეხავს და გაგვანტავს. რქანთელიც უყვართ, მაგრამ საფერავი ეს წმინდათა-წმინდა სითხეა, რომელიც გრავალით უნდა ატარო, ანდაც ბარძიმით.

შემოდგომა საოცარი სანახავია ხაშმში, ვენახებში ფუტკრებით არეულ გლეხებს წნელის გოდრებით დააქვთ დამნიფებული ყურძნის მტევნები, დააქვთ კი არა, დააბრძანებენ, შვილივით უვლიან. მარცვალს არ დატოვებენ, უყურადღებოდ.

— ჰა ბიჭო! ფეხი არ დააბიჯო მარცვლებს.-გაუწყრა გიზო შვილიშვილს და ვედრო მინაზე დადგა.

— არა პაპი ნუ გეშინია... როგორც მითხარი, ორი პლანი გამოვკრიფე, მეკუთნის ახლა დასვენება?!-დააბრძანა თვალები, პატარა გიგამ და მაკრატელი დააგდო.

-გეკუთნის, ნამდვილად გეკუთნის. ნადი ახლა ვენახის თავში, გოდრებთან, „აღლესანდროული“ მსხალი მაქვს დამალული შენთვის და აიღე.-გიზომ თავზე დაადო, დამჭენარი ხელი შვილიშვილს, ყურძნის წვენით დასვრილი ტუჩები მოსწმინდა, ნახევრად დაკრეფილ ვენახს გახედა და მიძიმედა ამოიხარა.

— მართლა?! ბევრია პაპი?! — გაებადრა სახე გიგას.

— ბევრია პაპა გენაცვალოს, ბევრი — გაიღიმა მოხუცმა.

— რა იყო პაპი, ხომ არ დაილაღე?! — ბავშვმა შეამჩნია, პაპის ლეღვა, სადაც შემოდგომის მზესა და ნისლის კორინტელში არეული. დაფარული, ჩუმი, მაგრამ კოლოსავით შემანუხებელი და შლეგი.

— არა შვილო. დავილაღე კი არა, აღარა ვვარგავარ. ე... შენ ხელა რომ ვიყო ისევ. აბა ჩემი სიცოცხლე სიცოცხლეა?

— სიცოცხლე რა არის? — იკითხა დაღონებულმა გიგამ. პაპის სიტყვების გაგონების შემდეგ, მსხლის მირთმევის სურვილიც დაჰკარგოდა თითქოს. უყურებდა ბერიკაცის თავისფერ თვალებს და ცდილობდა დაენახა, როგორი იქნებოდა მის ასაკში პაპა. ისევ ისეთი სევდიანი და გაფითრებული, როგორიც ახლაა თუ მასავით, ფიცხი, სულსწრაფი და ენერგიული.

— ერთი კაცის სიცოცხლე, არ არსებობს შვილო. ცოცხალია ყველა, ვისაც შთამომავალი, გამხსენებელი ჰყავს. სი-

ცოცხლე ჯაჭვივით აერთებს ადამიანებს, სოფელს, ქალაქს, ქვეყანას. ამიტომაც არ მეშინია სიკვდილის. ნახე რამხელაა ჩვენი ხაშმი, სანამ ამ სოფლის სახელი მაინც იარსებებს, ვიარსებებთ ჩვენც. ერთი კაცის სიკვდილს სიკვდილი არ ჰქვია. სიკვდილი ერს აშორებს ღმერთმა, თორემ, ჩემნაირები მოვლენ და წავლენ. — გიზომ ცრემლიანი თვალები მოიწმინდა და კიდევ ერთხელ მიეფერა შვილიშვილს. მოხუცი დარწმუნებული იყო, ახლა თუ არა, მერე, წლების შემდეგ მაინც მიხვდებოდა მის ნათქვამს გიგა. მიხვდებოდა და შეაშინებდა სიკვდილს.

— ესეიგი ჩვენი სოფელია სიცოცხლე? — ჩაეკითხა პატარა.

— ჰო პაპა გენაცვალოს, ჰო... — ვენახის თავში დინჯი ნაბიჯით ავიდნენ. გოდრებით დაქუჩებულ ყურძენს მიუახლოვდნენ. გიზომ საგულდაგულოდ გადათვალა გოდრები და მინაზე დაჯდა. გიგა გვერდით მიუჯდა, ამაყი მზერით გახედა ვენახში მოფუსფუსე ხალხს და გოდრებში ჩამალულ მსხლებს დაუწყაო ძებნა.

გიზო ხელსახოცით იწმენდა სველ შუბლს, შემოდგომის მზიან ბურუსში, აზელილ ჰაერს იხმობდა დაღლილი მზერით. ფიქრობდა ცაზე, რომელსაც კარგად ახსოვს, მის მიერ მოწყვეტილი თითოეული ფოთლის გაშრიალება, მასავით ასაკოვან ვენახში. ვენახში რომელსაც მხოლოდ რთველში თუ აახმაურებს ვინმე. გიზო ტკბილ სიბერეს აქ, ამ მინაზე ატარებს. მარტოობის სურნელით გაჟღენთილ დღეებს კლავს, იმ სარეველასავით, რომელიც კოლოსავით ეხვევა ვაზს, რომლის მოსპობასაც წლებია ცდილობს, მაგრამ ვერ მოუხერხებია.

თითოეული ჩვენგანი ვცდილობთ მის ამოძირკვას, მაგრამ ამოდ. სარეველასაც ამიტომ ჰქვია სარეველა, რომ ვერ მოიშორებ. სწორედ მასთან ბრძოლა აძლევს კაცს სიცოცხლის მოტივაციას. ყველა თავის წილ სარეველას ებრძვის, ზოგი ვენახში და ზოგიც დანაოჭებულ სულში.

გიგა ჯერ ვერ აცნობიერებს, რატომ აქვს პაპას ასეთი მოღუშული მზერა, მან არ იცის, რომ ეს მავნე მცენარე მხოლოდ მინას არ ეხვევა.

— გიგა, წყალი მომიტანე რა, პაპა გენაცვალოს, ვერა ვარ კარგად — უთხრა პირგამოტენილ შვილიშვილს, რომელსაც მსხლებით გავესო უბე.

— ახლავე პაპი. მამას ჰქონდა ბოლოში ჩატანილი, ამოგიტან ახლავე — გიგამ სინანულის თვალთი გადახედა ძირს დაყრილ ხილს და სირბილით შეიჭრა პლანებში.

მოხუცი ნესტიან მინაზე დაწვა, ოფლიან შუბლზე კიდევ ერთხელ მოისვა ხელსახოცი და ქვევიდან ახედა წყლისფერ ნუცას. აკანკალებული ხელით აიღო გიგას გადაგდებული მსხახლი და პირთან მიიტანა. შემდეგ ისევ დააგდო და ისევ გამოკრეფილ პლანებს გახედა.

სხეულში წამოსულ სიცივეს ებრძოდა გიზო, სიცივეს რომელსაც სარეველას ფერი და სიმძაფრე ჰქონდა. ისიც ისეთივე ეკლიანი და მძაფრი იყო, როგორც პლანებს შორის გაჩენილი მწვანე ჭირი. სუნთქვა უჭირდა, ფილტვებში დაგუბებულ სიცარიელეს შეესრუტა ჰაერის უკანასკნელი ნა-



კადიცი. თვალელებში ალესილ ყვითელ სინათლეს გაატანა უკანასკნელი ამოსუნთქვა და ნელა გადააფარა ქუთუთო, დღის ელვარებას.

გიგა ქოშინით მიუახლოვდა გოდრებს, თიხის დოქი მინაზე დადო და ქვასავით გამშებულ მოხუცს დახედა. ხელი წაატანა მინაზე დაყრილ ხილს და მძიმედ ამოისუნთქა.

— მოგიტანე პაპა. აი დალიე, ხომ გინდოდა — ჩაიბურტყუნა გიგამ — წყალი მოგიტანე, რომ მითხარი — გაიმეორა და ნაქცეული დოქიდან გადმოსულ წყალს გააყვლა მზერა.

სალამოს ბინდმა გახსნა წარბი, ყვითლად შეფერილ სივრცეს გადაასხა მუქი წყალი და გიგას გაურკვევლად მომზირალ სახეს ნილაბივით მიეკრო. გველივით გაიშალა და მოეხვია დასუდრულ მინას. სიჩუმედ ქცეული სიცივე სამყაროს უხილავ კედლებში გაჩენილ ბზარებს ავსებდა. იზილებოდა ფხვიერ ნიადაგში და ღვთიური ხილის წვენიტ გაჟღერებულ ჰავას ათრობდა. გაშებულ ვენახს ჩხავილით გადაუფრინა თავზე მუქმა ფრინველმა, ნაილო დუმბილის ბგერები და დაიკარგა წყლისფერ სიშორეში. ფოტოს გავდა არე, ფოტოს რომლის გადამღებიც აღარავის ახსოვს, ახსოვთ მხოლოდ მკვდარი ხე, რომელსაც ფერადი სიცოცხლის პატარა კადრი ატყვია.

დილით ხალხმრავლობა იყო ეზოში, ერთ ფერში ჩაცმულ ოჯახის წევრებს სტუმრებისგან ვერ არჩევდა გიგა. გაოგნებული შეჰყურებდა ქაოტურად მოძრავ ხალხს. ვერ აცნობიერებდა, რა ხდებოდა, ვერ გაეგო სად წავიდა გიგო პაპა, რატომ არ გამოართვა წყლით სავსე დოქი, რომლის მოტანაც მსხლელების დაკარგვად დაუჯდა.

— ეჰ... კარგი ადამიანი იყო, მშრომელი — ჩაილაპარაკა მსუქანმა მამაკაცმა და სიგარეტის ნამწვავი ქვიან ეზოში დააგდო.

— არაუშავს შვილო, ასეთია ადამიანის ყოფა. ახლა შენ უნდა გააგრძელო მისი დაწყებული საქმე — ამხნევებდნენ მეზობლები. თუმც ბავშვისთვის გაუგებარი იყო რისთვის, ისიც არ იცოდა, რატომ ეცვა თითქმის ყველას შავი ფერის სამოსი.

— დედა. რა დაემართა გიგო პაპას? — მეზობლები ამბობენ რომ... — იკითხა ნაღვლიანი სახით და თავი დახარა.

— შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ გიგა — დააპირა თქმა დედამ, მაგრამ გადაიფიქრა უცებ. შეყვინდა, ვერ გაბედა სიტყვის დაძვრა.

— მოკვდა?! — ატირდა ლოყანივით ბიჭი.

— არ იტირო ცთხოვ — შვილს მოეხვია და ღანვზე ჩამოკორებული ცრემლი მოსწმინდა.

— ესენი ხომ ხაშმელები არიან დედა?! — წამოიყვირა უცებ და სახე უფრო ნითლად შეეფაკლა.

— აბა ვინ არიან შვილო! — გაოგნდა ქალი.

— დედა, პაპა არ მომკვდარა დედა! — დაიძახა ხმამალა და შურდულიდან ნასროლი კენჭივით მოსწყდა ეზოს.

შემოდგომის ნისლი კიდევ ერთხელ გაიშალა, დაბურა ხაშმელების მოჟამული სახეები და წვიმის თხელ წვეთებში ჩაადლო მზის უფერულ სხივთა სვეტები. ნესტიანი მინა გულში იკრავდა ნაბიჯებს, ნაბიჯებს რომელთაც არაერთი წვიმის მოსვლა ახსოვთ. გარინდებულ სოფელს კიდევ ერთხელ გადაუფრინა ყვავა. ერთ სულის ნამღებ შეძახილში ამოიტანა მთელი სოფლის ვარამი. ერთი უემოციო ბგერით შეარხია იმ სარეველას ფოთლები, რომელსაც კაცის დანაოჭებულ სულში დაუღია ბინა.

## ჯემაკის ცრემლი

### დღე პირველი:

ქალაქს ვარდისფერი შუქი მოეფინა და სიცარიელის მრუმეში ჩაკარგა ქუჩები. იქ, სადაც ცოტა ხნის წინ სინათლე იყო, ახლა სიბნელის ჭინკები ღებავენ კედლებს. ჰგავს კორპუსები საფლავის ლოდებს და სასახლეთა გრძელ კორიდორს. ის მდინარის ნაპირთან წევს და ტალღებში მოსეირნე ტივის უყურებს. ტივი ცარიელია როგორც ზეცა, „იქ სახლის სახურავები უნდა ჩანდნენ“, ფიქრობს ეშმაკი და ეცინება. დიახ ეშმაკი. ის ცხოველის კანში გახვეული დაბიჯებს მისთვის უცხო ნიადაგზე. ის მხოლოდ ჯოჯოხეთის პირქუში მღვიმეებით იკვებება. მხოლოდ სისხლისფერი სალამოები მოსწონს, რომელიც ლავის მდინარეში კარგავს დაბოლოებას. ეშმაკის თვალელები ლურჯია, ლურჯი როგორც მდინარის გული. იქ ფერადი კენჭებივით იძირებიან ლიანები. ეშმაკი ფიქრობს ამ ლიანებზე და მინაზე ალაგებს ხელებს. მას სიბნელისაკენ მიუწევს გული. არც კი იცის რისთვის ესტუმრა მინას, რატომ შეისხა ხორცი, რატომ თქვა უარი თავის პირქუშ სამფლობელოზე, ის ხომ მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობს. რაც შეიძლება მეტი ადამიანი აზიაროს ბოროტების სიბრძნეს. რაც შეიძლება მეტ ადამიანს მოუკლას სიცოცხლის იმედი. ცოდნა, რომელიც მას აქვს, უნდა გაიზიარონ პლანეტებმა, ფიქრობს იგი ქვიან ნიადაგზე მწოლარე და წვრილ თითებს მთვარის სინათლეს უშევრს. თითქოს მან უნდა განმინდოს მისი დამსხვრეული სული.

ის მდინარის ტალღებს თვალს არ აშორებს. ხედავს რომ მუქი ჩრდილები ლამპიონის შუქს უერთდებიან და წყლის ზენარზე ფენენ სხეულს. ერთ ერთი ჩრდილი მეტისმეტად ლამაზია. გაიფიქრა ეშმაკმა და ფართოდ გაახილა თვალი. არ იცის საიდან გაჩნდა ეს უცხო შეგრძნება. არ სურდა ელიარებინა რომ რაღაც მოეწონა და ყვირილი დაიწყო. უსიამოვნო ხმაზე ჩრდილი შეკრთა და ტალღებს დაშორდა. ეშმაკმა ზღაზვნით აზიდა მინიდან მახინჯი სხეული და ბენვით დაფარული ტანინად ქვიშა მოიცვალა. მერე ერთ ხანს მდუმარედ დადგა, კიდევ ერთხელ მოავლო თვალი ლურჯ სითხეს, ფიქრობს რა ჰქვია ამ ჩრდილს, რომელსაც საოცარი სილამაზე და ფერი აქვს. უძირო პლანეტების ფერი.

ჩრდილი ქალს ეკუთვნის, მინადორას. ის ყოველ ღამით მოდის მდინარესთან და ღრმა ტალღებს ესაუბრება. იქ მისი ერთადერთი სიყვარული ცოცხლობს, სიცარიელე.

დრო იმდენად უმწეოა მის სილამაზესთან, სისულელეა ასაკზე ილაპარაკო. სად აქვს მის უსასრულო, უძირო თვალელებს ჟამის შეგრძნების უნარი. ის მარადიულ სიცოცხლეს შეიცნობს, როგორც ღმერთი. უკვდავების სიბრძნეს, რომელიც ღია ეთერშია გახვეული, სალამოს ბინდის მანტიის ამარა. მისი სიბრძნე შიშველია, როგორც თებერვლის მზე. ხომ იშვიათია თებერვლის კალენდარზე მზის ლაქები? ამიტომაც არის იგი ძვირფასი. ამიტომაც ათბობს იგი ყველაზე მეტად გაყინულ თითებს. სასაცილოა სიკვდილზე ლაპარაკი. ისე არაფერი გვერის სევდას, ისე არაფერს მოყავს ცრემლის ქურუმები თვალის უპეებში, როგორც იშვიათი სინათლეების დანახვას. რას განიცდის ეშმაკი? რას ხედავს მინადორას ლანდში? ნუთუ დაკარგა მრისხანების ძალა და სილამაზის აღქმის უნარში გაცვალა ცეცხლისფერი მახვილი.

მთვარემ პენტაგრამის ფორმა მიიღო. დაიმსხვრა ღამე. ქალაქის ქუჩებში იისფერმა ორთქლმა დაიწყო მოძრაობა. „შუუძლებელია არ გამოჩნდეს ის ღმერთის ნაშიერი“ ეშმაკმა სახეზე დაიფარა ხელები. გრძელ ფრჩხილებზე სისხლის წვეთები ვარსკვლავებზე იყო ელავდნენ. მდინარის ნაპირებთან, ქვის დიდ ლოდებზეც იყო წითელი წერტილები.

ის შეკრთა, ცას შეხედა. მერე მდინარისკენ წავიდა. ნელა მიახიჯებდა ქვებივით მძიმე ფეხებს. რაღაც ძალიან დიდი ძალა აიძულებდა საბოლოოდ მოშორებოდა მინას და ცივი ტალღებისთვის მიეცა უშნო სხეული.

თუ ერთხელ შეერიე მდინარეს, იქიდან გამოსვლა შეუძლებელი გახდება. რაც არ უნდა ეცადო, იქიდან ვეღარ გამოაღწევ, ვერ გადალახავ შიშს. ვერ მოერევი სხეულს, ვერ დაამარცხებ ტკივილს. მერე მიხვდები, ისე არაფერი გიყვარდება როგორც სიბრძნე, რომელსაც ბოროტება გაძლევს. მერე სინანულიც გაქრება და სიყვარულის შეგრძნებაც.

მდინარემ მთლიანად დაფარა მისი სული. მინადორაც ხომ ასე იქცევა როცა კითხვებზე პასუხებს ვერ პოულობს. ლურჯ ტალღებს ატანს სევდას. იქიდან გამოღწევის იმედით ცოცხლობს. იქ ბინადრობს მისი უდიდესი სიყვარულიც.



მხატვარი ინა ქელიძე

**დღე მეორე:**

დილის მზემ ეშმაკის თვალებს შეახო ტორი. ქალაქის სიცივე საბოლოოდ დაიკარგა. საბოლოოდ დანებდა სითბოს ვარსკვლავს. ეშმაკი მდინარეში იყურება. ცდილობს ტალახი მოიცილოს კანიდან. ცდილობს, მაგრამ არ გამოსდის, ტალახი მისი სხეულის განუყოფელი ნაწილია. ის ვერასოდეს გაისუფთავებს სხეულს. ვერასოდეს გახდება ლამაზი. არც უნდა ფიქრობდეს, სილამაზეზე. არც უნდა ქონდეს სურვილი ჰგავდეს უძირო ღამეს. მხოლოდ იქიდან შეიძლება დაინახო ნამდვილი სილამაზე. როცა თავს ვერაფერს უხერხებ, როცა უცხო შეგრძნებები სტუმრობენ ტვინს. როცა იცვლები, უნდა დაელოდო ღამეს, ის აუცილებლად გაჩვენებს სივრცეს, რომლიდანაც შეძლებ დაინახო ახალი ვარსკვლავები. მერე რა თუკი ბევრ შეცდომას უშვებ? შენ ხომ იცი საიდან იბადები. ხომ იცი ყველაზე ლამაზი, სწორედ ის ვარსკვლავია, რომელიც ტალახიანი წვიმის წვეთებით არის დაფარული. ეშმაკმა თავი გაიმეტა, როცა დედამინაზე დაეშვა. მან კარგად იცოდა, რაც შეიძლება მომხდარიყო. იცოდა რა შეეძლო ქალს, როგორი სული აქვს მის თვალებს. თავად ეშმაკსაც კი გააოგნებს. ის რაც იცის მინადორამ, მხოლოდ ღამის სიზმრებმა იციან. მათ იციან როგორ მოცილდნენ რეალობის კარიბჭეს. განა ღირს, ერთი წამის გამო, გზის დაკარგვა? რამდენ ხანს უნდა იარო, რომ მიხვდე დროა გაჩერდე. იქ დაასვენო სისხლით სავსე ფეხები სადაც პირველად გითხრეს რა იყო სიბნელი. მინადორა უსასრულობის წიაღში ეძებს შვებას. არაფერი იცის რეალობის შესახებ. ის უსიცოცხლო შროშანს გავს, რომელიც თოვლის საფარის ქვეშ ღაფავს სულს.

ზღაპარში ეგონა თავი, მზის სხივებში გახვეული, მისი თმები პირველად რომ ნახა. გოგონა ჭადრის პატარა ხესთან იდგა. ზუსტად იმ ხესთან, რომელმაც პირველად აჩვენა შემოდგომა. ზოგჯერ ასეც ხდება, აუცილებლად, რაღაც უნდა დაიმსხვრეს იმისათვის, რომ ახალმა ძალამ დაიწყოს სვლა, სივრცისკენ. მაშინ როდესაც მინადორა ცარიელ ოთახს უყურებს, გრძობს როგორ იგება მისი სული ფიქრით. ხოლო როცა ოთახი სავსეა ხალხით, მისი სული ცარიელდება ფიქრისგან. რამდენადაც რთული არ უნდა იყოს, აღიარო საკუთარი მარცხი, საკუთარ შეგრძნებებთან, აუცილებლად უნდა გადადგა ნაბიჯი, რათა საბოლოოდ მოისვენოს შენმა გონებამ.

ეშმაკი დამწვარი მატარებლის ვაგონს მოეფარა. ლიანდაგზე შემდგარი ურჩხული, მის თვალებს ჰგავდა, როცა ის მინადორას უყურებდა. უმზერდა და ფიქრობდა, რა ერქვა იმ უცხო ფრინველს, რომელიც შეფრინდა მისი სულის გაღიაში. რა ემართებოდა მის სიბრძნეს, როცა გოგონას უძირო თვალებს ხედავდა. არ უნდოდა შეხედვა, არ უნდოდა ფიქრი, სურდა მხოლოდ სიცივე, ყინულის გრძელი ოთახი, რომელშიც ცოცხალი ადამიანის გვამები ასვენია. ეშმაკი თავანუ-

ლი დაათვალიერებდა ცხედრებს. მან კარგად იცის, რომ ყველა გზა რომელსაც თვითმკვლელობამდე მიჰყავს ადამიანი, მისი გაკვალულია. ყველა გზა მან შეღება ნითლად.

ეშმაკი მიხვდა რომ შეცდომა იყო მისი დედამინაზე ყოფნა. სურდა გაცლოდა მინას, მაგრამ ვერ ახერხებდა. რაღაც ძალა აიძულებდა, მინადორაზე ეფიქრა. ვერ გაეგო რა შეგრძნება იყო იგი. რატომ ამსგავსებდა ასე ცეცხლის ბეჭედს, მისთვის ყველაზე ძვირფას საგანს. სტიქიას, რომელმაც შეცვალა ქაოსი და მისცა მას სიმშვიდე. მაშინ როცა მინადორა სიბნელებაში პირველად გამოჩნდა, მაშინ როდესაც მდინარის ტალღებში პირველად აილანდა მისი ტანი, ეშმაკის სულში რაღაც შეიცვალა. მას აღარ სჯეროდა საკუთარი ძლევამოსილებისა.

მინადორა შეკრთა, როცა ეშმაკის საზარელი სახე დაინახა. მისთვის უცხო იყო ასეთი მახინჯი სხეულის ხილვა. ის მხოლოდ ლურჯი ყვავილების ბაღში ხეტიალსაა მიჩვეული. რა უცნაურია, როცა ხედავ ნისლს, მზის გულზე და არ გიკვირს, ალბათ მხოლოდ მაშინ გარდაიქმნები გონიერ ადამიანად. მინადორა კი ჯერ ბავშვია, მან არაფერი იცის გონების შესახებ. მისი ოქროსფერი თმა მარტო ქარის ტალღებს ასდევს. არ შეუძლია თოვლის თეთრ ჯარისკაცებთან მეგობრობა. არც მის ბავსს შეუძლია ეს. არც თითებს, იგი შიშის მრუმეში ჩაგდებულ ჩვილს ჰგავს, რომელიც ვერც ღმერთს უხმობს და ვერც დემონს. სასაცილოა მინადორას მზერა, იმდენად სასაცილო, რომ ეშმაკსაც კი მოეფინა ღიმილი. ახლა ორივე ერთი ფიქრით სუნთქავს, რა ხდება მათ გონებაში, რა განცდაა ეს. „ეს სიყვარულია“ გაიფიქრა ეშმაკმა და ვაგონის კედელს დაადო თავი. მისი სისხლისფერი თვალიდან, ყურძნის მარცვალავით მოწყდა ცრემლი და მინის ნაოჭებს შეერწყა. მან დაკარგა სიბრძნე და დაცარიელდა.

მინადორას აქვს სისხლის ნყურვილი. მას უყვარს ნითლად შეღებილი ხელები, ოღონდ არა თავისი, მან იცის რომ ის ბინძურია. მან იცის რომ ჭეშმარიტი პატიოსნება გატეხილი სულის უპირველესი ნიშანია. მინადორამ იცის ეშმაკის ბოროტება, მისი გადაჭარბებული სიკეთიდან მოდის და არა ცეცხლისფერი სიზმრებიდან. მინადორამ მისთვის ყველაფერი, ყველა ვარსკვლავს მისი სახე და სინაზე აქვს. ყველა ცრემლში მისი ანარეკლი ჩანს.

ის მინადორას მიუახლოვდა. გოგონამ იგრძნო საფრთხე და უკან გადადგა ნაბიჯები. სურდა გაქცეულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა, ეშმაკმა ხელი ხელში ჩააგდო და თავისკენ მიიზიდა. რას იზამდა მინადორა, მიენდო საკუთარ სილამაზეს, „დაე მოკვდებ“ ფიქრობდა მინადორა.

— მინადორა! — მისი ხმა შემზარავი იყო, ჩვილი ბავშვის ხმას ჰგავდა. იმ ბავშვის, რომელიც გველის მზერას ხედავს სიზმრად.

— ვინ ხარ?! — მინადორა გრძობდა სიკვდილის სიახლოვეს. გრძობდა და უკვირდა, რატომ არ იყო იგი ისეთი საშიში, როგორც თავიდან ეგონა.

— ნუ მიყურებ სახეში! მე ეშმაკი ვარ! — მინადორა თვალს არ აცილებდა მას. სატურნისფერ თვალებში, პლანეტების ქარავნები ჩანდნენ.

— ნუ მიყურებ! გაეთრიე! მომცილდი! — დასევდიანდა ეშმაკი. ის რაც მას ჭირდა, სიყვარული იყო. მისთვის უცხო შეგრძნება. მისი ბენევი დაფარული სახე, ადამიანის სახეს ემსგავსებოდა. ლამაზდებოდა იგი. აღარ იყო ისეთი საზარელი, როგორც ჩანდა.

— ვერაფერს დამიშავებ, იმიტომ რომ... — დასრულება ვერ მოასწრო მინადორამ. იგი მიწაზე დაეცა. მდინარის ტალღამ, მისი ფორთოხლისფერი კაბა უფრო გაამუქა. მისი თითები კი ანთებულ სანთლებს ემსგავსებოდნენ. სევდიან სანთლებს.

### დღე მესამე:

მინადორა მდინარესთან იდგა. უყურებდა როგორ მოძრაობდნენ ტალღები. უცებ ნაპირთან რაღაც შენიშნა და შედგა. ერთ ხანს გარინდდა. მერე ნათლად დაინახა როგორ შესრიალდა მდინარეში დიდი წითელი გველი. მინადორას ცრემლი მოადგა თვალებში. მდინარეში ხომ მისი ერთადერთი სიყვარული ცოცხლობს, სიცარიელე.

\*\*\*

ო დედამიწა რა ტყუილად მასევდიანებ. მე ხომ დიდი ხნის წინ ნამგლიჯეს მკერდიდან გული. ეს სევდა კი რაღაც ვარდისფერ ტყუილს ჰგავს. ეს სევდა მინადორას ჰგავს, ისიც ამაოდ ეძებს მარადიულ სიცარიელეს. ვიცი ერთ დღეს მდინარეც გაქრება, დაილუპებინა მისი მგლის თვალებივით უძირო ტალღები. დაილუპებინა და მათ ადგილას გაჩნდება ნამდვილი სევდა.

### დინგო

ძმაო! გნერ ამ წერილს და არ ვიცი რა ბედი ეწევთ ჩემი თითების მონუმენტებს, ფსიქიატრიული საავადმყოფოს კედელივით თეთრ ფურცელზე რომ დგანან, მეფეებივით. ისინი ყველაზე მეტად მიყვარს ახლა, რადგან მენამარებიან მოგანვდინო ჩემი ნერვიული სიტყვების ვინრო მატარებელი, იქ სადღაც რუსული თოვლით სავსე ტყეებში, სადაც უკვე წლებია იცილებ ქვისფერი ჯალათის სევდიან მახვილს. იცილებ და ელოდები, როდის მოვა დროის ფოსტალიონი და შინ დაბრუნების შიშს წაიღებს შენგან.

ის ლეკვი რომელიც მამამ მოიყვანა რამოდენიმე წლის წინ, ძალღს ჰგავს თითქმის. თითქმის იმიტომ ვამბობ, რომ კარგად ვიცნობ ძალღს ბუნებას. ისინი უფრო მეტად გვიყვარებენ ჩვენ, ვიდრე ჩვენ მათ. სწორედ ისინი არიან სიყვარულის მომგონნი დედამიწად წოდებულ პლანეტაზე, რომელიც შენთვისაც და ჩემთვისაც სულელთა ბუნაგს ჰგავს.

დინგო ორი წლის ძალღია უკვე. მისი ყეფა ტყეს ნისლივით ეფინება ყოველ საღამოს. შებინდებისას მის თვალებში იაღნოს თოვლიან სვეტებს ხვდავ და მიკვირს. როგორ იტყვენ ეს ცრემლიანი რგოლები, პლანეტის ფორმა რომ აქვთ, ამხელა სივრცეს. ნუთუ ის გზა, რომელიც ჭაობიდან თავის დაღწევისთვის გვჭირდება ადამიანებს, ძალღებმა იციან მხოლოდ. ნუთუ მათ თვალებში ჩნდება რუკა, სიზმრიდან გამოსასვლელი. არ ვიცი. მე შემძლია გითხრა ის რასაც მე ვგრძობ და ვფიქრობ...

ზამთრის ერთ საღამოს დინგო სისხლიანი დრუნით დაბრუნდა სახლში. რომ დავინახე, ძალიან შემეშინდა. მეგონა ჭრილობები იყო. მერე კარგად რომ დავაკვირდი, მიგზვდი არაფერი სჭირდა. მან უბრალოდ ხორცი მოპარა ვინმეს, ან მოინადირა რაღაც.

რამდენიმე დღეში კიდევ დაბრუნდა სისხლიანი დრუნით. ამჯერად დავსაჯე და მსხვილი ჯაჭვით დავაბი. ვფიქრობდი ასე უკეთესი იყო მისთვის, მეგონა ჭკუას ისწავლიდა, მაგრამ შევცდი. ავუშვი თუ არა, იმ საღამოსვე ისევ დასვრილი მოვიდა შინ. ამჯერად რაღაც უცნაურიც შეათრია ბუნაგში. მე ფანარი ავიღე და ეზოში გამოვედი. ბნელოდა. ირგვლივ არაფერი ჩანდა. მხოლოდ რკინის დიდ ჭიქკარს ვხედავდი. რომელიც შარიანი კაცივით მედგა წინ.

ახლოს რომ მივედი დინგო წინ გადამიდგა, უცნაურად შემომხედა რამდენიმეჯერ და თოვლიან მიწას დაადო თავი. მერე შემიღრინა, ჩემსკენ ნამოინია და დადგა. მე ვერ გამიკვირდა, მერე შემეშინდა, ტყემლის დიდ ხეს, რომელიც ძალღს ბუნაგთან იდგა, ტოტი მოვატეხე და დინგოს მოვარტყი გვერდში. ძალღი გამერიდა, ჭიქკართან დაჯდა. მისი ნაფხურები თოვლზე მატარებლის ვაგონებივით გადაბმოდნენ ერთმანეთს, სისხლის რამოდენიმე წვეთიც დავინახე და უფრო მომივიდა გული, მინდოდა კიდევ მომერტყა, მაგრამ შორს იყო.

დინგოს ქოხში ვერ ჯოხი შევყავი, მერე ფანარიც შევანათე და გავეშედი კიდევ. იმ წამს მე ველარც სიცივე ვიგრძენი და ველარც სიბრაზე. მხოლოდ შიში. შიში რომელიც გველივით მეხვეოდა ყელზე და დახრჩობას მიპირებდა.

იქ ადამიანის ხელი ეგდო. მაჯასთან თითქმის შეჭმული იყო ხორცი. მხოლოდ ძვლები ჩანდა. თითები გაშავებოდა, ფრჩხილებზე წითელი ლაქი შევნიშნე და მიგზვდი ქალის ხელი იყო. თვითონ ქალი? მინდოდა მეკითხა დინგოსთვის, რომელიც ჭიქკარს თოვლის თხელი ფენასავით მიკრობოდა.

ჯოხით რომ დამინახა შევნიშნე და ჭიქკარს ქვემოთ დარჩენილ სივრცეში გაძვრა. მე კარი გავაღე, გზაზე დავუწყე ძებნა. ის გაიქცა და მეც გავყვი. ქვაფენილიანი გზა ჩაირბინა და მაყვლის ბუჩქებში შეძვრა. მე ფანარი მალა ავნიე და შევყვი. სახე და ხელები სულ დამეკანრა. რამოდენიმეჯერ დავეცი კიდევ და ტალახშიც დავისვარე, მაგრამ არაფერზე ვდარდობდი, მხოლოდ ძალღს დაჭერა მინდოდა. დაჭერა არა, უფრო ის მაინტერესებდა სად წავიდოდა.

როგორც იყო გადაიარა ეკლებს ტალღამ და გამოჩნდა კიდევ სკოლა. სკოლის გვერდით მიტოვებული სახლი იდგა ბელეტაზე. დინგო იმ სახლის ეზოში შევიდა. მე აღარ შემეძლო სირბილი, ძალიან დავილაღე, თოვლიან მიწაზე დავჯექი და ფანარი ჩავაქრე რამოდენიმე წამით. დინგო სახლის აივანზე ყფდა. თითქოს მე მიხმობდა, რაღაცას მანიშნებდა ვგრძობდი. წამოვდექი და აივნისკენ გავეშურე. ძალღი იქ ველარც ვნახე, სახლში შესულიყო. მე ნელა შევალე კარი და ჩამქრალი ფანარით შევედი ოთახში. იატაკი დამპალიყო, კედლებზე აბლაბუდები იყო დახვეული, ჭერზე უცნაური ჭალი შევნიშნე, პირამიდას გავდა, პატარა ყვითელ პირამიდას. მინდოდა ხელი მიმერტყა მისთვის, მაგრამ დინგომ ისევ შემიღრინა, შარვლის ტოტზე ჩამავლი კბილი და მეორე ოთახის კარისკენ გამწია.

ფანარი ჩავაქრე და ისე შევედი. არ მინდოდა ისეთი რამ დამენახა რაც შიშისგან მომკლავდა. ძალღი სიბნელეში ველი ვიპოვე და კართან გაფერდი. მერე არ ვიცი რატომ, არ ვიცი რამ მაიძულა, ალბათ უფრო ცნობისმოყვარეობამ, ფანარი ავანთე. მე ისევ მომეხვია შიშის კანცირი გველი კისერზე. ამჯერად უფრო მსხვილი და შხამიანი. სახე დამიბუყდა, ხელებში ძალა დამეკარგა, ვიგრძენი, რომ იატაკის ღრეჭოებში წვეთავდნენ ჩემი თითები. ოთახში ადამიანის დანაწევრებული სხეული იყო მიმოფანტული. რაც არ უნდა უცნაური იყოს, წვეთი სისხლი არ მინახავს არც სხეულის ნაწილებზე

და არც იატაკზე. ვერც დანა ვიპოვე და ვერც ნაჯახი. შეშინებული გამოვვარდი სახლიდან და დინგოც თან წამოვიყვანე. იქ ხომ არ დავტოვებდი?! ძალიან შემეცოდა საბრალო ძაღლი. ის ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, წრიალებდა, ტიროდა, მე მეკვრობოდა ფეხებზე. კიბეზე ლამის წამაქცია, ისე აიბლანდა ძაფის გორგალივით.

გადავწყვიტე იმ გზიდან დავბრუნებულიყავი სადაც მანქანების ხშირი მოძრაობა იყო. ასფალტიან ქუჩას გავუყვები და რამოდენიმე წუთში გამოჩნდა კიდევ პირველი მანქანა. მე ხელი დავუქნიე და მანაც გააჩერა. სატვირთოდან მსუქანი, უღვაშიანი მამაკაცი გადმოვიდა, მერე ჩემს წინ დადგა, ერთი უცნაურად შემბოვრდა და ხელით მანიშნა რაღაც მივხვდი მეკითხებოდა რატომ გამაჩერე და მეც ვუპასუხე. ვუთხარი რომ აქვე ახლოს, ქალაში, მამაჩემი იყო, მანქანაში სანვავი გაუთავდა და გამომავაზენა ეგებ მეპოვა ვინმე. უღვაშიანმა მამაკაცმა არაფერი შეიმჩნია, არც ჩემი დალილობა და არც ის, ჭურჭელი რომ არ მქონდა. პლასტმასის ბოთლი ნახევრად გამივსო ბენზინით და სიბნელეში გაუჩინარდა თავისი სატვირთოთი.

მე უკან დავბრუნდი. ეზო ამჯერად ნელა გავიარე, თან გარშემო ვიყურებოდი, მეშინოდა არავის დავენახე. მერე და დავინახე ნორმალურად ფიქრი, თითქოს გავთავისუფლდი და შიშის გველიც ისეთი სიძლიერით აღარ მეხვეოდა ყელზე.

ბენზინი ვერ კარს მივასხი, მერე ფანჯრებს, მერე მინა ჩავამტვრიე და რაც ბოთლში იყო დარჩენილი იატაკზე დავღვარე. ირგვლივ სიცარიელე იყო, თითქოს ვეღარც სიბნელე მიღესავდა თვალს, ვეღარც სიცივე მესროდა ნემსებს. იყო მხოლოდ სიჩუმე, სიჩუმე და თოვლის თხელი ნაჭერი, რომელიც გაყინულ მინას გუდავდა.

ცეცხლი უცებ მოედო სახლს, სინათლის წითელმა ჭინკებმა მთელს ეზოში დაიწყეს ცეკვა. საოცარი სითბო ვიგრძინე სახეზე და ცოტა ხნით გავრინდდი. დინგო მინაზე იწვა, დამშვიდებული, დალილი, თავებდასვრილი. იჯდა და უყურებდა როგორ ჭამდა წითელი სტიქია სიკვდილის ლემს.

სახანძრო საათნახევარში მოვიდა. სახლისგან აღარაფერი იყო დარჩენილი. „ვინ წაუკიდა“ ეკითხებოდნენ ეზოში შეკრებილ ხალხს მეხანძრეები. „რა ვიცი თ აბა, ვიღაც გიჟმა ალბათ, ჭკვიანი მაგას არ იზამდა“ პასუხობდა წელში მოხრილი მოხუცი და ხელსახოცით იწმენდა ნაოჭებისგან შეჭმულ სახეს.

მეც იქვე ვიდექი საყელოში ჩამალული, ხელებდამძრალი, ვიდექი და ვუყურებდი დინგოს თვალებს, მინდოდა ისევ დამენახა იაღნოს თოვლიანი სვეტები.

### კიპორჩხალები

ზამთარში რომ ჩამოყრის თოვლს და გადაათეთრებს სოფელს, ბებერი დედაკაცის თმას რომ დაემზგავსება ჭალა, გუბურებს რომ მოყინავს და სქელი ყინულის ქვეშ დაამწყვდევს წყალს, მაშინ იწყება კიპორჩხალებისთვის კოშმარი. მაშინ გამოდიან საბრალონი, ახალი ბინის საქებრად. ეგებ სადმე, კანგალმღვარი გუბურა მაინც ნახონ, ეგება სადმე წყლის პატარა შენაკადს მაინც მოჰკრან თვალი. დადგებიან მწკრივად, ჯარისკაცებივით და ერთს ყველაზე დიდს და ღონიერს დაუცდიან. ის რასაც უბრძანებს იმას გააკეთებენ დანარჩენებიც. თეთრ ქურქში გახვეულ მაყვალს მიუახლოვდებიან, ერთხელ კიდევ დააბრიალებენ, ბლისტოლა თვალებს და შეძვრებიან ეკლიანი მცენარის ტოტებში. აქ იქნებიან მანამ, სანამ ადამიანის ფეხი არ შეწყვეტს კვლების გაკეთებას, მათი იმედივით გადაათეთრებულ გზებზე. ზამთრობით, ფიჩხზე გამოსული ბერიკაცები, ჯორებით, ძველი ფიცრებისგან აწყობილ ეტლს რომ მიათრევენ, ყველაზე დი-

დი მტრები სწორედ ისინი არიან კიპოებისა. რამდენი გაუსრესია ეტლის ჟანგიან ბორბალს, ანდაც სახედრის ჩაქურჩვით მაგარ ჩლიქს. რამდენჯერ მოუსწრიათ ბალახებში შეძვრომა, ეს კიდევ ცალკე დასათვლელია.

— არ ჩამომრჩეთ! — დაიძახა ყველაზე დიდმა და მზრუნველის თვალთ გახედა დანარჩენებს. მწკრივად, დინჯი ნაბიჯით გადათელეს გამხმარი ბალახის პატარა სვეტები და მდინარისაკენ გასწიეს. არცერთი არ იხედებოდა უკან, არც ერთი არ უგდებდა ყურს, ივრის სულისშემძვრელ გრიალს. სატუსალოს კედლებში დამწყვდეული სიკვდილმისჯილივით რომ ღრიალებდა, ამაოდ რომ ლამობდა ბარიერის დამსხვრევას და გათავისუფლებას. გზაზე რომ გადავიდნენ, ხმაურმა უფრო იმატა. ეტლის ნაკვალევში, ჩალაგდნენ და ისე გააგრძელეს სვლა. ერთი ყველაზე პატარა, ფეხნატკენი, ძლივს ეწეოდა დანარჩენებს. შიგა და შიგ დედას გადახედავდა, საცოდავი თვალებით და მძიმედ წაათრევდა ნაჭრილობე კიდურს. რიგი აუჩქარებლად უახლოვდებოდა ივრის ნაპირებს. ვერ ამჩნევდნენ ვერც ბურნკნარიდან აფრენილ იხვს, ქარისგან წამოღებული ნაბუქი რომ აფრთხოვდა და ვერც ვეებერთელა ტინის ქვასთან მდგომ კუს. დასჯილი ბავშვივით რომ აწყლიანებოდა თვალები. სიცივისგან ძილმორეულს, თოვლიანი ქარი, რომ აფხიზლებდა. წყლის პოვინის იმედით შეპყრობილებს, თითქოს სამყაროს ალქმის უნარიც დაჰკარგოდათ. ერთმანეთის უკან, რიყის ქვებივით მიწყობილიყვნენ, ზანტი მოძრაობით მიიწვედნენ მიზნისკენ. შიგა და შიგ ბაყაყების მოულოდნელი ნახტომი შეაკრთობდათ და ისევ სამარისებურ მდუმარებას მიეცემოდნენ.

ფეხნატკენ კიბოს სულ უფრო უჭირდა სიარული. თითქოს აღარც დედას ახსოვდა, აღარც მზრუნველ წინამძღოლს, აღარც ბუნების ღმერთს. თითქოს გაერიყა, ყველას და ყველაფერს, სულიერს თუ უსულოს.

ქარის მძიმე ტალღამ ფოთოლივით აიკრა ფეხზე, რიგს მოაშორა და კონახურის ტოტებს მიანარცხა, საბრალოს კიდევ უფრო დაუზიანდა ისედაც ნაჭრილობევი ფეხი. დაბნეულმა თავის შემაგრება ვერ შეძლო და ძირკვზე დაეცა. სულისწამლებ ზრიალს ჩაეხშო ეტლის ხმა. თვალის შეველება ვერ მოასწრო, ისე გასრისა გზიდან გადავარდნილმა ურჩხულმა.

წინამძღოლი წამიერად შეჩერდა. სხვებიც დადგნენ, ერთმანეთს გაკვირვების მზერით გადაპხედეს და უკან გადმოდგეს რამოდენიმე ნაბიჯი. წინამძღოლმა უკან დაბრუნება უბრძანათ. დანარჩენები, ხმისამოუღებლად დაიძრნენ. ფოთლებივით მსუბუქად მიჰქონდათ ფეხები, სულგანაბულები, უმზერდნენ, ჭადართა გრძელ რიგებს, თითქოს პირველად ყოფილიყვნენ ასეთ ადგილებში. თითქოს პირველად შეეფარებინა ჭალის თეთრად დაფერილ გარემოს ბინადაკარგული კიპოები.

ერთი-ერთი მათგანი წინამძღოლს გვერდი გვერდ მიჰყვებოდა. დანარჩენებზე უფრო შეციებული და სუსტი ჩანდა. შიგა და შიგ თვალებს ხუჭავდა და ეცლებოდა რიგს. ხანდახან შეჩერდებოდა, ღრმა სუნთქვას ამოაყოლებდა ფიქრს და ისევ შედგებოდა გზაზე.

ძირკვის სიახლოვეს შეგროვდნენ. ეს ერთი, ყველაზე სუსტი, მიუახლოვდა პირველი. ფოთოლივით მსუბუქი ფეხები თითქოს დამძიმებოდა, თითქოს ლამში ჩაფლულიყო, ისე ეზიდებოდა ტანს. ცდილობდა თავი შეემარებინა, ცდილობდა არ დაეცემულიყო. ცოტა ხანს ასე ქანდაკებასავით უტყვავდ იდგა. მერე კიდევ ერთხელ დახუჭა თვალი, ცრემლი გადმოაგდო და დანარჩენებს შესხედა. გათეთრებული, გაყინული კიპოები სულგანაბულები ისმენდნენ სატუსალოში დამწყვდეული სიკვდილმისჯილის ღრიალს.

ზამთარში რომ ჩამოყრის თოვლს და გადაათეთრებს სოფელს, ძალიან ლამაზი სანახავია ჭალა.



დალი კახიანი

**შევალ საყდარში ვითარც ხანძარში**

*საქართველოს პატრიარქს,  
უნწინდესსა და უნეტარესს,  
ილია II-ს*

საყდრები გამხდრები  
დაცხრილულ პერანგით,  
ნამარხულევი იმედის კუნძული,  
შორს მოსჩანს ყანობი ჩაჭდეულ ხნულებით,  
ვარ უსასოო ატანის კუნწულით,  
განსანმენდელში, შევალ საყდარში,  
უფლის ნიაღში, ვითარც ხანძარში,  
გამოვიკვერო მიმსგავსად რვალის,  
არც რა ვიკვირო მადლმოსილ კვირით,  
შევიქნა მტკიცე, უშიშო, სალი,  
რომ ვეზიარო სიბრძნეს გრაალის,  
თვალეს მივაბჯენ გუმბათს უძიროს, მალალთა შინა,  
ველარ ვიცდი მე, გადავბეღე, გადავიღალე,  
მტკიცა და მენწვის სახედრის ნიხლი,  
ათასი ტყვია გულს დავიხალე,  
ვერ ავიცდინე, და მოვიწამლე,  
ვერ ვიქენ მჭვრეტი, ვერ მოვიწამე,  
გულსმოფონება სიტყვის ნაჟურით,  
თვალისიერი თვალმიხება,  
დრო უბადრუკი კურკანონია  
ხაფანგ-მახეა, თურმე... ვინამე,  
გაურკვეველობა მაფორიაქებს ძველახლობისას,  
უკუმხედვარე ფიქრს მივადევნებ,  
ძველი ხნობისას ძველთა ხმობისას,  
რა თავში იხლი გულმშვენი ამარტებს,  
გველგესლა პირით ჩაიმიცინარებს კერძი სატანის,  
ვითარცა პინა გადაიხარა ღერძი ატანის,  
მე დავიღალე, რაით გავუძლო ბორძიკ აღმართებს,  
აღვმსობ და გვედრი,  
გონით ბრგვილებმა რაიც აღმართეს, მიქციოს გვერდი,  
უფალო ვაი, ხომ ხედავ აი, დედიშობილა ვარ შენს ნინამე,  
მინამლოს ეგებ ეფრემმა ვერდომ,  
ვესათუთები ქვაში ჩატიფურულ მთავრულ ასოებს,  
ჩემთვის ჩანივთულს მექადა, მედინად,  
ვუნწედენ ხელებს მოსაიმედელ სასომიხდილთა,  
ჩემს სულში ვფურცლავ მიუგებ ვერდიქტს,  
მე დავიღალე და დავიკანრე ამდენის მმზირი,  
მაოხრებელი, იგავის გზირით,  
ცრემლი მედინა,  
სიკეთისა წილ მიუგებლობით, მავანთ ლიქნით და მამებლობით,  
თვალთა სიბრმავით, ყურთ უსხმელობით,  
კეთილსა ნერგზედ წყალთუსხმელობით,  
სამართლის მარად პურუჭმელობით,

მნიფე თავთავთა თავმოდრეკითა,  
ქვე დამხობილან ნათლის სვეტები, ეკლებს ვედები,  
მიმწუხრში ვბორგავ, ნამკვიდრი მბორკავს,  
ვერ ვიმსაჯულე, ვერც ვის მივაგე,  
ვინც ვერ გამოდგა ქრისტეს სარჯულედ ბალამ ენითა.  
უფალი ჰგიებს,  
არ კი შეცბუნდეთ, მტკიცედ სდექითა,  
სულს ნუ შებლალავთ მსახვრალ ხელითა,  
ბილწით, ლექითა,  
ნუ მოიხბდლებთ ხორცთა პატივთა ამო ლხენითა,  
ჰოი გამრიგევ, თავახდილ სულებს ათოვს და აწვიმს.  
გებარებოდე,  
მაინც ვირჩიე გავუყვე თმენით, იესოს გზანვრილს,  
თვალს ვერ ვუსწორებ სისხლნანვეთ ხანჯალს  
ჩაგებულს ხალთით,  
ამდენის მხედსა მზეს ბეჭი აწწვა,  
დაფხრენილ სამოსით და ფეხშიშველა მიმიღე კალთით,  
გამოილია მადანი ატანის, გებარებოდე ეს ერთი ბენვა  
გაძლებით ჭირის,  
ეგების ვინძლო გამოვიბრძმედო ქვითა და კირით,  
მადლმოსილ კვირით,  
შევალ საყდარში, ვითარც ხანძარში  
და განწმენდილი მსგავსად რვალისა,  
სპეტაკი, სალი  
შევეზიარო ეგების სიბრძნეს თვალუნწვომ გრაალის.

**ნეტავ და რათა?**

გზა, გზა... ხაბარდა,  
მისი უდიდებულესობა თავხედობა მობრძანდება,  
უტიფარ ღიმით, ჯიქური ჯეგით,  
ტვიზბრგვილებს დაფნის გვირგვინი,  
ნიჭით მკობილნო, მეკალმენო, მემუსიკენო,  
ჩრდილში მყოფნო, დაბლა ჩაჯექით.  
გზა, გზა, მიეცით,  
მისი უდიდებულესობა უმადურობა მობრძანდება,  
ლაფში ჩაფლული მარგალიტებით,  
სახედრის ნიხლით, ქვის მკვნეტელ თვალთ,  
თითქოს მას კი არ, შენ გქონდეს ვალი,  
ზნეკეთილობას რა თავში იხლით,  
დამნახველნო, მადლმოსილნო, აკვარგიანნო,  
ღირსსახსოვარი მაგალითებით,  
განზე გადაექით.  
გზა, გზა მიეცით  
მობრძანდება მისი უდიდებულესობა ღალატი,  
მოასხით, შემოსეთ პორფირის ხალათით,  
ერთგულეობო, გამტანეობო, საიმედონო  
ვის დაჰკარგვიხართ,  
განზე გადაექით.  
გზა, გზა მიეცით,  
მისი უდიდებულესობა უსამართლობა მობრძანდება,  
აგებეთ ეტლი, ფიანდაზები ეშმას ნათლობას,  
ვაი პურუჭმელ სამართალს, გაყენებულსა გზამართალს,  
მართალნო, ზნესრულნო, უშიშნო  
განზე გადაექით.  
ათადან, ბაბადან, ნეტავ და რათა,  
ღორის ჩლიქებით, ვირის ტვინით, ეშმას რქებითა  
ქამელეონის ფერმორგებითა, გველის ენითა  
დასხრიალებენ პირსავსე თასით, მავანთ ქებითა,  
დაფნის გვირგვინით, ქუხილით, გრგვინვით,  
გვერდზე გამდგარა ფრთოსანთა დასი, ვერ მიგებითა,  
ვიდრემდის ცაო იქნება ასე,  
ქრისტეს გზით მავალთ, ვაი რიდიანს, ვაი შემვრდომს,  
ვაი მართალსა,  
მართლაც და რათა?

### სოფელი

ეჰ, ამ გულს მადანს, ღვთიურს, ნაივურს,  
ჩათვლილს უბირად, მჭვირვალს და უმღვრევს,  
შოვნილს ცოტობით და უთუსბირად,  
რაით ფასობდა მიწყევ სოფელი,  
წარსაგებელის უხვად გამცემთა ფუძე, ალაგე,  
წარხდა მდინარე და არემარე,  
სულ მოკლედ სწანან ფშანის ტოტები,  
მოსრეს, ალაგმეს ნაშალი ქვები, ძველთა სამარე,  
შენელებული ხედები თვლემენ ხართა მწკრივებად,  
ისხენებიან პატივით, ქებით დღეს სხვა გვამები,  
იდუმალება სოფლის კერისა ბუჭუტავს ოდნავდა,  
მუდამდღე ელის ღრჭიალს კარისას,  
ეგებ შეუღოს ძმამან, ყონაღმა,  
რა მადლი სუფევს ამ რინდებაში, არის უცნობელ  
და მარადჟამი ეს მდუმარება უხვ მდინარეთა,  
მთათა შეკვამულ უბინობით თეთრ მანდილების,  
შინდ ასკილების შეფაკულ სხივთა გულსმოფონებით,  
გალმით გამოღმით, შორ მანძილების შორის დებული  
ბებერ ბორნებით,  
რა მადლი სუფევს ამ რინდებაში...  
ყურსაკიდებად, გიშერა ბჟოლა,  
ღამეულ გზებზე მთვარის ჩრდილები,  
უცნაურია სისხლის ყივილი და სულის ჟრჟოლა,  
გადმოსახედზე ორთავ სოფლისა.  
ყოველ საწყისთა ფუძე, ალაგე, მყოფობს ცოტობით,  
იმედნეული მზერა მიმკრთალა, მოსრეს, ალაგმეს,  
სულ მოკლედ სწანან ფშანის ტოტები,  
ვეღარ მშვენობენ პატივით, ქებით, ნაბრძოლი ქვები.

### გაინაპირას

ჩვენი მამების  
ნამუსიან თაობას

მეპურე კაცები კეცებზე კეცავენ ღავაშებს მეფურებს,  
იქვეა შოთები, განვართ გამოტებით,  
ალეებით ალენილ თონიდან დაბრანულ ყუებით,  
გობშია კომში და ბრონეულები,  
სიჩუმე ყურადობს აცქვეტილ ყურებით,  
ღიაცი ანცდილით კავთმებს იფარვენ თავშალში,  
ნაოჭს უნასკვენ ხინკლებსა,  
სადგომის ნაშალში ლენჩ ქათმებს შეახვედრებენ ნაფხიკლებსა,  
ღამე გაინელა, დღე უშალ იკლებსა,  
უგზობას ნაღვლობს ფშავ-ხევსური მუცოს და დიკლოსა,  
კვაჭიჭა კვიციები ცეკვავენ, როკავენ, ჩლიქებს ილოკავენ  
ჯღიბა ჩიტი ციდა ბარტყებს ბუდეს უქსოვს, ცვარ-ნამს ასმევს,  
მჩხიბავს, დამსმენს ცა უმზადებს საეაღს უგზოს  
სად მზეობს კაჭიჭი, თითა, სად ხვანჭკარა,  
მთითა თუ ბართა,  
ლაბები ლაფებით თავ-ფეხს დაიხსნიან, იცისკროს ხვალ ჩქარა,  
დილის კართა, ბართა, კავითა, ხარ-კამეჩ-ულლითა  
გაუყვებიან უღლელნი,  
სულ თეთრად ნაფეთქი, ცის ფქვილით ნისქვილინი,  
დოლაბებს უკმევენ,  
ფარნები ბუჭუტავენ, იალაღებზე ჩინდრიკა ფარები ცმუკავენ,  
მთვარის ნაშუქებში აღარ ისმის ურმების ჭრიალი იმ  
შარა-შუკებში,  
დღეს ეს მირაჟია, მონაგონია ის განაგონები ცხენის ქურდები,  
დღეს პატივშია კორსარ-პირატები დიდი შარაგზიდან,  
გასულნი ორბიტით მტკვარ-არაქსიდან, მიჰყავთ პარადები,  
ძველ დროის კაცებმა ამბვით პირადებით გაინაპირეს,  
გაზიდეს ყისმათი, ნამუსის ქუდები, გაღმითა გავიდნენ.



ფიქრები ნახატი ავტორისა

### მყოფობის ტანდემი

ჩაქუფრდა, ჩაკუპრდა ცა,  
მთვარის ნალი ნალიას ამოეფარა,  
ღრუბლები ჩაფარდა, ჩრდილების ხარებად გორებზე  
ჩაფერდა,  
ღამე ჩაინურა, თალხი ჩაიცურა, ქვე ჩააჯინა,  
ზესკენელმა შეხსნა საკმელი, უბე აჩინა, იალა,  
ვარდისფრად იმოსა, იძირა, ივალა, ქვეშეთს ფერი დააჯინა,  
საყდარმა იწირა, აბოლდა სარკმელი, განიხვნა ცისკარი,  
ნემოშპალა დაობდა, მნათობმა ცისკარის დაძმები დაკარგა,  
დაობლდა, სხივ ყაისნაღმა მთაბარი დაქსოვა,  
ყვავილით დაქარგა,  
მზემ მთვარე, გაზაფხულმა ზამთარი დაკარგა,  
ჰეე შორეთში, ყანის აღმა მარტვილობს ნისქვილი,  
სულსწრაფობს დოლაბი, ფქვილში ფქვავს არაკებს  
საუნწყოს მსტოვრების,  
ვიდრემდის იავდრებს ტაროსებს არსაქებს,  
სულ თეთრად დაპენტავს ცის ფქვილით ცისქვეშეთს,  
ქათქათა თავსაბურს მოისხამს ნისქვილი,  
გზას გაუყვებიან დევისებერ ტორებით, დაზურგულ ტომრებით,  
ოდა და ბელელი უბეებს გაივსებს, დაიმყოფს, სანამდის  
იახლებს გაისებს,  
მიდამო გაღვება, მზრალობა გაყვება,  
დაგვატკობს ნექტარი, დაიხნულება ადლით და ჰექტართი,  
ნანვიმარს აყვება მყოფობის სურნელი,  
სამზადი თავს იმშვენს საკმაში სუნელით,  
კვლავადაც იალეებს, ნაირფრად იმოსავს,  
რტოებზე ყვითლად ჩანასკვდება მიმოზა,  
ღვარები ტკარცალით ჩაასკვებიან ფერდობებს,  
მზე თვისკენ მოიხმობს ყამირ ფართობებს,  
ასაფრენ ზოლებზე მოიხმობს მართვეებს, გაისეირნებს,  
ბარტყები ბურდღუნით სტოვებენ ბურდღების ბუდეებს,  
შვლის ნუკრი ქვემალლით შესცინებს მათ ბობლვა სეირებს,  
გაიხაროიან ნაჯაფით გამრჯენი, დაგვიწესს გამჩენი  
ტვირთს მიძიმეს, სიზიფის,

ნრე ბრუნავს შავ-თეთრად, ნანერი შემოსავს ხან თეთრ  
 ხან შავ ეტრატს,  
 კვლავადაც იბურავს, იქუფრავს, იალეხს, იჩხრიალებს,  
 ჩაცხვავს, ჩამწუხრავს და კვლავადაც იალეხს  
 მყოფობით თანმდევით,  
 ცის და ქვეშეთისა უცდომელ ტანდემით, უფროც კი  
 ქიშპითა კაცის და მხეცისა,  
 ჩაუთქმენ ნადილებს ნატვრის თვალს, ხეს ცისას, ბოლო კი  
 ერთია, ორმოა ტიალი,  
 ღვთის ნებით ვიდრემდის ფქვავს ორომტრიალი.

**სახლიდან გავიდა**

სახლიდან გავიდა, არ დაბრუნებულა სიკეთე,  
 ხომ არ შეგხვედრიათ, იჩქარეთ, ეშურეთ იქეთკენ,  
 სახლიდან გავიდა, არ დაბრუნებულა ნამუსი,  
 თვალი მოუკრავთ, გამკრთალა გაცვეთილ სამოსით,  
 ქვეყნიდან გავიდა, არ დაბრუნებულა სიმართლე,  
 ხომ არსად გინახავთ, ჩანავლდა შუქმფენი სინათლე,  
 ველარ დავიბრუნეთ გავცივდა ღვთის სიტყვა, მცნებები,  
 უგნური ნეტარებს, ეშმას კვალს შემდგარი ცერებით,  
 ზურგი გვაქცია, გავიწყდა კერიის სინმინდე,  
 შებლაღულს რალას დაიბრუნებ, რა გინდ რა იცდიდე,  
 ჩარჩოდან გავიდა, ნახატმა ველარ თქვა სათქმელი,  
 ეგებ დაბრუნდეს, გახსენით, გახსენით სარკმელი,  
 ბელელი დატოვა ნაჯაფი კაცის ბარაქამ,  
 სჩანს გარეულა ახლების ჯიბის მარაქას,  
 გზა-კვალი აებნა დაუპურებელ სამართალს,  
 ვინც დააბრუნებს, ცხონდება, უფლის ჯვარს აღმართავს,  
 რუკიდან გავიდა, არ დაბრუნებულა სამშობლო,  
 სადმე თუ შეხვდით, ლუკმას სამადლოს, საობლოს,  
 კარი გაიხურა, არ დაბრუნებულა იმედი,  
 ვერ გადაეყარეთ? ჩვენი ხომ ვსულდგმულობთ იმ ერთით,  
 ქვეყნიდან გავიდა გონი, დაბრუნდა სიბრყვე,  
 დროა ვიცემდეთ ორ აგურს მგონი,  
 მდინარე რიყავს კალმასს, ორაგულს, უნდა დაეჯერდეთ  
 ლიფსიტას, ხამსას,

გარჯილს უხამსად უხსნიან კარებს,  
 ძირძველი მოდგმა სტოვებს ნაფუძარს,  
 სჯერდება კარებს,  
 ნეტავ საკვირო რაა ამაში, ზურგს ვაქცევ ფანდებს  
 ბილნთა თამაშის,  
 ტვინს აჭრილს, თხევადს, მოქავლულ ენით ბალღამის ნთხევას,  
 ვინდი ქალამანს, ვტოვებ უმადოთ ურცხვთა გალავანს  
 ზრახვით ბრუნდებით,  
 სავარაუდოდ, ალბათ უვადოთ... არ დავბრუნდები.  
 მაგრამ მე მზაფრავს მაინც მთავარი, კაცთაგან გავიდა და  
 არ დაბრუნებულა სიკეთე,  
 თვალი მოუკრავთ ბენვის გზანვრილთან, იჩქარეთ,  
 ეშურეთ იქეთკენ.

**მედა**

*მარინა კახიანს  
 მედას როლის უბადლო შემსრულებელს*

ეჰ, ევრიპიდევე, ბრძენო ბერძენო  
 რა ვქნა, არ მჯერა შენი თქმულების  
 და შეთქმულების მზაკვარ ქარების,  
 ავხორცულ ვნების სამოსელში  
 რადგან შემოსე კოლხი მედა,  
 არა, არ იყვნენ ამდაგვარები ჩვენი ქალები,  
 მუდამ იყვნენ ნიშანსვეტებად თავგანწირვისა და ერთგულების,  
 კერას და შვილებს სწირავდნენ თავებს

მსახურებით და ცხელი გულებით,  
 „ego“-ს თრგუნავდნენ საკრალურ გზნებით,  
 თვითუარყოფით იღვრებოდნენ „alter ego“-ში,  
 მამრის ლალატსაც ხვდებოდნენ მედგრად,  
 არა სჩვეოდათ თავს დატეხვა ანჩხლი დებოშის,  
 თავდასაღწევად ავი ენების,  
 ერიდებოდნენ გამომზეურებას ქალურ ვნებების.  
 შენ კი რა ჰქენი, ყველაფერი არივ-დარიე და გადაგვრიე,  
 შენი სიტყვები აქ ზედმეტი, უპირობოა ზევით ნათქვამი,  
 მგელი რო მგელია, მასაც უყვარს თვისი ნაგრამი,  
 ამას არ იქმოდა გრძნეული მკურნალი,  
 მედიცინა ხომ მისი პირმშოა,  
 ვხედავ მედეას, ჯადო თვალებით,  
 ამორძალივით დალაღდაფენილს დ სხივმფინარეს,  
 როგორ ევლება გულის კარნახით და დავალებით  
 ბალახებს მძინარეს, ჰეკატეს ბაღში განფენილს.  
 ...დიდებულ სცენებს არა ერთი ახსოვთ მედა,  
 და, ეს მედა, ჯავრის გორგალი, ფერხითთ განრთხმული,  
 ზაფრით მბორგავი, თვალთა მიუსაფარ ფეთებით,  
 მრისხანე სულისკვეთებით, გულის შემძვრელია,  
 ამბავი ესე, კვლავაც ახალი და მარად ძველია.  
 და ისევ ვიტყვი, რა ვქნა, არ მჯერა შენი თქმულების  
 და შეთქმულების მზაკვარ ქარების,  
 ვერ იქნებოდნენ ამდაგვარები კოლხი ქალები,  
 კერის ბურჯები, ბედის ურჩები,  
 ოჰ, ევრიპიდევე, ყველაფერი არივ-დარიე,  
 ღირდა კი ამაღ, ჩემო კარგო, გადამთიელი შემოღწეული  
 გემით „არგო“,  
 რომ გაეტანა „ოქროს სანმისში“ დაუნჯებული ჩვენი სიბრძნე,  
 ლუკმა მადლარი და გემრიელი, ქურდბაცაცა და  
 მზაკვარია შენი ყმანვილი,  
 იაზონს მიხედვ, ბრძენო ბერძენო, თავი ანებე სხვათა გაქეღვას,  
 ვერ ვითავისებ ამგვარ თქმულებას, ბოროტი ჭორი  
 მსურს მოვისროლო  
 და გავატანო ტალღების ღელვას,  
 ვერ იქნებოდნენ ამდაგვარები კოლხი ქალები,  
 ...სტყუი ბერძენო.

**რჩება ლეგენდა**

*მედა ფანიაშვილს  
 „ქართული მუსიკის კარიტიდა“-ს*

*ო, ეს სამყარო, სადაც უმჯობესნი სავანნი  
 განწირულია უკულმართი ბედისთვის.  
 შექსპირი*

ერთსა ნაგრამსა ფანიაშვილთა,  
 გამოღწეულსა წითელ ჯალათებს,  
 აგდევენებია წერა აგბედი,  
 თუმც კი გიძღვნიდნენ ვარდის კალათებს,  
 ბგერა კვესავდა როგორც აბედი,  
 ჰგავდი ამორძალს.  
 მიმოაბნევი ვითარცა მტრედებს  
 ფორტეპიანოს იალაღებზე  
 მტევანთა ორ ცალს,  
 როიალს ამკობდი რომაულ პროფილით,  
 მოესაკლისე ჰანგების ედემს,  
 კლავიმებს კანრავს სხივი პორფირის,  
 ვაი, რომ დღესაც ვერ ვართ გულმშვიდი,  
 კარებებს ლენავს ქარი ორპირი.  
 მამულისათვის თავდადებულნი რჩებიან კენტად,  
 ამქვეყნად თურმე ბედი არ სწყალობს  
 დიდ ქალბატონებს,  
 გულის საოხად რჩება ლეგენდა.



ქართულ პოეზიაში ჯერ არ არსებობს დიალოგიზმის მიმდინარეობა, მაგრამ თუკი ოდესმე შეიქმნა რალაც ამის მსგავსი, მაშინ რობერტ მესხი უთუოდ ერთ-ერთი ცნობილი „დიალოგისტი“ იქნება. ხუმრობაგაშვებით, არის ამ ლექსებში საყურადღებო ტენდენცია, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს პოეტის დიალოგს საგნებთან, მოვლენებთან, ფაქტებთან; მეორე მხრივ, აქ არის თვით საგანთა და მოვლენათა შინაგანი დიალოგი, რომელიც ბუნების დიალექტიკის კანონებს გამოხატავს. მზერა მიემართება „უფრო შიგნით, ძალიან შიგნით“, მოუხილველი სიღრმეებისაკენ, სადაც ცნობიერება თავის თავს ცნობს ბუნებრივ სრულყოფილებაში. დიალოგი როგორც წინასწარობის ცენტრი. ეს არის ყოფითობიდან ამოზიდული იდეა, რომელიც შეიძლება იყოს იმპულსი პოეტური განწყობილებებისათვის. პოეტიზმებსა და პოეტის-ტურ ელემენტებს თვით ცხოვრება წარმოშობს, ცხოვრების ცეცხლი ამოიყრის ნაპერწკლებივით, ოღონდ უნდა შეგეძლოს შემჩნევა, დანახვა, გამოჩენვა. რობერტ მესხს ეს ძალუძს. ემოციური ლაიტმოტივები დაჰყვება მის ყველა ლექსს და ესეც, კაცმა რომ თქვას, სტილია, უფრო სწორად, მთავარი სტილური ნიშანია, შტრიხია შემოქმედებითი პორტრეტისათვის, რომელშიც თვალდათვალ შეინიშნება აგრეთვე კონტრასტები, ანტინომიები და მოულოდნელობის ეფექტები. ამასთან ერთად: გულგახსნილობა, ღიაობა, ფარული ტკივილი, მძიმე და მოურჩენელი, იქვე — სიბრძნეც, თვითრწმენისა და თვითიგივეობის შენარჩუნების მთავარი მიზეზი, შინაგანი საყრდენი. რობერტ მესხს აქვს იდეა და იდეის გამოხატვის ფორმა. შეუძლია მაქსიმუმი მოსთხოვოს საკუთარ თავს და, ამავე დროს, იყოს პირნათელი მკითხველის წინაშე, რადგან არ პოზირობს, არ თამაშობს, არ წერს იმაზე, რაც არ უგრძნვია, ყოველ შემთხვევაში, იმყოფება პოეტურ ყოფიერებაში, რაც გულსხმობს ცხოვრებას სიტყვით, სიტყვისთვის, სიტყვაში.

რობერტ მესხი

\* \* \*

დღეს კოსტავაზე  
სუნამოების ვიტრინასთან იდგა გოგო და  
ახლად მიღებულ პროდუქციას არეკლამებდა —  
„Acqua Di Gio“ შემთავაზა.

მე მეჭირა შავი ადესა,  
მათრობელა სურნელით სავსე...  
შაშვივით მყავდა მარჯვენაში გამომწვდელი.  
ქარვის ფოთოლი გადაშლოდა,  
როგორც მარაო...

ვაჩვენე.  
ოდნავ გამიღიმა:  
გმადლობთ, არაო!

ევკალიპტები

ის, რაც წლების წინ გავასხვისე — ევკალიპტები —  
დღეს ფოთოლ-ფოთოლ უნდა ვიყიდო.  
— რა ბრძანეთ? — უცებ მეკითხება აფთიაქარი.  
მე შორს ვარ (ფიქრით), ის კი — აქ არის  
და რჩევას მაძლევს:  
მოვხარშო ორთქლზე,  
ჩაის კოვზით ვასვა პატარებს...  
— გმადლობთ, — ვპასუხობ, —  
ამ ხმელ ფოთლებს ჯიბით ვატარებ.

\* \* \*

რიტუალივით უფრო იყო:  
ავივლიდი —  
მოვიხელთებდი,  
ჩავივლიდი —  
მომიხელთებდა  
აკაცის მაცდური სუნი.  
და რასაც სურნელს მოუნონებს, უსინჯავს გემოს, —  
ასეა კაცო,  
ამით ჰგავს ფუტკარს,  
წაეტანება ხოლმე  
წვნიან,  
ვარდისფერ ბუტკოს...  
ხომ შეიძლება, ერთ-ერთ აპრილს დავარქვათ „ჩვენი“, —  
შენ მოდგე კართან,  
როგორც ძღვენი უფლის და

თმაზე აგდიოდეს  
იგივე სუნი...  
(მივხვდე, რომ ადრეც შენ იდექი მი და მო ქურჩის!)  
მოგიახლოვდე,  
ნიჟარაზე მოგადო ტური,  
მაგრამ გაკოცო  
უფრო შიგნით,  
ძალიან შიგნით,  
სადაც სიზმრებში  
ერთმანეთის  
ჩურჩული  
გვესმის.

\* \* \*

მე და შენ შევხვდით ადრეც,  
დიდი ხნის წინათ შევხვდით.  
შენ მოუკიდე სანთელს,  
მე დაგიჯექი ფერხთით.  
მოგმართე (უფრო გულში)  
ბავშვის ხმით: იე-შუა!..  
ზეცა გიჩანდა კუშტი  
შელენილ ნეკნებს შუა...

\* \* \*

ვინ დალოცვილმა შეგაშველა კიბეზე ხელი,  
არ მახსოვს...  
ღერიც სიგარეტის ჩამიქრა.  
ჯვარი, იქნებ, ჩამოვდო სამუდამოდ სულ სხვა ნაპირთან —  
შენით... უშენოდ...  
ქრის მარტის ქარი — ბეჭდებს აბნევს, ბროლისთვლებიანს...  
შორს საჰაერო ბუშტებივით ჩანან ნუშები, —  
და საცაა აფრინდებიან...

\* \* \*

Ave Maria,  
მე სულ აქ ვდგავარ, ყრუ კედელთან, კი არ გემდური, —  
მთვარე მთვარეა,  
მაგრამ მარწვეს ფიქრი — ენგური.  
სულ ცხრა გრამია... ერთი ბენო, ანუ იოტი...  
სული ხელივით მომყვა კარში,  
რომ მოვდიოდი...  
სხვა სათხოვარი რა მაქვს ნეტავ,  
Ave Maria, —  
დღეს ცას რომ ვხედავ,  
ესეც დიდი საჩუქარია.

ანაკლიასთან

წარმოვიდგინე, შავ ზღვას როგორ გაუთამამდი და აქორჩილი ტალღა თეძოს როგორ მისაკდა... ზღაპარს მიაბობო... არ ვიცოდი თითქოს აქამდე, რომ მზის ყოველი ჩასვენება ანაკლიასთან მშვიდ ტილოს მოჰგავს, შესრულებულს ოსტატის ფუნჯით (მე ორმოცს გავცდი... გუშინდელი შენ გეტქმის ბავშვი!) მწიფე თავთავის ფერს დაიკრავს სექტემბრის რუჯი და შეუმჩნეველად გადავდივარ დაუკრეფავში...

აზსაზაითი

როგორ მომიკვეთე ხელალებით, როგორ განმაგდე და მომიშორე, მე კი ძველებურად მენატრება შენი „შიშ-ნანი“ და ლობე-ყორე, ოცი შემოდგომა ალვის ხეთა, სულს რომ აბრეშუმით მიკემსავენ... უკვე სიზმარშიაც ასე გხედავ — ცხრაგზის გადაკლიტულ ციხესავით.

ერთი მწერლის ორი ესეი

როსტომ ჩხეიძე

ჯვარცმული დიონისა

(ნიცუბე, პელი, გამსახურდიანი)

ანდრეი ბელის უგონოდ გაიტაცებდა ფრიდრიხ ნიცუმე, როგორც შემოქმედი და პიროვნება, და ერთბაშად დაუჩრდილავდა ყველა კერპს: ვაგნერსაც, დოსტოვესკისაც, იბსენსაც, ჰაუპტმანსაც და მეტერლინსაც.

და კიდევ ერთიანად ჩაეფლობოდა ამ სამყაროში. გარკვეულ ქრონოლოგიურ მიჯნად იგულისხმებდა თავის ბიოგრაფიაში 1899 წლის შემოდგომას, როდესაც მხოლოდ ნიცუმეთი იცხოვრებდა. ის იქნებოდა მისი დასვენებაც, ინტიმური წუთებიც; მის აფორიზმებში დაინახავდა სიმბოლიზაციის ცოდნის ზღვარს და მის საოცარ სიტყვათა მუსიკა ჩაეღვრებოდა სულში. ეს აფორიზმები თითქოსდა დაუდევარ ფორმაში რომ მოქცეულიყო?

სამაგიეროდ, მკვრივი აზრი თუ განცდა გამოხვეულიყო ამ საბურველში, ბელი, მისი შეცნობის უნით ატანილი და ინტენსიური ფიქრისა და გულისჭიდილის შემდგომ, ამგვარ განსაზღვრებას რომ მიაგნებდა: თითქოს ინკოგნიტოდ მოგზაური ბრძენი დავალებას აძლევდა თანამგზავრს, რომელმაც არ იცოდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე — შეშლილთან, მასხარასა თუ წინასწარმეტყველთან.

და ესეიში „ფრიდრიხ ნიცუმე“, არაბესკების ციკლის ერთ-ერთ ნიმუშად რომ ჩაითქვამდა, ამ განსაზღვრების ანალიტიკურ დაშლა-გააზრებას შეეცდებოდა და იმ საიდუმლოს მიკვლევით: ნიცუმეს საუკეთესო ინტერპრეტაცია... უინტერპრეტაციობა რომ გახლდათ — თვითონვე წარმოდგებოდა ამ უჩვეულო მხატვრულ-ფილოზოფიურ სამყაროში ერთ-ერთ სანდო გზამკვლევად; და ამიტომაცაა აუცილებელი ამ მცირე, ოლონდ უალრესად ტევადი თხზულების ამეტყველება იმ ენებზე, სადაც „ესე იტყოდა ზარატუსტრასა“ და მისი შემოქმედის მთელი ნაღვანის შეცნობა ასერიგად სწყურიათ, რაკი-და საიმიერო მეკავშირედ ეგულებათ მომავლის სივრცეში გადასაბიჯებლად და იქ ფეხის მოსაკიდებლად.

აუცილებელი — ქართულადაც, მითუმეტეს, რომ ერეკლე ტატიშვილის მიერ ამეტყველებული ზარატუსტრა — მისი ცხოვრება, მოქალაქეობა და ქადაგებანი — ჩვენი მთარგმნელობითი მონაპოვრის განუყოფელი ნაწილია და ჯერ მარტო

ეს გვაგალებს შესაფერისი ფონის შექმნას მის გარშემო, რათა სრულყოფილად შევითვისოთ მისი სიბრძნეც და ენობრივ-სტილური ბრწყინვალებაც.

და აი „საქართველოში ფილოსოფიის აღორძინების ფონდი“ იზრუნებდა ბელის ამ თხზულების გამოსაქვეყნებლად ცალკე წიგნაკად, კახა ქეცბაია თარგმანს ბოლოთქმად ნარკვევსაც რომ დაურთავდა („ნიცუმეთი გატაცება, ანდრეი ბელი — ნიცუმეს ინტერპრეტატორი“).

გარეკანზე კი გამოიტანდნენ ზვიად გამსახურდიას სიტყვებს, ანდრეი ბელის პიროვნებისა და ღვანლის ზოგად დახასიათებას, დანურულსა და ღრმააზროვანს, და ჩვენთვის ასერიგად მნიშვნელოვანს, რადგანაც ეს რუსი მწერალი ძალზე ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისში, და თუ მას ძლიერ იზიდავდა ეს ქალაქი, იმიტომაც, რომ იცოდა: ეს ხომ უძველესი კოლხური კულტურის ცენტრიაო.

და ბატონ ზვიადს როგორ არ შეეხსენებინა ჩვენთვის მისი ის დაბეჯითებული რწმენაც:

— როდესაც ჩვენ ტყეებში დავეხეტებოდით, ქართველები უმაღლეს კულტურას ქმნიდნენ და ჩვენ უნდა ვისწავლოთ ქართველებისგან და ჩვენ უნდა შევწყვიტოთ ყოველგვარი საუბარი მათ ვითომდაც ნაციონალიზმზე, შოვინიზმზე და ყურად ვიღოთ ის ყოველივე, რაც მოდის რუსთველიდან, რაც მოდის ქართული კულტურიდან.

და როგორ არ დაერთო ეს სტრიქონები: — აი, ასეთი არის შეგნებული და მალაღმანიტარებული რუსების შეხედულება საქართველოზე, განსხვავებით იმ იმპერიული და ბოგანო რუსეთისაგან, რომელიც ზევიდან დასცქერის საქართველოს...

ამ ამონარიდის მოხმობა, ცხადია, იმიტომ არ დაუსაჭიროებია მთარგმნელს, რომ ჩვენს პატრიოტულ გრძნობებზე ეთამაშა, არამედ ნათელსაყოფად და მტკიცებად იმ გარემოებისა, რომ ნიცუმეს ფილოსოფიის, მხატვრული მრწამსისა და წინასწარმეტყველური უნარის თავისებურებებზე მსჯელობს არა შოვინისტი — და, ამდენად, შემოზღუდული ადამიანი — არამედ ჭეშმარიტი ჰუმანისტი, ვისაც შეუძლებელია გაუძნელებს გერმანულ მოაზროვნესთან თანაზიარობა.

იგი არამარტო გონებით წვდება ამ მხატვრულ სამყაროს, არამედ — გულითაც.

ამიტომაც შეუძლია ძალდაუტანებლად იცხოვროს მისით. ისუნთქოს მისით.

და სისხლის იმ დენასაც მიადევნოს მზერა, ყოველი სიტყვიდან და სტრიქონიდან რომ მოწვეთავს, ამ სისხლის შეუმჩნეველად კი უამრავი რამ გვეჩვენება „ესე იტყოდა ზარატუსტრასა“ თუ სხვა თხზულებებში ბევრად უფრო მკრთალად და სულაც უკულმართად, ვიდრე ნიცუმეს ეგონა, რომ შეგვასმენდა და წრფელ თანამზრახველებად გვაქცევდა, და არა ვითომდა დამ-

ფასებლებად იმ შეგონებებისა და ორიენტორისა, ასეთი მღვდლებითა და ექსტაზით რომ გვიქადაგებს.

ამ ვითომდა დამფასებლებს საკმაოდ მკაცრად მოიხსენიებს ბელი: ხისთავა ნიცშეანელებიო. და ასეთებად მიიჩნევს ყველა იდეოლოგსა და პოპულარიზატორს, საკუთარ თარგზე რომ არგებენ ნიცშეს მოძღვრებას და... საპირისპირო პოლუსზე ამიტომაც აღმოჩნდებიან — უნებლიეთ თუ სავსებით შეგნებულად, რაკილა თვით ეს მოძღვრება კი არ აღანთებთ, არამედ ზეკაცის ყალბად გაგებულნი იდეთ, მისი მოშველიებით თავიანთ მერკანტილურ ინტერესებს გამართლებას რომ უძებნიან და რაღაც ამალღებულ საბურველში ხვევენ.

არადა, ბელის უკეთესად მოეხსენება მათი რაობა და ამიტომაც არ ერიდება იმ მკაცრ შეფასებას, თუმც იოლად და გულგრილად აუქცევს გვერდს ამ იდეოლოგიას და პოპულარიზატორს, რათა ნიცშეს მოძღვრების სიღრმეში ჩაყურყუმე-ლავებულმა მის პირველსაწყისთა შორის მოინიშნოს, ერთი მხრივ, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ლირიკა და, მეორე მხრივ, „ვედანტა“, და აღიაროს ორივე ნაკადის კანონიერ მემკვიდრედ.

— გერმანულ კულტურაში ნიცშემ მკვდრეთით აღადგინა ის ყველაფერი, რაც ჩვენთვის აღმოსავლეთში ცოცხალია: დასავლეთთან აღმოსავლეთის შეერთება ან უკვე სასაცილოა, რამდენადაც თვით ნიცშეს პიროვნებაა ამ შეერთების ხორცშესხმა.

აი, აქ უნდა ვეძებოთ გასაღები ამ მოძღვრებაში შესაღწევად. და კიდევ იქ, რომ:

— უნდა განვაცალკეოთ ერთმანეთისაგან ინდივიდუალიზმის შესახებ ნიცშეს მოძღვრება და თვითონ ნიცშე, რომელიც ასე ინდივიდუალურია ჩვენს ეპოქაში, ხოლო უნივერსალური — მომავალში.

და კიდევ იქ, რომ:

ნიცშე აპოკალიფტია და ამიტომაც მასზე უკეთესად ვერავინ გაიგებს აპოკალიფსის სიტყვებში: მივცემ მას თეთრ ქვას და მასზე დაწერილ ახალ სახელს, რომელიც არავინ იცის იმის გარდა, ვინც მას მიიღებსო, — ნაგულისხმევ შინაარსსა და იმას, რომ:

— მეორედ დაბადებისაკენ მოგვიწოდებს ნიცშე და მთები ახალშობილის კვარცხლბეკია.

და კიდევ იქ, რომ ზეკაცი — გოეთეს ტერმინოლოგიიდან ნასესხები — მისთვის:

— უფრო რეალური ოცნებაა, ვიდრე გარემოს რეალური პირობა.

და კიდევ იქ, რომ გონება ინსტინქტს რომ დაუმორჩილა და, ავენაროუსის დარად, ალოგიზმის ფილოსოფოსად იქცა, მაგრამ იმისაგან განსხვავებით მან უფრო ღრმად გაიგო ფილოსოფიური ტერმინებით ალოგიზმის ქადაგების შეუძლებლობა:

— მიტომაა, რომ მისი მეთოდის საფუძველია არა მტკიცება, არამედ შთაგონება, ამიტომაც ამყარებს თავის სისტემას შემოქმედებაზე და არა ცოდნის თეორიაზე. მასში თეორეტიკოსი პრაქტიკოსად გადაიქცევა.

და კიდევ იქ, რომ:

— შეიძლება ნიცშე ქრისტეს შევადაროთ.

მართალია ამის თაობაზე მთარგმნელი თავის ნარკვევში შენიშნავს: ბელი განსაკუთრებულ ყურადღებას რომ უთმობს ნიცშესა და ქრისტეს შედარებას, ეს მისი სულიერი ინფანტილიზმის გამოვლინებაა აშკარად, — მაგრამ ეს პასაჟი ამ კარგად შედგენილ ნარკვევში აშკარად ჩავარდნაა, რადგანაც ბელის უსაფუძვლოდ სულაც რა გასჩენია ამგვარი მოსაზრება,



ესეის ერთიანადაც რომ განმსჭვალავდა ამ სულისკვეთებით. და ამიტომაც ამ დაკვირვებას ჩაღრმავება უფრო სჭირდება, ვიდრე ხელაღებით უარყოფა და ავტორისათვის სულიერი ინფანტილიზმის დაბრალება.

თქვენს მონა-მორჩილს სრულიად არ გაკვირვებია ამგვარი დაკვირვებისა და შემდგომი მსჯელობის აღმოჩენა ანდრეი ბელის ესეიში, რადგან თვითონაც ოდესღაც საგანგებო ესეი მიუძღვნა ამ თემას: „ნიცშე და ქრისტიანობა“ — იმ ღრმა, უხილავი ძაფების მისაგნებლად, ამ სულიერ სიახლოვეს რომ ადასტურებდა. და მითუფრო სასიამოვნოდ დამირჩებოდა, რუსი მწერალიც ამასვე რომ ირწმუნება სხვა ბილიკებს ადევნებულო, გზამკვლევადა ამ დაკვირვებას რომ გაიხდიდა: ორივე ხომ ადამიანთა გულს იპყრობდა და სიღრმისეულ თვინიერებას მინიერ სიბრძნესთან აერთებდაო.

როდესაც ნიცშეს ტელეოლოგიავ ჩამოაგდებს სიტყვას: ის მთელი რიგი თანმიმდევრულად გადმოცემული პრაქტიკული რჩევებისაგან შედგებაო, — და დასძენს: ფორმის მიხედვით ლაო-ძის, ბუდას, ქრისტესა და მუჰამედის გამონათქვამებს მოგვაგონებენო, — მერე უკვე ერთბაშად გამოაცალკეებს იესოს ამ ოთხეულიდან და მკითხველს ურჩევს, რომ დაე გადაშალონ ნებისმიერი ადგილი „ესე იტყოდა ზარატუსტრადან“, და დარწმუნდებიან, რომ სხვას ვერაფერს შეადარებ, მაგრამ სახარებიდან რაღაც აუცილებლად ენშიანება. და რაც მთავარია, ქრისტესა და ნიცშეს ქადაგებებში ერთნაირად განცვიფრდებიან სიხარულითა და მწუხარების, სიყვარულისა და სისასტიკის შერწყმით.

და აი, იერუსალიმი — ახალი ქალაქი — ეშვება ზეციდან მიწაზე და... კიდევ უნდა ჩაგესმას:

- დარჩით ზეცის ერთგულნი...
- და მიწისაც, — ჩუმად უნდა ჩაილაპარაკოს ქრისტემ.
- ახალი მიწის, ახლის, — დაეთანხმოს ნიცშე.

და ორივე მახვილსა და განყოფაზე ალაპარაკდეს. და ორივემ იგემოს გამოუთქმელი აღმაფრენის ღვინო და ჯვარცმის სისხლი.

ერთი საკუთარ თავზე რომ გვასწავლიდა: მე ვარ ძე ღვთისა და ძე კაცისაო.

მეორე, აქლემით დაწყებული და ბავშვით დამთავრებული, ჩვენი სულის ცვალებადობას მიგვანიშნებდა და ამიტომაც უნოდებდა ჩვენი გათავისუფლების გზას აქლემის (ძველ მცნებათა მატარებელს) გადაქცევას ლომად (ძველ მცნებათა შემმუსვრელად) და ლომის გადაქცევას ბავშვად, ასე რომ შეიყვარა იესომ და შეგონებდა დაგვიტოვა: თუკი არ იქნებით ვითარცა ბავშვნი, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველშიო.

და „მინიერნიცო“, — ამას უკვე აღარ ჩაილაპარაკებს? სამაგიეროდ, ამას იოანეს გამოცხადება შეგვაგონებს. და ზარატუსტრაც კუნძულზე ბავშვების ნასაყვანად გვიხმობს, ზღვის, ცისა და სულის სილაჟვარდით მორეცხილზე.

მიწაც, სულიც და ზეცაც — ეს ყოველივე ხიდი და მისწრაფებაა შორეულისაკენ და, ბელი გვამცნობს მსჯელობის დასასრულს, რომ ეს ყველაფერი ისევეა ერთი და იგივე, როგორც იყო იესო ქრისტეს მოსვლამდე დედამიწაზე — იგი ხომ იმავდროულად მამაც გახლდათ.

— ამ შემთხვევაში სახარებისეული სიმბოლიკა, თუკი მას დოგმატიზმის გარსს მოვამორებთ, ახლოსაა ნიცშეს სიმბოლიკასთან.

და აი ნიცშეს უნდა დავეყენებინეთ იმ ნიშნულთან, ძველ მიწას მისი ზეცისაგან რომ განაცალკეებდა, ხოლო ღმერთებსა და ადამიანებს თუ რისგან განაცალკეებდა, ამას უკვე აღარ გაგვიმხელდა, გადაიხარხარებდა და... დადუმდებოდა.

და ბელი ამ კონტექსტში აუცილებლობად მიიჩნევს შეგვახსენოს, რომ თავისი სწავლების საბედისწერო წინადადებს ნიციშე ბევრს და გაშმაგებით იცინებდა, შემდეგ დასაძინებლად დაწვებოდა და...

და კიდევ შეწყვეტდა ნიციშე... ნიციშედ ყოფნას.

და გამოცანის წინაშე დატოვებულთ გვაგრძობინებდა, რომ:

— საკუთარ სულში მან წაიღო ის, რაც აქამდე ჯერ არავის წაუღია.

— ამისაგან სვით. ესე არს სისხლი ჩემი ახალი აღთქმისაი, — იესო ქრისტე რომ შეგვაგონებდა, ბელი თავის მხრივ განუმარტავდა მკითხველს, რომ ღვინო მხოლოდ მაშინ გადაიქცეოდა სისხლად, როდესაც ბედნიერებით მთვრალი სისხლი, სისხლი ღვინოდ გარდასახული, ჩვენი სამყაროს ფერისცვალებას მოახდენდა:

— მაშინ ჩვენ, ბედნიერებით დამთვრალნი, საკუთარი აღმადრენის ძალას ჯვარზე ვნებით გავზომავთ. მხოლოდ ქრისტემ და ნიციშემ იცოდნენ ადამიანის მთელი ძლიერება და დიდებულება.

რას შეიძლება ყველაზე მძაფრად და ექსპრესიულად, ყველაზე შემძვრელად და ხელშესახებად განეცდებინებინა ხელახლა ჩვენთვის ბავშვობაში ნაცნობი და დიდი ხნით მივიწყებული ეს სიტყვები იესოსი, თუ არა მზის ფურცელთა ლაქებით დაფარული ზარატუსტრას ლაღადისს, სული მისი ბედნიერების წვეთს რომ მიეღვტოდა — ოქროს ღვინოს.

აქ ნათელთან ზიარების საიდუმლო უნდა აღსრულებულიყო.

თუმც ამ ხილვა-სცენისათვის ბელს გულისტკივილით უნდა დავართო, რომ: მისი საპასუხო სიტყვები ჩვენს კულტურაში არ მოიპოვებოდა. და მხოლოდ დროთა სიმორიდან, ქრისტიანობის მიმქრალი დაფორნიდან, თითქოსდა ვეფხის ტყავით დაფარული ეთერიდან თუ მოგვწვდებოდა ბედნიერების აღმადრენის მომნიჭებელი ეს განცდა, ამ სიტყვებიდან გადმოღვრილი: ამისაგან სვით. ესე არს სისხლი ჩემი ახალი აღთქმისაო.

სულიერ გადაკვეთებს ახალ აღთქმასა და „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ შორის მთელი არსებით დაეძებს ანდრეი ბელი.

ხოლო როდესაც წარმოსახვაში შეჰყურებს ბელი, თუ როგორ დგანან და წყნარად საუბრობენ იესო ქრისტე და ფრიდრიხ ნიციშე — ძენი კაცისანი, ორივე — მეფე და ორივე — წამებული, მათი სიტყვები კი ჩვენ სხვადასხვაგვარად გვესმის, ის მაინც უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენს გულში ორივე ერთნაირად ვაცვით ჯვარს.

და როგორ გინდა ისაუბრო ნიციშეს მოძღვრებაზე, თუ არ წამოგიტივტივდება მეხსიერებაში დიონისეს სახებაც, ოლონდ ჯვარცმულისა და დასისხლიანებულ სამოსში, არამარტო ბელისათვის, არამედ ჩვენთვისაც ასერიგად მახლობელი სიმბოლური ხატი კონსტანტინე გამსახურდიას წყალობით, სულაც ქართველი ერის მარტილობას რომ გაუიგივებდა ჯვარცმულ დიონისეს და ამ ხატში იგულისხმებდა იმ სურათს, რასაც ზედაპირზე ამოიტანს ანდრეი ბელი — რომ თურმე სავესებით ბუნებრივად შეიძლება იდგნენ და საუბრობდნენ ძენი კაცისანი — იესო და ნიციშე.

და უსათუოდ — დიონისეს ღმირის ჩქერალში.

მაგრამ ადამიანი ამიერიდან რომ აღარ არის ადამიანი?

და მასზე ველარ გვითქვამს, ღვთის ხატი და მსგავსიო?

ამ საშინელ საიდუმლოს ატარებდა ნიციშე საკუთარ თავში და როგორ უნდა შეიძლებოდა სიტყვებით მისი გადმოცემაო?

ბელი ამ შეკითხვების წრეში იმიტომაც დაგვატრიალებს, რათა გააცხადოს მიზეზი „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ გადავსებისა სიმბოლოებით; და ამ სიმბოლოთა იმ თავისებურებასა, რომ ისინი კი არ მეტყველებენ, არამედ... გაჰკვირან.

ხოლო მოძღვრება მორალზე, სიკეთესა და ბოროტებაზე და მარადიულ დაბრუნებაზე როგორღა უნდა გავიგოთ?

როგორც ამ საშინელი საიდუმლოს მსუბუქი საფარველი, რომლის უკან მდგომი ნიციშეც არა ჩანს, — ასეთ შეხედულებას იმიტომაც გვიზიარებს ბელი, რათა ამის შემდეგ უფრო დამაჯერებელი გახადოს, თუ როგორ გადაიქცევა ფრიდრიხ ნიციშეს მოძღვრება ჰანს ანდერსენის ზღაპრულ სამეფო სამოსელად და... კიდევ ქრება.

მაგრამ თვითონ ნიციშე ხომ რჩება.

და თუმც მისი სიმბოლოების დარად არაფერს გვასწავლის, მაგრამ მარჯვენა ჩვენსკენ რომ გამოუწვდია და გვეჩურჩულებს, ნეტა რას გვეუბნება?

არაფერსაც არ გვეუბნება, უსიტყვოდ გვიქნევს თავსო, — გვიმტკიცებს ბელი, ვინც შეიძვერ გადაიკითხავდა თავიდან ბოლომდე „ესე იტყოდა ზარატუსტრას“, რათა საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ კრედო, რომელიც ნიციშეს მიანერეს იდეოლოგ-პოპულარიზატორებმა, სულაც არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო ნიციშეს მრწამსი, ვითომდა ასე ადვილად ამოსაცნობი, რადგანაც მისი ნებისმიერი აფორიზმის ინტერპრეტაციას შესაძლოა ათეულობით ტომიც ვერ განვდეს.

მაშ... მის ნაწერთა ფორმალური ნიშნების გამოყოფა უნდა ვიკმაროთ ან... საერთოდაც დღემილი ვამჯობინოთ?

ანდრეი ბელის ესეის კონცეფცია სწორედ ესაა.

ჩაყურყუმელავდე და გაზავდე ნიციშეს მოძღვრებაში, უმთავრესად მაინც „ესე იტყოდა ზარატუსტრათი“ გამოსახულებაში, ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილების შესაფერისი აღქმა რასაც მოითხოვს...

იცხოვრო მასში, ისუნთქო მისით...

და არ დაემგვანო იმ მიმდევართ, რომელთაც ასე სასტიკად, მაგრამ ასე ზუსტად განსაზღვრავს ანდრეი ბელი, ვინც მიუხედავად უზომო აღტაცებისა, „ზარატუსტრათი“ რომ ცხოვრობდა და „ზარატუსტრათი“ სუნთქავდა, დაბეჯითებით მაინც ვერ გამოარკვია, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო ის იდუმალი მისიით მოგზაური ბრძენი: შეშლილი თუ... მასხარა თუ... წინასწარმეტყველი?..

\*\*\*

დაუვინყარია ნიციშეს ხარზარიც მისთვის საბედისწერო ჟამს. დაუვინყარია დიონისეს ღმირიც.

ისე ნეტა ნიციშეც ხომ არა ლამობდა რელიგიის გაშუქებას პოეზიის ოპტიკით, ის, რაც ქართველებს არ გვეუცხოება, ის კი არა, კონსტანტინე გამსახურდიას თავსაც გამოიდებდა: არცერთ ერს არ შესძლება ჩვენებერ გაშუქება რელიგიისა პოეზიის ოპტიკით.

და ამ დაკვირვებას უნდა ეშობა ის აფორიზმით ფრაზა, დახვეწილ ფორმაში მოქცეული და ღრმავაროვანი სიმბოლიკით მოჩუქურთმებული:

— ქართველობა ისე ვიდოდა იესოს სისხლიან კვალზე, რომ ამავე დროს დიონისეს ყვავილოვან შუბლს თვალს არ აშორებდა.

და თუ ვინმე შეიგრძნობდა ამ სტრიქონის, ამ მაგიური ფორმულის სიბრძნესა და სიღამაზეს, უთუოდ ანდრეი ბელიც, კიდევ ერთ თვალსაჩინო ნიმუშად რომ დაიმონებდა: აი, რაოდენ აუცილებელია ჩვენთვის, რუსთათვის, ყურადვილოთ, რაც ქართული კულტურიდან მოდისო, — და კიდევ ერთხელ მიაჩერდებოდა წარმოსახვის ძალით ამოჩენილ სურათს — იქ, სივრცეებში იესო ქრისტესა და ფრიდრიხ ნიციშეს შეხვედრასა და საუბარს... რათა შემძვრელი ნუხილით ატანილს შეეხსენებინა შთამომავალთათვის: მათი სიტყვები სხვადასხვაგვარად გვესმის, მაგრამ ჩვენს გულში ორივე ერთნაირად ვაცვით ჯვარსო.

\*\*\*

ხოლო ღმირი დიონისესი გაქვინთილა უძირო, უნაპირო, ამოუშრეტელი სევდით...

# სოკრატე „ნაკრძალი“

ამ წიგნს ოთარ ჩხეიძე ერთიხანობა სულ ხელში ატრიალებდა, ყდა ასე ორიგინალურად რომ გამოიყურებოდა: პეტრე ქავთარაძე, „თარგმანები (ბერძენი და რომაელი ავტორები)“.

თარგმანები... ასეთი ორიგინალური შეთავაზებით მკითხველთათვის — გარეკანზე მთარგმნელის გვარ-სახელი და არა ავტორებისა?

სიტყვის თამაშს ემგვანება: თარგმანები ორიგინალურად, — თუმცა ეს მხოლოდ უნებლიეთ, რადგანაც მიზანი ამ ჩანაწერისა სულ სხვაა.

წიგნი 1962 წელს გამოეცა „საბჭოთა საქართველოს“ პანტელეიმონ ბერაძის რედაქციითა და შენიშვნებით.

მოკლე წინათქმად კი წამძღვარებოდა გერონტი ქიქოძის მიერ შედგენილი ტექსტი, ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად ამ გამოცემის მნიშვნელობასა და მთარგმნელის ლიტერატურულ-კულტურულ ღვაწლს რომ წარმოაჩენდა.

პეტრე ბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლისას რომ დაქორწინდებოდა, ეს ახალშექმნილი ოჯახი პატარა კულტურულ ცენტრად და თავშესაყარად გადაიქცეოდა მონიწივე ქართველი ახალგაზრდობისათვის.

პეტრე ბურგში ყოფნისას პეტრე ქავთარაძე გააღრმავებდა თავის ცოდნას ბერძნული და ლათინური ენებისა და დაიწყო მასალების შეგროვებასა და დამუშავებას რუსულ-ქართული ლექსიკონისა და იურიდიული ტერმინოლოგიისათვის. მის მრავალმხრივ ინტერესებს კი ადასტურებდა თუნდ ის ეპიზოდები, როდესაც პეტრე ბურგის ქართველი სტუდენტობა გადანყვებდა დადგმას ალექსანდრე სუმბათაშვილის ტრაგედიისა „ლალატი“, პეტრე მხურვალე მონაწილეობას რომ მიიღებდა ამ დადგმაში და წარმატებითაც შეასრულებდა ოთარბეგის როლს.

საერთოდ მას ყოველთვის აინტერესებდა ქართული თეატრის ბედი, ყოველთვის იცავდა კლასიკური სკოლის ტრადიციებს და ცხარედ ებრძოდა ყოველგვარ მოდერნისტულ გადახრას.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნაფიც დამცველთა კოლეგიაში რომ ჩაენერებოდა და სწორად გამოვიდოდა დიდ პროცესებზე, სადაც ყურადღებას მიიპყრობდა თავისი ცოდნით, რკინისებური ლოგიკითა და ბრწყინვალე ორატორული ნიჭით, ამასთან, მისი ბინა გადაიქცეოდა ნამდვილ ლიტერატურულ სალონად, სადაც თავს მოიყრიდნენ საუკეთესო ქართველი ინტელიგენტები.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანაში პეტრე ქავთარაძე ოპოზიციაში ჩაუდგებოდა მთავრობას და პავლე საყვარელიძისთან ერთად უხელმძღვანელებდა ეგრეთწოდებულ „ალიონის“ ჯგუფს.

გარკვეულ მიზეზთა გამო გერონტი ქიქოძე მოერიდებოდა აღნიშვნას, რომ პეტრე ქავთარაძე (და მასთან ერთად თვითონაც) გახლდათ წვერი მიხეილ ჯავახიშვილის თაოსნობით 1927 წელს დაარსებული ლიტერატურული ასოციაციისა „არიფიონი“, რომელიც ყურნალის ერთი ნომრის გამოცემას თუ მოასწრებდა და... კიდევ ამოხდიდა სულს ხელისუფლებას.

ბერძნული და ლათინური ენებიდან თარგმნიდა სოფოკლეს ტრაგედიებს „ოიდიპოს მეფე“ და „ანტიგონე“, პლატონის დიალოგს „კრიტონი“ და „სოკრატეს აპოლოგიას“, აგრეთვე რამდენიმე მნიშვნელოვან ნაწყვეტს ციცერონის ორატორულ გამოვლენებიდან და ლისიას სასამართლო სიტყვებიდან, სალუსტიუსისა და ოვიდიუსის თხზულებებიდან.

როდესაც ხელისუფლების გადანყვებილების თანახმად, 1933 წელს თავს მოიყრიდა გამოჩენილ მეცნიერთა და ლიტერატორთა ჯგუფი ახალი რუსულ-ქართული ლექსიკონის შესადგენად, რედაქტორად პეტრე ქავთარაძე დაინიშნებოდა. და არამარტო რედაქციას გაუკეთებდა მთელს ლექსიკურ მასალას, არამედ იკისრებდა ფრაზეოლოგიისა და მაგალითების დამატებასაც. ეს გამოცემა შეფასდებოდა დიდ ნაბიჯად დავით ჩუბინიშვილის ცნობილი ლექსიკონის შემდგომ, და გერონტი ქიქოძე არც ამ ქებას დაიშურებდა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1937 წელს გამოცემული ამ მნიშვნელოვანი ძეგლის აგებაში პეტრე ქავთარაძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის და მას გვერდს ვერ აუხვევს ქართული ლექსიკოგრაფიის შემდგომი განვითარება.

თარგმანების ამ გამოცემას კი პანტელეიმონ ბერაძე რომ დაურთავდა განმარტებებსა და შენიშვნებს, ერთადერთი გამონაკლისი „სოკრატეს აპოლოგია“ აღმოჩნდებოდა, თვითონ მთარგმნელს რომ მოემზადებინა სამეცნიერო აპარატურა, და სწორედ ამ საკაცობრიო ძეგლის გამო დაინტერესდებოდა ოთარ ჩხეიძე ამ წიგნით, იმუშადა პლატონის ამ თხზულების სხვა ქართული ვერსია რომ არ მოგვეპოვებოდა, არადა მწერალი დაისაჭიროებდა აქედან მოზრდილი ფრაგმენტების ჩართვას 1970 წელს შექმნილ რომანში „ნაკრძალი“.

მის ნაქონ ეგზემპლარში ფრჩხილით არის ჩახაზულ-მონიშნული ის მონაკვეთები, რომანში რომ უნდა გადასულიყო, საბოლოოდ კიდევ რომ შეკვეცავდა ზოგიერთ ადგილს.

თავიდან პირდაპირაც გადაიტანდა ამ შერჩეულ ნაწყვეტებს თხრობაში, მაგრამ გადაბეჭდვისას რალაც-რალაცები ეხამუშებოდა და თავს ნებას მისცემდა ჩარეულიყო — მეცნიერულ ნაშრომს ხომ არ ადგენდა, რომანს წერდა და ამიტომაც აღარ მიიჩნევდა აუცილებლად, რომ საგანგებოდ აღენიშნა, ძირითად წყაროდ მაინც პეტრე ქავთარაძის თარგმანს რომ იყენებდა, თავის მიერ საფუძვლიანად რედაქტირებულს, ამ პროცესში კი რუსულ თარგმანსაც ჩახედავდა და ბერძნულ ორიგინალთანაც შეეცდებოდა შეჯერება-შენამებას.

ბერძნულ ორიგინალთან ერთგულების თვალსაზრისით, ქართული ვერსია სანდოდ გამოიყურებოდა და მისით სარგებლობა გამართლებული გახლდათ.

საფუძვლიანად...

ეს იმიტომ, ჩარევა ხან რედაქციული რომ იქნებოდა, ხანაც — უფრო მეტი: ისე გამართავდა ცალკეულ სტრიქონებსა თუ პასაჟებს, მასთან შედარებით პირველწყარო პნკარედადლა გამოჩნდებოდა.

აგერ პეტრე ქავთარაძეს ასე გადმოჰქონდა სოკრატეს თავდასაცავი სიტყვის ეს მონაკვეთი:

— და თუ დალუპვა მიწერია, სწორედ ეს დამლუპავს... უმრავლესობის სიძულვილი და შური, მრავალი სხვა ჩინებული ვაჟკაცი რომ დაულუპავს და, ვფიქრობ, კიდევ დაჰლუპავს. დიდი უბედურება არ იქნებოდა ეს ამბავი ჩემზედ რომ დასრულდებოდა. იქნება ვინმემ მითხრას: „როგორ არ გრცხვენია, სოკრატე, ისეთი საქმისათვის მოგიკიდნია ხელი, რომ ამის მიზეზით შენ შეიძლება ეხლა სიკვდილი მოგეღოს“. პასუხად ამისა სამართლიანად მივუგებდი: კარგად არ ლაპარაკობ, მაგას, ადამიანო, თუ ჰფიქრობ, რომ კაცს, რომელსაც შეუძლია ცოტადრე მაინც სასარგებლო იქმნეს, უნდა აფიქრებდეს სიკვდილ-სიცოცხლის შიში. თუ რასმე მოსაქმეობს, მას მარტოდენ ის უნდა ეზრუნებოდეს, სამართლიანად იღვნის თუ უსამართლოდ, კარგი კაცის საქმეს აკეთებს თუ ავი კაცისას...

ოთარ ჩხეიძე კი ასე ამჯობინებდა:

— და თუ დალუპვა მიწერია, სწორედ ეს დამლუპავს... უმრავლესობის სიძულვილი და შური, დამლუპავს იგივე, მრავალი ჩინებული ვაჟკაცი რომ დაულუპავს ჩემს გარდაია, დაუ-

ღუპავს და კიდევაც დაჰპლუპავს. დიდი უბედურება არ იქნებოდა, მე რომ ვყოფილიყავი უკანასკნელი მსხვერპლი შური-სა. ეგება ვინმეს ისიც წამოსცდეს, — რად მოგიკიდია ხელი ისეთი საქმისათვის, რომ ვინ უწყის, სიკვდილიც მოგელისო. მაშინ პასუხად ასე მივუგებდი: მართალი არა ხარ, შე კაი კაცო, თუ ადამიანს სიკეთის მოტანა შეუძლიან, არ უნდა შეეჭმევინოს სიკვდილ-სიცოცხლის ფიქრსა. არა, თუ რამეს აკეთებს, მხოლოდ და მხოლოდ ის უნდა აფიქრებდეს, კარგსა სწადის თუ ავსა, სიმართლისათვის იღვწის თუ უსამართლობისთვისა...

აშკარად გადანონის სისხარტიცა, ექსპრესიითაც და, რაც მთავარია, სოკრატული სულით, ამასთან, იმ სენტიმენტის მიგნება-გამორჩევითაც სოკრატეს ნაუბარში, ქართულადაც ანდაზასავით რომ უნდა გაისმას:

— თუ ადამიანს სიკეთის მოტანა შეუძლიან, არ უნდა შეეჭმევინოს სიკვდილ-სიცოცხლის ფიქრსა.

სიღრმითა და დახვეწილობით მაჩაბლურ სტრიქონს რომ გაგვახსენებს უნებლიეთ, თუნდაც ამას:

— ბოროტი კაცი დანიამიც ბოროტი არის!..

ისე გამტყუნებითაც ვერ გამტყუნებთ თარგმანის ასპარეზზე გამოსულ კაცს, მაჩაბლურად რატომ არ შეგიძლია სიტყვისა თუ ფრაზის მოქნევაო.

აგერ ამ მონაკვეთს პეტრე ქავთარაძე ასე გადმოიტანდა:

— იქნება, მოქალაქენო, თქვენ ფიქრობთ, რომ მე საჭიროდ მიმაჩნია ყველაფერი მეთქვა და მექნა, რათა სასჯელი თავს ამეცილებინა, მაგრამ სიტყვები აღარ მეყო, რომ თქვენ დამერწმუნებინეთ და ამიტომ ვისჯები? სრულიად არა. მე ვისჯები არა სიტყვების ნაკლებობის გამო, არამედ კადნიერების და ურცხვობის უქონლობის მიზეზით, რომ არ მისურდა ის მეთქვა თქვენს წინაშე, რასაც თქვენ საიმედოებით მოისმენდით, — გოდებოდა და ცრემლთა თხევით მექნა და მელაპარაკნა სხვაც ბევრი რამ, რაც, როგორც ვამტკიცებ, არ მეკადრება და რის მოსმენასაც სხვებისგან თქვენ მიჩვეული ხართ. მაგრამ მე მაშინაც ვფიქრობდი, რომ საშიშროების წინაშე არაფერი უმართებულო არ უნდა მოვიმოქმედო, და არც ახლა ვნანობ, რომ თავს ამნაირად ვიცავდი, ვინაიდან მიჩვევით ამნაირად დავიცვა თავი და მოვკვდე, ვიდრე სხვანაირად და ვიცოცხლო... ბევრი სხვა ხერხია, რომ ადამიანი ყოველგვარ საშიშროებაში სიკვდილს გადარჩეს, თუ არავითარ საქმესა და სიტყვას არ ითაკილებს. მაგრამ, მოქალაქენო, ის კი არ არის ძნელი, რომ სიკვდილს გადარჩე, არამედ უმეტეს უძნელესია გადარჩე სირცხვილს, ვინაიდან იგი სიკვდილზედ უფრო ჩქარა შეეყრება ხოლმე ადამიანს...

მაგრამ ოთარ ჩხეიძე ამგვარად ამჯობინებდა:

— იქნებ თქვენ ფიქრობთ, მოქალაქენო, თითქოს ვცდილობდი, ისე მეთქვა და შემოქმედა, რომ სასჯელიდან გამომეძვრინა თავი, მაგრამ თითქოს სიტყვები აღარ მეყო თქვენს დასარწმუნებლად და ამიტომაც ვისჯები? არა, ათენელნო, სიტყვების უკმარობის გამო როდი ვისჯები, ვისჯები იმიტომ, ურცხვი და კადნიერი რომ არა ვარ, რომ არ ვამბობ იმას, ნეტარებით რასაც მოისმენთ, რომ არა ვგოდებ თქვენს წინაშე, ცრემლს რომ არ ვანთხევ, არ გვედრებით მუხლმოყრილი, რაც მე არ მეკადრება და რასაც სხვათაგან მიჩვეულნი ხართ, მაშინაცა ვფიქრობდი, საშიშროებამ ცუდი არაფერი უნდა ჩაადენინოს კაცსა-მეთქი და ახლაც არა ვნანობ, თავს რომ ვიცავ ამნაირადვე, არა ვნანობ, რადგან მიჩვევის, ასე დავიცვა თავი და დაე, მოვკვდე, ვიდრე სხვანაირად, ოღონდ სიცოცხლე შევიწინარწმუნო... სხვაც ბევრი ხდება, ყოველგვარ საშიშროებაში მოხერხდება, სიკვდილს გადარჩეს ადამიანი, თუ არას ითაკილებს არცა სიტყვითა, არცა საქმითა. მაგრამ, მოქალაქენო, ძნელი ის როდია, სიკვდილს რომ გადარჩე, ძნელი ისაა, გადარჩე სირცხვილსა, რამეთუ იგი სიკვდილზე ადრე შეეყრება ადამიანსა.

თვალის ჩაველებაც საკმარისია პარალელური ტექსტებისათვის აშკარა განსხვავების აღმოსაჩენად და პნკარედისა

და სრულფასოვანი თარგმანის გასამიჯნად, ამ ფრაგმენტებისა არ იყოს, პეტრე ქავთარაძის ვერსიაში ამ სახით რომ ამოვიკითხავთ:

— თუ თქვენ ფიქრობთ, რომ კაცისმკვლელობით ვისმე დააშლევინებთ თქვენს გინებას ურიგო ცხოვრებისათვის, ტყუილი ფიქრია, ვინაიდან ასეთის გზით ხსნა არც დიდად გამოსადეგია და არც კარგია, ხოლო უკეთესი და უადვილესი მეორე გზაა — სხვის ჩაგვრას მოერიდო და თავი შენი ისე განიშალო, რომ უკეთესი იქნე. ეს მიწინასწარმეტყველებია თქვენთვის, რომელთაც გამამტყუნებთ, და გშორდებით.

ოთარ ჩხეიძის რომანში კი ამ სტრიქონებად შეგვხვდება:

— ნუ გეგონებათ, თითქოს მკვლელობით გააწყობთ რამეს, თითქოს დაიშლიან თქვენს გინებას ამა ურიგოდ მოწყობილი ცხოვრებისათვის, ნუ გეგონებათ, ამაო ფიქრია, ამით თავს ვერ იხსნით და არცთუ კარგია ასეთი თავდახსნა, უკეთესი და უადვილესი სხვა გზა არის, გზა იმისა, რომ თავი დაანებოთ სხვათა ჩაგვრასა, მოიქცეთ ისე, რომ იყვეთ უკეთესნი. ეს მითქვამს თქვენთვის, ვინც გამამტყუნებს, მითქვამს და გშორდებით.

ან პეტრე ქავთარაძის ვერსიაში ამ ფრაზებად რომ დალაგებულ:

— მათი ასეთი საქციელი გაკიცხვის ღირსია, მაგრამ მიუხედავად ამისა მე მაინც ვთხოვ მათ: ჩემი შვილები რომ წამოიზრდებიან, მოქალაქენო, დასაჯეთ ისინი, შეავინროეთ ისე, როგორც მე თქვენ გავინროებდით. თუ დაინახოთ, რომ ფულისათვის ან სხვა რისთვისმე უფრო ზრუნავენ, ვიდრე სათნოებისათვის; თუ ისინი იფიქრებენ, თითქო რაღაც არიან, არაფერი კი არ იქნებიან, გაჰკიცხეთ, როგორც გკიცხავდით მე, რომ არა ზრუნავენ იმისათვის, რისთვისაც ჯერ არს ზრუნვა, და ფიქრობენ, თითქო რაღაცას წარმოადგენენ, ნამდვილად კი არაფრად ღირან. თუ თქვენ ასე მოიქცევით, მე და ჩემს შვილებს თქვენგან სამართალი მოგვენიჭება. მაგრამ აი უკვე დროც არის წავიდე — მე, რათა მოვკვდე, თქვენ კი, რათა იცოცხლოთ. ვინ მიღის ჩვენში უკეთესი გზით, ეს იცის მხოლოდ ღმერთმა.

ოთარ ჩხეიძეს ამგვარად ჩაუსუფთავებია:

— თუმცა გაკიცხვის ღირსნი არიან, მაინც ერთსა ვთხოვ, ერთსა გთხოვთ მაინც ათენელნო: ჩემი შვილები რომ წამოიზრდებიან, არ მისცეთ გასაქანი, რისხვად დაატყდით, როგორც მე, ისე, თუ შეატყოთ, რომ უფრო ცდილობენ ფულის მოხვეჭას ან სხვადასხვა რამ უკეთუროებასა, ვიდრე სიკეთისა, თუ შეატყოთ, რომ თავს მაღლა სწევენ, რაღაცა ჰგონიათ თავი, ხოლო სინამდვილეში არარაინი არიან, გაჰკიცხეთ ისე, ვითარცა მე გამიკიცხისხართ, თუ შეატყოთ, რომ ზრუნავენ იმას, რაც არა ჰქონდა საზრუნველად, ხოლო ჭკუმარტი საზრუნავი თუ დაჰვინყვით, გაჰკიცხეთ-მეთქი, არ დაანებოთ. თუ ასე მოიქცევით, სამართალი მოგვენიჭება მეცა და ჩემს შვილებსაცა. მაგრამ აი, დრო დადგა, უნდა წავიდე — მე, რათა მოვკვდე, თქვენ, რათა იცოცხლოთ, ხოლო ვინ უფრო უკეთესი გზით მიღის, ეს უწყის ღმერთმა!..

განსხვავება ამ ორი ვერსიისა კიდევ უფრო მკვეთრად და სახიერად წარმოჩნდება, მთლიანად რომ შეუღარდეს „ნაკრძალში“ გამოყენებული ადგილები მის ქართულსავე პირველწყაროს, და წარმოიდგინეთ, კიდევ რაოდენ შთამბეჭქდავი იქნებოდა დაცლილება მათ შორის... ოთარ ჩხეიძეს ხელი რომ მოეკიდა პლატონის ამ ქმნილების თარგმნისათვის.

მახსოვს, როგორ შევაგულიანებდი საამისოდ.

გაცივებდა:

— „სოკრატეს აპოლოგიასაც“ ბაჩანა ბრეგვაძე მიხედავს და ბრწყინვალედაც მიხედავს.

ძალიან აფასებდა მის სამწერლო-მთარგმნელობით ღვაწლს და მერე და მერე მთანმინდელებისაგან აღარც განარჩევდა. და ელოდა იმ დღეს, როდესაც პლატონის ყველა დიალოგი იმისი გარჯით ამტყვევლებოდა ქართულად და გვირგვინად დაადგებოდა „სოკრატეს აპოლოგია“.

მარამ ნურც პეტრე ქავთარაძეს დაუკარგავთ თავის მოდომებას.

ბაჩანა ბრეგვაძისეული ვერსიის გამოჩენამდე იმისი ნახე-ლავი დაუშომინებდა ჩვენს მკითხველს ცნობისნადილს.

მერეა და, „ნაკრძალისათვის“ ძალიან ნაადგებოდა ოთარ ჩხე-იძეს, და თუ უფრო სრულყოფდა რომანის ფურცლებზე გადატა-ნისას, უპირველესად ხომ მაინც ამ ვერსიას ატრიალებდა ხელთ და ბერძნულ ორიგინალთან შედარებასაც ის უადვილებდა.

პერსონაჟი რომ აღტაცებულია ამ სიტყვით და გუნებაში ლამის თავით ბოლომდეც იმეორებს, სოფრომ ბროძელის განცდას თავისასაც შეურევდა მწერალი, და იმას ბერძნული ორიგინალის სტრიქონებიც თავისთავად რომ წამოუტივტივ-დება მესხიერებაში, ესეც იმიტომ, ოთარ ჩხეიძეს რომ არ ავიწყებოდა „სოკრატეს აპოლოგიის“ ზოგიერთი პასაჟი ბერძნულადვე, და განა რა დაშავდებოდა, პერსონაჟსაც რომ გაემეორებინა მწერლის ეს განწყობილება?!

დაშავდებოდა კი არა, ეფექტურადაც შემოვიდოდა თბრო-ბაში ბერძნული ფრაზები, როგორც ყველაზე მძაფრი მამხი-ლებელი პლაგიატორთა კიდევ ერთი უკეთურობისა, თვით პლატონის ამ შედეგის მითვისებასაც რომ აღარ უშინდე-ბოდნენ, თორემ თავილობით, აბა, რას ითაკილებდნენ.

და ჩვენთვისაც ამ საკაცობრიო ძეგლისა თუ მისი ცალკეული ამონარიდების გახსენება არასოდეს იქნება ზედმეტი — მკითხ-ველისათვის საერთოდ და ქართველი მკითხველისათვის კერ-ძოდ, უკეთესს ბევრს ვერაფერს შევიმეცნებთ თუ შევითვისებთ, ნესითა და კანონით, ლამის ზუპირადაც რომ უნდა ვიცოდეთ.

ბევრ სხვა სასიკეთო რჩევასა და შეგონებასთან ერთად დემოკრატისა და დემოკრატთა ნამდვილ ბუნებასაც წარ-მოგიჩინეს „სოკრატეს აპოლოგია“, მომხიბლავი გარეგნობის მიღმა ჩამალულ სიავსა და უკეთურობას, და საგნებით ბუ-ნებრივად მოგვეჩვენება, რომ როგორც ათენურმა დემოკრა-ტიზმმა და ათენელმა დემოკრატებმა იმსხვერპლეს სოკრა-ტე, ისე ქართულმა დემოკრატისმმა და ქართველმა დემოკ-რატებმა გაიმეტეს სასიკვდილოდ ილია ჭავჭავაძე.

და სოკრატეს ამაყ, ლალ თავდაჯერებასა და თავგანნი-რულ სულისკვეთებაში ამიტომაც მოგვესმის ილიას ლაღადი-სი, ისევე ამაყი და ლალი, და განწირულის სულისკვეთებით გაბრწყინებულ-გადაცისკროვნებულნი.

\*\*\*

მაჩაბლურ სტრიქონებს გაგვახსენებს უნებლიეთო...

ბრძოლის დანყების წინ გლადიატორთა რიტუალური შე-დახილის გაქართულება რომ დასჭირდებოდა ოთარ ჩხეიძეს რომანისათვის „ტინის ხიდი“, აი, იმის, ამ სახით რომ ამოგვი-კითხავს რომის ცხოვრებისადმი მიძღვნილ თხზულებებში:

— სალამი, კეისარო, სასიკვდილოდ მიმავალნი გესალმე-ბიან შენ!

პნკარედად მიიჩნევა, არა უკეთესად, და თვითონვე შე-ეცდებოდა მისთვის მწერლური სიცოცხლის მინიჭებას, მუ-სიოს ლათინურადვე რომ წარმოათქმევიანებდა, სქოლიოში კი ამგვარად განმარტავდა:

— დიდება შენდა, კეისარო, შენ გესალმებით სასიკვდი-ლოდ განწირულები.

...არა, ყველას რატომ უნდა მოსთხოვო მაჩაბლური მოქ-ნევა სიტყვისა და ფრაზისა, თორემ კი...

\*\*\*

ხოლო „ლანდების“ ეპიგრაფადაც პლატონურ სტრიქონს რომ მოიშველიებდა, ორ სხვადასხვა გამოცემაში მცირეოდე-ნი ცვლილებით რომ გვხვდება...

თუმც რაღაც შორს გაუფიქრე.

ეს ჩანანური ხომ მარტოდენ იმიტომ შეიქმნა, პეტრე ქავ-თარაძის მიერ თარგმნილი ბერძენი და რომაელი ავტორები



მხატვარი ოლესია თავაძე

რომ მომყვა ხელთ ყელქცეულში მამაჩემის ბიბლიოთეკის, ვინ უწყის, მერამდენე თვალიერებისას, და ფრჩხილით ჩახაზულმა რამდენიმე გვერდმა ძალაუნებურად წამოატივტივა ზოგიერ-თი ნუთი და დღე და ის განცდა... რომ ეგებ „სოკრატეს აპო-ლოგიამ“ მაინც შეგვაგნებინოს დემოკრატის არსი, პირველი რესპუბლიკა რომ შთაგვინთქა, მეორის არსებობის ხანაში კი-ნაღამ გაგვიქარწყლა ეროვნული ნიშან-თვისებები და თვითმ-ყოფადობა და რის ვაი-ვაგლახით გამოვალნიეთ გველემპაპის წიაღს, ახალამოგებული სახელმწიფო კი ძალიან შეგვირყია და კინაღამ გადაიყოლა, და ჯერჯერობითაც ნავივით გვაქანა-ვებს აქეთ-იქით, ვიდრე... ვიდრე... მიზეზი პლატონის ამ შე-დევრშიც თვალსაჩინოდ წარმოსახულა, ოღონდ გულისყური უნდა მივაპყროთ სოკრატეს ლაღადისს, შიგადაშიგ ამ ხვეწნა-გამორეულს: ნუ ხმაურობთ, ათენელნო!... — და ამ წინასწარჭ-ვრეტითა და გაფრთხილებით განმსჭვალულს:

— ვინც მე გამამტყუნებს, ვფიცავ ზევსს, საშინელი შუ-რისძიება მოველინება...

\*\*\*

ნუ ხმაურობთ, ათენელნო!..  
თუმც... ნეტა ვის ვხედავ ათენელს?!

\*\*\*

ეგება ვინმეს ისიც წამოსცდეს: რად მოგიკიდია ხელი ისე-თი საქმისათვის, რომ ვინ უწყის, სიკვდილიც მოგელისო?

პასუხის მოსაძებნად ოდნავი დაფიქრებაც აღარ არის საჭი-რო, რაკილა მზამზარეული უანდერძებიათ ჯერ კიდევ როდიდან: მართალი არა ხარ, შე კაი კაცო, თუ ადამიანს სიკეთის მოტანა შეუძლიან, არ უნდა შეეჭმევიანოს სიკვდილ-სიცოცხლის ფიქრსა.

\*\*\*

თქვენ ოღონდ... ოღონდ ნუ ხმაურობთ... ნუ ხმაურობთ, ათენელნო!..

ემზარ კვიციანი

# მხატვრული თარგმანის დიდოსტატი

ვინც თანამედროვე ქართულ მწერლობას რამდენადმე იცნობს, ყველამ იცის — თამაზ ჩხენკელი ბევრს და ხელამოდ თარგმნიდა (პოეზია, ესეები, გამოკვლევები) და ყველაფერს მისი უზადო ოსტატობის ტვიფარი აზის. გულში ერთგვარ ხინჯად მრჩება, რომ ჩემი სიყვარულისა და მადლიერების გამოხატვა ამ ძვირფასი ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მიწვევს.

განსვენებულის მთარგმნელობითი მოღვაწეობის უთვალსა-ჩინოეს ნაყოფად სამართლიანად ითვლება ტანის ეპოქის (618-907) უდიდესი ჩინელი პოეტის ბო ძიუ-ის (762-846) ლირიკა. ჩინეთში იგი დღემდე ადამიანისა და შემოქმედის ეტალონად ითვლება.

აღსანიშნავია თუ რაოდენ შესამჩნევ გავლენას ახდენდა თვითმყოფად იაპონურ კულტურაზე ჩინური ხელოვნება, კერძოდ, პოეზია. ძველი იაპონელი პოეტები, პროზაიკოსები, ესეისტები თუ ფილოსოფოსები თავიანთ ნაწარმოებში ყველაზე ხშირად ბო ძიუ-ის სტრიქონებს იმონებდნენ და ეს გარემოე-ბა მრავალ რამეზე მეტყველებს.

მთლიანად ბო ძიუ-ის სტრიქონებითაა გაჯერებული მეთავე სა-უკუნის გენიალური იაპონელი მწერლის, იმპერატორის სეფექა-ლის მურასაკი სიკიბუს შუადარებელი რომანი „გენძი-მონოგატა-რი“. მასში იმდენი მინიშნებაა ბო ძიუ-ის ლექსებსა და პოემებზე (ეს უმთავრესად გამორთა სულიერი სამყაროს საჩვენებლად, სასურველი განწყობილების შესაქმნელად ხდება) აღრიცხვაა ჭირს.

უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი (მაშინ მხოლოდ სალმით ვიცნობდი თამაზ ჩხენკელს), როცა „სახელგამის“ მიერ 1956 წელს გამოცემული ბო ძიუ-ის ლექსები შევიძინე და დღემდე ცალკე მაქვს შენახული. იმ დროის პირობაზე, გრაფიკულ ორნა-მენტებით, კარგად, ფაქიზი გემოვნებით არის გაფორმებული ეს მცირე ზომის წიგნი. გარეკანის შავ ფონზე წითლადაა გაკლავნი-ლი ბამბუკის წვრილი ტოტი. შრიფტებიც გემოვნებითაა შერჩეუ-ლი. მთავარი, ცხადია, ის ანდამატურად მიმზიდველი ტექსტია, ამ სადა გარეკანში რომ არის მოქცეული. თამაზ ჩხენკელი გამოჩე-ნილი რუსი სინოლოგის ეიდლინის ურითმო ლექსით შესრულე-ბულ თარგმანებს დაეყრდნო. მან ახალი სული შთაბერა ბო ძიუ-ის ლირიკას და იგი ქართული პოეზიის კუთვნილებად აქცია.

კრებულს დართული აქვს თამაზ ჩხენკელის სიყრმის მე-გობრის, ნაადრევად დაღუპული უნიჭიერესი ლიტერატორის კარლო ქილარჯიანის წინასიტყვა, რომელშიც იგი ჩინური ხე-ლოვნების, პოეზიისა და ფილოსოფიის შესაშურ ცოდნას ავ-ლენს. აქ ბევრი საყურადღებო აზრია გამოთქმული, მაგრამ მე მხოლოდ ერთ მცირე ნაწყვეტს მოვიხმობ:

„ბო ძიუ-ის დახვეწილი ლირიკის თემა უპირატესად ადამი-ანი და მისი განწყობილებანი. ძუე-ძუის უანრით დანერგული მი-სი ლექსები მსოფლიო პოეზიის ბრწყინვალე შედეგებად უნდა ჩაითვალოს. სულიერ განწყობილებათა უფაქიზესი ნიუანსები-სა და პეიზაჟის მინიატურული დეტალების დახატვაში მას ბა-დალი არ მოეპოვება. საერთოდ, მინიატურული სტილი დამახა-სიათებელია ჩინური ხელოვნებისა და პოეზიისათვის. მონუ-მენტური შეიძლება იყოს მხოლოდ განწყობა და ღრმა ესთეტი-კური ზემოქმედება, რომელსაც ბო ძიუ-ის ლექსები იწვევს“.

მე და ჩემმა მეგობრებმა ზეპირად ვიცოდით ამ წიგნის არაერ-თი შედეგრი. ხშირად უკვდავი შემოქმედის ლექსის სათაურშივე იგრძნობა უმაღლესი, სულის შემძრავი პოეზია, რომლის ალსაქ-

მელადაც უკვე შემზადებულები ვართ. თავად მთელი ცხოვრება დიდ მოხელედ ნამსახურმა, კარგად იცის თავისი და გარშემო მყოფთა ფასი. თამამად უსწორებს თვალს მარადისობასაც და ნარმავლობასაც — უეცრად მონოლილ განცდას ასე ასათაუ-რებს: „ლოკაუს სადგურის კედელზე ჩემს მიერ დიდი ხნის წინათ მიწერილი ლექსები“. რაც ამას მოსდევს, იმდენად შთამბეჭდავია და ისე ცხადად ხედავ პოეზიის ზეციური მადლის მცოდნე „ხელ-მწიფის კაცს“, რომ ყოველგვარი სურვილი გეკარგება ამ გამო-ზომილად, მომჭირნედ ნათქვამს, რაიმე დაამატო. განსამარტავი, გასამიფრავი აქ არაფერია და რასაც თვალს სუნთქვაშეკრული, მღელვარედ ჩააყოლებ, სამუდამოდ გამახსოვრდება:

**კედელზე მიწერილ ჩემს მდარე ლექსებს  
კაცთა მოდგმისათვის არა აქვს ფასი.**

**ნიშანთა მწკრივი დაჰფარა მტვერმა  
და ჟამთავლისაგან მოედო ხავსი.**

**მხოლოდ იუანი — ხელმწიფის კაცი,  
სტრიქონებში რომ ღრმა განცდებს ეძებს,**

**არ ინდობს თავის ძვირფას მოსასხამს,  
აშორებს მტვერს და კითხულობს ლექსებს.**

სხვა შემთხვევაში ბო ძიუ-ის თვითონ უწევს იმ „ხელმწიფის კა-ცის“ დარად მოქცევა; სამაგიეროს მიაგებს გულითად მეგობარს, რასაც ამავე ყაიდისა და სულისკვეთების ლექსიდან ვიგებთ: „ლინ-ცაოში საფოსტო სადგურის კედელზე იუან მეცხრის ლექსები და-ვინახე“. გულს გული იცნობს და შემოდგომის ქარბუქიან დღეს, შინ მიმავალი, დროდადრო ჩერდება, რათა მივარდნილი სადგუ-რის კედელზე მისი სულის მონათესავე ლექსები ამოიკითხოს. ბო-ლო ოთხ სტრიქონში მძაფრად იგრძნობა ეს სასიამოვნო ფორიაქი:

**გზაზე სადგურების ზღუდე რომ შემხვდება,  
ჩამოვქვეითდები უმაღლ.**

**სვეტებს გარს ვუვლი და ვაკვირდები კედლებს —  
შენს ლექსებს დავეძებ ჩუმაღ.**

„ჩან-ანის გაზაფხული“ ერთ მარტივ რითმაზეა განწყობი-ლი, განწყობილებაც ასეთივე გამჭოლი და მთლიანია — ლი-რიზმი მსუბუქ ირონიასთან შეზავებული. ლექსში ძველი სა-ტახტო ქალაქის გარემოა დახატული. საგრძნობია ის ენით უთქმელი იდუმალეობა და ნეტარება, კლასიკურ სისადავესთან ბედნიერად შეხამებული, რაც თავიდან ბოლომდე უნაკლოდ შეინარჩუნა მთარგმნელმა:

**ცინის კარიბჭეთა ტირიფის შტონი  
დახრილან, არა აქვთ ძალი.**

**აღმოსავლის ქარმა ოქროდ გადუქცია  
იმ ტირიფს ფოთლები მკრთალი.**

**სიმაგრე აკლია მანდაურ ღვინოს,  
მაღევე ფხიზლდება მთვრალი —**

**ვერაფრით დაიცხრო გაზაფხულის სევდა,  
ველარც აარიდო თვალი.**

ბო ძიუ-ის ლირიკაში განსაკუთრებით უხვად, ნაირფერად არის წარმოდგენილი მცენარეთა სამყარო, ყვავილები, რაც პოეტს ბუნების უპირველეს მშვენიერებად ესახება და ყოველ-თვის მწვავედ განიცდის სტიქიისგან მათ იავარყოფას. ეს მთე-ლი სისავსით გამოჩნდა უაღრესად ნატიფ, ნალვლიან ლექსში „ყვავილები მეზრალეობა“. მასში მთავარ აკორდად გაისმის მო-ლალურის გაბზული, სმენის დამატკბობელი ჟღერტული, რო-

მელსაც ქარამოტით დარბეული ხეების მხრიდან გამოძახილი არ მოჰყვება. აქ უცნაური ფრინველის მიმართ გამოყენებულია ძალზე მარჯვე, იშვიათი ებითეტი — „სიტყვამრავალი“, სხვაგან არსად რომ არ შეგხვედრივარ ასეთ კონტექსტში. იგი ზუსტად გამოხატავს ამ ფრთოსნის დაუცხრომელ, ყველა ჩიტისგან განსხვავებულ გალობას ბუნების წიაღში. სურათები ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რაც აძლიერებს ექსპრესიას. ბო ძიუ-ის პეიზაჟები არასოდეს არაა განყენებული და მათში მუდამ იკვეთება მეორე პლანი, რითაც პოეტი ამბობს მთავარ სათქმელს. წინამდებარე ლექსიც ამის დასტურია:

**ბრალია, რომ მშვენთა და უნახესათვის  
სწორედ ახლა მოდგა ყვავილების ჟამი.**

**სულ ცოტახნის წინათ ბობოქარმა ქარმა  
შტოებს მოაძარცვა ყვავილები ღამით.**

**ანცმა მოლალურმა დღევანდელი დილით,  
როცა ნახა ძველი სანახების ფარჩა —**

**მან ენამრავალმა, რაც იქ იგალობა,  
შიშველ ხეთა შორის უპასუხოდ დარჩა.**

ტონალობით, ფერადოვნებით, ფრაზათა მიმოხრით უნაკლოა და ამავე თემას აღრმავებს, ამდიდრებს „ატმის ყვავილები და-ლინის ტაძარში“. სიზმარს, ზღაპარს გვაგონებს შორეულ სავანეში ნაგვიანევი გაზაფხულის თვალისმომჭრელად აბრიალება. პოეტი წელიწადის დროთა პერსონიფიციკრებას ახდენს, რაც მისი დროის ჩინეთში უჩვეულო სითამამე და სიახლე იყო. რვავე სტრიქონი მთლიანად ამოსანერია, რათა სრულად შევიგრძნოთ ამ დიდებული ქმნილების მომხიბლაობა:

**ყვავილებს მაისში ალო ეწურებათ  
ჩვენთან და ვარდობა ილევა.**

**ხოლო მთის ტაძარში ვარდისფრად ახლახან  
იფეთქეს ატმის ყვავილებმა.**

**მე ვბრაზობ: ალბათ შინ დაბრუნდა, უკვალოდ  
რომ გაქრა ზაფხული შრიალა:**

**ამ ჩუმი ტაძარის ბჭესთან გზად გავლილმა,  
ვინ იცის, აქ შემოიარა.**

გაზაფხულის ბოლო დღეს დაუნერია ბო ძიუ-ის სევდიანად ნაქსოვი ლექსი „გოდოლი, საიდანაც გამგზავრებულთ უმზერენ“, რომელიც იმჟამად გადასახლებულ უერთგულეს მეგობარს, პოეტ იუან ჯენს, იმავე იუან მეცხრეს ეძღვნება. ლექსში ნახსენებია ძიანანში მდებარე სახლი, სადაც ადრე იუან ჯენი ცხოვრობდა და გოდოლიდან მოჩანს „დაცვენილ ყვავილთა ველი“, თვალს აყოლებენ იმ სახლიდან გასულ, ლელიანში მიმავალ ახლობლებს. ის სახლი ახლაც სტუმრის მონატრულია. ეს გარემოება გვახსენებს ჩვენს ცნობილ ხალხურ ლექსს, სადაც მთიან მხარეში მცხოვრებ ადამიანს, მასპინძელს, უჭირს სასურველ სტუმართან განშორება:


**ნუ ნახვალ, კარგო სტუმარო,  
ნუ იტყვი: ნავალ, ნავალო...  
თუ ნახვალ, თან ნამიყვანე,  
შენი ვარ განა სხვა ვარო.**

ბო ძიუ-ის ხსენებული ლექსიც ასევე ნაღვლიანად მთავრდება:

**გაზაფხულის ღვინა ორგანვე უეცრად  
დაცხრა და წავიდა უმალო.**

**სტუმრისთვის ჭმუნავენ მშობლიურ მხარეში,  
სახლისთვის შენ ჭმუნავ, სტუმარო.**

ძველ ჩინეთში მყარ ტრადიციად იქცა, რომ გამოჩენილი პოეტები ერთმანეთს გულწრფელ, სიყვარულით აღსავსე ლექსებს უძღვნიდნენ. ამის მეტყველ მაგალითად შეგვიძლია გავიხსენოთ იმავე ტანის ეპოქის უდიდესი პოეტების, ბო ძიუ-



თამაზ ჩხენკელი

ის წინამორბედთა — დუ ფუსა და ლი ბოს მიძღვნები ერთმანეთისადმი. გადასახლებაში მყოფი პოეტები ხშირად ამხნევებდნენ ურთიერთს. საერთოდ, პოეტების შორეულ, მიყრუებულ მხარეებში გადასახლება ძველ ჩინეთსა და იაპონიაში ჩვეულებრივი ამბავი იყო; მათზე განაწყენებული ხელისუფლები მრისხანებას ასე გამოხატავდნენ.

პოეტების ამგვარად დასჯა მხოლოდ აღმოსავლელი დესპოტების თვისება როდი გახლდათ. საყოველთაოდ ცნობილია — რომის ყველაზე აღმატებულმა იმპერატორმა ოქტავიანე ავგუსტუსმა რა უყო თავისი დროის სამი გენიალური რომაელი პოეტიდან ერთ-ერთს, ოვიდიუს ნაზონს; ახალგაზრდობის ზნეობრივად გამრყენელი წიგნების გამო — რომიდან გადასახლა დღევანდელი რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში, სარმატებთან, და სიცოცხლის ბოლო ათი წელი დუნაის ნაპირას, იმპერიის მიყრუებულ კუნჭულში გაატარებინა, ხოლო იმ სახელოვანი სამეულიდან ორი — ჰორაციუსი და ვერგილიუსი — დიდ პატივში ჰყავდა, ყველა პირობას უქმნიდა.

ბო ძიუ-ი იმპერატორის კარის მრჩეველი იყო, სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა არ აკლდა, მაგრამ უძლიერესი ციკლის — „ცინის ჰანგების“ დანერის შემდეგ, სადაც იგი ღარიბ-ღატაკებს, დამმეულ ადამიანებს ექომავებოდა, დაუნდობლად ამხელდა გაზულუქებულ, უზომო ჭამასმისგან ფაშგვადმობრუნებულ ბატონკაცებს; გაბოროტებული მზვობრები მას არაერთხელ დაესხნენ თავს, სიცოცხლეს უმწარებდნენ.

თამაზ ჩხენკელმა მისებური ოსტატობით თარგმნა „ცინის ჰანგების“ რამდენიმე ლექსი. მოვიტან ნაწყვეტს ერთი მათგანისა („ფაქიზად მოკაზმულნი, მაძლარ ცხენებზე ამხედრებულნი“), სადაც ხელმწიფურ ალღუმზე მყოფი ნარჩინებულნი თავაშვებულად ღრეობენ. ლექსში მარჯვედ არის გამოყენებული კონტრასტის უნივერსალური ხერხი და ეს ყველაზე მეტად ბოლო ოთხ სტრიქონში იჩენს თავს. მანამდე

პოეტი ისმენს იქაურ მცხოვრებთა მონათხრობს გალაღებულ, მოჯირითე მუქთახორათა დროსტარებაზე, აღწერილია ხორაგით დაზვინული სუფრა და ამ გაუგონარი ფუფუნების ფონზე ბო ძიუ-ი გვიჩვენებს შიმშილისგან ჭკუაზე გადასულ სოფლის მცხოვრებთ, მხეცებად რომ ქცეულან:

**სურებით მიაქვთ  
ღვინოები უშუქველესი.**

**ზღვათა და ხმელთა შექამადი  
მიაქვთ ცხრაფერი.**

**ძვირფასი ხილი —  
ფორთოხლები ღუნ-ტინის მხარის,**

**თევზები — ლინში,  
ციური ტბის წყალში ნაჭერი.**

**დანაყრდებიან,  
მოილხენენ გულდამშვიდებით,**

**შეთვრებიან და  
აენთებათ სული მოლხენით...**

**ნლევანდელ ზაფხულს  
ძიანანი გვალვამ გადანავა;**

**ადამიანი ქამენ სოფლად  
ადამიანებს.**

ბო ძიუ-ის გრძნულ სტრიქონებში ხშირია მეგობართა გულმხურვალე მონატრება, რაც მისი უფაქიზესი სულის მღელვარებასა და კეთილშობილებას გვამცნობს. მრავალთაგან უნდა გამოვაცალკევო უბრწყინვალესი ლექსი „ვიგონებ ხუეი-შუს“, რომელშიც გამოკრთის ძენ-ბუდიზმის მოძღვრების ანარეკლი, მაგრამ ფარული შრეების გამოვლენის გარეშეც გვიხილავს ეს ქმნილება, რომელსაც ლირიკისათვის ძალზე ნიშნადობლივი შეკითხვის ტონალობა აბოლოვებს; თავიდან ბოლომდე ქართულად გამართულ და აუღერებულ ლექსში სრულყოფილად არის შენარჩუნებული ორიგინალის სულისკვეთება, რაშიც უმაღლეს დავრწმუნდებით, როცა ამ თარგმანს ჩავიკითხავთ:

**მთებში ვეხეტები, მდინარეს დავყურებ,  
ლექსები თან დამაქვს მელექსეს.**

**მთვარეს შევხარი და ღვინოს ვეძალები,  
ყვავილებს დავეძებ ველებზე.**

**ექვსივე სიამე ჩემთან რომ გაიყო,  
იმ დროზე ოცნებას ვუნდები,**

**სასო მაქვს მიხდილი, ნეტავი ვიცოდე —  
ლოანში როდის დაბრუნდები.**

მცირეოდენი ყურადღებაც კი, ახლობელთა მხრიდან, სიხარულს გვრის ბო ძიუ-ის და მადლიერების გამოხატვასაც არ აგვიანებს. უკვე ხანდაზმულს, ცხოვრების თანამგზავრები შემოფანტვია; მტკივნეულად განიცდის ამას, მაგრამ არის ერთი კაცი, ვისაც მუდამ ახსოვს იგი, მზრუნველობას არ აკლებს და პოეტიც თავისებურად მიაგებს სამაგიეროს („ვმადლობ ჩაოს ჩემთვის გამოგზავნილი კაბისათვის“). ეს ლექსი მთრთოლოვარე სულის გამოძახილია და ნაკითხვისთანავე გამახსოვრდება, უცნაურად გაღლეებს, შენი ცხოვრების ნაწილი ხდება:

**ცოტანილა დავრჩით მეგობრები ძველი,  
გულზე თითქო მძიმე შემომადგა ლოდი.**

**სადაც უნდა ვიყო, მონყენაა ყველგან,  
ბარათებიც უკვე იშვიათად მომდის.**

**მხოლოდ ერთადერთი, ღირსეული ჩაო  
არ ივინყებს ძველი ამხანაგის ამბავს —**

**მე ჯერ გაზაფხულის ჩაი არ შემეცვა,  
რომ გამომიგზავნა შემოდგომის კაბა.**

ყველა კარგ ლექსს ვერ ჩაუვლრმავდები და, ამდენად, გზადაგზა, მონიშნულთა გამოსწორვაც მიწევს. ძნელია, როცა უახლოესი ადამიანის სახელს, ვისთანაც ბევრი რამ გაკავშირებდა, უეცრად საფლავის ლოდზე გადანაცვლებულს ამოიკითხავ. ამ მძიმე განცდას ნახევარტონებით, შთამბეჭდავად გადმოგვცემს ლექსი: „ძი სიანის ტაძარში“. სამაგალითოა სტრიქონთა მოქნილობა, ტყვადობა:

**წვიმა და ღრუბელი  
სამი წლით გაჰყარა ღმერთმა.**

**გზა გვაქვს შორზე შორი,  
ტალღა სცემს ნავსა და გვარხვეს.**

**ნაღვლიანს ისედაც არ მაკლდა  
შხამი და სევდა,**

**აქ კიდევ უეცრად  
წავანყდი მეგობრის სახელს.**

ადვილი წარმოსადგენია, რა განუზომელი სასონარკვეთა შეიპყრობდა ბო ძიუ-ისთანა მგრძობიარე შემოქმედს, როცა, თვითონაც სამარის პირად მდგარი, უერთგულეს მეუღლეს დაკარგავდა. სიცოცხლის მიმწუხრზე პირადმა უბედურებამ დაანერინა მას ერთ-ერთი შედეგური „ცოლის გარდაცვალებას ვგლოვობ“. არასოდეს დამავინყდება ზაურ ბოლქვაძე, სიკვდილის იდუმალ ძალაზე ბევრჯერ დაფიქრებული პოეტი, თამაზ ჩხენკელის ნიჭის და კაცობის თავყვანისმცემელი, ზეპირად, როგორი მგზუნებარებით წარმოსთქვამდა ამ ბინდისფერ ელევგას და აღტაცებას ვერ მალავდა. ახლაც ყურში მიდგას მისი ათრთოლებული ხმა:

**მე ცოცხალ-მკვდარი უტუნის ღერო ვარ,  
სნეული, ყრუ ბერიკაცი,**

**მომესმის სამარის წყართა ჩუხჩუხი  
და სულის სიმშვიდეს მაცლის.**

**ხელჩაკიდებული შვილი თან მომყვება,  
შინ მივალ მწუხარე ფიქრით.**

**დარბაზში ბნელა და ცივა ოთახებში,  
სახლში აღარა ჩანს იგი.**

ჩინეთის ყველა დროის უდიდესი პოეტის მჭმუნვარების მიზეზი ყოფილი წვრილმანები და ძვირფასეულობის შოვნაზე ფიქრი რომ არ იყო, ამას განსაკუთრებული მიხვედრა არ ჭირდება. მისი უმთავრესი საზრუნავი გახლდათ, როგორმე მყუდრო ადგილი მოეძებნა და სევდიანი, „ღრმა განცდების“ დამტევი, ადამიანის არსებობის ტრაგიკული ხვედრით დამძიმებული ლექსები შესაფერისად გაესრულებინა. ძირითადი სათქმელი პოეტს მეტწილად სათაურში გაჰქონდა, მაგრამ ამით ლექსს ოდნავადაც არ აკლდებოდა იდუმალება, მომხიბლაობა. ასე იქცევა ამჯერადაც, როცა კეთილისმსურველს, ჩვენთვის უცნობ მეცენატს გულში ნადებს დაუფარავად ამცნობს: „გზასუხობ უჩინის კითხვას იმის შესახებ თუ რა მიჭირს“:

**უეცრად მოხვედით, დიდად გაისარჯეთ,  
შენუსხდით და მკითხეთ — რამე თუ მიჭირს.**

**ის, რაც მე მიჭირს, ამარტი არ არის  
და არც მარგალიტი — ის, რაც მე მიჭირს.**

**ტბის პირას მე თქვენი გრილი ფანჩატური მიყვარს, მის ჩრდილოვანს ვერსად გავქეცევი,**

**მიბოძეთ ნება — იმ ჩრდილში ვიმღერო, როცა მზად მექნება ეს ჩემი ლექსები.**

ყოველ გონიერ ადამიანს უჩნდება ხოლმე განმარტოების, ბუნების პირისპირ დარჩენის სურვილი და, რაღა თქმა უნდა, ამგვარი გრძნობა შემოქმედს გაათმაგებელი აქვს. ერთ ლექსში („მარტო ვხეტიალობ“) ცხადად ჩანს, „დაოსური ლოცვანის“ თან დამტარებელ პოეტს, მცენარეთა სამყაროში მოხვედრილს, როგორ თავისუფლად ამოუსუნთქავს, ნანატრი შვება უგრძნობია. ბოლო ოთხი სტრიქონის მოხმობაც კმარა, ნათქვამის ქვემარტობა რომ შევიცნოთ:

**ბამბუკს რომ მწუხრის ყვავილები მოსავს, ერთგულ მეგობრებად მარგია.**

**ტყეში შევედი და მარტო ვხეტიალობ: კაცთაგან შორს ყოფნა კარგია.**

ბო ძიუ-ის ზემგრძნობიარე ყური ჰაერში დარხეულ უმცირეს ბგერებს იჭერს, ხოლო ყოვლისგამჭვრეტ თვალს ჩრდილთა ოდნავი გადაადგილება არ გამოეპარება. ლექსი „ძველ სახლში“ უტყუარი მაცნეა იმისა, რომ ფოთოლცვენის ჟამის ღამიურ პეიზაჟს ასე მომაჯადოებლად, ვერცხლის სირმებით, ვერავინ ამოქარგავდა სიბნელის ფონზე:

**კედლების იქით შემოდგომის ხმაა, ჭრიჭინობელა ჭრიჭინებს გარეთ.**

**ჩრდილი სხვაგვარად ეფინება ოთახს, გრძელი ნამწამები დაუშვა მთვარემ.**

ჩინურ, იაპონურ და, საერთოდ, მსოფლიო პოეზიაში ვერავინ აღრიცხავს, მთვარე რამდენჯერ არის წარმოსახული, მაგრამ ისე ზღაპრულად და დამაბრმავებელი ელვარებით, როგორც ამას ბო ძიუ-ი აკეთებს, ძალზე ცოტას თუ ხელენიფება. ლექსი „ეზოში გრილოვან ღამით“ კვლავ შემოდგომის ჯადოსნურ ღამეს გვიხატავს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ცვრის ბროლივით წვეთებსა და ეზოს პატარ-პატარა გუბებში უთვალავი რაოდენობით ირეკლება ღამის კაშკაშა მნათობი, რაც დაუჯერებელ სილამაზეს ქმნის:

**ცვარია ჭილოფზე, წმინდა მარგალიტის მგვანია.**

**ჩრდილები ფარდისა თითქოსდა ტალღები არიან.**

**ვზი დამწუხრებული, ფოთლები ცვივა და ქარია.**

**ბალის ფანჩატურში დღეს რაა, რამდენი მთვარეა.**

მე მხოლოდ მცირე ნაწილს შევეხე ბო ძიუ-ის განუმეორებელი ლექსებისა და ვფიქრობ, ამითაც საცნაურია მისი ლირიკის უჩვეულო სიღრმე, წარუდინებელი მშვენიერება.

თამაზ ჩხენკელმა ასევე ოსტატურად, დიდი შთაგონებით თარგმნა ჩინეთის კიდევ დიდი სამი პოეტი (ვან ვეი, ლი ბო, დუ ფუ), მაგრამ, მიზეზთა გამო მათზე ველარ შევჩერდები.

აღმოსავლური პოეზიის თარგმანების კრებულში ძველი იაპონური პოეზია ციფრულად არის წარმოდგენილი, მაგრამ იძულებული ვარ, შუა საუკუნეების მხოლოდ სამი საუკეთესო ხოკუ ამოვიწერო (თამაზ ჩხენკელმა თარგმანისთვის ვერა მარკოვას ცნობილი ანთოლოგია გამოიყენა) და ამით შემოვიფარგლო. პირველ მათგანში უცნობი პოეტი, გამწარებული მამა თავის გარდაცვლილ ბიჭუნას დასტირის, ხოლო დანარჩენ ორში ყველაფერი ისედაც ნათელია, განმარტებას არ საჭიროებს:

**\*\*\*  
ო, კალიების მდევნელო ჩემო!  
ან რა უცნაურ ქვეყანაში  
შევირბენია?**

**\*\*\*  
ჰა, მთელი დღეა  
წყალზე დაფრენს და იჭერს თავის ლანდს  
ნემსიყლაპია.**

**\*\*\*  
ჰოი, განგება უმოწყალო!  
ამ დიდებული მუზარადის ქვეშ  
ახლა პატარა მწერი ჭრიჭინებს!**

იგივე საქებური სიტყვებია სათქმელი, ძველი კორეული პოეზიის ნიმუშებზე, რომელთა უმრავლესობა საგულდაგულო განხილვის, საგანგებო ყურადღების ღირსია, მაგრამ მათი ციტირებისგანაც თავის შეკავება მიწევს.

საერთოდ კი ვფიქრობ, თამაზ ჩხენკელის თარგმანების წინამდებარე კრებულს („ძველი ჩინური, იაპონური, კორეული პოეზია“), გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა რომ გამოსცა, დაინტერესებული მკითხველი ისედაც საფუძვლიანად გაეცნობა, სიამოვნებით წაიკითხავს.

**\* \* \***

რამდენიმე ათეული წელიწადი შეაღია თამაზ ჩხენკელმა უძველესი ინდური კულტურის, მისი ლიტერატურისა და ფილოსოფიის შესწავლას, რამაც ფრიად სასურველი ნაყოფი გამოიღო. მისმა დაულაღავმა გარჯამ საბოლოოდ თავი მოიყარა ხუთასგვერდიან წიგნში „ინდური ლოტოსი“ (თბილისი, 2006), რომელიც თემატურად და ჟანრობრივადაც ფრიად მრავალფეროვანია. ზოგი რამ, თუნდაც ზედაპირულად მაინც უნდა ითქვას ამ მეტად მნიშვნელოვან კრებულზე.

რაბინდრანატ თაგორის საგალობელთა გენიალური წიგნი „გიტანჯალი“, ავტორის მიერ ინგლისურად თარგმნილი, 1913 წელს გამოიცა და წამძღვარებული ჰქონდა დიდი ირლანდიელი პოეტის იეიტის წინასიტყვაობა, სადაც ნათქვამია, რომ ამ წიგნში წარმოდგენილ ლექსებს სამომავლოდ უფრო დააფასებდნენ: „გაივლიან თაობები და მათ ისევ იმღერებენ დიდი გზის ყარიბები და განგის მენავეები. ერთმანეთის მომლოდინე მიჯნურები მათში პოეზიებს მეუფის სიყვარულს, იმ ჯადოსნურ ყურეს, სადაც მათი მინიერი სიბერე განიწმინდება და განახლება“.

პოეტის მსურვალე ვედრება, ქებათა-ქება საგალობელთა უფლისადმია აღვლენილი და ჩვენს წინაშე გადახსნილია პოეტის სულის შემაკრთობელი სიღრმე, თვით სამყაროს აღუციხავი მრავალფეროვნება.

პირველსავე, უძლიერეს საგალობელში თაგორი ღმერთის იარაღად, საკრავად თვლის თავს (უნებურად გვახსენდება პლატონის მოძღვრება პოეტის ღვთაებრივ სიმშაგეზე) და ჩვენ მოწმენი ვხდებით, როგორ ლოცვასავით იღვრება „გიტანჯალის“ შემქმნელის სათქმელი, ვისუნთქავთ მისი ცოცხალი მეტყველების პირველყოფილ, უბინო სურნელს. ეს სტრიქონები პირდაპირ გულიდან არის დაძრული:

**შენ მომანიჭე მე ცხოვრება დაუსაბამო.  
ნება შენი ასეთი იყო.  
ამ უბრალო და მყიფე ჭურჭელს  
ჟამიდან ჟამზე სცლი და პირამდე ავსებ.  
მინდორ-ველებზე დაატარებ ამ პატარა**

**ლერწმის სალამურს**

**და ზედ მარად ახალ-ახალ სიმღერებს უკრავ.  
შენი თითების სანუკველი შეხებისაგან  
მე სიხარულით მემუსრება გულის ბჭენი და  
ბაგეებს სწყდება ჯერუთქმელი საგალობელი.**

**შენი წყალობის უშურველი ნიჭი შენ მხოლოდ ამ უღონო გულს მოაფინე. საუკუნენი ილევინ... შენი მადლი იღვრება ციდან, და მაინც არის ჩემი გულის საუნჯეში მისთვის ადგილი.**

უზენაესის წინაშე თავმოდრეკილი მორჩილება, უსაზღვრო თავყვანისცემა, ალტაცებაა გამოსახტული მესამე ლექსში, სადაც თვალწინდელი სამყაროს იდუმალება პოეტს ღვთის სწორუპოვარ გალობად ესახება და ასეთ ზებუნებრივ სიმღერასთან შერწყმა არ ძალუძს. ბროლის ჭავლებით გამჭვირვალე სტრიქონები ლაღად მოედინება, მათში მცირეოდენ ხინჯსაც ვერ იპოვით და ამ დედნისეულ ბუნებრიობას მთარგმნელის ოსტატობას უნდა ვუმადლოდეთ:

**ო, მე არ ვიცი, როგორ გალობ შენ, მე მუდამ ჩუმი განცვიფრებით, უფალო, გისმენ; შენი გალობის შარავანდით ნათობს სამყარო, შენი გალობის ცხოველი სუნთქვა იფინება**

*ციდან ცათამდე,*

**შენი გალობის წმინდა განგი ანგრევს ზღუდეებს და ისევე მოეჩანება. ჩემს გულს სწაღია შეერთება შენს სიმღერასთან, მაგრამ ამაოდ ეძიებს ხმას. მე ვამბობ სიტყვას, მაგრამ სიტყვა საგალობლად ვერ მოვაქციე და მე ვტირი გზადაბნეული. შენ დაატყვევე გული ჩემი შენი გალობის უსასრულო ქსელში, უფალო.**

„გიტანჯალის“ ღვთაებრივი საგალობლებიდან რიგით სამოცდამეორე ყველაზე მოზრდილია და სიმბოლური გააზრებით, მისტიკური საბურველითაც გამოირჩევა. ეს აძლიერებს იდეომალების განცდას.

სალამო ხანს, მდინარესთან, პოეტი ხვდება სახალხო დღესასწაულზე მიმავალ პატარა გოგონას, ვისაც სანათური მოაქვს და ემუდარება, სიბნელეში მოქცეულს, სამყოფელი გაუნათოს. გოგონა შეათვალეირებს მთხოვნელს და მორიდებით ეუბნება, რომ სანთელი სხვა მიზნით წამოიღო, იგი შესანიშნავია. საგალობელი ყოველგვარი შემზადების გარეშე იწყება და პირველსავე სტრიქონებში გამომჟღავნებულია უნაზესი და მოკიდებულება უმანკო არსებისადმი:

**მდინარის პირას, შამბანში მე მას ვუთხარი: „პატარა ქალო, საით მიგაქვს ეგ სანათური? ჩემი სამყოფლო ბნელია და უკაცრიელი, მო, განმინათლე!“ ერთ წამს ასწია წამნამები პატარა ქალმა და შეღამების მკრთალ ბინდბუნდში თვალი შემავლო. „მე აქ მოვედი, რომ დინებას გავატანო ჩემი სანათი, როცა ნათელი მიდრეკება ცისა“.**

ეს დიალოგი, ოდნავ სახეცვლილად, რამდენჯერმე მეორდება და „პატარა ქალი“ ყოველთვის უარით პასუხობს პოეტის დაჟინებულ თხოვნას, სანამ, ბოლოს, მისი წმინდა სანათური ირგვლივ შემოჯარული ჩირაღდნების ზღვაში არ დაინთქმება.

რწმენის ურყევი ერთგულება, უბინობა გამოსჭვივის გოგონას საქციელში და იმდენად ფაქიზი, ჰაეროვანია აქ დახატული სურათი, ახსნა, ჩაკირკიტება არ უხერხდება.

ერთ-ერთი უძლიერესია სამოცდამეცხედმეტე საგალობელი, მსგავსად უმრავლესობისა, უშუალოდ უფლისადმი მიმართული. აქ ისე ამალღებულად, ამასთანავე, მეტაფორულად არის წარმოსახული ადამიანის ყოფა და მერე სხეულის გარსისგან განძარცვაზე ფიქრი, უკვალოდ გაქრობის ნატვრა, რომ გაცემა გიპყრობს. რა ზეადამიანური ძალის პიროვნება უნდა იყო, რომ სიკვდილზე, ცოცხალი ადამიანისთვის თავზარდამცემ მოვლენაზე, ასეთი სასოებით და მოიარებით წერო:

**მე ვგავარ ღრუბელს, შემოდგომის ცაზე უგზოდ მოხეტიალეს.**

**ო, ჩემო მზეო დიდმშვენიერო! ნისლშებურვილი ვერ განმჭვრიტა ჯერ შენმა შუქმა, ვერ შემაზავა შენს ნათელთან და მე ამგვარად დღეებსა და თვეებს ვითვლი შენთან გაყრილი.**

**თუკი ხარება და თუ ნება იქნება შენი, წაიღე ჩემი წარმავალი ამოება, ქარს გაატანე, ან განფინე ის ცვალებად სასწაულებად. მწუხრზე კი, როცა მოისურვებ დაასრულო შენი თამაში — მე გავექრები შემომდგარ ბნელში, ანდა თეთრი და გამჭვირვალე დილის ღიმილში.**

„გიტანჯალის“ კიდევ ერთ, ოთხმოცდამესამე საგალობელს გავიხსენებ, ასეთსავე შთამბეჭდავს, სადაც ეს, ამქვეყნიური არსებობის განუშორებელი ფენომენი პირდაპირ მისი სახელით არის წარმოდგენილი, რაც არავითარ ძრწოლას არ იწვევს. სხვანაირად ვერც მოიქცეოდა ინდოეთის უდიდესი პოეტი, ვისაც სულის უკვდავება, ძენ-ბუდიზმის მრავალსაუკუნოვანი სიბრძნე სისხლში ჰქონდა გამჯდარი. ეს საგალობელიც მთლიანად უნდა მოვიტანო:

**სიკვდილი — შენი მოციქული კარზე მომადგა. ზღვა გადმოლახა იდუმალი და შენი ჩუმი დაძახილი მან მომანვდინა; ღამის უკუნში შიშისაგან კრთის ჩემი გული. ჩირაღდნით ხელში ავდგები მაინც, გავალებ კარს და კარიბჭესთან შენს მოციქულს მივესალმები. თვალცრემლიანი თაყვანს ვცემ და მის წინ მოვიღებ ჩემი გულის ყველა საუნჯეს. და ჩემს ცარიელ სამყოფლოში მხოლოდ ნეშტი დარჩება ჩემი, ვით შენირული შენთვის მსხვერპლი უკანასკნელი.**

*დასასრული შემდეგ ნომერში*

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული კონკურსის „ერთგულება“ პრემიის გამარჯვებულები გამოვლინდნენ. კონკურსში 190 აპლიკანტი მონაწილეობდა. ფიურის ნევრების მიერ შეირჩა ათი საუკეთესო მინიატურა, აქედან პირველი სამი გახდა საპრიზო ადგილის მფლობელი. პრემია წარმოადგენს სპეციალურ პრიზს ერთი საუკეთესო მინიატურისათვის და სამ ფულად ჯილდოს, პირველი ადგილის მფლობელმა მიიღო სპეციალური პრიზი და 800 ლარი, მეორე ადგილი 500 ლარი, ხოლო მესამე 300 ლარი. პირველი და მეორე საპრიზო ადგილი ერთი და იმავე ავტორმა ნათია როსტიაშვილმა დაიკავა, მესამე ლია ლიქოკელს ერგო. დანარჩენი 7 მინიატურის მფლობელმა ავტორებმა სპეციალური საჩუქრები მიიღეს: გივი ჩიღვინაძე, მარიამ წიკლაური, მინდია არაბული, თამარ ნიკოლეიშვილი, ხატია ჭანიშვილი, ლია რუსიაშვილი. ამ ლიტერატურული პრემიის დაფუძნება გოდერძი ჩოხელის 60 წლის იუბილეს უკავშირდება და ამიერიდან ყოველ წელს გაიმართება. პრემიის ორგანიზატორები არიან: საერთაშორისო ინკორპორაცია-ქართულ-ამერიკული კულტურის ცენტრი „ამირანი“ საქართველოს წარმომადგენლობა, სარეა (საქართველოს რეგიონალური ასოციაცია) და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. ფიურის ნევრები იყვნენ : ლევან ბრეგაძე, ნუგზარ მუზაშვილი, ამირან არაბული, გიორგი კაკაბაძე და ნონა კუპრეიშვილი. საკონკურსო მინიატურები კი სცენაზე მასხიობებმა ნინელი ჭანკვეტაძე, ნანა შონია, ნანა ხურიტი, ლილი ხურიტმა წაიკითხეს. ცერემონიას ნანა ხურიტი უძღვებოდა, ხოლო მუსიკალური გაფორმება ანსამბლებმა „შვენაბადამ“ და „ჰერიომ“ წარმოადგინეს.

ნინო ჩხიკვიშვილი

# სულის ქასილი

დიდი ხანია არაფერი მომიწერია შენთვის. დავივალე. დავივალე ამდენი ლოდინითა და იმაზე ფიქრით, დღეს თუ არა ხვალ, სამშობლოსკენ პირს რომ იბრუნებ და, ბოლოსდაბოლოს, მეტყვი: მორჩა, დამთავრდა, ჩამოვდივარ!

უკვე შერამდენედ მწერ, ჩამოვალ, ამ ზაფხულს მაინც ჩამოვალ, და ასე გადის მე-ხუთე გაზაფხულიცა და ზაფხულიც. იცი, ზოგჯერ მეექვსეა, ვერ ახერხებ თუ აღარ გინდა?! მეშინია, შენი პატარებიც არ გადაარჯულო, ფესვებს მონყვიტო და ქართული დაავინყო; რა დაგიშავა ასეთი სამშობლომ? ის ხომ არ არის დამნაშავე, რომ ჩვენში უღირსნი სჭარბობენ ღირსეულთ; მერე რა, განა მანდ, ევროპაში, არ არიან უღირსებო ადამიანები, მანდ არ ლალატობენ ქვეყანას ჩინოვნიკები?! (ეს რიტორიკულ შეკითხვად ჩამითვალე და ნუ გაბრაზდები); მაგრამ, ეტყობა, ყველაფერი კანონზომიერია, ეტყობა, ესეც უნდა გამოსცადოს (თუმცა მერამდენედ) ქვეყანამ — საკუთარი შვილების გულგრილობა!


სამწუხარო ისაა, რომ... რაც მეტი დრო გადის, უფრო და უფრო ცოტანი რჩებიან ისეთი ქართველები, რომელთაც საკუთარი ქვეყნის ბედი აწუხებთ; ახლა ჩემი კურსელის, ნათია ხორნაულის ნიგნი „ქროლვანი უნაპირონი“ ნაიკითხე და გეტყვი: შეუძლებელია აუღელვებლად ნაიკითხო ეს დიალოგები, მითუფრო ახლა, როცა ამ ნიგნის მთავარი პერსონაჟები უკვე ჩვენს შორის აღარ არიან. არადა, ლამის გუშინდლამდე ჩვენს გვერდით იყვნენ, საქართველოს დიადი (და უფრო მეტად ტკივილიანი) წარსულის მოპიკანები, ჩვენს შორის იყვნენ. მათთან ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა ამ კრებულის ავტორს (რაკი ნათია მათი ნათესავია — ლადო კოტეტიშვილის შვილიშვილი) და ასე ხელშეხება იყო წარსული, წარსული, რომელიც არასოდეს განმეორდება; შენ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ხარ საიმისოდ, ეს რომ შეიგრძნო. ჯერ საკუთარი მიწა და ფესვები არ მოგნატრებია (და ისე ნუ მოიქცევი, საბოლოოდ მოგიძღვოს სამშობლომ)!..

...

ვიცი დამცინებ, მაგრამ მაინც უნდა გითხრა: იმ დღეს, როცა შოტლანდიაში ჩატარებული რეფერენდუმის (დიდი ბრიტანეთის შემადგენლობიდან გამოსვლასთან დაკავშირებით) შედეგები გამოაცხადეს, უნებურად წამომივიდა ცრემლები. თითქოს ჩემი სამშობლოს არჩევანიც ეს ყოფილიყო... თითქოს კიდევ ერთხელ გამცრუებოდეს იმედი და... რა?! არც არაფერი. დრო მიდის. ისტორია ბრუნავს. ტრიალებს და ზოგჯერ უკანაც ბრუნდება. ჩვენ — ქართველები კი ავისა და კარგის გარჩევას ვერ ვსწავლობთ, რა მიზეზი ამისა? ალბათ ის... რომ წინაპართა ლანდების გამოხმობა არ გვიყვარს, ნამდვილ წინაპართა, თორემ ყალბისმქნელთ რა გამოლევს?!

...

კარგად დააკვირდი ამ ნიგნის გემრთა ფოტოებს: დეკანოზი ილია კოტეტიშვილი და მისი ოჯახი — ივლიტა, ვახტანგი, გოგი და ლადო, მეუღლე (ფოფოდა, მღვდლის ცოლი) — ეკატერინე ბიძინაშვილი. დახედავ და ისეთი სიმშვიდე გეუფლება, თითქოს ცხოვრების არსი ამოიცანი, მათი სისხლის მდინარება გადმოვიდა შენს სხეულში და ერთბაშად გაქართველდიო. აქვე, მათ მახ-



ლობლად, „სახლობენ“ დადიანების, შერვაშიძეების, მაცაშვილების, ერისთავების წინაპრებიცა და შთამომავალნიც, რომელთა ოჯახებმაც თავისი წილი უკვე კარგახანია გაიღეს სამშობლოსთვის. შვილებიც დაზარდეს და ქვეყანასაც შეენიწინეს; ამ ნიგნში თითოეულ მათგანზე ამოიკითხავ და, დარწმუნებული ვარ (ყოველშემთხვევაში მიწა ასე იყოს), აგამღელვარებს, რადგან შეუძლებელია უემოციოდ ნაიკითხო მათი ამბავი და არ მიხვდე, რომ საქართველოს შევლა სჭირდება!

ახლაც, ოცდამეერთე საუკუნეშიც, იმავე დილემის წინაშე აღმოვჩნდით: როგორც ილია იტყოდა, თხრილის პირას ვდგავართ და საკმარისია ხელი გვეკრან, შიგ გადავიჩეხებით ისე, რომ ორბნი, არწივნიც ვეღარ გვიპოვნია.

ნიგნი იხსნება თამარ ერისთავისა და ვახუშტი კოტეტიშვილის წინასიტყვაობით. ამ წერილთა გაცნობა მთავარზე ჩაგაფიქრებს: ქართველთა ცხოვრების წესზე!

თამარ ერისთავი — განუუმეორებელი ქალბატონი. შესანიშნავი მთარგმნელი. პოეტი. პიროვნება, რომელმაც უმნივლოდ (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) განვლო ეს წუთისოფელი და უკვე თითქმის წელიწადია, რაც ამ ქვეყნიდან გავიდა. „აქვეა“ ნუგეშა მაცაშვილიც (თამარ ერისთავის დეიდა),

სამშობლოს თავისუფლებისთვის შეწირული ყმანვილი ქალის — მარო მაცაშვილის — და. და ქართული მწერლობის სინდისად შერაცხული კაცის, პოეტ — კოტე მაცაშვილის ნაბოლარა შვილი. მაროს დაღუპვის შემდეგ მართლაც ნუგეშად რომ მოვევლინა მაცაშვილ-ერისთავთა ოჯახს;

ამ ნიგნშივეა, კოტეტიშვილის ფესვებზე ამოზრდილი თანამედროვეობის ერთ-ერთი ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, მკვლევარი, მთარგმნელი, ფოლკლორისტი — ვახუშტი კოტეტიშვილი, ბავშვობა ხალხის მტრის შვილის სახელით რომ გაატარა;

ნაიკითხავ მასთან დიალოგს და მოგხიბლავს ავტორისეული სტილი. ნათია ხორნაული ცდილობს თავისი რესპონდენტის სულიერი სამყარო იმგვარად წარმოაჩინოს, ახალგაზრდა მკითხველმა ბევრი რომ შეიტყოს ამ პიროვნების შესახებ. ეკითხება: **ყველაზე დიდ სინაზეს რა იწვევს თქვენშიო? რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ცხოვრებაში, რასაც ვერაფრით დათმობთ? რამ დაგაჩნიათ სულზე ყველაზე წარუშლელი კვალიო?** — საინტერესო კითხვებია. ახლა, სამწუხაროდ, ავტორები ასეთ „სხვანაირ“ შეკითხვებზე ვეღარ აგებენ წერილებს იმიტომ, რომ... არავის აინტერესებს ადამიანის სულის მოძრაობა. ახლა სხვაგვარ შეკითხვებს უსვამენ ერთმანეთს, პრაგმატულად საუბრობენ... (შენ ეს უჩემოდაც კარგად იცი და არ გაგიკვირდება) — ამ ნიგნში „მცხოვრებთ“ კი სხვანაირად ვერ წარმოედგინათ. აი, რა განსხვავებაა ახლანდელსა და ისტორიულ სამშობლოს შორის... ამდენადაა ეს ნიგნი საინტერესო; გულისყურით ნაიკითხე. არ გამოგრჩეს დიალოგი დიდ მავსტროსთან, გამოჩენილ ტენორთან ნოდარ ანდლულაძესთან (და კიდევ ერთი საინტერესო თავგადასავალი იტალიელი კეთილშობილი ქალბატონისა, წმიდანად რომ იქცა — ვირჯინია გრიმალდისა, ქრისტიანობის ქადაგებას რომ მიუძღვნა მთელი ცხოვრება და ეს წერილიც ამ ნიგნის ავტორის უცხოეთში გატარებულ დღეთა ერთგვარი ანარეკლია). და ამ ადამიანთა ცხოვრების წესით მიხვდი, რომ... „პატრიოტიზმი რთული მოვლენაა. ეს არა ნიშნავს უბრალოდ სამშობლოს სიყვარულსა, სამშობლოს რო პატრონობა უნდა — იმასა ნიშნავს...“ (ოთარ ჩხეიძე)

P.S.

გ ა ხ ს ო ვ დ ე ს, ერთ-ერთი პატრონთაგანი შენცა ხარ!

\* ციკლიდან „წერილები ჩემს ემიგრანტ ვაჟს“

მერაბ კალანდაძე

# ვარლამ ჩერქეზიშვილი ალექსის დე ტოკვილზე

მე-19 საუკუნის ფრანგულ ისტორიოგრაფიაში გრაფ ალექსის დე ტოკვილს გამორჩეული ადგილი უჭირავს. ის საუკეთესოთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ცნობილი რუსი ისტორიკოსი ნიკოლოზ კარევი, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიოგრაფიას, მას ორ მონაკვეთად ყოფდა: ტოკვილამდე და ტოკვილის შემდეგ. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ვცადოთ გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფოებრივი ფრანგი ისტორიკოსისადმი თვალსაზრისით ქართველი პოლიტიკოსის, საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და ჟურნალისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის (1846-1925) დამოკიდებულება.

ვარლამ ჩერქეზიშვილის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მისი ფართო განათლება, ღრმა განსწავლულობა, დიდი ერუდიცია. ის საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებდა არა მხოლოდ დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებში, არამედ დასავლეთ ევროპის კულტურაში, პირველ რიგში სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, მუსიკაში, სახვით ხელოვნებაში. და რაც, ჩვენი აზრით, ყველაზე მთავარია, საინტერესო და ერთგვარ მოულოდნელობად, სასიამოვნო სიურპრიზად შეიძლება მივიჩნიოთ, ეს არის მისი ჩახედულობა დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხებში. ის კარგად იცნობს მე-19 საუკუნის ევროპელ ისტორიკოსთა შრომებს და მათ შეხედულებებს. ეს მისი პუბლიცისტური წერილების კიდევ ერთი პლუსია. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს და კიდევ უფრო ამყარებს ჩვენ დებულებას, რომ საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხებით დაინტერესების გზაზე პირველი ნაბიჯები გადაიდგა არა საბჭოთა ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. ამ თემატიკაში ვარლამ ჩერქეზიშვილის ჩახედულება ამის კიდევ ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ეს სპორადული ცნობები, შესაძლოა, ნამცეცები იყოს, მაგრამ საინტერესოა და მისი შეუფასებლობა სწორი არ იქნება. ამ მნიშვნელოვან საქართველოში აღნიშნული საკითხით დაინტერესების უფრო ადრე გააუქმებ და ეს მონაკვეთი მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან 1921 წლამდე საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხებით დაინტერესების შესავლად, წინარეისტორიად შეიძლება მივიჩნიოთ.

\*\*\*

ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის გრაფ ალექსის დე ტოკვილის სახელი რამდენჯერმე მოხსენიება. ეს, ცხადია, საინტერესოა და ამის ნაყრუება, გვერდის ავლა, ალბათ, სწორი არ იქნება. ფაქტობრივად, ეს არის ქართულ სინამდვილეში ფრანგი ისტორიკოსის სახელის მოხსენიების პირველი თუ არა, ერთ-ერთი პირველი მცდელობა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და პირველ ყოვლისა თავისი შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

რა ღირებულება აქვს ვარლამ ჩერქეზიშვილის მსჯელობას? უნინარესად საჭიროა სწორი კრიტერიუმის შერჩევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ადეკვატური სურათის მიღება გაგვიჭირდებოდა. ვ. ჩერქეზიშვილის ნააზრევინად მკაცრი მეცნიერული მეთოდებით მიდგომა ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩინა და სწორი არ უნდა იყოს. მითუმეტეს, რომ იგი მიზნად არ ისახავდა ტოკვილის შეხედულებათა მეცნიერულ განხილვას. ფრანგ ისტორიკოსზე ვ. ჩერქეზიშვილის მსჯელობას პირველ

ყოვლისა შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს და ტოკვილის შეხედულებათა პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. ამ კულტურტრეგერულ მისიას, შეიძლება ითქვას, მან ურიგოდ როდი გაართვა თავი. მთავარიც სწორედ ეს უნდა იყოს.

ფრანგი ისტორიკოსის სახელმა პირველად გაიჟღერა ვ. ჩერქეზიშვილის წერილში „მე-19 საუკუნე (ცვლილება კაცობრიობის კულტურისა)“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1901 წლის 8 თებერვალს ოცდამეთერთმეტე ნომერში. მეორედ კი მის სტატიაში „წერილები ინგლისიდან, საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმატება მე-19 საუკუნეში“, რომელიც დაიბეჭდა იმავე „ივერიაში“ იმავე 1901 წლის 4 ივლისს ასორმოცდამესამე ნომერში. ეს მასალები შესულია ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებათა პირველი ტომში, რომელიც 2012 წელს გამოვიდა. სწორედ, აქ გადავანყდით ამ საინტერესო ინფორმაციას.

პირველად იგი ტოკვილს იხსენიებს ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სისტემასთან კონტექსტში. „მეორეს მხრივ შეერთებული შტატების რესპუბლიკამ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდანვე სავალდებულო გახადა ოთხ კლასიანი სკოლა, ხოლო მე-60 წლებიდან მთელი სახელმწიფო მოჰყვინა სატექნიკო და სასოფლო-სამეურნეო სკოლებით. რეალური და სატექნიკო განათლება ისე გაძლიერდა, რომ ნაპოლენ მესამის მინისტრი, რეაქციის მომხრე ტოკვილი, თავის ნიგვში „დემოკრატია ამერიკაში“ ამ გარემოებას მერმისისთვის საშიშად თვლიდა. მერე? მერე ის, რომ მე-40 წლებიდან დაწყებული დღემდე წარმოებისა, აღმოჩენათა და გამოგონებათა საქმეში პირველობა იანკების ხელში გადადის...“

მეორედ ტოკვილს იხსენიებს მაშინ, როდესაც საუბრობს ისტორიის ეკონომიკურად ახსნაზე. „აბა რას ამბობთ, განა გიზო და მიშლე, ბლანკი და ტოკვილი, როჯერსი და მარქსი ერთი რწმენის ხალხი იყო? თუმცა რწმენით სხვადასხვა იყვნენ, მაგრამ ყველანი ეკონომიკურის მიზეზითა ხსნიდნენ ისტორიას... თქვენსავით ისინიც ისტორიის ეკონომიკურად განმარტების საქმეში მარქსსა, გიზოს, ჰეგელსა და ტოკვილს იმონებენ.“

ვ. ჩერქეზიშვილის მსჯელობა აღწერით ხასიათს არ ატარებს და არ შემოიფარგლება მხოლოდ ა. ტოკვილის შეხედულებათა გადმოცემით, თხრობით. რა თქმა უნდა, არც ეს იყო ცუდი. იგი ცდილობს გაიაზროს ტოკვილის შეხედულებანი, გაერკვეს მის აკარგვიანობაში. მის მსჯელობას შეფასებითი მუხტი გააჩნია და ეს მას ისტორიოგრაფიულ დატვირთვას ანიჭებს. ცდილობს დააფიქსიროს თავისი დამოკიდებულება ტოკვილის ნააზრევთან მიმართებით. ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარი ღირსება, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ ტოკვილის ნააზრევის განხილვა აპოლოგეტურ ხასიათს არ ატარებს და საინტერესოა.

პოლემისტური მუხტი ვ. ჩერქეზიშვილის მსჯელობის პლუსია. იგი ეკამათება ფრანგ ისტორიკოსს ტოკვილს და არ იზიარებს მის სკეფსისს, რომ რეალური და სატექნიკო განათლების გაძლიერება მერმისისათვის საშიში იქნებოდა. ქართველი პუბლიცისტი ფიქრობს, რომ ტოკვილის წინასწარმეტყველება არ გამართლდა. „საუკეთესო იარაღად, პირველ მანქანად ფოლადისა და სხვა ლითონეულობის ნაწარმებად დღეს ის ითვლება, რომელსაც ამერიკაში ამზადებენ. ფოლადის წარმოებაში ამერიკამ ბევრად გაუსწრო ინგლისს. შტატების საკომერციო ბალანსმა შარშან ინგლისისას გადააჭარბა. ქვანახშირსაც ამერიკელები ეხლა უფრო ბევრს იღებენ დედაამინის გულიდან, ვიდრე ინგლისელები. ლონდონის მინის ქვეშ გამართულმა ელექტრონის რკინის გზამ საჭირო მასალა, მანქანები და ვაგონები მთლად ამერიკისაგან მიიღო.“

კიდევ უფრო ფასეულად გვეჩვენება ვ. ჩერქეზიშვილის მოსაზრება, რომ ტოკვილი ისტორიას ეკონომიკური მიზეზით ხსნიდა. აქ იგი, ცხადია, უნდა გულისხმობდეს სოციალურ თემატიკაში ჩახედულობას. ეს ტოკვილის როგორც ისტორიკოსის მთავარი ღირსებაა. შეიძლება ითქვას, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილს კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ტოკვილის შემოქმედების პოზიტიური მომენტი, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებით მხარედ მიგვაჩნია. სოციალური თემატიკა დომინირებს როგორც ტოკვილის ნიგნში „დემოკრატია ამერიკაში“, ისე „ძველი რეჟიმი და რევოლუცია“.

აქ, ბუნებრივია, წამოიჭრება ერთი საინტერესო საკითხი. ამ მოსაზრებას ვ. ჩერქეზიშვილი ტოკვილის ნიგნზე „დემოკრატია ამერიკაში“, რომელსაც ის იმონებს, დაყრდნობით ავითარებს. თუ ის იცნობდა ტოკვილის მეორე ნიგნს „ძველი რეჟიმი და რევოლუცია“, ის ამ მოსაზრებას ავითარებდა ნიგნზე „დემოკრატია ამერიკაში“ დაყრდნობით და მის სხვა ნიგნს „ძველი რეჟიმი და რევოლუცია“ შესაძლოა არც იყო გაცნობილი. ეს არის ერთი ვერსია, და ვფიქრობთ, ყველაფერი ლოგიკურადაა. შეიძლება იყოს მეორე ვერსიაც. აი, რას ვგულისხმობთ. კატეგორიულად იმის მტკიცება, რომ ვ. ჩერქეზიშვილი არ იცნობდა ტოკვილის ნიგნს „ძველი რეჟიმი და რევოლუცია“, ალბათ, მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს. საქმე ისაა, რომ რაზეც აპელირებს ვ. ჩერქეზიშვილი — „ისტორიის ეკონომიკურად განმარტება“, ეს კიდევ უფრო რელიგიურად მჟღავნდება მის ნიგნში „ძველი რეჟიმი და რევოლუცია“. ზუსტად აქედან იშვავს მეორე ვერსია. გამოვთქვამთ ძალზე ფრთხილ ვარაუდს, რომ შესაძლოა გაცნობილი ყოფილიყო ტოკვილის ამ ნიგნსაც, მაგრამ მასზე პუბლიცისტურ წერილებში არსად აპელირებს.

ამრიგად, არსებობს დიდი ალბათობა, რომ ვ. ჩერქეზიშვილი გაცნობილი არ უნდა ყოფილიყო ტოკვილის ნიგნს „ძველი რეჟიმი და რევოლუცია“. ეს არის ერთი ვერსია, რომელსაც საკმაოდ მყარი საფუძველი გააჩნია. არის მეორე ვერსია, რომელიც ჰიპოთეზის, ვარაუდის ჩარჩოებს არ სცილდება. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, არც ის შეიძლება იქნას გამოცხადებული, რომ იგი გაცნობილი ყოფილიყო ტოკვილის ამ ნიგნსაც, მაგრამ მასზე არსად აპელირებდა. ამ იდეას — „ისტორიის ეკონომიკურად განმარტებას“ — ვარლამ ჩერქეზიშვილი ავითარებდა ტოკვილის ნიგნზე „დემოკრატია ამერიკაში“ დაყრდნობით. ეს სწორია და აქ სადავო არც არაფერია. ამავე დროს ადვილი შესაძლებელია, რომ ამ თემის განხილვისას სარგებლობდა ფრანგი ისტორიკოსის ორივე ნიგნით „დემოკრატია ამერიკაში“ და „ძველი რეჟიმი და რევოლუცია“. ეს უკვე ფრთხილი ვარაუდია, ჰიპოთეზაა. „მეცნიერება ჰიპოთეზების სასაფლაოა“.

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება. ესაა ვარლამ ჩერქეზიშვილის ინფორმირებულობა. იგი ა. ტოკვილის შესხედულებებზე ზერელედ, ყურმოკრული მასალის, მიმოხილვების და გარჩევების მიხედვით კი არ მსჯელობს, არამედ უშუალოდ იცნობს ტოკვილის შრომებს და მის შესხედულებებს მის თხზულებებზე დაყრდნობით განიხილავს. ეს ასეც უნდა იყოს. ეს გახლავთ საკითხისადმი სერიოზული მიდგომა, რაც ამ თემაზე ვარლამ ჩერქეზიშვილის მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ამგვარი მიდგომა ვ. ჩერქეზიშვილის პუბლიცისტურ, ჟურნალისტურ ნაწერებს მეცნიერულ დონემდე ამაღლებს და მას ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია, როგორც საქართველოში გრაფ ალექსის დე ტოკვილის შესხედულებათა გააზრების, პოპულარიზაციის მცდელობას. მისი მნიშვნელობა სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ვარლამ ჩერქეზიშვილი გრაფ ალექსის დე ტოკვილზე, როგორც ისტორიკოსზე მაღალი აზრის არ უნდა ჩანდეს და მას „რეაქციის მომხრედ“ მოიხსენიებს. ამგვარი მიდგომა შემთხვევითი არ ყოფილა და მისი გასაღები ვ. ჩერქეზიშვილის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. მისთვის, როგორც დემოკრატისათვის, არისტოკრატია და როიალისტი ტოკვილი მიუღებელი იყო. ამგვარი ხედვა, ცოტა სწორხაზოვნად მიგვაჩნია და პოლიტიზებული და იდეოლოგიზებული ჩანს. ასეთი ხისტი დამოკიდებულება ფრანგი ისტორიკოსის წვლილზე ისტორიული მეცნიერების წინაშე ამომწურავ, სრულყოფილ წარმოდგენას როდი გვიქმნის. გრაფ ალექსის დე ტოკვილის არისტოკრატული და კონსერვატიული სიმპათიები საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ამომწურავად ტოკვილის იდეური სამყარო მხოლოდ ამ არისტოკრატული სიმპათიებით? ვარლამ ჩერქეზიშვილს კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ტოკვილის არისტოკრატული და კონსერვატიული სიმპათიები, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი გამოცხადება „რეაქციის მომხრედ“ მკაცრად უღერს. შეიძლება იყო „რეაქციის მომხრე“ და იყო ძალიან კარგი ისტორიკოსი. ასე რომ, ეს არგუმენტად არ გამოდგება.

\*\*\*  
ამრიგად, ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში ქართულ სინამდვილეში პირველად თუ არა, ერთ-ერთ პირველად გაივლია ფრანგი ისტორიკოსის ალექსის დე ტოკვილის კოლორიტულმა ფიგურამ. ქართულმა საზოგადოებამ პირველად გაიგო ტოკვილის შესახებ. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ქართულ სინამდვილეში გადაიდგა პირველი თუ არა, ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი გრაფ ალექსის დე ტოკვილის მეცნიერული მემკვიდრეობის გაცნობიერების გზაზე. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ამ კულტურტრეგერულ მისიას ვარლამ ჩერქეზიშვილმა ურიგოდ როდი გაართვა თავი. მთავარიც სწორედ ეს იყო. ეს სპორადული ცნობები საინტერესო უნდა იყოს და საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხებით დაინტერესების პირველ სიმპტომად შეიძლება მივიჩნიოთ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ასეთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: ა. ტოკვილის შემოქმედებითი დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინეს არა საბჭოთა ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ეს შორიდან შეიძლება ჩანდეს, არამედ გაცილებით ადრე საქართველოს გასაბჭოებამდე, კერძოდ კი მე-20 საუკუნის დასაწყისში. ვარლამ ჩერქეზიშვილის მოსაზრებანი ტოკვილზე საყურადღებოა და ამის ერთ-ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ტოკვილისადმი — როგორც მემარჯვენე ისტორიკოსისადმი — ვარლამ ჩერქეზიშვილის თავშეკავებული დამოკიდებულება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს. ვარლამ ჩერქეზიშვილმა თავისი მოკრძალებული წვლილი დაიდო საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის, კერძოდ კი ფრანგი ისტორიკოსის გრაფ ალექსის დე ტოკვილის შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში. ეს მისი მოღვაწეობის ახალი, პატარა ნაწილია, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებადაა ცნობილი.



ალექსის დე ტოკვილი

ეკა ბუჯიაშვილი

# „წყლით ქვანიცა გამოსხდინა“

— შემთხვევითი არ არის, რომ ეს ახალგაზრდები ინარჩუნებენ ქართულ მელოდიას, რისი სახელის გატეხასაც ცდილობენ, მიზანმიმართულადაც კი, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებმაც უნდა გადაარჩინონ ძვირფასი განძი ჩვენი სულიერი სიმდიდრისა.

მათ შორისაა **გომარ სიხარულიძე** და მისი გოგონათა ანსამბლი „ქალგულ“.

თუ ვინმე განსაზღვრავს თანამედროვე ქართული მუსიკალური ხელოვნების დონესა და პრესტიჟს, ერთ-ერთი უპირველესი ბატონი გომარიც — გამოჩენილი ლოტბარი და კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი.

ამის დასტურად საკმარისია დავასახელოთ რამდენიმე ფილმი და, განსაკუთრებით, სპექტაკლი, რომელთა წარმატება მისმა არაჩვეულებრივმა მუსიკამაც განსაზღვრა: „ჩარი-რამა“, „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“, თემურ ჩხეიძის მართლაც შესანიშნავი დადგმები: „გუშინდელი“ — რუსთაველის თეატრში; მარჯანიშვილის თეატრში — „ასი წლის წინათ“, „ილია ვარ“, და „ჯაყოს ხიზნები“ — აქაც და მოსკოვშიც.

ქართული სიმღერის მოამაგეთა შორისაა ანსამბლი „ქალგულ“, რომელსაც ბატონი გომარი ხელმძღვანელობს და ასევე იღვწის ამ ყველაფრისთვის, — ასე გახსნა **როსტომ ჩხეიძე** ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ თაოსნობით გამართული შეხვედრა, რომელსაც კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიისა და „ჩვენი სკოლის“ დარბაზმა უმასპინძლა და ბატონმა როსტომმა მადლიერებით აღნიშნა მათი თანადგომა, შემდეგ კი შეკრებილებს ანსამბლის წევრები წარუდგინა: **ეკა გაგნიძე, თამარ ბალახაშვილი, ნანა ზარქუა, მაგდა ოღრაპიშვილი, ეთერ მიშელაძე, ნინო ბიბილური, ნინო მამალაძე, ეკატერინე ხუცოშვილი.** ასევე, **სოფო ქირია** და **ქრისტინე ბირკაია**, რომლებიც მიზეზთა გამო ვერ ესწრებოდნენ შეხვედრას.

\*\*\*

ესენი ის გოგონები არიან, 2002-2003 სასწავლო წელს რომ ჩააბარეს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტში და მომავალი ლოტბარებისა და რეგენტების სპეციალობაზე შეირჩნენ. ეს შერჩევა არ გულსხმობდა ანსამბლის ჩამოყალიბებას, თუმცა პირველი სემესტრის ბოლოს ბატონმა გომარმა ისიც აღმოაჩინა, რომ მათ საამისო მონაცემებიც ჰქონდათ, და გადაწყვიტა, გოგონებთან ამ მხრივაც დაეწყო მუშაობა.

ეს პროცესი გომარ სიხარულიძისათვის უდიდეს შრომას მოიცავს.

ჯერ მთელი წელი სუნთქვაზე უნდა ემუშავათ.

ბერის სწორ მოწოდებასა და ფრაზაზე.

მარტო ფართო მსმენელმა კი არა, სპეციალისტმაც შეიძლება გაიკვიროს, რად უნდა ქართულ სიმღერას ბგერა, სუნთქვა და ფრაზაო, მაგრამ...

— იცით თუ არა, რომ ჩვენ მთელი ექვსი საუკუნით დავასწარით იტალიელებს ბელკანტოს შექმნა.

**რა ესმოდათ მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან, მისივ ხმისა სიგებოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდინან.**

ის, რაც ქართულად ტკბილხმოვანებას გულისხმობს, იტალიურად ბელკანტოდ ითქმის.

და აი, ეს ბელკანტო მოგვდგამს ოდითგან, რუსთაველსაც რომ აღუნიშნავს თავის პოემაში და 2011 წელს ანსამბლ „გორდელას“ 50 წლის საიუბილეოდ — სადაც თავის დროზე ვმღეროდი — ხობის ფესტივალიც რომ გაიმართა **გოდერძი ბუკიას** თაოსნობით და ნიგნიც გამოვეცი, სწორედ იქ ვთხოვე ლიტერატორებსაც, მეცნიერებსაც და ჩემს კოლეგებსაც: ამას შოთა კი ამბობს, მაგრამ ეგება უფრო ადრე აქვს რამე ნათქვამი ვინმეს ძველ ფოლიანტებში-მეთქი.

ბატონი გომარი იმასაც ამბობს, რომ ერთი საუკუნით ადრეც დაუწერია გიორგი მთაწმინდელს იმ 80 ბავშვზე, ობოლთა თავშესაფრიდან რომ შეარჩია მგალობლებად, მერე რომშიც წაიყვანა, გზად ბიზანტიაშიც აგალობა და გაოგნებულნიც დატოვა მაშინდელი სამყარო ჩვენი საგალობლების სტრუქტურითაც, პოლიფონიითაც და ჰარმონიითაც, ასე რომ განსხვავდებოდა ევროპული — მითუმეტეს მაშინდელი — გალობისაგან.

საუკუნეების შემდეგ ივანე ჯავახიშვილი თავის წიგნში აზიარებს მარადისობას დუშელი მეფანდურის ნათქვამს, ბატონი გომარი შეხვედრაზეც რომ გაიხსენებს:

**ჯერ ხომ დავთვალე ლექსები ამოვიწმინდევი ხმანი, მივედი და დავამღერე ისე დავკარ, როგორც ხმალი.**

— აი, ეს ხმის ამონმენდაა ის, რასაც ვოკალისტები „გამღერებას“ უწოდებენ და ამ „გამღერებამდე“ მისვლას ძალიან დიდი შრომა სჭირდება.

აკი არტემ ერქომაიშვილიც ამას გვირჩევდა:

ვიდრე ყელს არ გაამღერებთ, სიმღერა არ დაიწყეთო.

დღეს ორი-სამი ანსამბლია ისეთი, ამ წესს რომ იცავს, არადა, ვიდრე თითზე არ დაიხვევ ხმას, სიმღერის უფლება არ უნდა მისცე თავს.

არა, არ დაგიდევენ ამას.

და ეს ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, იყალთოს, გელათის, გარეჯის, მარტვილისა თუ შემოქმედის აკადემიები რომ მოისპო, სადაც სხვა ყველაფერთან ერთად გალობა და სიმღერაც ისწავლებოდა.

...ჰოდა, პირველი სემესტრის ბოლოს ბატონ გომარს გოგონებისთვის უთქვამს, რომ ვერსად წავიდოდნენ დასასვენებლად;

რომ მათთვის გამზადებული ჰქონდა პარტიტურა, სანოტო მასალა თითოეულისათვის, და ყველა კუთხის „ნანა“, „იავნანა“ და „საბოდიშო“ მიუცია დასამუშაველად.

მერე იყო, მამაკაცის რეპერტუარშიც რომ შეაბიჯეს, რადგან ჩვენი სახელოვანი ლოტბარის აზრით, არ არსებობს ქალის და მამაკაცის რეპერტუარი — არის მხოლოდ კარგად და საშუალოდ შესრულებული სიმღერა.

ისიც მერე იყო, გოგონათაგან ერთ-ერთს, **ეთერ მიშელაძეს**, კრიმანჭულობის ნიჭიც რომ აღმოაჩნდა, და ისიც, საქართველოს ყველა კუთხის რეპერტუარზე რომ დაიწყეს მუშაობა.

— ყველაზე კარგი სასიმღერო კუთხე მესხეთში გვაქვსო, — აღნიშნა ბატონმა გომარმა, ვისაც 1975-85 წლებში კომპოზიტორთა კავშირში სწორედ ეს მხარე ებარა და ისეთ შთაბეჭდილებებშიც მოქცეულიყო მისი შესწავლისას, ვერა და ვერ აუხსნა, მაინც რას განესაზღვრა ის, რომ ასეთი გამორჩეული ლიტერატურა, სახასიათო პოლიფონია და საოცარი არქიტექტურა შეექმნა საქართველოს ამ კუთხეს.

ის კულტურა, ტერასულს რომ ვუწოდებთ და უმდიდრეს საინჟინრო ცოდნასაც მოიცავს — მაგალითად, როგორ რწყავდა ერთი წყარო უდიდეს სანახებს.

და აი, იმხანად, 70-80-იან წლებში, მეგობარსა და კოლეგასთან, შოთა ალთუნაშვილთან ერთად აღმოუჩინია ასეთი ოთხი წყაროს, ე.წ. ოთხთავის სადიდებელი მესხური მრავალ-

ჟამიერი, გოგონებმა შეხვედრაზეც რომ აახში-  
ნეს და მართლაც სხვა მუხტი შესძინეს საღამოს.  
არაერთი ასეთი გამორჩეული სიმღერით ჩა-  
ენერება ეს თავყრილობა ჟურნალ „ჩვენი მწერ-  
ლობის“ სალონურ შეკრებათა ციკლში, თუმცა  
ამაზე ცოტა მოგვიანებით, ჯერ კი...

\*\*\*

თავის ბიოგრაფიას ასე იწყებს:  
ერთ მშვენიერ დღესაც დედას და მამას ერთ-  
მანეთი რომ შეუყვარდათ...

დედაც, **მარიამ მდინარაძე**, და მამაც,  
**გიორგი სიხარულიძე** მუსიკალური ოჯახები-  
დან იყვნენ და ასეთ გარემოში იზრდებოდა თვი-  
თონაც, ამიტომაც ამბობს:

— საერთოდ, 10 სიხარულიძისაგან 7-8 მღერის  
და მათგან 3-4 მანაც ძალიან კარგი მომღერალიაო.  
ანზორ ერქომაიშვილის ნაჩუქარ სანოტო  
კრებულში, არტემ ერქომაიშვილის რეპერტუ-  
არს რომ მოიცავს, შესავალში ჩამოთვლილია  
მომღერლები, ვისთანაც კი უმღერია დიდ ლოტ-  
ბარს და მათ შორის ათია სიხარულიძე.

— მეც კი მაქვს ნამღერი მასთან, მაგრამ რა-  
ტომღაც მოხსენიებული არ ვარ, — გულისწყვე-  
ტით ამბობს და იუმორით დასძენს, — ის სიმღერა როა, „მე-  
თერთმეტე დაკარგულა...“ აი, ისე ვარ დაკარგული ამ სიაშიო.  
სამაგიეროდ, სიხარულიძეების გვარის უხუცესს, საინტე-  
რესო მეცნიერსა და მოღვაწეს **იური სიხარულიძეს** რომ გამო-  
უცია ნიგნი „ჩოხატაური“, ცალკე ჩამოთვლილ მოკრიმანჭულე-  
თა შორის მოხსენიებს, თანაც სიხარულიძეთა ოცეულში.

აი, ამ გვარის წარმომადგენელია ბატონი გომარი და კარ-  
გად ახსოვს, სტუმრიანობისას ბავშვობაში სუფრასთან არა,  
მაგრამ იმ ოთახში აუცილებლად რომ ისხდნენ ხოლმე პატა-  
რებიც და იმ წესით, იმ დაუნერელი კანონებითა და ტრადი-  
ციებით იზრდებოდნენ, დღეს რომ თვალსა და ხელს შუა გამ-  
ქრალა და გაუფერულებულა.

ისიც ახსოვს, რომ მამას მეგობრებში განსაკუთრებულად  
გამოარჩევდა გურული სიმღერების შემსრულებელთა ფრთას;  
და ისიც, არტემ ერქომაიშვილი თავისი ოჯახით რომ  
სტუმრობდა ხოლმე მათ სოფელს, ტოლებს, მერე ესენიც ჩა-  
დიოდნენ მაკვანათში და იყო დიდი პაექრობა სიმღერაში.

— ასე გავზარდე ჩემი მუსიკელებიც, სოფელთან კავშირი არ  
გაგვიწყვეტია. კავშირი ფესვებთან, რომლებსაც ბევრს ვუ-  
მადლი ცხოვრებაშიო.

აი, „დიდ ავიაციამ“ შებიჯებას კი შოთა მანაგაძეს უმად-  
ლის, წლების წინათ ძველი ქართული ფილმების აღდგენაზე  
მუშაობისას მათი მუსიკალური გაფორმება რომ ანდო და ასე  
აზიარა ამ სამყაროს.

ქართულ თეატრში ნათლობა კი მაშინ მოხდა, გოგი ქა-  
თარაძე რუსთაველის თეატრში რომ დგამდა **რეზო ებრალი-  
ძის** პიესას „ჩვენ — მისი უდიდებულესობა“ და იმისთვის მი-  
ინვიეს, რომ სერგო ზაქარიაძისათვის სიმღერა ესწავლებინა  
ფინალურ სცენაში.

— მახსოვს, კისრისტეხით გავვარდი.

მაშინ ასეთი წესი იყო: რეპეტიცია 11-ზე იწყებოდა, 10-ზე  
კი სიმღერისა და ცეკვის გაკვეთილები ტარდებოდა. 15 წუ-  
თით ადრე გამოცხადდოდა. იქ იყო ბატონი სერგო. მეორე  
დღეს კიდევ ოცი წუთით ადრე მივედი, ისევ თეატრში დამხ-  
და. მერე 10-ის ნახევარზეც ვცადე მისვლა და...

— შენ მე აქ მოსვლას ვერ მომასწრებო, — მითხრა, —  
ახალგაზრდა კაცი ხარ, გამოიძინე და მოდი საჭირო დროსო.  
რთულად ითვისებდა ძალიან.

ვაი-მე, ისე რთულად!



ანსამბლი „ქალგულო“

მაგრამ უკვე მერე ტონის მიცემაც კი არ სჭირდებოდა,  
ისე ჰქონდა გამომუშავებული დაწყებაც და დამთავრებაც.  
ასეთ დიდ ადამიანებთანაც მომიხდა მუშაობა.

საერთოდ, ბედნიერი კაცი ვარ ამ მხრივ — ორი სპეცი-  
ალობით დავამთავრე კონსერვატორია, საგუნდო-სადირი-  
ჟორო და საკომპოზიციო.

პირველ ფაკულტეტზე ვახტანგ ფალიაშვილი მასწავლი-  
და, მეორეზე კი — ანდრია ბალანჩივაძე.

ორი კლასიკოსი.

ორი ქუთაისელი.

მოგვიანებით **მანანა გაბაშვილი** ანდრია ბალანჩივაძის  
შესახებ რომ ჰკითხავს ბატონ გომარს, ის ამასაც იტყვის:

— დედა პეტერბურგელი ჰყავდა, იქ გაზრდილი და გა-  
ნათლებამიღებული, თუმცა მსგავსი ქართველი ცოტა თუ მე-  
გულეობა ჩვენს ქვეყანაში.

ისეთი ქართული მუსიკაც იშვიათია, ანდრია ბალანჩივაძე  
რომ წერდა.

შესანიშნავი შვილი დატოვა, ჯარჯი, ვინც **XXI** საუკუნის  
მუსიკოსი მგონია — თავისი აზროვნებით, მონაცემებით, მუ-  
სიკის სტრუქტურული თავისებურებებით.

და თუ ვახტანგ ფალიაშვილმა, დიმიტრი არაყიშვილმა და  
ვიქტორ დოლიძემ ქართულ საოპერო მუსიკას ჩაუყარეს სა-  
ფუძველი, ანდრია ბალანჩივაძე საკომპოზიტორო სკოლის  
შემქმნელად, სიმფონიური მუსიკის ფუძემდებლად ჩაენერე-  
ბა ქართული კულტურის ისტორიაში.

3-4 წლის წინათ მე და კახა ცაბაძემ გერმანიაში გავგზავნეთ  
ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორების ნაწარმოებები, მათ შო-  
რის ანდრია ბალანჩივაძისაც, და იქიდან ასე გამოგვეხმაურნენ:

— ვინ ხართ ეს თავზეხელაღებული და უდარდელი ხალ-  
ხი, **XX** საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე ასეთი საკომპო-  
ზიტორო სკოლა იშვიათად თუ გვეგულეობა სადმეო.

აი, ეს შექმნა ანდრია ბალანჩივაძემ.

\*\*\*

ამ სიმღერას ბატონ გომარს თავისი ქალიშვილი, **ნინო სი-  
ხარულიძე** შეახსენებს შეხვედრაზე — „მიშანა“ ანუ აფხაზი  
ქალის გოდება, რომელსაც ასეთი ლეგენდა ახლავს:

დიდი მოჭაჯირობისას დედას გემზე შვილი გარდაცვლია.  
ზღვის კანონების მიხედვით, წყლისთვის უნდა მიეცა ჩვი-  
ლის უსულო სხეული, მაგრამ ვიდრე სტამბოლში ჩავიდოდ-

ნენ, როგორც ცოცხალს, ისე უმღეროდა ნანას და მხოლოდ ნაპირზე მიუბარებია მინისათვის.

— სამეგრელოსა და გურიაში თუ „სისა“ გვაქვს, აფხაზეთში ამ მნიშვნელობით გვხვდება „შიშ“. მერე გავარკვიე, რომ ასეთი „შიშნა“ სვანებსაც ჰქონიათ თურმე და გულგრილად ვერავენ მოუსმენს, — განმარტა ბატონმა გომარმა და გოგონებს — განსაკუთრებით კი **თამარ ბალახაშვილს**, ვისაც ოთხი წლისას გადმოუვლია ფეხით ის თოვლიანი და ტყვილიანი უღელტეხილი — ამ სულისშემძვრელი დატირების შესრულება სთხოვა.

დატირებას ის სევდიანი სიმღერა მოჰყვა, ანსამბლ „ქალგულოს“ წევრისათვის, 26 წლის ასაკში გარდაცვლილი **ლელა ახუაშვილისთვის** რომ მიუძღვნიათ მეგობრებს.

მანამდე მეგრული სიმღერის ბედზეც ისაუბრეს, **ჯემალ ფოცხვერია** რომ დაინტერესდა, ბატონმა გომარმა კი უპასუხა, რომ ამ ბოლო ხანს მეგრული სიმღერას ისეთი პატრონი გამოუჩნდა **გოდერძი ბუკიას** სახით, ვერცერთი კუთხე რომ ვერ დაიტრიალებს.

**ნოდარ მაგლობლიშვილმა** საერთოდ ქართული სიმღერის მაღლებზეც ისაუბრა და გომარ სიხარულით გამორჩეულ ხმაზეც, „უჩვეულოდ მოძრავზე“, „ხვანცალა“ რომ უწოდა, რევაზ თაბუკაშვილს კი „კალმახა“ შეურქმევია თურმე... მერე კი გოგონების მაღალპროფესიონალიზმიც აღნიშნა:

— დაკვირვებით გისმენდით და გიყურებდით, თქვენმა ხმებმა ხომ გამოგნა და იმანაც არანაკლებ გამაკვირვა, რომ ვერაფრით მივხვდი, რა დროს სუნთქავთ და საიდან ამოდის ასეთი ბგერა და ფრაზა, რაზეც საუბრობდა ბატონი გომარი, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ძალიან დიდი სკოლა გავქვთ გავლილი.

სწორედ სიმღერის მნიშვნელობა გამოარჩია თავის გამოსვლაში **მაია მიქაბერიძემ**, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტში არსებული კიდევ ერთი ასეთი სახელოსნოს ხელმძღვანელმა, ვინც მუსიკის მოყვარულმა საზოგადოებამ წლების წინათ აღმოაჩინა, როცა მოისმინა, როგორ კრიმინალურად ანსამბლ „მართვეს“ პირველ შემადგენლობაში ერთი პატარა გოგონა.

— ბატონი გომარის ხელდასხმულია ყველაფერიო, — თქვა ქალბატონმა მაიამ, — თუმცა ქართული სიმღერის პრობლემებში მის თაობასაც მიუძღვის ბრალი, ისედაც არაფერი გვინცობს ხელს და მათაც მიუშვეს ეს პროცესიო.

ამ პრობლემებს შორის კი გამოარჩია ავთენტური სიმღერა, რაც ხშირად არასწორად ესმით მუსიკოსებსაც და ფართო საზოგადოებასაც. ამის გამო კი ის პირველწყარო, სცენაზე ატანილი, დამახინჯდა.

ბატონმა გომარმა ეს უფრო ვრცლად განუმარტა საზოგადოებას:

— ექსპედიციებში რომ დავდივართ, ძირითადად ასაკოვან ადამიანებს ვინერთ, მათ, ვისაც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, სასიმღერო აპარატი უკვე აღარ აქვთ შესაბამისი და სიმღერაც გამართულად ვეღარ ჟღერს. ამიტომ ეს შესრულება ავთენტური სულაც არ არის და მისი დასახელება პირველწყაროდ ან კოპირება არასწორიაო.

ქართულ სიმღერას რომ მოფრთხილება და ხელშეწყობა სჭირდება, ამის შესახებ არაერთხელ აღინიშნა შეხვედრაზე.

**როსტომ ჩხეიძემ** კი დანაწილებით დასძინა:

— უბედურება ისაა, რომ დღეს სცენა იმ ადამიანებს აქვთ ჩაგდებული ხელში, ვისაც არც ხმა აქვს, არც სმენა და არც სინდისი. მხოლოდ ასეთ პატარა-პატარა აუდიტორიებში თუ მოისმენთ ნამდვილ ქართულ სიმღერას, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ხვალინდელი დღე ამ და ასეთი ახალგზრდებისა იქნებაო, — და კიდევ ერთხელ გადაუხადა მაღლობა კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის და „ჩვენი სკოლის“ ხელმძღვანელობას — **მანანა დოიჯაშვილს, ქეთევან სიხარულიძეს და გულიკო ნიკოლაძეს** — სწორედ ასეთი აუდიტორიის უანგაროდ დათმობისა და გულისხმიერი მასპინძლობისათვის.

ნათელა არველაძე

## ასეთი იყო ეროსი...

ეროსი მანჯგალაძე ჭეშმარიტად ხალხის რჩეული გახლდათ, ნამდვილი სახალხო არტისტი! ვინც მოესწრო ეროსის პიროვნული და არტისტული ხიბლის ზემოქმედებას, დამეთანხმება, რომ ის სხვა პენსა და შნოს ჰმატებდა თეატრს, დასს, სამეგობრო წრეს, თეატრალურ საზოგადოებრიობას, ჩვენს თავყრილობებსა თუ წვეულებებს.

სიკეთით გაძედილი გული, სუფთა სინდისი და უზადო პროფესიონალიზმი — ასეთი იყო ეროსი. მან უხვად და უშურველად მიმოაბნია სიკეთის თესლი, არაერთ ადამიანს შეუმსუბუქა ხვედრი; მან მაგალითი მოგვცა ურთულეს ეპოქაშიც კი, რომ შესაძლებელია შეინარჩუნო ადამიანობა; საკუთარი საქმიანობის წინაშე არ დაუშვია კომპრომისი, მთელი შეგნებით, მთელი არსებით ემსახურა თეატრს, კინოხელოვნებას, ტელერადიო დადგმებსა თუ მხატვრული კითხვის ხელოვნებას; სპორტული კომენტატორობა პროფესიად აქცია და თავდაუზოგავი ქომავალი იყო ფეხბურთისა, კალათბურთისა...

წლების მანძილზე ეროსი ქართველ საზოგადოებას ავსა თუ კარგს რადიომაუნჯელობით უმხელდა. ქართველმა ერმა მასში მოჭირნახულე მაცნე აღმოაჩინა, ენდო მას, მის არაჩვეულებრივ ხმასა და დიქციას განსაკუთრებული ცნობისწადილით ისმენდა. ეროსიმ ადვილად გაიკვალა გზა ადამიანთა გულებისაკენ — გრძნობათა სინრველით, უიშვიათესი ტემბრის ხმით, სალიტერატურო ენისა და მეტყველების კულტურით. ის სანდომიანი გარეგნობით და ახოვანებით ძალუმაღ ჩამოშგავდა ჩვენ წინაპრებს — ზრდილი, შინაგანად გასხივოსნებული, საქმიანი, მონესრიგებული — მთელი ძალით ასხივებდა კეთილშობილებას; უფრთხილდებოდა წინაპართა სახელს, იცავდა ადათ-წესებს, თითქმის რიტუალის რანგში ჰქონდა აზიდული ურთიერთობა დასთან, დისწულებთან, სიყმის მეგობრებთან, კოლეგებთან, სპორტსმენებთან... ქართული სიტყვის მაღლსა და კეთილშობილებას შეჰხაროდა და როცა მიკროფონთან საუბრობდა, ან სცენიდან მეტყველებდა, იგრძნობოდა ქართული ენისადმი მოკრძალებად და პატივისცემად.

ეროსი ქართული მწერლობის მცოდნე, მოყვარული, მხატვრული ლიტერატურის მეტად დაკვირვებული და საგულისხმომო ინტერპრეტატორი გახლდათ. ის ეტრფოდა რუსთაველს, გალაკტიონს, ფალიაშვილს, ფიროსმანს, სვეტიცხოველს. გრძნეულის სიტკბოებით ისმენდა მუსიკას, უღრმავდებოდა ლექსისა თუ პროზის რიტმებსა და სტრიქონებს, შთაგონებით ითვისებდა ფერთა შეხამებასა და ნახატის სიმკვერცხეს... ის ჩინებული შემფასებელი იყო ხელოვნებისა.

ეროსი მანჯგალაძე საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. მომჩივანი არავინ ჰყავდა, თვითონაც არ კადრულობდა ვინმეს აუგად ხსენებას, იშვიათად გამოსთქვამდა საყვედურს. ალაღმართალი კაცი იყო და დაუმსახურებლად არავის გაკენწლავდა. უტყუარი გუმანის შემწეობით ზუსტად აფასებდა ადამიანს. მისთვის მიუღებელი პიროვნებისთვის გულის კარი არასოდეს გაუღია და ვინც უყვარდა, ვისაც პატივისცემით ეპყრობოდა, ვისაც აფასებდა — მისი ყადრი იცოდა, გულისყურით ექცეოდა, მათთან ურთიერთობას ვერ ელეოდა, მათთან მოლხენას არაფერი ერჩია. გამორჩეულად ერთგულბდა რუსთაველის თეატრს, იმ სცენას, სადაც მისი პერსონაჟები ცოცხლდებოდნენ. ერთგულბდა თავის ოჯახს, ქვეყანას, სამეგობროს... ერთგულბდა თავის ხელობას, მსახიობთა იმ გუნდს, რომელთაც შვიდკაცა შეარქვეს და რომელთაც ბედისწერამ

რთული ცხოვრება არგუნა ხელოვნებაში: ისინი რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი ფერისცვალების ავანგარდში იმყოფებოდნენ და თავგანწირვით იცავდნენ თავიანთ ხელოვნებისეულ თუ მოქალაქეობრივ მრწამსს.

ეროსი თავისი პერსონაჟებით გამოხატავდა დროის ცვლილებას, ის თანამედროვე შემოქმედი გახლდათ. ყოფაში თავის უძველეს წინაპრებს ჩამოჰგავდა, დროის ცვლილებას არ აჰყოლია, ფუფუნებისთვისა და კეთილმოწყობისთვის არ გადაუკლავს თავს, უბრალოდ ცხოვრობდა ჰედონისტურ საზოგადოებაში. ამ მხრივ „ძველმოდური“ კაცი გახლდათ.

თავისი ადამიანური და ხელოვნებისეული ხიბლით მონუსხული ჰყავდა მთელი საზოგადოება, ოფიციალურიც მათ შორის. მიუხედავად ამისა, პირადული სათხოვრით ძალზე იშვიათად შეუწუხებია თანამდებობის პირები. სხვებისთვის კი თავდაუზოგავად ირჯებოდა... მისი მეგობარი მიხეილ თუმანიშვილი ამბობდა, მიკვირს როგორ იმახსოვრებს ამდენი ადამიანის გასაჭირსო. არასოდეს არავისთვის უგრძობინებია, რად უჯდებოდა თვითონ ამდენი ნაცნობ-უცნობის დახმარება. იმდენად სცემდნენ პატივს, რომ... მისი გარდაცვალების შემდეგ ერთ-ერთი რაიონის თავკაცმა შემოუთვალა კინოსახიობოთა თეატრს — ვისთვისაც ეროსი მანჯგალაძემ მთხოვა ფერადი ტელევიზორი, მალაზიას მიაკითხოსო. მეორე მსახიობისთვის — ტელეფონის დადგმა უთხოვია, უბნის უფროსმა შემოთვალა: პრობლემა გადაჭრილიაო. ერთს მანქანის გამოყვანა უთხოვია, იმასაც შეუსრულეს სურვილი...

ეროსი თეატრის ნებიერი იყო, ეროსი მაყურებლის ნებიერი გახლდათ. ოვაციით ეგებებოდნენ მის გამოჩენას სცენაზე, წარმოდგენის დასასრულს მხურვალე ოვაციით აცილებდნენ. კოლეგები ხშირად მოდიოდნენ მისი თამაშის სანახავად. რამდენიმე ეპიზოდის საყურებლად კულისებსა ან ლიტერის ლოჯაში იკრიბებოდნენ. მისი პერსონაჟების რეპლიკებს, ეროსისეული ინტონაციით ნათქვამს, მაყურებელი აიტაცებდა ხოლმე. მერე მთელი ქალაქი იმეორებდა. ახლა, როცა მისი სცენური პერსონაჟები ისტორიის კუთვნილებაა, მხოლოდ ტელე და კინოეკრანის შემწეობით არის შესაძლებელი ძველებმა გავისხენოთ ეროსი, ახალგაზრდებმა კი გაიცნონ მისი შემოქმედება. ეროსის ხელოვნება არაერთგზის გამხდარა სპეციალისტთა კვლევის, ანალიზის, შეფასების ობიექტი.

ამჯერად მკითხველს გავაცნობ მრავალთათვის უცნობ ეროსი მანჯგალაძეს, როგორი იყო იგი ყოველდღიურ გარემოში, თეატრსა თუ ნათესავ-მეგობართა წრეში.

\*\*\*

მას თუ დილის სპექტაკლი არ ჰქონდა, კვირა დღეს, 12 საათზე, სტუმრობდა დის ოჯახს. ბელა მანჯგალაძე უყვარდა, უფროხილდებოდა, პატრონობდა. იგი ცხელ ხაჭაპურს ახვედრებდა ძმას. ერთ რამედ ღირდა მათ სიამტკბილობაზე ეროსის ნაამბობის მოსმენა. ძლიერი გრძობით უყვარდა დისწულეები: თამარი (დედამისის სეხნია) და რეზო (უფროსი ძმის სეხნია). როცა მთხოვდა ახლობლის შვილების დახმარებას — ამას ნაწერი გაუსწორე, იმას თეატრზე აქვს დასაწერი და რამე უამბეო, ამას თეატრის ისტორიის საკითხებზე ესაუბრეო, თან დააყოლებდა: ხაჭაპური და შოკოლადები ჩემზე იყოსო. ვუბნებოდი, ქრთამად ბელას გამომცხვარი ხაჭაპური მინდა-მეთქი. გაიცინებდა: აჰ, მაგი ნამეტანი მოგივაო.

კულისებში, განცხადებებისთვის განკუთვნილ დაფაზე, ახალი სპექტაკლისათვის როლების განაწილების ბრძანება რომ გამოიკვრებოდა, მსახიობები ჯერ საკუთარ გვარს დაეძებდნენ. ეროსი კი ეძებდა სოსო ლალიძის, რეზო ჩხაიძის, ტრისტან ყველაიძის, ახლო მეგობრის, მათე შაიშმელაშვილის გვარს. კმაყოფილების ღიმილით გაცეცლებოდა დაფას და ჩაილაპარაკებდა — ესეც ასეო. თუ მათ გვარს ვერ ამოიკითხავდა, გულდანყვეტილი ცივად შეტრიალდებოდა. თავისთვის არასოდეს არცერთი როლი არ მოუთხოვია, თუმცა მისი მდგომარეობის პატრონს ამისი შესაძლებლობა და უფლებაც ჰქონდა.

მარტო ყოფნა არ უყვარდა. თუ სპექტაკლი, რეპეტიცია, გადაღება ან ჩანერა არ ჰქონდა, მეგობართა ვინრო წრეში უყვარდა ყოფნა და მოლხენა. ვისაც ასეთ წუთებში უნახავს ეროსი, დამეთანხმება — გასაოცარი სილაღით, სიმხნევით, გულიანი სიცილით, ხალისიანი იუმორით როგორ შეჰხაროდა მენახებებს; როგორი ალტკინებითა და ხალისით კითხულობდა გალაკტიონის ლექსს, როგორი ვნებით, გახელებით და იდუმალი თრთოლვით შესძახებდა:

**წინ, მეექვსე!**  
**ვც ცხენები გააქანე, გააქანე!**  
**მსურს რომ ერთხელ კიდევ ვნახო გაზაფხულის მთები მწვანე,**  
**მსურს რომ დაფნით გადავხლართო მძიმე ფიქრთა ოკეანე!**  
**წამიყვანე!**



ეროსი მანჯგალაძე

ასეთ წუთებში ერთიანდებოდა ყველა მისი კეთილი ზრახვაც, შორეული მისწრაფებაც, ლამაზი ოცნებაც, აუხდენელი სურვილიც, გაუმხელელი დარდიც, განუქარვებელი სევდაცა და გამოუთქმელი ტკივილიც. მის ფაქიზ სულს შეეძლო ვაჟკაცურად ეტარებინა, ეტვირთა უსამველო სიმძიმეილი მოწოლილი კაემწისა! ეროსი ფიქრიანი, სევდიანი, თავის თავში ჩაკეტილი ადამიანი იყო, თუმცა საჯაროდ ცხოვრების კულტურასაც ფლობდა და იშვიათად გაუმხელია სხვისთვის საკუთარი დარდი და ტკივილი. იუმორით დაჯილდოებულს ჭირთათმენის უნარიც შესწევდა.

\*\*\*

მისი თაობის მსახიობთა შორის იმითიც გამოირჩეოდა, რომ შეეძლო მაღალი ტრაგედიის თამაშიც, ტრაგიკული გმირის განსახიერებაც. ამის დასტურია ოდიშოს მეფისა და ივანე მრისხანის მისეული ინტერპრეტაცია. მაგრამ... ორმა გარემოებამ სხვაგვარად დაატრიალა დასისა და თეატრის ჩარხი.

უფროსი თაობის მსახიობთა შემდეგ ეროსის მიერ განხორციელებული ტრაგიკული გმირები ჩაენაცვლებოდნენ ამ სცენაზე მათ თამაშს. საამისოდ გარეგნობაც, ხმაც, სულიერი ძალოვანებაც უწყობდა ხელს. ოღონდ თვალეები — მოკაჰკაჰე, მოელვარე გამოხედვა დააკლდებოდა მის შესრულებას, ის იმდენად გამორჩეული პიროვნება გახლდათ ცხოვრებაში, რომ თავისდაუნებურად ხვდებოდა ყურადღების ცენტრში. სადაც უნდა ყოფილიყო, ადამიანთა მხედველობას იკრებდა. მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ. ეს თვისება, ფიქრობ, გადაფარავდა ტრაგედიის გმირისათვის ნიშანდობლივ მოგიზგიზე თვალეების ემსხ. მაგრამ...

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ხელოვანთა წინაშე სრულიად ბუნებრივად წამოიჭრა ე.წ. „პატარა ადამიანის“, ჩვეულებრივი მოკვდავის ცხოვრებისა და მისწრაფებათა ასახვის პრობლემა, რათა მათში აღმოცენებულიყო კაცობრიობის, სამყაროს ხვედრისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა. მეორე მსოფლიო ომმა ამ გამოცდილებითაც გაამდიდრა ცივილიზებული ადამიანი.

თეატრმაც იტივრთა ჩვეულებრივი მოკვდავის თავგადასავლის წარმოჩენა სცენაზე. რუსთაველის თეატრმაც დროის მოთხოვნილება გაითვალისწინა რეპერტუარის შერჩევის დროს. ჩვენშიც მაღალი ტრაგედიის განხორციელებას ჩაენაცვლა უმეტესად ფსიქოდრამა, კომედია, ტრაგიფარსი და ტრაგიკომედია. თანაც, დროება ადამიანს აღარ განიხილავდა ბუნების გვირგვინად, დროება მოითხოვდა ფასეულობათა გადაფასებას, ღირებულებათა სისტემაში კორექტივის შეტანას, გმირი და მასა, ეს სისტემა ახლა განიხილებოდა — ადამიანი და ხალხის ეგიდით. მონაპოვარს დანაკარგიც ახლდა. მაღალი ტრაგედიის თამაში ტრადიცია იმხანად ჩვენში ვეღარ განვითარდა. ჟანრის ერთფეროვნებას მიეძღვა რუსთაველის თეატრიც.

თუმცა ამ პერიოდის მსოფლიო სცენა შესძრა ჯონ დექტერისა და ლორენს ოლივიეს შექსპირის „ოტელოს“ ადაპტაციამ და პიტერ ბრუკისა და პოლ სკოფილდის „მეფე ლირის“ ინტერპრეტაციამ. ამ დადგმებმა არამარტო სცენაზე მოიტანეს სიახლე საშემსრულებლო კულტურის თვალსაზრისით, ტრაგედიების მოდერნული გააზრებით, არამედ კორექტივი შეიტანეს საერთოდ ტრაგიკული გმირის თამაშის თვალსაზრისითაც.

ამაღლებული, დეკლამაციური შესრულების სანაცვლოდ, მსახიობებმა წარმოადგინეს ოტელოსა და ლირის სულიერი დრამაც, შინაგანი სამყაროს ძნელად მისაგნები ცვლილებებიც, ადამიანის ფსიქიკის ცვლილებათა ფერადოვნებაც, გრადაციაც იმ ძლიერი სულიერი ჭიდილის, სამყაროს ჭერეტის მასშტაბურობისა და ბედისწერასთან შერკინების უმწვავესი კატაკლიზმების კვალდაკვალ. ეროსი მანჯგალაძის მიერ სოფოკლეს ოდიპოს მეფის ხასიათში ძალუმად იგრძნობოდა, გმირის ძაღოვანებასთან ერთად, ადამიანური მისწრაფება საკუთარი, გენეტიკური ფესვების ძიებისა (რეჟისორი დიმიტრი ალექსიძე, 1956).

ისიც მნიშვნელოვანია, რომ ეროსის შეეძლო ამაღლებული გმირის სიმტკიცისა და ძლიერი ვნებათაღელვის წარმოჩენაც, ფსიქოდრამის სათუთ ნიუანსთა მიგნებაც და ტრაგიფარსის ირონიულ-პაროდიული ჭრელა-ჭრულა ფერების წარმოსახვაც. ამის საბუთია, ოდიპოსთან ერთად, მისი წარმატებული შესრულება სხვა ჟანრისა და სტილის სპექტაკლებშიც: ტეტერევი, მამილო პეშეკი, ლოპესი, ზიმზიმოვი, ბოცო კალანდაძე, ფანტიაშვილი, გვადი ბიგვა...

მეორე მიზეზი უფრო კონკრეტულია, შიდა სათეატრო მოვლენათა რანგს უფრო კუთვნილება, ოღონდ ისიც ძლიერ გავლენას ახდენს თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაზე. როგორც უკვე აღვნიშნე, გასული საუკუნის 60-იანი წლებისათვის მსახიობთა უფროს თაობას ჩაენაცვლა შვიდკაცა, როგორც თეატრის ფერისცვალებათა ავანგარდი, და მათი თაობის არტისტები, როგორც იტყვა, ეროსი მანჯგალაძე აღმოჩნდა დასის პროტაგონისტი. ის და მისი თაობა იქნებოდა რეპერტუარის ავების უმთავრესი ღერძი, მაგრამ... ამ დროს დასს შეემატა მარჯანიშვილის თეატრიდან გადმოსული სერგო ზაქარიაძე. ასეთი მაღალი რანგის ოსტატის არსებობა, რა თქმა უნდა, ცვლის თეატრის სარეპერტუარო ნუსხას (ზოგჯერ სარეპერტუარო პოლიტიკასაც!). სერგო ზაქარიაძის ნიჭმა და ოსტატობამ ძალიან გაიბრწყინა რუსთაველის თეატრში. შვიდკაცას ზნეობრივი სიმრთელის წარმოსაჩენად საკმარისია დავასახელოთ, რომ მათ უკმაყოფილება არ გამოუხატავთ და ძალზე საინტერესოდ ითანამშრომლეს სერგო ზაქარიაძესთანაც. შემდგომ მოვლენები სხვაფრთვ განვითარდა, რაც ცალკე და დაკვირვებულ კვლევას მოითხოვს.

\*\*\*

ეროსისთანა თავმდაბალი, კეთილშობილი და მორცხვი ადამიანი იშვიათად შემხვედრია. ყველას პიროვნული ღირსებებით აფასებდა და არა ჩინ-მედლებისა თუ თანამდებობის მიხედვით. რუსთაველის თეატრსა და თეატრმცოდნეთა ნაწილს შორის ვითარება რომ გამწვავდა, სულ იმას ამბობდა: ეს ხალხი ამდენ ღვარძლსა და ბოღმას როგორ იტევსო?! მაშინაც კი, როცა მასზეც დაინერა შეურაცხმყოფელი მოსაზრება, აუგი არ დასცდენია ქალბატონზე. არ ჩარეულა შიდა სათეატრო ინტრიგებსა თუ კონფლიქტებში.

კინოსახიობთა თეატრის დასს პატრონობდა, როცა მათი ღირეტიორი გახდა, რეზო იმნაიშვილსა და ზაზა მიქაშავიძეს ეროსის შვილობილებს ვეძახდი. მურომსკის როლზე რეზო მის დუბლიორად დანიშნეს. გახარებულმა, პირველად ეროსიმ მიულოცა რეზოს, როდესაც მან ითამაშა ეს როლი. თეატრი ბათუმს გაემგზავრა საგასტროლოდ. რეპერტუარში სუხოვოკობილის „საქმეც“ ფიგურირებდა. რეზო ბათუმელი იყო და, ბუნებრივია, ძალზე ღელავდა. რეზოს მშობლიურ ქალაქში მურომსკი ორჯერვე რეზომ ითამაშა. ახალგაზრდა მსახიობების მიმართ უმურველი გახლდათ.

იმდენად მორიდებული იყო, რომ იშვიათად ეტყოდა რეჟისორს, ადრე გამიშვი რეპეტიციიდან ტელერადიო დეპარტამენტში გადაღებაზე ან ჩანერაზე მაგვიანდებო. ახალბედა რეჟისორს ისეთივე გულისყურით უსმენდა, ისეთივე პატივისცემით ექცეოდა, როგორც გამოცდილ ოსტატს. მოლხენა უყვარდა, მაგრამ როცა როლზე მუშაობას იწყებდა, მაშინ ორი-სამი თვით „მშრალი კანონი“ ცხადდებოდა. როლზე მუშაობა მისთვის უმთავრესი იყო და რიტუალის საკრალურობით უდგებოდა სვლას: „მე-დან“ „ადამიანი-როლისაკენ“.

გატაცებით, იმპროვიზაციული სილაღითა და სითამამით შეუდგა ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვაზე“ მუშაობას. თავდაპირველად რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი და ეროსი შეთანხმდნენ, რომ მთავარი ხაზი, პერსონაჟის ხერხემალი, რაზეც უნდა აენყოთ გვადის თვისებები, იყო ხუთი შვილის გამოკვების პრობლემა. თანდათან, ტექსტის ძირფესვიანი შესწავლის შემდეგ, გამოიკვთა მთავარი სათქმელი, დედაზრი — როგორ აღმოცენდა „ტყუიპან“, უქნარა და ღაკკ გვადი ბიგვაში ღირსების გრძნობა. წინა პლანზე გამოიკვეთა ღირსების დაბადების პროცესი, ხოლო სილატაკე და ხუთი შვილის გამოკვების ამბავი ფონად იქცა. აზარტითა და გამომგონებლობის სიმშაგით ჩაება მსახიობი სპექტაკლზე მუშაობის პროცესში.

ერთი საღამოს რეპეტიცია მხოლოდ ეროსის მონოლოგს დაეთმო. მუზეუმის წინ, დიდ სარეპეტიციო დარბაზში, პირობითად მონიშნული იყო გვადის ჯარგვალი. კარის წინ სამიფხა სკამზე ჩამოჯდა ეროსი, წინ ფუთა ედო, საიდანაც არჩილის მიერ მიზარებული ტანსაცმელი უნდა ამოეღო. რეპლიკებს ვანვდიდი. ჯერ ფუთიდან თეთრი მოსაცმელი ამოიღო, ეროსის სახე გაუბრწყინდა, ხელით მოსინჯა ნაქსოვი, მერე გაშალა, მოენონა, იქით გაიხედა, სადაც მარიამის ოდა ეგულებოდა. ისევ მოსინჯა და... თავმომწონედ გაუნოდა მარიამს: აიღე, ჭირიმე... ეს შენია... ამდენი შრომადღის პატრონს ამის ყიდვა არ გამიჭირდებო, თავდაჯერებულმა უკვე ამაყად გახედა „მარიამ“. რეჟისორმა შეანყვებინა, ყოველი მოძრაობა ზუსტად გათვალე და დააფიქსირეო, ხელით რომ მოსინჯე ნაქსოვი — ეს კარგია, უნდა გამოჩნდეს, რომ ასეთი ჩასაცმელი მას ჯერ არ უნახავს და გაოცებულიაო... მსახიობმა დახვეწა ფიზიკური მოქმედება, თან მოკრძალებით ეხებოდა და შეჰყურებდა მოსაცმელს. მერე გაყურდა, ისევ ჩაყო ხელი ფუთაში. რეპლიკა მივანოდე, მუშტში მომწყვდეული რაღაც ნაჭერი ამოიღო, რეპლიკა გავიმეორე. ეროსი გაჩუმდა, სინთლემ გადაკრა, ისევ მივანოდე რეპლიკა, მაგრამ... ეროსიმ რეჟისორს გადახედა. ბატონი მიშა მომიბრუნდა, ვიდრე რამეს მეტყოდა, ავდექი და მუზეუმის დიდ ოთახში შევედი... ეროსის მუჭში

„კუტა ნიფხავი“ ეჭირა, უნდა გაეშალა და ისევ სწრაფად ჩაედო ფუთაში. მასთან ახლოს ვიჯექი, იმდენად მორიდებული და მორცხვი იყო, რომ ხმამაღლა ვერ წარმოთქვა თავისი რეპლიკა — „კუტა ნიფხავი“ — და ვერც გაშალა მუჭი. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მიხმეს და გავაგრძელეთ რეპეტიცია...

მეორე დღეს რეპეტიციამდე შემოვიდა მუზეუმში, ხელში გრაგნილი ეჭირა. იღიბებოდა, გაშალა ქალაღდი და წინ დამიდო ლამაზი და სხვადასხვა ფერის ათი „მუდმივი“ საწერ-კალამი. მაშინ ასეთი კალმისტრები იშვიათობა იყო, მაღლობის თქმაც ვერ მოვასწარი, გაბრუნდა და კართან მისულმა იუმორით მითხრა: „შე საცოდაო, მაგ ბრძნულ აზრებს როგორი კალმისტრით წერო! ამიერიდან ეროსი დამიძახეო“, და წავიდა...

რუსთაველის თეატრიდან წამოსული ვიყავი. ეროსი თეატრთან შემხვდა. ხელში ჟურნალ „მნათობის“ რამდენიმე ნომერი ეჭირა. მოკითხვის შემდეგ მითხრა: „აივნისანი ქალაქი“ ნაიკითხე და ვილაპარაკოთო. ნაიკითხული მქონდა, გაუხარდა, კინოსტუდიაში მივიღვივარ, თუ გინდა შინ გაგიყვანო. ამ რომინზე დაინყო საუბარი: „ძალიან მომეწონა ნიკოლოზ გაბაონის „აივნისანი ქალაქი“. ბოლო ხანს არცერთ ქართულ პროზას ასეთი ზემოქმედება არ მოუხდენია. რამდენიმე პერსონაჟი მაინც ძალზე გამოკვეთილად შექმნილი. ისეთი პორტრეტები, პირდაპირ გინდა სცენაზე გადაიტანო. სიამოვნებით ვითამაშებდი, მაშინვე მომინდა თამაში, როცა წავიკითხე, მაგრამ მიშას რომ დაედგა... როგორმე უნდა წავაკითხო. შენი აზრით მაინტერესებს“.

თავადაც მაღალი აზრისა ვიყავი ამ რომინზე. ჩვენ გავარჩიეთ ნაწარმოები. სულ იმას ამბობდა — მთელი ეპოქაა ხელისგულზე გადაშლილი. თანაც, დიდი გატაცებით კითხულობდა ცალკეულ ეპიზოდებს.

თუმცა ასეთი ახლობლობა ჰქონდა ბატონ მიშასთან, იმდენად მორიდებული გახლდათ, რომ ვერ უმხელდა გულისწადებს. იმხანად ბატონი მიშა ახალი თეატრის გახსნის პრობლემით იყო დაკავებული. ძალზე განიცდიდა უთეატრობას. ეროსის ერიდებოდა სხვა თემამე წამოეწყო მასთან საუბარი. იმ დროს მეც ტელევიზიაში მუშაობდი, სადადგმო რედაქციის რედაქტორად. ეროსის ხშირად ვხვდებოდი, რადგანაც კახა კახაბრიშვილის თაოსნობით მას გამუდმებით ინვესტირებდა ტელედადგმების გადაღებებზე. ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით თეატრზე, მიხეილ თუმანიშვილზე, როლებზე, რომელთაც ვთავაზობდი.

ერთხელ საუბრისას შემეკითხა: თუ იცი, როგორც თვითონ ამბობდა, „მიშას თეატრის საქმე“ როგორ არისო. მაშინ შევთავაზე მსახიობს, თვითონვე გაეკეთებინა რომანის მონტაჟი, ინსცენირება კი არა, არამედ ტექსტის მონტაჟი, რომელიც ცენტრალური პერსონაჟის ამბავი გამოეკვეთა, ან სულაც მოვლენები ტექსტის მიხედვით აენყო, მთავარი მოვლენის მნიშვნელობა რომ წარმოეჩინა.

ძალიან უნდოდა ფირუზ ზანდაროვი განესახიერებინა: „ძალზე საინტერესო ხასიათია. მოქნილი, ელასტიური, ის ენერგიული და დიდი პოტენციის ადამიანია — გლეხის უპოვარი მდგომარეობიდან სოციალისტური „წარჩინებულ“ მდგომარეობამდე მეტად რთული გზა განვლო. ყველაზე მთავარი კი მისი ცხოვრების ბოლო ეპიზოდია — ერთგვარი „ფილოსოფიური“ ხედვა და შეფასება განვლილი გზისა. აი, ეს ტენილი ხაზებია მეტად მიმზიდველი როლის განსახიერებისათვის. ზომ-ზომოვისაგან (სუნდუკიანის „პეპოს“ პერსონაჟი — ნ.ა.) განსხვავებით, უფრო მრავალნაზნაგოვანია მისი ხასიათი, უფრო მასშტაბურია და გამოკვეთილია მისი სამოქმედო ასპარეზი... ჩემთვის მიმზიდველი როლია, შეიძლება იმიტომაც, რომ უკვე ვხედავ, როგორია იგი და თანაც შინაგანად მზად ვარ მუშაობისთვის“...

კიდევ გამოთქვა რამდენიმე მოსაზრება, მაგრამ ყოველ ასპექტს ვერ ვიხსენებ. ბოლოს დასძინა: „ახლა მიშა შეპყრო-

ბილია თეატრით, მას ძაღების მობილიზება ესაჭიროება... იქნებ მერე“...

გული მწყდება, რომ არაერთი მისი ოცნება განუხორციელებელი დარჩა სწორედ იმიტომ, რომ მეტისმეტად მორიდებული და უკიდევანოდ კაცთმოყვარე გახლდათ. დარწმუნებული ვარ, მას რომ სითამამე გამოეჩინა და მე წინდახედულეობა, შეიძლება კიდევ ერთი მსახიობური ოსტატობით ნათამაშევი როლით გამდიდრებულიყო ეროსი მანჯგალაძის შემოქმედებითი ბიოგრაფია. ქართული საშემსრულებლო კულტურის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნებოდა მის მიერ შექმნილი ეს პერსონაჟი.

ერთი წლის შემდეგ, კინომსახიობთა სახელოსნოს გახსნაზე, ტარიელ ხოშტარიას როლის შემსრულებელს, წარმატება და ახალი თეატრის გახსნა მივულოცე. პირად წარმატებაზე მეტად მიხეილ თუმანიშვილის თეატრის გახსნა უხაროდა: „ნათელა, მაღლობელი ვარ, ყოველგვარი სიკეთის ღირსია მიშა! ნახე, როგორი შემართულია და მხნე. ამ ბავშვებს (ბატონი მიშას სტუდენტებს, კინომსახიობთა სახელოსნოს დასის წევრებს, მიშას ბავშვებს ვეძახდით — ნ.ა.) მალე ოსტატებად აქცევს“.

ქვეტექსტი კი, ვგონებ, ასეთი იყო (როცა სინანულიც ამოიკითხა ჩემს სახეზე): „რა დროს ჩემი საოცნებო როლია, როცა თუმანიშვილი ბედნიერია!“ ჩვენ შეთქმულებით შევხედეთ ერთმანეთს, ორივემ ვიზეიმეთ თუმანიშვილის ხელმეორე „დაბადება!“

ასეთი იყო ეროსი...

\*\*\*

ეროსი მანჯგალაძის მოულოდნელი გარდაცვალება უსწრაფესად გავრცელდა ქალაქში. ბარნოვის ქუჩა, მისი სახლის მისადგომები, ხალხით გაიჭიდა... ჭირისუფლები არ იყვნენ მხოლოდ ნათესავები და ახლობლები. ჭირისუფალი იყო მთელი ერი! ხალხი ეთხოვებოდა თავის რჩეულ მსახიობს, ერი გლოვობდა თავის მაცნეს... რუსთაველის თეატრის სცენაზე ესვენა მისი ცხედარი. მთელი თეატრი გლოვობდა. მოხუცი სცენის მუშა ბლადი — „ეს რა ქენი, ბიჭო!“ ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. სიმბოლურად თითქოს მთელმა ერმა რუსთაველის თეატრს მიაშურა!.. სცენიდან ისმოდა ეროსის სწორუპოვარი ხმა... სცენიდან მისი ცხედარი ტაშით გააცილეს... რუსთაველის გადაჭედული გამზირიც ტაშით აცილებდა ჭეშმარიტად სახალხო არტისტს! ამ ერთპიროვნულ გლოვაში იგრძნობოდა ამაღლებული განწყობაც და რიტუალის საკრალურობაც.

მისი დაკრძალვის მეორე დღეს ბატონ მიშას ვესტუმრე. ფრთამოტეხილი დამხვდა, განიცდიდა, გლოვობდა. ჩვენ ეროსის შესანდობარი დავლიეთ. ვუამბე კინომსახიობთა თეატრის გახსნაზე რაც მოხდა, როგორ ოცნებობდა ზანდაროვის როლზე, როგორ უხაროდა, უთეატროდ განვლილი ექვსი წელი წარსულს რომ ჩაბარდა! ყველაზე მეტად უხაროდა თქვენი სიმხნევე და ბედნიერება-მეთქი. ბატონმა მიშამ ტკივილით თქვა: „ეროსი მხოლოდ სხვებზე იყო გადაგებული, სხვებზე მზრუნველი. რამდენჯერ უთხოვია: ესა და ეს მსახიობი იქნებ დააკავოთ, ახლა მიძიმე დრო დაუდგა, სამუშაო გამოიყვანს ამ მდგომარეობიდანო. თავისთვის კი... უნებურად რამდენი ტკივილი მივაყენეთ, მეც, სხვებმაც... სიყვარული და ტკივილი... ვერ გაუძლო! მე გაუძელი, მან ვერა!“

\*\*\*

მერე მიამბეს: გარდაცვალების დღეს, 1982 წლის 26 იანვარს, დილით მისულა რუსთაველის თეატრში. დიდხანს მდგარა ფიქრიანი და სევდიანი რუსთაველის დიდ სცენაზე!.. უთუოდ სიყვარული გაუმნილა, გამოეთხოვა კიდევ!.. ასეთი იყო ეროსი.

გიორგი ლობჯანიძის ამ ავტობიოგრაფიული თხზულების დასაწყისი გამოქვეყნდა „ლიტერატურული გაზეთის“ ორ ნომერში (2013 წლის 2 აგვისტოსა და 2014 წლის 22 მაისს). ამჯერად გთავაზობთ მის გაგრძელებას, რომელიც დამოუკიდებელ ნაწარმოებადაც აღიქმება. ვიმედოვნებთ, წარმატებით დაწყებული თხზულების შესაფერისი გაგრძელება და დასრულება კიდევ ერთ საგულისხმო ავტობიოგრაფიულ რომანს შესძენს ჩვენს ლიტერატურას.

გიორგი ლობჯანიძე

# ჩემი ფანჯრიბიდან

*ჩვენ ყოველივეს ვხედავთ არა იმგვარს, როგორც არის, არამედ ისეთს, როგორებიც ჩვენ თვითონ ვართ...*

თალმუდი

1991 წელი

ჩემს ბინაში ახლა რემონტია. ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას მთავრობის მოსვლის შემდეგ ხაშურის გამგებულად ერთი ძალიან კარგი კაცი, გივი იმერლიშვილი დანიშნა და ახალმა გამგებულმა, მაყვალა ხაჩიძისა და სხვა ჩემი ხაშურელი მეგობრების თხოვნით, ჩემთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება გადაწყვიტა. შპალერს აკრავენ და ბინას ელემენტარულად აწესრიგებენ, მაგრამ ეს პროცესი მაინც ძალიან გაიჭიმა. თან მუშებმა თითქმის მთელი ჭურჭელი დამიღწეს და, რაც გამაჩნდა, ის ავეჯიც დააზიანეს.

ავეჯიც მეგობრების ნაჩუქარი მიდგას: მაცივარი ისევ როლანდ მულაძემ მიყიდა, ტახტი, კომოდი, მაგიდა და რამდენიმე სკამი ფატიმ, დარეჯანმა, მაყვალა და დათომ მომიტანეს. არასოდეს დამავინცდებია, როგორ შემოსკუპებულყო ხაშურის ინტელიგენციის ეს ოთხი რჩეული წარმომადგენელი „გაზიკის“ „კუზაოზე“ და როგორ მოჰქონდათ ჩემთვის ასე საჭირო საჩუქრები.

ზემოდან, მეხუთე სართულიდან, გადავხედე და ყველა რაღაცნაირად სიხარულით განათებულიყო. დარეჯანი მაინც ოსმალზე გამარჯვებულ მხედართმთავარს ჰგავდა, თავი ამყავდა აენია და შუბლზე ჩამოყრილ თმას ქარი უფრიალებდა.

ამოვიტანეთ სახლში შენაძენი, დავსხედით და კარგადაც მოვუღბინეთ. სტუმრებს ახალი ლექსები წავუკითხე და მაყვალას, რა თქმა უნდა, ცრემლი მოერია. „შვილო, შვილოო!“ — დუდუნებდა დროდადრო და ამაზე ნიქარიშვილის რეაქციასაც არ დაუყოვნებია.

საქმე ისაა, რომ მე ჯანდაბას, მაგრამ მაყვალა ლამის თავის ტოლებსაც კი „შვილოთი“ მიმართავს, ამიტომ თამაზ ლაცაბიძემ „დედა მაყვალა“ შეარქვა და ჩვენც მეგობრებში სწორედ ამ სახელით მოვიხსენიებთ.

მაყვალა მართლა დედასავით ზრუნავს ჩემზე, ათას წიგნს მირჩევს, მაკითხებს და სადაც წავა, სულ თან დამატარებს.

მე მიყვარს მაყვალასთან ერთად სიარული. უამრავ საინტერესო ადამიანს იცნობს. მისი წყალობით კი ეს ხალხი მეც გავიცანი და შევიყვარე.

მაყვალას ერთ სკივრში უწყვია თავისი სტუდენტობისდროინდელი ნაწერები, უნივერსიტეტელი მეგობრების ლექსები და წერილები. ხანდახან, შავნაღვლიანობის ჟამს, გახსნის ხოლმე ამ სკივრს, ამოაწყობს ნაწერებს, გვიკითხავს, თვითონაც ტირის და ჩვენც გვატირებს.

უნივერსიტეტის დანახვაზე საოცარი, ჩემთვის გასაგები, მაგრამ ოდნავ გადაჭარბებული ემოციით ივსება.

ცოტა ხნის წინათ, თბილისში რომ ერთად ვიყავით, პირველი კორპუსის შენობასთან მიახლოებისას ისეთი ელემენტალური

თი მოუვიდა, ძალიან გამაკვირვა. „ჩემი თეთრი ტაძარი, ჩემი თეთრი ტაძარიო“ — ისე ბუტბუტებდა, თითქოს ივანე ჯავახიშვილი ან პეტრე მელიქიშვილი ყოფილიყო...

მეც მიყვარს ჩემი სკოლა, მაგრამ, არა მგონია, ოდესმე ასე მომენატროს...

მაყვალამ მითხრა, აი, შენ რომ მოგიწევს აქ სწავლის ბედნიერება, მერე მიხვდები, ეს რა არის. მანამდე ამას ვერ გაიგებო.

პირველ კორპუსში ავედი და ფოლკლორისტიკის კათედრაზე თავისი საყვარელი ლექტორი ზურაბ კიკნაძე მოიკითხა. ვილაც ძალიან სიმპათიურმა კაცმა უთხრა, მე ვარო, და მაყვალას ცრემლები წამოსცვივდა.

უცებ ვერ იცნო ზურა, რომელიც ჯერ კიდევ მისი სტუდენტობისას ძალზე ახალგაზრდა ყოფილიყო, ახლა კი ოდნავ მოტეხილი, მაგრამ, მისი თქმით, მაინც ძალიან საყვარელი მოეჩვენა.

მაყვალას დანახვა ბატონ ზურაბსაც უხარია. გვისმენს და დაუფარავი სიხარულით შემოგვცქერის. ჩემს წარმოდგენაში სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო შუამდინარული პოეზიის ქართველი მთარგმნელი. მისი თარგმანი, დიდი ხანი არ არის, რაც წავიკითხე და ზურაბ კიკნაძე მისივე თარგმნილი „გილგამეშინის“ ერთ-ერთ პერსონაჟად მიჩვენება, მათსავით მონუმენტურ და შარავანდედით შემოსილ ღმერთკაცად. ამიტომაც გულში ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, რომ ეს ბუმბერაზი დღეს ასე ბუნებრივად, თვალნათლივ ვიხილე.

უნივერსიტეტიდან ვბრუნდებით და მაყვალას ახლა სხვა მოგონებები ეძალემა. ტარიელ ხარხელაური ახსენდება და უცებ თავში სრულიად გენიალური აზრი მოსდის: წამო, დიდუბეში გავივით, ალბათ მივუსწრებთ თიანეთის ავტობუსს და ამაღამ სიმონიანთხევში ავიდეთ ტარიელთან, თან დიდი ხნის უნახავ მეგობარს მოვიხსენიებ და თან შენ თავსაც გავაცნობო.

ადრეული გაზაფხულია და მე ცოტა შეუსაბამოდ მაცვია. მაგრამ ტარიელის გაცნობაზე უარს როგორ ვიტყვი. ავტობუსში ვსხდებით და სიმონიანთხევისაკენ მივიწვეთ. საბადურის ტყე თოვლითა და იებით გვეგებება, ტყეს გავივლით და მალე ტარიელის სოფელსაც მივალწვეთ. ბევრი ადამიანის გაცნობას უმოქმედია ჩემზე, მაგრამ ტარიელისნაირად — თითქმის არავისას. მივდივართ საოცრად კარგ, სითბოთი და სიყვარულით აღსავსე ოჯახში, სადაც პოეტის დედა, თვითონ ტარიელი და ორი არაჩვეულებრივი ბავშვი — ბექა და გვანცა — გვხვდება.

ტარიელის მეუღლე დუშეთში თუ თიანეთშია წასული და ამიტომ შინ ცოტა მოგვიანებით მოვიდა. მანამდე პოეტი, დედამისი და, რაც მთავარია, ბავშვები გვმასპინძლობენ.

ბექა ერთი ციდაა, მაგრამ თავი ნამდვილი ვაჟკაცივით უჭირავს, ძაღლებს იგერიებს და თოვლში გაბედულად დააბოტებს.

ტარიელის უამრავი ლექსი ზეპირად ვიცი: „და როგორც ირემმა, სიმწვანე მოვიმშიე, გავეყურებ მთებს იისფრად მოთოვლილს“...

ახლა ის ამ ლექსსაც სხვა ლექსებთან ერთად მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, გამორჩეული ბუხუნით გვიკითხავს და ჟრუანტელს მგვრის მისი წაკითხული ლექსები, წარმოთქმისას უცნაურად გაგრძელებული სტრიქონი „გავყურებ მთეებს, იისფრად მოთოვლილს“ — რომელსაც ამ წამლერებში რაღაც არქაული სევდა ამოჰყვება.

ტარიელი მეგობრის ნახვით გახარებულია, მაგრამ სახეზე მაინც უჩვეულო სევდა აფენია. მეუღლის მოსვლა კი შესამჩნევად ახალისებს.

ის დამე ლაპარაკში, ლექსებში იღვება... მე ეს მთის კილო მწუსხავს, ჩვეულებრივი საუბარიც კი ნამდვილი პოეზია მგო-

ნია, განსაკუთრებით, ტარიელის დედის მონაყოლი მომ-  
წონს: უბრალო, სადა, მაგრამ გულში ღრმად ჩამწვდომი.

ღამით სქელი მატყლის საბანი მაფარია, მაგრამ მაინც  
მცივა. გულწრფელად ვფიქრობ, რომ ამ ღარიბულ სახლ-  
ში ნამდვილი გენია ბორგავს. ტარიელის ყოველი ლექსი  
მითოსური აზროვნების ნასხლეტია, წყაროს წყალში  
არეკლილი მზის მოუხელთებელი, ხასხასა ათინათი.

ამ ფიქრებში მეძინება. მეორე დღეს კი აშკარად არ მეთ-  
მობა ჩვენი მასპინძლები, მაგრამ ჩვენც საქმეები გვექაჩება  
უკან და ტარიელიც მალე ისევ ცხვარში უნდა წავიდეს...

თბილისისკენ მომავალ ავტობუსში ვსხდებით და მაც-  
ვალას ისევ ცრემლი ეძალება. „ჩემი ტარიელი!“ — თითქ-  
მის იმავე ინტონაციით ამბობს, როგორც გუშინ „ჩემი  
თეთრი ტაძარიო“ — და იმ წუთას მისი ძმადნაფიცო მართ-  
ლა მხოლოდ მისია, მეტი არავისია...

თბილისში მაცვალას კიდევ ერთ თანაკურსელს დალი  
ჭეიძეს ვსტუმრობთ, ხალისიან და ძალზე საინტერესო  
ადამიანს, რომელიც იმის მეტად აღარ მინახავს, მაგრამ  
დღემდე მისი საოცარი პატივისცემა შემომრჩა.

ყოველ შემთხვევაში, მაშინ პირველად ვნახე ქალი,  
რომელიც ლიტერატურითა და სპორტით თანაბრად იყო  
გატაცებული და ჩემზე, სრულიად არასპორტულ ადამიანზე,  
ამან ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ზუსტად აღარ მახსოვს, რაზე, მაგრამ მაცვალამ მაშინ და-  
ლისთანაც იტირა...

საერთოდ, თითქმის მთელი საქართველო ჩემმა უფროსმა  
მეგობრებმა მომატარეს.

სკოლის პერიოდში — ორი ზაფხული ზედიზედ — ჯერ  
ქვემო, ხოლო შემდეგ ზემო სვანეთში, მარინა თექთუმანიძის  
წყალობით, ვისვენებდი. მარინა ჩემი ერთ-ერთი „დედობი-  
ლია“. „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში მუშაობს და ჩემზე  
რამდენიმე წლით უმცროსი ვაჟი ჰყავს, ზაზა, რომელთანაც  
ვმეგობრობ, თუმცა არასოდეს მავინწყდება, რომ „ეს ლანია-  
კი“ ჩემზე პატარაა და ამ უპირატესობას, როგორც შემძლია,  
ისე ვაგრძნობინებ. ვარიგებ, ვტუქსავ და საერთოდ, ცოტა  
ქედამღღურად ვუყურებ.

არადა, უსაყვარლესი ბიჭუნაა. პირველივე წელს, ლენტეხში  
რომ წავედი, უკვე სიგარეტს ვეწეოდი, ოღონდ მარინასთან და  
ჩემზე ცოტათი, მაგრამ მაინც უფროს მეგობართან — რუსუდან  
გაბროშვილთან მონევას ვერიდებოდი და ზაზას მივიყოლებდი  
ხოლმე ჩვენი დასასვენებელი კოტეჯებიდან მოშორებით, რომ  
ვიდრე სიგარეტს მოვწევი, თავზე არავინ ნამომდგომოდა.

მე რომ ამ გაჭირვებაში ვარ, მარინასაც თურმე თავის გა-  
საჭირი ადგას, ჩუმჩუმად ისიც სიგარეტს ეწევა და მე და ზა-  
ზას გვერიდება, რომ მოზარდებზე მავნე ზეგავლენა არ იქო-  
ნოს. თუმცა ეს ამბავი მე ჩვენი ლენტეხში ჩასვლის პირველი-  
ვე დღესვე გავარკვეე, მაგრამ მარინას საუკუნო აღთქმა დავუ-  
დე, რომ ამას ზაზა ჩემგან ვერასდროს გაიგებდა.

მაგრამ ჩემი გაგებინება რაში სჭირდება, ზაზამ უჩემოდაც  
ჩემზე უკეთ იცის საერთოდ ყველაფერი...

ერთხელაც დედამისმა თბილისში საგანგებოდ ნაციდი და  
თან წამოღებული — მაშინ ძალიან პოპულარული სიგარეტის  
— „მაგნას“ რამდენიმე ბლოკი ველარსად იპოვა. თავიდან ეჭ-  
ვი, როგორც მწველზე, ჩემზეც მოიტანეს, თუმცა მალევე გა-  
არკვიეს, რომ ამ საქმეში უბრალო ვიყავი. მე ჩემი ერთი ბლო-  
კი მქონდა და თავს გადამდიოდა. ეძებეს, ეძებეს და „მაგნას“  
ბლოკების კვალსაც ვერ მიაგნეს.

ბოლოს ისევ რუსუდან გაბროშვილმა „ივაჟკაცა“. ზაზასთან  
ნდობაში შესული ადამიანი იყო და ამიტომაც მხოლოდ მას გამო-  
უტყდა ჩვენი ზაზა, რომ შურისძიების მიზნით დედამისის სიგა-  
რეტები აეღო და ჩუმად მდინარე ლასკადურაში ჩაეყარა.  
ოღონდ სიგარეტს მდინარემდე ვერ მიეღწია და ნაპირთან მოღა-  
ვებულიყო. იქამდე კი, სულერთია, მაინც ვერ ჩააღწევდი, რად-  
გან ლასკადურას ყოველი მხრიდან მიუვალი ფრიალო იცავდა.



დედა — ლილი ლომსაძე  
დები — ლალი, მარინე, ოლია, ლელა და ირმა ლომსანიძეები

მთელი ზაფხული გაუფელ-გამოუფელიდით ამ სიგარე-  
ტებს, შორიდან ვუყურებდით და ცოცობა გვცვიოდა.

მარინა მკაცრი დედა იყო, მაგრამ მაშინ ზაზასთვის არაფერი  
უთქვამს. რატომღაც ჩათვალა, რომ „სამართლიანად დაისაჯა“...  
წლებში მერე მარინამ სიგარეტს თავი რელიგიური მოსაზ-  
რებით დაანება. ერთხელ დაიფიცა ღვთის წინაშე, აღარ მოვ-  
წევო, და მას შემდეგ ეს ფიცი მისთვის ჩვეული მოთმინებითა  
და ერთგულებით დაიცვა.

საერთოდ, უნდა ვთქვა, რომ ამ ადამიანზე ერთგული და  
სიყვარულიანი ქალი ცოტა თუ მინახავს. ყველა ღირსებით  
შემკვლიო, რომ იტყვიან, მე ამაზე, პირველ რიგში, სწორედ  
მარინა მახსენდება და ამ ღირსებებს საოცარი გარეგნული  
მშვენებაც აგვირგვინებს, რომელიც ჩემს ყმანვილობაში და  
მარინეს ყმანვილქალობაში კიდევ უფრო ბრწყინავდა.

ხანდახან ცოტა გაჯიუტება იცის, უფრო სწორად, რაიმეს  
აჩემება. მაგალითად, ვერაფრით ვგუებოდა, როცა „მარინეს“  
ეძახდნენ და ყოველთვის ყველას გაუსწორებდა: „მარინა!!!  
მარინა ვარ!“

„ნორჩი ლენინელის“ სტატიებსაც კი მარინა თექთუმანი-  
ძეს მოაწერდა, რომ არა უფროსი თაობის დაჟინება: გაზეთის  
მაშინდელი რედაქტორი, ვანო ცერცვაძე და რედაქტორის  
მოადგილე ნათელა ფაილოძე, თითქოს ჯიბრში ედგნენო, „მა-  
რინეს“ ეძახდნენ...

არ ვიცი, რა ისეთი სხვაობაა, ამ ორ ხმოვანს შორის, მაგრამ  
კონკრეტულად ამ სახელში, მე მგონი, „ანისა“ და „ენის“ მონაც-  
ვლეობა სოციალურ-გეოგრაფიულ განსხვავებას გამოჰყვეთ-  
და: „მარინეები“ სოფელში გაზრდილ-დაბადებული გოგონები  
იყვნენ, „მარინაები“ კი — ქალაქში დაბადებული გოგონები...

ხომ წვრილმანია, მაგრამ აქედანაც კარგად ჩანს, რა რთუ-  
ლი ბუნება გვაქვს ქართველებს. მთელი ჩვენი წარმომავლობა  
და ინტელექტი ხშირად ერთ პატარა ხმოვანზე ჰკიდა...  
აი, მარინას მეორე ახირება კი მუსიკა იყო.

უფრო სწორად, შესანიშნავი ხმა და სმენა აქვს და მართლა  
კარგად მღერის. ლენტეხის ქუჩებში სიარულისას, სადამოო-  
ბით, რაღაც სიმღერას წამოიწყებს და მე და რუსუდან გაბ-  
როშვილს, ცხადია, გვინდა ხმა ავაცოლოთ, მაგრამ მარინა ისე  
გადმოგვიბღვერს, სუსს არ გვალეხინებს.

კაი, ამ გაბროშვილს მართლა ღალატობს სმენა, მაგრამ მე  
რას მერჩის, მაინც ვერ გავიგე: ხაშურის მოსწავლეთა ან-  
სამბლ „დისკანტიცი“ ვარ და ლიანა მასწავლებელთან სოლ-  
ფეჯიოს გაკვეთილებზეც ვიტანჯები. მაგრამ არა, სიმღერა  
მარინას კუთვნილებაა და აქაც, როგორც მის სახელში „ა“ -ს  
„ე“, მას ვერავინ შეეცილება და ჩაანაცვლებს...

ის დროა, როცა მერაბ სეფაშვილის „თეთრი გედი“ მოდ-ში და მარინა ამ სიმღერას თავდავინწყებით მღერის, თვითონაც თეთრი გედით ყელმოღერებული... სალამობით დავედივართ ლენტეხში და სვანები აშკარა გაცოცებით გვიყურებენ. ვერ გაუგიათ, რა ამღერებს ამ ახალგაზრდა ქალს და რატომ მიჰყვებიან ორი ბიჭი და ერთი გოგო ხმაგაკმენდილები...

„თეთრი გედი“, შეიძლება ითქვას, თაობის სიმღერაა: იმ დროს სრული სვლით მიიწევს წინ ეროვნული მოძრაობა და მარინა და რუსუდანიც აქტიურად არიან ჩართულნი ამ პროცესებში. უფრო სწორად, თავიდან მიტინგებზე რუსუდან გაბროშვილი დადიოდა და მერე მარინაც აჰყვა. მეც დროდადრო, როცა თბილისში მოვხვდები, მივყვები ხოლმე და სერიოზულად ვერც ვაცნობიერებ, რა ხდება, მაგრამ ეს გამოვლიძება, ეს „ქართული გენის ძახილი“ მაინც ძალიან მიხარია.

საერთოდ, ახალმა განწყობებმა ახალი ლექსიკა და დროის შესაფერისი პათეტიკა მოიტანა. მაგალითად, არ მაინწყება 1989 წელს რუსუდანის მიერ გამოგზავნილი მისალოცი საახალწლო ბარათი, სადაც ჩემი მეგობარი ასეთ რამეს მწერდა:

„ახალი წელი ნაღვლიან დღედ არასოდეს გადაგტყუოდეს. თავისუფალი საქართველოს ახალი წლები გეზეიმოს. დღეგრძელი იყავ, წმინდა გიორგის სენნიავ, ჩემო პატარა უფლისწულო!“

ახლაც ვდნები, ისეთი სიყვარული გამოსჭვივის ამ პატარა ბარათში, მაგრამ, ცხადია, ეპოქის დამლაც აზის.

რუსუდანი, მაშინ მე რომ დიდი მეგონა, 24 წლის გოგონაა და ამ წერილს 14 წლის ბიჭს მწერს. შიგ კი პირად ბედნიერებას კი არა, თავისუფალ საქართველოში ცხოვრებას მისურვებს. ეს სურვილი გულწრფელია, რადგან მაშინ ღრმად გვანძის ოლონდ ეს კომუნისტები მოვიშორეთ და დანარჩენი ყველაფერი მოგვარდება — „ბალახს შევჭამთ“, „ბორჯომითა და ციტრუსებით ვიცხოვრებთ“...

„ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართულ უდიდეს მიტინგზეც რუსიკომ წამიყვანა. მაშინ პირველად დავინახე ახლოდან ზვიად გამსახურდია, რომლის სიტყვამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

ზვიადი ქრისტესა და ბარაბას გზაზე ლაპარაკობს და ქართველ ერს მიმართავს, აირჩიე, რომელი გნადიაო. ხალხი საყვარელ ლიდერს მხრებზე შეისვამს და ასე დაატარებს.

მე ცოტათი მთრგუნავს ამის ნახვა და შეიძლება მეჩვენება, მაგრამ ზვიად გამსახურდიაც ძალიან უხერხულად ზის ორი კაცის მხრებზე...

მიტინგიდან სამსახურში მიბრუნებულ რუსუდანს სასტიკ საყვედურს უცხადებენ და რედაქციიდან გაგდებით ემუქრებიან. განსაკუთრებით ნათელა ფაილოძე აქტიურობს, ახალგაზრდა კორესპონდენტს დედაშვილურად არიგებს: რას აპყოლინობთ ამ გიჟებს, რა გინდათ, რას დადიხართ მიტინგებზე, ასე ხომ ქვეყანას დააქცევთო... მისი დარიგება უკუმედებს გამოიღებს. რუსუდანს მარინე თექთუმანიძეც ასდევს და ახლა უკვე ორნი დადიან მიტინგებზე.

ისე კი, საერთოდ, ყველაფერი ლელა კოდალაშვილის ბრალია.... თავიდან ამ საეჭვო საქმეში რუსუდანი სწორედ ლელამ ჩაითრია...

ლელა თბილისელია, ზვიადსა და მერაბს ახლოს იცნობს. რუსუდანმა კი ისიც მითხრა, რომ თურმე პროკლამაციების ბეჭდვას ეროვნული მოძრაობის ლიდერები სწორედ ლელას წყალობით ახერხებენ, რადგან კოდალაშვილს სახლში საბეჭდი მანქანა აქვს, რომელზედაც ახალგაზრდობის ეროვნულ იდეებს დაუზარებლად და, რაც მთავარია, უშიშრად ავრცელებს.

არადა, მართლა საკვირველია, როგორ არ ეშინია. რუსუდანმა მითხრა, ისეთი მკაცრი მამა ჰყავს, ყველა ნაბიჯს უკონტროლებს, ამას კი ეროვნული საქმისათვის თავი აქვს გადადებულო.

ასეთი დახასიათების მერე ერთი სული მაქვს, ლეგენდარული ლელა კოდალაშვილი პირადად გავიცნო.

ჩვენს დროშიც არიან გმირი ქართველები! — ვფიქრობ და გული მწყდება, რომ საბეჭდი მანქანა არა მაქვს, რადგან გმირობის გზა ახლა თურმე სწორედ საბეჭდ მანქანაზე გადის. მახსენდება, რომ ხაშურში ლამის ერთადერთი საბეჭდი მანქანა მზია მალაღდაძეს აქვს და სინანულით ვფიქრობ: რა განძს აცდენს თურმე უქმად ეს მზია მალაღდაძე!

რუსუდანის უფროსი, „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორის მოადგილე, ნათელა ფაილოძე, მარინას ხომ მარინეს, ლელა კოდალაშვილს კი, რატომღაც, „კედელაშვილს“ ეძახის. იმ დღესაც დაამუხათა რუსუდან: „რას აპყოლიხარ, გოგო, მაგ კედელაშვილს?! მაგისი აყოლა გამოგადგება შენო!“ — მაგრამ გაჯიუტებულ კორესპონდენტს ვერაფერი შეასმინა და რუსუდანის სიჯიუტე მოახლოებული წარღვნის უტყუარ მანიშნებლად ჩათვალა.

მე და რუსიკო კი გამოვედით და ისევ ისე რომელიღაც მიტინგზე გავჩქარეთ...

გზაში ვიღაც გამხდარი, სიმპათიური გოგო გვხვდება, უკან გადაწეული შავი თმა და მსხვილი, ვნებიანი ტუჩები აქვს.

არ ვიცო, რატომ მომხვდა ეს ნიშანი თვალში. ჯერ 13 წლის ვარ და ჩემზე ოდნავ უფროს გოგონებსაც კი მონივნითა და პატივისცემით, ლამის როგორც იაპონიის იმპერატორებს, „კრძალვითა და ცახცახით“ ვუყურებ.

აი, ცახცახი კი მაშინ უნდა გენახათ, როცა რუსიკომ ჩვეულებრივ ხალხისთვალად გამოვხედა და საზეიმოდ მამცნო:

„გაიცანი, ეს ჩემი მეგობარია — ლელა კოდალაშვილი.“

ლელა მშვენიერი გოგონა აღმოჩნდა, ცოტა ჯიქი და თავდაჯერებული, მაგრამ სიჯიუტე და თავდაჯერებულობა არც მე მაქვს და ამიტომ მერე და მერე ძალიან დავემგობრდით. გავარკვიე, რომ თვითონაც წერდა ლექსებს. ლექსებიც მომეწონა, მაგრამ როცა ვილაპარაკეთ და საყვარელ პოეტზე ვკითხე, ვინ არის-მეთქი, ირაკლი ბაზაძეო, მითხრა და თავიდან მეგონა, მაშაყრებდა.

თუმცა მერე გავარკვიე, რომ ბაზაძის მთელი შემოქმედება ზეპირად იცოდა და რაღაც ციტატებს განსაკუთრებით ღირებულად მიიჩნევდა. ლელას ხათრი, ბაზაძე მოგვიანებით კარვად ნავიკითხე, მაგრამ მეგობრის სიყვარულმაც კი არ მიშველა, რომ ეს პოეტი ჩემიანად მიმეღო.

მოკლედ, ჩავთვალე, რა მოხდა, ერთი ნაკლი ყველასა აქვს და უყვარდეს ეს ირაკლი ბაზაძე, სხვას ხომ არაფერს აშავებს-მეთქი.

მაშინ რუსუდან გაბროშვილის გემოვნებას უფრო ვენდობოდი. რუსიკომ არაჩვეულებრივად იცოდა ლიტერატურა, თანამედროვე პოეზიის ნიუანსებშიც ბრწყინვალედ ერკვეოდა და შოთა ჩანტლაძე უყვარდა, რომლის შემოქმედებებზეც დისერტაციის დაწერა ჰქონდა განზრახული. უკირკიტებდა ყველა სტრიქონს, ზომავდა, წონიდა, აგემოვნებდა და აფასებდა. ცოცხალი პოეტებიდანაც უამრავს პირადად იცნობდა და რამდენიმესთან გასაცნობად ესტუმრადაც წამიყვანა.

მომხდა ისე, რომ სწორედ იმხანად ნავიკითხე მერაბ აბაშიძის წიგნი, „პოეზიის ხანძრის ქალიშვილი“, სადაც მწერლის ორი მოთხრობა იყო დაბეჭდილი და ამ წიგნმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, განსაკუთრებით „აქეთ მამხალეები, კვაზიმოდო!“ მომეწონა და არათუ მომეწონა, ბევრ რამეზე თვალი სხვანაირად ამიხილა. ამიტომ ერთხელ, როცა რუსიკომ მითხრა, დღეს მერაბ აბაშიძესთან ნავიყვანო, ძალიან გამიხარდა. მერაბ აბაშიძე დევითი კაცი იყო, საოცრად გულწრფელად ილიმებოდა და საინტერესოდ საუბრობდა, მაგრამ თავის მოთხრობებთან შედარებით ჩამქრალი და სრულიად ინერტული მომეჩვენა.

მაშინ დაახლოებით 40 წლისა იყო, მაგრამ უკვე ისეთი მძიმე ცხოვრება გამოეწო, რომ შავი თმისა და ჭაბუკურად მოგიზგიზე თვალების მიუხედავად, ღრმა მოხუცად მეჩვენა. მერაბის ნახვამ გულში რაღაცნაირი დარდი დამიტოვა.

ხომ არიან ადამიანები, ძალიან ღირსეულები, დარდს რომ არაფრით იმჩნევენ, შენც სულ ერთხელ გყავს ცხოვრებაში ნანახი, მაგრამ მაინც უცნაურ ნაღველს ალგობრავენ.

ასეთი პირველი ნახვის სევდა გოდერძი ჩოხელიდან გამომყვავი კიდე, რომელთანაც ასევე რუსუდანმა წამიყვანა.

გოდერძი მაიაკოვსკის ძეგლთან ცხოვრობდა, დილოში, და თავზე ლამის დილას დავადექით, მაგრამ შინ მის მეტი არავინ დაგვხვდებოდა. ტახტზე იჯდა და ჩინგიზ ათმათოვის „საქონდაქარეს“ კითხულობდა. თარგმანი „საუნჯეში“ გამოქვეყნდა და „საუნჯის“ ეს ნომერი იმ დღეების გამოსული იყო. მახსოვს, გოდერძი გვეუბნებოდა: ათმათოვის „და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე“ ძალიან მომეწონა, თითქოს არც ეს „საქონდაქარე“ ცუდი, მაგრამ მაინც იმ „წუთისოფლის“ მსგავსი ვერ არის და შეიძლება ეს თარგმანის ბრალიც იყოს. მე, სამწუხაროდ, რუსულად ვერ ვკითხულობო.

გოდერძი საოცრად ალალი იყო. ახლა დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ იშვიათად მინახავს ასე გულწრფელი ადამიანი, რომელიც თავისთავს ჰგავდა და ამისა კი არ ერიდებოდა, პირიქით, სინამდვილის შელამაზებას არაფრით ცდილობდა.

ახლა უკვე იმის თქმაც შემიძლია, რომ პირველად სწორედ გოდერძი ჩოხელის მაგალითზე გავიცნობიერე, რა მშვენიერია, როცა ადამიანი უშუალო და ბუნებრივად და რომ ამ მშვენიერებას ვერცერთი სხვა ღირსება ვერაფრით შეედრება.

გოდერძიმ გვითხრა, ახლა ჯერჯერობით ვერაფერს ვწერ. კინოდ მინდა გადავიღო ჩემი „მგელი“, რომელსაც სინამდვილეში „წითელი მგელი“ ჰქვია, მაგრამ სახსრები ვერ მოიძებნა საამისოდ და მეც დროებით შეჩერებული ვარ. უცხოელები კი დამპირდნენ, რომ დამაფინანსებენ, მაგრამ იმათ სხვა წეს-კანონები აქვთ და მათი მოთხოვნებით ფილმს არავითარ შემთხვევაში არ გადავიღებო.

გოდერძიდან წამოსულმა სასწრაფოდ მოვძებნე ჩინგიზ ათმათოვის თითქმის ყველა რომანი და ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე. ეს დიდ მწერალთან შეხვედრის ბედნიერება იყო. იმ დროს კი მისი თემატიკა და ის პრობლემები, რაზეც ათმათოვი წერდა, მე ძალიან მალეღვებდა. ამასთანავე, ფატი კურტანიძემ მაჩუქა გოდერძის ახალდასტამბული მოთხრობების სრული კრებული „თევზის წერილები“.

ფატის, საერთოდ, ყველა ადამიანი უყვარს, მაგრამ გოდერძის ხსენებაზე რალაცნაირი ჩრდილი ეფინებოდა. წარწერაც უცნაური გამოიკეთა: „აჰა, შენი გოდერძი, თანაც ჩემგან“. თვითონ ამის მიზეზი არასდროს აუხსნია და მეც არასოდეს ჩავძიებვიარ, მაგრამ ვგრძნობდი, ის წიგნი რალაცნაირი იმედგაცრუებითა და სინანულით მაჩუქა.

ამის მიუხედავად, ის „თევზის წერილები“ დღემდე ჩემი უსაყვარლესი წიგნია, დროდადრო გადმოვიღებ ხოლმე და, ვინ იცის, მერამდენედ ვკითხულობ ამ ბრწყინვალე მოთხრობებს, რომლებიც დროს კი არ გაახუნა, მათი ლიტერატურული ღირსებები ჩემს თვალში სულ უფრო და უფრო გამოჰკვეთა.

რუსიკო გაბროშვილს კი ცოცხალ მწერლებთან ერთად გარდაცვლილებიც ძალიან უყვარდა და ერთხელ, გურამ რჩეულიშვილის დაბადების დღეზე, ვაკეში მის საფლავთანაც წამიყვანა, ჩვენს რამდენიმე მეგობართან: ელისო კაპანაძესთან, რუსუდან მიქენაიასა და ირმა გუგუშვილთან ერთად. საფლავზე მისულს გურამის ახალგაზრდობის მეგობრები დაგვხვდნენ.

ჩვენ იქ ცოტა ხანს გავჩერდით, ჭიქა წავუქციეთ, გურამის მოთხრობები გავიხსენეთ და გამოვბრუნდით. მერე მწერლის რომელიღაც მეგობარმა გაზეთში დანერა, „გურამის სიცოცხლე რომ გრძელდება, იქიდანაც ჩანს, რომ წელს მის საფლავზე 14-15 წლის გოგო-ბიჭების ჯგუფი ამოვიდა და მწერლის ხსოვნას პატივი მიაგო.“

ამ ამბავმა ჩვენ ძალიან გაგვამხიარულა, რადგან 14-15 წლისანი აღარცერთი აღარ ვიყავით, რუსუდან გაბროშვილი კი საერთოდ 24 წლის იყო და თუ მთლად უიმედო მოხუცად არა, „ხანდაზმულად“ მაინც მივიჩნევდით.

ახლა მეცინება ამაზე, რადგან რუსიკოს დამრიგებლურ-დიდაქტიკური ბუნების გამო, მუდამ ძალიან ბრძენი და

ზრდასული მეგონა, არადა, თურმე სულ პატარა, თმაგაბურძგნული გოგონა ყოფილა.

მაშინ კი, ბარემ აქვე ვართო, რუსუდანმა დაიჟინა, და შოთა ჩანტლაძის საფლავზეც მივიდეთო. ძლივს მოვძებნეთ ჩანტლაძის საფლავი და იქ ერთი ხანშიშესული კაცი დაგვხვდა. მარტო იყო და იქაურობას ასუფთავებდა. ის პოეტის ძმა, თუ არ ვცდები, რომან ჩანტლაძე აღმოჩნდა, რომელსაც რუსუდანმა ისეთი გულიანი მასლაათი გაუბა, რომ ჩვენ ამაზე მთელი კვირა ვხალისობდით.

განსაკუთრებით იმან გაგვახალისა, რომ რომან ჩანტლაძე რუსუდანს შეუთანხმდა, ჩემთან შინ მობრძანდით, მარტო ვცხოვრობ და, თუ გნებავთ, შოთას გამოუქვეყნებელ მასალებს გაგაცნობთო.

მოკლედ, ჩვენც მეტი რა გვინდოდა და, რუსიკოს დაცინვით თავი მოვაბეზრეთ. თან, საქმე ის იყო, რომ რუსუდანმა ჩანტლაძის ძმას ჰკითხა: „თქვენს კოორდინატებს ხომ ვერ მომცემდითო?“

იყო ასეთი კოკობიკური გამოთქმა ჩვენს ახალგაზრდობაში, რომელიც მარტივად მისამართის გაცვლას გულისხმობდა და, ეტყობა, რუსიკომ რედაქციაში მუშაობის გამო გამოთქმა პროფესიულ დონეზე სასწრაფოდ აითვისა. მე კი ამ „კოორდინატებზე“ ძალიან ჩავიხვიე. რად გინდა მაგის კოორდინატები, რუსიკო-მეთქი, ვეკითხებოდი ჩემს მეგობარს და სიცილით ვკვებებოდი...

მოგვიანებით კი, სტუდენტობის პირველ-ორ წელიწადს, ამ ორ საფლავზე მისვლა ლამის ჩვეულებად მექცა. ბაგების სტუდენტალაქში ვცხოვრობდი და ვაკის სასაფლაოზე გავლისას, განსაკუთრებით გურამის საფლავთან მუდამ მივდიოდი. ზოგჯერ თან ყვავილებიც მიმიქონდა.

ერთხელ, მეორე კურსზე, სადღაც ვიქეიფე და სტუდენტალაქში გვიანი ღამით ვბრუნდებოდი. ეტყობა, თავი ძალიან მარტო ვიგრძენი და ამიტომ რჩეულიშვილის საფლავთან მისვლა გადავწყვიტე.

ახლა ისღა მახსოვს, რომ ჩამოვჯექი და გუნებაში მწერლის მოთხრობების მოყოლა ზეპირად დავიწყე. „ლავერდობა“ მოვეყვი და სადღაც, „ირინა და მე-ს“ შუაში ვიყავი, რომ საფლავზე მივჩქეი, ქვას ჩავეხუტე და ჩამეძინა...

როცა გავიღვიძე, რიჟრაჟი წამოსულიყო და, ეტყობა, მეც თენებების სიგრილემ მომაფხიზლა. ერთიანად ვკანკალებდი, მაგრამ იმდენად სიცივისგან არა, რამდენადაც შიშისაგან.

მკვდრისა — დედაჩემის გარდაცვალების მერე — უკვე აღარ მეშინოდა, მაგრამ სასაფლაოზე ღამის გათენება მაინც წარმოუდგენლად მიმაჩნდა. სასწრაფოდ წამოვხტი, დავკარი ფეხი და ზუსტად შეიდ წუთში „ბაგების“ სტუდენტალაქში აღმოვჩნდი.

აკანკალებული გაუხდელად შევჩქეი ლოგინში და თავზე და სახეზეც კი საბანი წავიფარე...

ცოცხალად პოეტებიდან და მწერლებიდან კი რუსიკოს კიდევ ვახტანგ ხარჩილავას პოეზია უყვარდა. მე მაშინ წავიკითხე მისი ლექსები და, სიმართლე რომ ვთქვა, ისე მომეწონა, ერთხანს მისი გავლენის ქვეშაც კი მოვექეცი, თუმცა მერე ეს გავლენა ორივესათვის — ჩვენზე გაცილებით დიდი პოეტის — ოთარ ჭილაძის გავლენა აღმოჩნდა, მაგრამ მე იმხანად ჭილაძის პოეზიას თითქმის არ ვიცნობდი, ხარჩილავას ლექსებს კი დიდად ვაფასებდი.

ერთხელ სრულიად შემთხვევით შეგვხვდა გზაში და გახარებულმა რუსიკომაც, რა თქმა უნდა, ჩემი თავი წარუდგინა.

ვახტანგს ცუდი არც არაფერი უთქვამს და არც გაუკეთებია, მაგრამ პირადმა ნაცნობობამ ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მაინც ვერ მოახდინა, როგორც მისი ლექსებიდან მოველოდი. რალაც გამოიკვირდა კიდეც.

საქმე ის იყო, რომ ვახტანგ ხარჩილავას მაშინ თითქმის მთელი თბილისის ღამაში და ჭკვიანი გოგონები ეტრფოდნენ და რუსიკოს გაოცებულმა ვკითხე, ნეტავი რა მოგწონთ ქალებს ამ კაცში-მეთქი.

ეს არ იყო მამაკაციური შური ან, მითუმეტეს, ბოლშა. მაშინ იმდენად პატარა ვიყავი, რომ უფრო ის მაინტერესებდა, რითი შეიძლებოდა ჩემთვის სასურველი გოგონების მოხიზვლა. თორემ ხარჩილავას, რომელიც მე მაგარი პოეტი და ჩამოყალიბებული მამაკაცი მეგონა, მეტოქეობას როგორ შევებდავდი!

რუსიკომ მითხრა: რას ამბობ, ბიჭო! ქალისათვის ბევრ რამეს აქვს მნიშვნელობა. მაგალითად, ხარჩილავას, ერთხელ, გაცნობისას, ჩემი დაქალის ხელი ხელში მოსალოდნელზე ოდნავ დიდხანს გაუჩრებია და მერე ჩუმად, თითქმის ჩურჩულვით უთქვამს, რა სასიამოვნო ტემპერატურის ხელი გაქვთო!

ის ჩემი დაქალი იმის მერე ყურებადმდე შეყვარებული ხარჩილავაზე და არ იცის, რა ქნასო.

მართალი გითხრათ, ქალების მოხიზვლისა ამით მაინც ვერაფერი ვისწავლე და ერთადერთი ის სურვილი გამიჩნდა, რომ ტემპერატურა თვითონ რუსიკოსათვის გამეზომა.

კიდევ ერთხელ გუნებაში დავეთანხმე ლელა კოდლაშვილს, რომელიც ხარჩილავას „ხარშოლავას“ ეძახდა მსუბუქი ირონიით.

კოდლაშვილი ადამიანებს უშელავათოდ აფასებდა და იმ ნუთას მისი შეფასებები მიუღებელი მეჩვენებოდა, მერე კი სწორედ ლელას შთაბეჭდილება აღმოჩნდებოდა ხოლმე უფრო სწორი და სამართლიანი, ვიდრე ჩვენი ბავშვური გულუბრყვილო აღტაცებანი.

ისე, არსებითად, ვახტანგ ხარჩილავას არც არაფერს ვერჩოდი. მისი პატივისცემა დიდხანს შემრჩა და დღესაც გული მწყდება, რომ ლექსებს თითქმის აღარსად აქვეყნებს. იქნებ ნერს კიდევაც, მაგრამ მე, ყოველ შემთხვევაში, კარგახანია, არაფერი ნამიკითხავს და, სამწუხაროა, რომ უდავოდ ნიჭიერი ადამიანი ნელ-ნელა ლიტერატურას ჩამოშორდა და სულ სხვა ინტერესებმა ჩაიყოლა.

სხვათა შორის, ამ ხნის განმავლობაში ჩემს თვალწინ უამრავი პოეტი ჩაქრა, ვისაც ჩემი ახალგაზრდობიდან ვგულშემატკივრობდი და ვინც მაშინ მეგონა, რომ თავის დიდ სიტყვას იტყოდა მომავალში.

საქართველოში რომ ლიტერატურული პროცესის განვითარებას თანამიმდევრულად შეისწავლიდნენ, ალბათ ძალზე საინტერესო იქნებოდა ამ თავის დროზე პოპულარული და პერსპექტიული პოეტების შემოქმედების ანალიზი და იმ მიზეზების კვლევა, რატომ ვერ მივიღეთ ყველა კონკრეტული შემთხვევისას სასურველი ან მოსალოდნელი შედეგები.

მიზეზები, ცხადია, მრავალგვარია და ერთ-ერთი მიზეზი სწორედ საქართველოს აწინაღობის სინამდვილაც იყო, რომელმაც მერე ყველას, მთელ თაობას დაგვასვა დაღი, დიდხანს მოგვწყვიტა ჩვენს საქმეს და მშვიდად ცხოვრება და განვითარება აღარ დაგვაცალა.

მაგრამ ამ ჩანაწერების დროით ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისია და ამიტომაც წარმოდგენა არა გვაქვს, რა სიძნელები გველის მომავალში. მიტინგებზე დავრბივართ და რატომღაც ამოჩემებული გვაქვს ძალზე ამაზრზენი სტრიქონები, რომელთა ავტორობასაც მაშინ ნოე ჟორდანიას მიანერდნენ: „თუ საქართველო არ მენახოს თავისუფალი, დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო“.

ახლა მზურძგლავს ამ სიტყვების მოსმენისას, რადგან სწორედ ის აგრესია, რომელიც აქ არის ჩადებული, მტვრად ზუსტად შენს სამშობლოს გადააქცევს ამ უკიდევანო სამყაროში.

მაგრამ მაშინ სულ სხვა ვნებები გვათამაშებდა და მიტინგებზე მოსმენილს ერთადერთ ჭეშმარიტებად მივიჩნევდით.

ამ მიტინგების განსაკუთრებით ძლიერი ტალღა 1989 წლის აპრილში დაიწყო, მაგრამ მე მაშინ ხაშურში ვსწავლობდი და სკოლიდან წასვლას ვერსად ვახერხებდი, რადგან ჩვენს გაკვეთილებზე დასწრებას, სწორედ ამ პოლიტიკური ამბების გამო, მკაცრად აკონტროლებდნენ.

თუმცა ზუსტად მიტინგების კულმინაციის დროს, 7 თუ 8 აპრილს, გადავწყვიტე, ჩემი დისათვის არაფერი გვეთქვა და

მე და ჩემი დისშვილი თბილისში ისე გამოვპარულიყავით. ოღონდ ორივენი ძალიან პატარები ვიყავით და მაინც ვილაც უფროსი გვეჭირდებოდა, რომ თბილისისკენ გამოგვძლოდა.

ჩემი უფროსი მეგობარი მზია მაღალდაძე იმხანად ღამით შორენას ნათლიასთან, ნანი დეიდასთან რჩებოდა ხოლმე, რომელიც, როგორც ვთქვი, ჩვენი კარის მეზობელიც იყო. ნანის მამა ჰყავდა ახალი გარდაცვლილი და მზია მარტო არ ტოვებდა. ჩვენც საღამოობით თავს სწორედ ნანისთან ვიყრიდით და იმ საღამოს გადავწყვიტეთ, რომ დილით მზია მაღალდაძე წავიყვანა თბილისში.

მზიამ ერთი კი გვითხრა, ბავშვებო, ისე, ცოტა კი მეშინია ამ არეულ სიტუაციაში თქვენი წაყვანა, მაგრამ რა უნდა მოხდეს ისეთი? — ნავიდეთ, ვნახოთ, როგორ იღვიძებს ქვეყანაო. შევთანხმდით, რომ დილაუთენია შევძახებდით, მზია უკვე მზად დაგვხვდებოდა და თბილისისკენ გამოვწვევდით.

დილის ძილი მაშინ ძალიან მიყვარდა, მაგრამ ზუსტად დათქმულ დროზე გავიღვიძე. ჩემი და და დისშვილი ცალკე ინვენტარით მთავრად ითახში, ვახველე, ვაცემინე, ათასგვარი ნიშანი მივეცი, მაგრამ შორენა გულისხმაში ვერაფრით ჩავაგდე. ბოლოს ავედექი, ჩავიცვი, შინიდან გამოვიპარე და ნანის ჭიშკართან მივედი. ახლა იქ ავტეხე ბრაგაბრუგი და ძახილი, მაგრამ სახლის პატრონებს ვერაფერი გავაგონე, ამასობაში ჩემი და კი გავაღვიძე, რომელიც ქვემოთ ჩამოვიდა და სახლში სულ მუჯღუგუნების კვრით შემიყვანა: ამხელა ბიჭი ხარ და სირცხვილი არ იცი, ამოდენა ქალებს დილაუთენია აწუხებო.

როცა გამომიკითხა და გაიგო, რასაც ვაპირებდი, სულ ცრემლების ფრქვევით დამაფიცა, რომ თბილისში წასვლას გადავიფიქრებდი. ნამუსზეც შემაგლო: დედა და მამა ხომ აღარა გვყავს და ახლა შენც რომ რამე მოგივიდეს, თავს აღარ ვიცოცხლებო.

დაუფჯერე ჩემს დას, მაგრამ სინამდვილეში ძალიან მიკვირდა, რაზე ლაპარაკობდა, რა უნდა დამმართნოდა ისეთი, რომ საბედისწერო აღმოჩენილიყო.

მაქვს ხაშურში იმხანად გადაღებული ორი ფოტოსურათი. ორივეზე ერთი და იგივე ხალხია აღბეჭდილი: ფატი კურტანიძე, მაყვალა ხაჩიძე, თამაზ ლაცაბიძე, ნუნუკა ხვედელიძე, დათო ნიქარიშვილი, მარიკა თუმანიშვილი და მე.

მაგრამ ორივე ეს ფოტო ერთმანეთისაგან ისე განსხვავდება, თითქოს მათზე სხვადასხვა ადამიანები ვიყოთ.

საქმე ისაა, რომ ერთი სურათი 1989 წლის 2 აპრილს არის გადაღებული, მეორე კი იმავე წლის იმავე თვის 11-ში.

პირველზე ყველა ლაღები ვართ, რაღაც შინაგანი სხივით განათებული. მეორე სურათზე კი გატეხილები, რაღაცნაირად დაბეჩავებული...

9 აპრილს, ყველამ ვიცით, რაც მოხდა, მაგრამ იყო კიდევ პირადი ადამიანური ტრაგედიები, რომელთა გადატანა უღიდეს შინაგან ძალას მოითხოვდა. მაგალითად, იმ დილას, როცა თბილისში მომხდარზე შევიტყვევით, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, მსხვერპლის შესახებ ათასგვარი ჭორი ვრცელდებოდა, ამბობდნენ, რის თქესმეტი თუ ცხრამეტი ადამიანი, სინამდვილეში თითქმის ყველა უმოწყალოდ არის ჩახოცილი, ლიდერებიდან და საზოგადო მოღვაწეებიდან მოკიდებული რიგითი მომიტინგეებამდე. მე მთელი ჩემი თბილისელი მეგობრები იქ მეგულეობდნენ და ამიტომ გადავწყვიტე, რომ რუსიკოს, მარინეს, ლელას და კიდევ ბევრს ველარსოვდეს ვნახავდი.

ეს სამი განსაკუთრებით ძნელი გადასატანი იყო და, მე მგონი, მაშინ ვიტირე იმდენი, რომ მას შემდეგ ცრემლი თითქმის აღარასოდეს წამომსვლია.

სამივე სასწაულის ძალით ცოცხალი გადარჩა და ამან დიდი ნუგეში მომგვარა, თუმცა, საერთოდ, ყველა დაღუპულს ჩემიანად აღვიქვამდი და უმწეობის განცდა მანადგურებდა. ოღონდ იქვე შეკითხვა და ეჭვი გამიჩნდა: მიტინგზე მდგარი ლიდერებიდან რატომ ერთსაც არ ჩამოუვარდა თავიდან თმის ღერი, რაღა ჩვეულებრივი ხალხი გაიჟლიტა და რატომ არ

ანუხებდათ საქმის თავკაცებს თავიანთი სიცოცხლე ამ ხოცვა-ჟლეტვაში.

არ მინდა, ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს რომელიმეს სიკვდილს ვისურვებდი. პირიქით, მაშინ საქართველოს მომავალს სწორედ ამ ადამიანებს ვუკავშირებდი და მათ გარეშე ჩვენი ქვეყანა წარმოდგენილად მეჩვენებოდა, მაგრამ მაშინ პირველად დავინახე თავკერძობა და ამ ლიდერთა პირადი ამბიციები, რამაც შემდგომში თვითონ ისინიც და ლამის ქვეყანაც კატასტროფამდე მიიყვანა.

კომუნისტებს კი უკვე საბოლოოდ ველარ ვიტანდი და, ჩემი უგუნურობით, ეს აგრესია ჩემთვის ძვირფას ადამიანზე, როლანდ მულაძეზეც, გადავიდა.

მახსოვს, ერთხელ ძია როლანდმა იმ დღეებში თავისთან დამიბარა და მკითხა, აბა როგორ მოგწონს ეს სიმულეცე, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდებაო, და მე, როგორც მხოლოდ შეიძლება ახალგაზრდობისას მისცე თავს ამისი უფლება, ისე თავზედურად მივახალა: „ძალიანაც მომწონს! ერთადერთი, თქვენ არ მომწონხართ, კომუნისტები, და თქვენთვისვე აჯობებს, დროზე ნახვიდეთ-მეთქი.“

როლანდმა გამიღიმა და მითხრა: „ეჰ, გიორგი, მე კი ნავალ, მაგრამ ვინ მოვა, იმას კარგად შეხედეო!“

რალაცნაირად სევდიანად მითხრა და აქ მართო ქვეყნის მომავალი კი არა, ჩვენი პირადი ურთიერთობებიც იგულისხმებოდა.

ამის შემდეგ მართლა ყველაფერი შეიცვალა და როლანდ მულაძე მერე აღარასოდეს მინახავს. მისი სიტყვები კი მწარედ მახსოვს და სინდისი მქენჯნის.

მახსოვს იმიტომაც, რომ იქიდან მოკიდებული საქართველოში ბევრი მთავრობა შეიცვალა და ჩვენ, წინაზე გაღიზიანებულები, არასოდეს ვუკვირდებოდით, ვინ მოდიოდა მომავალში...

ხაშურში კი ე. წ. „არაფორმალეების“ მიმართ რეპრესიები და თვალთვალი გააასკეცეს. ერთ-ერთი „ინტერესის ობიექტი“ ალბათ მეც ვიყავი, რადგან, ასაკის მიუხედავად, მთელ ხაშურს ვიცნობდი და ეროვნული მოძრაობის ხაშურელ ლიდერებთან ვახლოვდებოდი.

დავწერე ახლა ეს ფრაზები და თვითონვე გამეცინა, რადგან „ჩე გევარა“ არასოდეს ვყოფილვარ და არ მინდა ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს ამ მხრივ რამე დამსახურებას ვიჩემებდებოდაო, იქაური „არაფორმალეები“ — აქვსენტი ოგოლაძე, ალექო ლონდაძე და სხვები — ჩემი ახლობლები იყვნენ და მათი ბედი ყოველთვის მალეღებდა. მათთან კავშირის გამო კი, ცხადია, მეც მაკვირდებოდნენ. ოღონდ ამას ვერასოდეს ვგრძნობდი და მხოლოდ ერთმა შემთხვევამ გამაგებინა, რეალურად როგორი საფრთხის წინაშე ვიდექი.

იმხანად ჩემმა ხაშურელმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, ლექსების კრებულის გამოცემაში დამხმარებოდნენ. წიგნი მოვამზადეთ და თბილისში რომელიღაც ახალდაარსებულ სტამბაში წამოვიღეთ. იქ კი გვითხრეს, ქალაქი გვიჭირს და, თუ თქვენ თვითონ შეიძენთ ორ რულონს, წიგნს დაგიბეჭდავთ. მე წარმოდგენა არ მქონდა, როგორ და სად იშოვებოდა ქალაქი და ამაზე ზრუნვაც ისევ უფროსმა მეგობრებმა წამოიწყეს.

მაყვალა ხაჩიძეს სწორედ ამ დროს მხსნელად მოევილინა ერთი ქალი „ა“, რომლის სახელსაც ახლა შეგნებულად არ ვწერ. ამ ქალს ჩემი მეგობრისთვის უთქვამს, მე ძალიან გავლენიანი ნაცნობები მყავს, გიორგი გამომაყოლე და ქალაქს ვამოვინებო.

ხალისიანი ქალი იყო, მკერდასვე და იმდროინდელი ხაშურისთვის უშუბრველად დეკოლტირებული.

ეტყობა, სწორედ ამ ხალისიანობის გამო, ქალისათვის არც კი მიკითხავს, სად მივდიოდით, უკან ისე გულუბრყვილო კუნტრუშით გავყევი.

რკინიგზის სადგური გავიარეთ და ერთ რალაც უბადრუკ შენობაში კიბით მეორე თუ მესამე სართულზე ავედით. კარგა ხანმა განვლო, სანამ გავაცნობიერე, რომ თურმე ხაშურის უშიშროების სამსახურის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის კაბინეტში აღმოვჩნდი.

წამდვილად არ მეშინია და არ მოვერიდებოდი ამის დაწერას, მაგრამ ახლა იმ კაცის არც გვარი მახსოვს და არც სახელი. ის კი არა, ეტყობა, ყველაფრით ისე დავიზაფრე, რომ სახის ნაკვთებიც კი არ დამემახსოვრებია. ან შესაძლოა თვითონვე იყო ასეთი უსახური. ერთადერთი, რაც მკაფიოდ მახსენდება, ისაა, რომ ამ კაცს კაბინეტში დიდი ხატებით დამშვენებული სალოცავი კუთხე ჰქონდა მოწყობილი.

წამოდგა, ხელი გამომიწოდა, მერე კი ამ ხატებთან მივიდა, უჯრიდან სანთელი ამოიღო და რალაცნაირად დემონსტრაციულად აანთო. მითხრა: აი, ასეთი მორწმუნე კაცი ვარ, მაგრამ რა ვქნა, უნდა ვმალო ჩემი წამდვილი მრწამსი, დრო არის ასეთიო.

ფრაზები ახლა ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ იმ კაცმა გამაგებინა, ვიცით, ქალაქი გჭირდება, საუკეთესო ქალაქს გამოვინებთ, სულ ახლახან შემოვიდა უცხოეთიდან საქართველოში, სამაგიეროდ კი პატარა სამსახური უნდა გავგინიო: ან ამ არაფორმალეებს ჩამოშორდე, ან მათზე ინფორმაცია მოგვანო. თუ არ გინდა, პრობლემა არც ეგ არის! არ გეგონოს, ამ მხრივ დიდი გასაჭირი გვქონდეს, მაგრამ ეს საბოლოოდ შენთვისვე იქნება უკეთესიო.

გმირი და მამაცი იქნებ არც არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ როცა გავიზარე, რა შემომთავაზეს, ადგილიდან წამოვხტი, მეგზურ ქალს მივუბრუნდი და ყვირილით დაეუძახე: „ა“, „ა“, „ა“, არ მინდა ქალაქი!!!!

ამაზე უშიშროების კაცს სიცილი აუტყდა, მე კი უცებ მოვწყდი და გარეთ გამოვარდნას ვაპირებდი. სახელურს ჩავებლაუჭე და კართან კაბინეტის მბრძანებლის შეკითხვამ შემაჩერა: ჰო, მართლა, რა ქენი, შეაკეთე წიგნების კარადა?!

მოულოდნელობისაგან კინალამ წავიქეცი. საქმე ის იყო, რომ სწორედ იმ დილას შინ წიგნების თარო ჩამომემზღვლა და რამდენიმე უახლოესი მეგობრის გარდა, ეს ამბავი ჯერჯერობით არავინ იცოდა.

როცა მივხვდი, რამდენ რამეზე და ვინმეზე უნდა შემპარვოდა ეჭვი, უცებ საკუთარი თავი შემებრალა და ცრემლები გამდმოვყარე, თუმცა რომ არ დაეინახათ, როგორ ავტირდი, ოთახიდან სასწრაფოდ გამოვვარდი.

უკან კი თითქმის მაშინვე მომყვა თამამად დეკოლტირებული ქალი, მამშვიდებდა და მკერდზე მიხუტებდა.

იმწუთას მეც თავი შევიკავე. მაგრამ მერე მთელი გაღიზიანება მაყვალს დავატეხე, რომელმაც ამკარად არ იცოდა, სად გამიშვა, და ამ ამბავში სრულიად უნებურად აღმოჩნდა ჩათრეული.

ამბავმა კი მე პირადად ის შედეგი მომიტანა, რომ წიგნის გამოცემას ვინდა ჩივის, საეჭვო უფროს მეგობრებს თითქმის მთლიანად ჩამოვცილდი. მეცადინეობას, კითხვას ჩავუჯექი და, რაც მთავარია, ჩემს თანაკლასელებთან მივბრუნდი...



მაყვალა ხაჩიძესთან ერთად

ბავშვობიდან რატომღაც უფროსებთან ურთიერთობა უფრო მიხაროდა. თანაკლასელები კი გულწრფელად მიყვარდა, მაგრამ მათთან თითქოს რაღაც მაკლდა, რაღაცას ვერ ვივსებდი. არადა, მშვენიერი ბავშვები იყვნენ და, სამწუხაროდ, ეს მე მხოლოდ მაღალ კლასებში გავიცნობიერე, როცა ჩემმა კლასელებმა მართლაც უერთგულესი, შესაშურად კარგი მეგობრობა გამიწიეს.

ფატიის სკოლაში ისედაც ყოველდღე ვხვდებოდი, მაყვალასა და გოგისთან რედაქციაში და თამაზთან მუზეუმში მისვლა მახარებდა და, რა თქმა უნდა, მურადს კვლავაც ყოველდღე ვნახულობდი. დანარჩენად კი შინ ვიჯექი და გამუდმებით ვკითხულობდი. გერმანულში ვმეცადინებოდი, რომლის საუნივერსიტეტო გამოცდისთვის ჩემი მასწავლებელი, ლია ებანოიძე, საგულდაგულოდ მამზადებდა.

ჩვეულებრივ, კითხვით დაღლილს მეძინებოდა და დილით სასკოლოდ ველარ ვიღვიძებდი. სკოლასთან იქვე ახლოს ვცხოვრობდი და ზუსტად ორ წუთში შეიძლებოდა იქიდან ჩემს სახლში აღმოვჩენილიყავი. ამიტომ მასწავლებლები ჩემს კლასელებს ამოგზავნიდნენ ხოლმე. ვთქვათ, მოვიდოდა „პუშკინა“, დამიძახებდა, თამარა მასწავლებელმა თქვა, საკითხავია და ჩამოვიდესო. ავდგებოდი, ჩავიცვამდი, ჩავილოდი, გაკვეთილს მოვყვებოდი და ისევ შინ ვბრუნდებოდი.

სკოლასთან ჩემი ბინის სიახლოვემ შედეგად ისიც მოიტანა, რომ მთელი კლასის ბიჭები ბოლო წლებში მუდამ ჩემთან გროვდებოდნენ. თამაშობდნენ, ხუმრობდნენ, ათასგვარ გასართობს იგონებდნენ. მე კი, ძირითადად, შორიდან ვადევნებდი თვალს, ტახტზე ვიყავი ნამოგორებული, ვკითხულობდი და ვერთობოდი.

„პუშკინა“, გიორგი ბარბაქაძე, ჩემი უახლოესი მეგობარი გახდა. ორივენი შეყვარებულები ვიყავით: მე ერთი ჩვენი თანაკლასელი მიყვარდა, პუშოს ერთი გოგო და, ძირითადად, ამაზე ვსაუბრობდით, უფრო სწორად, არც არაფერს ვამბობდით, უმეტესად, ვგმინავდით.

პუშკინას ძალიან კარგი მშობლებისაგან ნებართვა გვექონდა ალებული და ამიტომ ხანდახან ლამიდაც კი ჩემთან რჩებოდა, რაკილა მე „ნესიერის“ რეპუტაცია მქონდა და მშობლები დარწმუნებული იყვნენ, რომ ცუდს არაფერს ჩავიდენდით.

ეს ნდობა, შეიძლება ითქვას, არც გაგვიცრუებია. დიდი დიდი, სიგარეტი მოგვენია, და ამასაც უკვე შეგუებულები იყვნენ, იცოდნენ და თუ მთლად სახეში არ ვაბოლებდით, აღარც ვუმაღლავდით.

ხანდახან თემო თიგიშვილი, მერაბ მუშლაძე და ზურა ჩხიტუნიძეც ამოვიდოდნენ და მაშინ მთელი ჯოკერის გუნდი იკრიბებოდა. ოლონდ მე კარტის თამაში არც მიყვარდა, ვერც ვერასოდეს ვისწავლე და მათ ამ გართობაში არასოდეს ვმონაწილეობდი.

გალაკტიონი ყოველთვის თან მდევდა, მაგრამ სკოლის ბოლო წლებში მის პოეზიაზე სრული სიგაჟე დამემართა. ავიღებდი მის ერთტომეულს და, მგონი, უკვე მეთათსე ვკითხულობდი.

ერთ საღამოსაც პუშო ჩემთან უნდა დარჩენილიყო. უცებ სადღაც გაქრა, ვეძახე, მაგრამ ხმა რომ აღარ გამცა, ვიფიქრე, წავიდა-მეთქი. გალაკტიონის წიგნი ავიღე და ლექსების ხმამაღლა კითხვას შევუდექი. ორი თუ სამი საათის შემდეგ საწოლის ქვეშეიდან რაღაც ფხაკუნის ფშვინები და ცოტა ხანში იქიდან პუშკინა გამოძვრა თვალების შემთხვევით. თავიდან ჩემი შემინება ჩაუფიქრებია, მაგრამ ლექსების კითხვა რომ დავიწყე, მოსწონებია და ყური დაუგდია, ამასობაში კი კიდევ ჩასძინებოდა.

პუშკინა იყო ძალიან მოძრავი, იმიტატორის ნამდვილი ნიჭით დაჯილდოებული და მასთან ადამიანი ვერაფრით მოიწყენდი. თეატრალურში ჩაბარებას აპირებდა და ამიტომ ჩვენი სკოლელები, ჩვენზე რამდენიმე წლით უფროსი გაგი ხაჭაპურიძე, რომელიც უკვე სწავლობდა თეატრალურ ინსტიტუტში, ჩვენი სასურველი სტუმარი ბრძანდებოდა. თითქმის ყოველ მა-

ბათ-კვირას ხაშურში ჩამოსული, ჩემთან ამოვიდოდა და ათას რამეზე ვსაუბრობდით. თან გიორგის ავარჯიშებდა თეატრალურის გამოცდებისათვის. გაგი ძალიან კარგი ბიჭი იყო და, რაც მთავარია, უკვე ჩვენგან განსხვავებულ სამყაროში ცხოვრობდა ამიტომაც ჩვენზე მისი მონათხრობი ისე მოქმედებდა, როგორც იმ სამყაროდან მობერილი ჯადოსნური ნიავი. უამრავი ლექსი იცოდა ზეპირად და, რაც მთავარია, უკვე პროფესიულად კითხულობდა, ამიტომაც ჩვენც ვისხედით და მთელი საღამო ან ლექსებს ვაკითხებდით, ან ამბებს ვაყოლებდით.

გოგონებიდან განსაკუთრებულად ეკა ყვარაძესთან ვმეგობრობდი. ეკა ძალიან ღრმა და კარგი ადამიანი იყო და მისი ნდობა ყველა სიტუაციაში თვალდახუჭულს შეგეძლო. ერთხანს, მახსოვს, ძალიან ვდარდობდით ორივენი, რომ ნამდვილი და-ძმანი არ ვიყავით, ამიტომაც ასეთი რამ მოვიფიქრეთ: სამართლებლით, უფრო სწორად, „ბრიტვიტ“ ცერა თითები დავისერეთ, ერთმანეთს წავუსვით და ასე შედგა ჩვენი და-ძმად გაფიცვის „ნამდვილი რიტუალი“.

ცხადია, ახლა ყველაფერი ძალზე გულუბრყვილოდ მოჩანს, მაგრამ რომ ვუკვირდები, ნამდვილი, ალალი და ხალი-სიანი ბავშვები ვიყავით. მასწავლებლებიც ერთმანეთზე უკეთესები გვყავდა. ეს ადამიანები ჩვენი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ჩვენთან ერთად იზრდებოდნენ და მოგვედევნენ ნაბიჯ-ნაბიჯ.

მახსოვს, ხატვის გაკვეთილებს ვერ ვიტანდი. საქმე ის არის, რომ სწორი ხაზის გავლება დღემდე არ შემიძლია. არადა, დავალებებს, რასაც სკოლაში გვაძლევდნენ, მუდამ პატიოსნად ვასრულებდი და, ხატვა რომ არ მემარჯვებოდა, ამას ძალიან განვიცდიდი. განცდას მიმძაფრებდა ის, რომ თვითონ ხატვის მასწავლებელს ალექო ლონდაძეს დიდ პატივს ვცემდი და თავს უფლებას ვერასდროს მივცემდი, მისი დავალებები შეუსრულებელი დამეტოვებინა.

ალექო მაღალი, ქერათმიანი, ცისფერთვალა კაცი იყო, სიმპათიური.

ესეც უფროსებისგან გავიგონე, თორემ მეექვსეკლასელი ბავშვი ადამიანის სილამაზეს ალბათ ვერ აღიქვამს. ყოველ შემთხვევაში, მე უფრო ამა თუ იმ ადამიანისაგან წამოსულ ენერჯიას ვგრძნობდი და იმის მიხედვით, ეს ენერჯია უარყოფითი იყო თუ დადებითი, ესა თუ ის ადამიანი ლამაზი ან ულამაზო, უფრო სწორად, ნაკლებად ლამაზი მეჩვენებოდა.

ალექო მასწავლებელი კი ამ შკალაზე იყო ძალიან ლამაზი და მხოლოდ გოგი გოგოლაძეს, თამაზ ლაცაბიძეს ან მურად მთვარელიძეს თუ ჩამორჩებოდა...

მოკლედ, ამ ხატვის გამო ვიყავი დიდ ტანჯვასა და სულთა ხდამი.

ერთხელ, მეექვსე კლასში, რაღაც ნახატი მოვაცოდვილე. დავხატე ციხის ნაშალი და ამ ციხის ნაშლის სათოფურში მთვარე გამოვანასკვე. ალექო მოვიდა, ნახატს დახედა და მითხრა: ეს რა არისო? ვუთხარი, ციხეა-მეთქი. ჰოო, სარკმელში რაღა ჩაგხატავსო, მთვარე-მეთქი, ვეუბნები და თანდათან ვიბერები. მერე მთვარეს აქ რა უნდა, ცაზე რატომ არ დავიხატავსო? — მეკითხება უკვე ღიმილშეპარული. იმიტომ, რომ ჩემს ნახატში მთვარე ციდან კი არა, კოშკის სათოფურიდან იხედება-მეთქი, — ვუთხარი და არასოდეს დამავიწყებია იმ წამს ალექო მასწავლებლის სიხარულით ანთებული თვალები. — გენაცვალე, შვილო, ამის შემდეგ, რაც გინდა და როგორც გინდა, ისე ხატე, სულ რომ არაფერი დახატო, შენ ჩემთვის მაინც ნამდვილი მხატვარი იქნებიო...

მოგესხენებათ, ჩემგან მხატვარი არ დადგა, მაგრამ ალექო ლონდაძე, თუნდაც ამ ერთი ამბითაც კარგად ჩანს, რომ იყო ნამდვილი მასწავლებელი.

სხვათა შორის, თვითონ სამხატვრო აკადემია ჰქონდა დამთავრებული და შესანიშნავად ხატავდა, კარგ ლექსებსაც წერდა, მაგრამ უპრეტენზიო ადამიანია და დღემდე უხმაუროდ ცხოვრობს მშობლიურ ქვიშხეთში.

ეროვნული მოძრაობა რომ დაიწყო, ალექო მასწავლებელი სკოლიდან წავიდა. მე მგონი, გაათავისუფლეს, რადგან არაფორ-მალური გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერი და მეთაური გახდა.

ერთხელაც, დირექტორის მოადგილემ სკოლაში ამბავი მოიტანა: „შიშშილობა გამოუცხადებიათ ბიჭებს! წამოგორებულან მუზეუმთანა, კარავში ჩაინიკაი, ტუხიო, ალიკო ღონ-ლაძეი და გაიძახიან: რკინიგზა უნ გადავკეტოთ, დამოუკიდებლობას სანამ არ მოგვცემენო!“

გიჟები, გიჟები! ეგენი დაამარცხებენ საბჭოთა კავშირსა?! მოისმოდა აქეთ-იქიდან.

ერთი სული მქონდა, გაკვეთილები როდის დამთავრებოდა და, როგორც კი მეხუთე გაკვეთილი გამოვიდა, მეც მაშინვე ქალაქის ცენტრისაკენ გავიქეცი. კარავთან რამდენიმე ჩემი ნაცნობი იდგა: თამაზ ლაცაბიძე, გივი იმერლიშვილი და მუზეუმის სხვა თანამშრომლები. შეფიქრიანებული სახეები ჰქონდათ, მხოლოდ თამაზს ელიმებოდა უღვაშებში. კარვის კალთა გადანული იყო და გარედანაც ჩანდა, წვერმოშვებული არაფორმალური როგორ გაგორებულიყვნენ სახელდახელოდ გაშლილ ლეიბებზე, ზემოდანაც ჭრელაჭრულა პლედები მოეხურათ. ტუდოსაც საკმაოდ ახლოს ვიცნობდი, მაგრამ მაშინ რატომღაც ყველაზე მეტად ალექო მასწავლებელი შემეცოდა. ცოტნე დადიანს ჰგავდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთად წარმომედგინა ცოტნე გრიგოლ აბაშიძის ცნობილი რომანის ზეგავლენით. უცებ ყველაფერი უაზროდ მომჩვენა, საჩქაროდ შინ წამოვედი და წიგნებს ჩაუფუჯე. სპარსული ვი-მეცადინე, რადგან მეორე დღეს კარლო ტაბატაძესთან თბილისში უნდა ჩავსულიყავი.

სპარსული ვარესამყაროს მთლიანად მავინყებდა. იმ დროს ვლადიმერ ფუთურისის საკითხავი წიგნის დაზეპირება დასრულებული გქონდა და ბატონი კარლო უკვე „გოლესთანს“ მაკითხებდა:

„ფადეშაჰი რა შენიდამ ქე ბე ქოშთანე ასირი ეშარათ ქარდ. ბიჩარე დარ ონ ჰალათე ნაიმიდი მალექრა დოშნამ და-დან გერეფთ ვა საყათ გოფთან, ქე გოფთეანდ ჰარ ქი დასთ აზ ჯან ბეშუიად, ჰარ ჩი დარ დელ დარად ბეგუიად“

ვიზეპირებდი „გოლესთანის“ ურთულეს, მაგრამ ამავე დროს უღამაზეს არაკეს და ვოცნებობდი, როდის ვისწავლიდი ენას ისე, რომ ეს უმშვენიერესი წიგნი ქართულად მეთარგმნა.

კარლო არაჩვეულებრივი მასწავლებელი იყო. საერთოდ, მისგან სპარსულის გარდა, ერთი უმთავრესი რამ ვისწავლე: როგორ უნდა გიყვარდეს ფანატიკურად შენი საქმე.

ბატონი კარლოსათვის „სპარსული“ ყოველივე საუკეთესოს სინონიმი იყო. სპარსელებმა ასე იციან, ირანელები ასე იქცევიან, სპარსელები ასე ამბობენ — მესმოდა მისგან და ვერ წარმომედგინა, რომ ამ პატიოსან კაცს კომუნისტური მმართველობისას ირანში მოგზაურობის, თავისი უსაცყარ-ლესი ირანის მონახულების საშუალება არასდროს მისცემოდა. მოგვიანებით, როცა ამის მიზეზები გავაცნობიერე, ჩემი მასწავლებელი კიდევ უფრო მეტად დავაფასე. „გოლესთანის“ კითხვისას მე და კარლო უკვე ნამდვილი მეგობრები ვიყავით, მაგრამ სიყვარულით პირველივე დანახვისას შემეყვარდა: მა-ღალი, წარმოსადეგი, ცისფერთვალეა და უცნაური ყაიდით მეტყველი კაცი, რომელიც ქართულად საუბრისასაც კი წინა-დადებას რალაცნაირად სპარსული ინტონაციით აგრძელებდა და ძალიან გემრიელი ლაპარაკი იცოდა.

თავიდან, ჩემი მეგობრები სწავლების საფასურზე შეუ-თანხმდნენ და გადაწყვიტეს, ყოველთვიურად გარკვეული გა-სამრჯელო გადაეხადათ.

კარლოც ჯერ დათანხმებია, მაგრამ მეორე თუ მესამე გაკ-ვეთილზე შეიტყო, რომ მშობლები არა მყავდა. მაშინვე არა-ფერი მითხრა, დიდხანს მამეცადინა, გაკვეთილის ბოლოს კი უცებ მეუბნება: „ბიჭო, მე და შენ ხო მეგობრები ვართ?“

ამ შეკითხვამ ძალიან დამაბნია, მომერიდა და თავჩაღუ-ნულმა ვუპასუხე: „რა თქმა უნდა, ბატონო კარლო-მეთქი.“ —

„შოოდა, მეგობრისგანა მე, აბა, როგორ ავიღებ ფულსა?! მო-დი ასე გავაკეთოთ: უფასოდ და უსასყიდლოდ იმეცადინებ!“

რა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდი, ჩემი მოძღვარი ასე რა-ტომაც მოიქცა და მადლიერების გრძნობამ მთლიანად ამავე-სო. არა იმდენად საფასურის გამო, რამდენადაც იმიტომ, რომ გავიცნობიერე: როგორ ტაქტიკურად მოუფრთხილდნენ ჩემს გრძნობებსა და ბავშვურ თავმოყვარეობას.

დღეს, როცა მეც ვარ იძულებული, თვიდან თვემდე თავის გასატანად კერძო მოსწავლეები ავიყვანო, ყოველ წელს ორი მოსწავლე მაინც მყავს ზუსტად იმ ნიშნით შერჩეული, რითაც მაშინ ბატონმა კარლომ შემარჩია და უსასყიდლოდ ვამეცადი-ნებ, უფრო სწორად, თუ ამ საქმეში რამე მადლია, ღმერთს ვთხოვ, კარლო ტაბატაძის ნათელ სულს მიაგებოს.

იმ ოთხშაბათს კი ყველაფერი უცნაურად აენყო. კარლო რალაც გუნებაზე ვერა ბრძანდებოდა და გაკვეთილი სულ ბუზღუნით გამომიკითხა. მერე უცებ ჩემი ტანსაცმლიდან სი-გარეცის სუნი იკრა და ხელი სახაზავს წამოავლო.

სახაზავი არასოდეს დაურტყამს, მხოლოდ შორიდან მიღე-რებდა ხოლმე, როცა რომელიმე ასოს წესიერად ვერ მოვხა-ზავდი. ახლაც ასე მომიღერა და დაიგრგვინა:

„ბიჭოო! კაცი რო ჰაფეზს წაიკითხავს, ომარ ხაიამს რო წა-იკითხავს, საადის რო წაიკითხავს, ის სიგარეტს ახლოს რო-გორ გაეკარება!“

არ ვიცი, რა ძალამ გამათამამა, რომ მასწავლებელს სიტყ-ვა შეეუბრუნე:

ბატონო კარლო! რატო უარესებს არ იზამს-მეთქი!

უცებ იქაურობა კარლო ტაბატაძის ხმამაღლმა სიცილმა გააყრუა. კიდევ კარგი თავხედობა იუმორში ჩამომართვა და მერეც კარგა ხანს მახსენებდა ხოლმე: აბა, რას შვრები? ჩაი-დინე უარესებო!

მაშინ კი დამსვა და ომარ ხაიამის ერთი რობაი ჩამანერინა. ჩვეულებრივ ასე აკეთებდა, თითქმის მთელი ხაიამი ზეპირად მასწავლა გაკვეთილებზე სათითაოდ მოცემული რობაიებით.

კარლოსგან წამოვედი და ბორენა ჯაჭვლიანთან ჩავიარე „ლიტერატურულ საქართველოში“. სწორედ წინა პარასკევს ამავე გაზეთში მისი ლექსები იყო დაბეჭდილი და ერთი ლექსი განსაკუთრებით გულზე მომხვდა, გაზაფხულზე უყვავილოდ დარჩენილ ხელებზე. ამიტომაც ყოჩივარდების კონები ვიყიდე და ლერმონტოვის ქუჩაზე ჩავედი. ბორენა რედაქციაში არ და-მიხვდა. ყვავილები დავტოვე და მამუკა ნიკლაურს ვთხოვე ბო-რენასათვის გადაეცა, გიორგიმ ყოჩივარდები მოგიტანა, რომ ამ გაზაფხულზე მაინც უყვავილებოდ არ დაგრჩეს ხელები-თქო.

მერე კი დიდუბის სადგურზე გამოვბრუნდი და ხაშურისა-კენ მიმავალ ავტობუსში ჩავეჯექი. სპარსულის რვეული გა-დავშალე და იმ დღეს ჩანერილი რობაის ზეპირად დასწავლას შეეუდექი:

**მან მენი ზე ბაჰრე თანგდასთი ნახორამ,  
ია აზ ყამე როსვაი ვა მასთი ნახორამ,  
მან მენი ზე ბარაიე ხოშდელი მიხორამ,  
აქნუნ ქე თო ბარდელამ ნეშასთი, ნახორამ.**

ვიკითხე, ვიკითხე და ამასობაში კიდევაც ჩამთვლიმა. შუა ძილში, თითქოს თავისთავად წამოვიდა ქართულად ეს სტრი-ქონები:

**უქონლობისა არა მჭირს საფიქრალ-სავაგლახო რამ,  
ან განა მიტომ არ ვთვრები, ვინმეს არ შევუძრახო რამ,  
ღვინოა გულის საღბუნნი, მოსალხენ-საინახო რამ.  
მე, ჩემო, შენგნით დავბრმავდი, შენ იქნებ დაინახო რამ.**

გამომეღვიძა და ქართული რობაი სასწრაფოდ ჩავინერე. ეს იყო სპარსულიდან ჩემი პირველი თარგმანი და, ასე მგონია, რომ დღემდე ამ რობაის ფასი ბევრი არაფერი გამიკეთებია.

\* \* \*

ხაშურულ ბინაში თითქმის უცვლელი ვითარება დამხვდა. ორი მუშა იჯდა და ჭერს ათეთრებდა. აღმოვაჩინე, რომ იმ სერვისის ჭიქები და თეფშებიც დაემტკვრიათ, რამდენიმე წლის წინათ დაბადების დღეზე ჩემმა კლასელებმა რომ მაჩუქეს და ძალიან მიყვარდა. ნივთებისადმი მიჯაჭვულობა არასდროს მქონია, პირიქით, საგნებს ზედმეტად დაუდევრადაც კი ვექცეოდი ყოველთვის, მაგრამ ამ სერვისის დაზიანებამ ჩემზე მაინც იმოქმედა და მუშებს ვუსაყვედურე, ასე როგორ შეიძლება, რახან თქვენი არ არის, არ უნდა გაუფრთხილდეთ-მეთქი?

ჩვენა რა ვქნათ, ძმაო, — მითხრა წვერმოშვებულმა მუშამ, — გამოგვაგზავნეს აქა, ვმუშაობთ, ვმუშაობთ და აგერა ორი თვეა, ხელფასიც არ მიგვიღიაო!

ნამუშევრისა სახლს არაფერი ეტყობოდა, მაგრამ მაინც ვკითხე, რას შერებით, როდის უნდა დაამთავროთ-მეთქი?

აბა, მე რავი, როცა საშუალება მოგვეცემო! — მითხრა მუშამ და გაზეთზე დადებული ძხვი ჩამოიჭრა...

სიმაღლედ რომ ვთქვა, უკვე ვნატრობდი, ნეტავ დარჩენილიყო ეს ბინა ისე ურემონტოდ, როგორც იყო, შიგ ცხოვრება და ყოფნა ხომ მაინც შეიძლებოდა-მეთქი, მაგრამ მუშას რას ვეტყვოდი, ავდექი და გულდამძიმებულმა გავწიე ჩემი დის სახლისაკენ.

გზად ნიგნების მალაზიაში შევიარე. ეს „ჩირალდანი“ ჩემს ბავშვობაში ხაშურში ერთადერთი ნიგნის მალაზია იყო, სადაც დეიდა თამარა ლურსმანაშვილი მუშაობდა, ოდნავ მოგვიანებით კი დირექტორად ერთი არაჩვეულებრივი ქალბატონი, მედეა ჭანკოტაძე დაინიშნა.

იმ დროს ნიგნი ძალიან დიდი ტირაჟით გამოიცემოდა, მაგრამ ყველაფერს მაინც იოლად ვერ იშოვნინდი და ამ ნიგნის მალაზიის შესყიდვითა კეთილგანწყობა მკითხველი ადამიანის ელემენტარული ოცნებების ასახდენად გადამწყვეტი იყო.

თამარას დროს კარგ გამოცემებთან მე ვინ მიმიშვებდა. ერთადერთხელ, 1986 წელს, როცა ეკა ბაქრაძის კრებული გამოვიდა, მახსოვს, მისი ყიდვა ძალიან მინდოდა. თამარა ლურსმანაშვილი დამპირდა, მოგცემო, და თან არ ვიცი, ალბათ მეტი სიმძაფრისათვის, ნიგნის წასაღებად მეორე დღეს დამიბარა. მეც მივედი და დღემდე მახსოვს ეს პატარა კრებული „ბელურების ორკესტრი“ როგორი მალვითა და თითქმის რელიგიური მონივნით გადმომცა! უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულად მაჩუქა, რადგან ეკას ნიგნი 10 კაპიკი ღირდა და თამარამ ფული დიდსულოვნად არ გამომართვა! სხვა სოლიდურ გამოცემებს კი აბა მე ვინ მალირსებდა! თუმცა მედიკო დეიდას მალაზიაში მოსვლის შემდეგ ვითარება სრულებით შეიცვალა...

მედიკო რომ გავიცანი, არ იცოდა, ლექსებს ვწერდი თუ არა. იმხანად, ნიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ რალაც ლატარეა გამოუშვა, „სპრინტი“ ერქვა. ათ კაპიკად იყიდდი ამ ლატარიას, რომელიც თუ მომგებიანი აღმოჩნდებოდა, მალაზიიდან გარკვეული თანხის ნიგნებს წამოიღებდი.

ჩემმა დისშვილმა მითხრა, მამაჩემმა ამასწინათ სამი მანეთი მაჩუქა, რალაც მინდოდა მეყიდა, მაგრამ მოდი, ნიგნების მალაზიაში წავიდეთ და „სპრინტი“ დავხარჯოთო. ვიყიდეთ ათი ცალი ლატარეა და, არ ვიცი, რა ხელზე ვიყიდეთ, ათიდან შვიდი ბილეთი მოგებული აღმოჩნდა!

ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და, ეტყობა, ემოციის გამოხატვა ცოტა ხნამალა მოგვივიდა. ამიტომაც „ჩირალდნის“ შიდა ოთახებიდან, სადაც თავისი კაბინეტი ჰქონდა მონყობილი, მედიკო ჭანკოტაძე გამოგვცნითო. თავიდან ჩხუბს აპირებდა, მაგრამ როცა საქმის ვითარება შეიტყო, დაშოშმინდა და, პირიქით, ბრაზი მოულოდნელი კეთილგანწყობითაც შეეცვალა. ნიგნები მოგებული თანხის საფასურად თვითონვე შეგვირჩია, ლოცვით გამოგვაცვილა და გვითხრა, ბავშვებო, გამოგვიარეთ ხოლმე, როცა ახალი რამ მექნება, აუცილებლად გაგატანთო!

მედიკო უკვე საკმაოდ ასაკოვანი იყო, მაგრამ ძველი სილამაზისა და დიდებულების კვალი ჯერ კიდევ ემჩნეოდა. ეტობოდა, თავის დროზე ულამაზესი ქალბატონი რომ იქნე-

ბოდა, მაგრამ გაუთხოვარი იყო და, ასაკის სევდამოძალბებული, დედასთან ერთად ცხოვრობდა ხაშურში. პოეზია ძალიან უყვარდა და დიდად ამაყობდა ქართველ მწერლებთან პირადი ნაცნობობით, განსაკუთრებით მუხრან მაჭავარიანთან მეგობრობა ეამაყებოდა. ამბობდა: ისეთი ახლობლები ვიყავით, ისეთი ახლობლები და აბა, ახლა რალა! კბილებიც კი ვერ მომინესრიგებია, რომ ერთხელ ჩავიდე და მოვიწახულო! მასთან ასე მისვლა კი ნამდვილად არ მინდაო!

მართალი რომ გითხრათ, მაშინ სრულებითაც ვერ ვხვდებოდი, მეგობართან მისვლას კბილების მოწესრიგება რაში სჭირდებოდა, მაგრამ მედიკო დეიდას დარდს რალაცნაირად გუმანით ვიგებდი.

საერთოდ, გუნება მყისიერად ეცვლებოდა. ხალისიანი და თავაზიანი უცებ ატირდებოდა და რალაცნაირად ანწხლდებოდა. დათო ნიქარიშვილმა მითხრა, მედიკოს ალები აქვსო. მაშინ კარგად ვერ გავიგე, რას ნიშნავდა ეს ამბავი, და „ალები“ რალაც ისეთი დაავადება მეგონა, რომელიც ადამიანს უცებ კი არა კლავს, ნელ-ნელა წვავს თავის იღუმალ გვენაში. ამიტომაც მედიკოს ისე ვუყურებდი, როგორც „მომაკვდავი ევროპის სილამაზეს“, და ამ ვითარებაში რალაც ძალიან, თუმცა გამოუთქმელად მეტრალეობდა.

სკოლის ბოლო ორ წელს მედიკოსთან თვეში ორჯერ მაინც მივდიოდი. საქმე ის იყო, რომ ერთმა მადლიანმა ხაშურელმა კაცმა, ბრწყინვალე ექიმმა მურთაზ ლიპარტელიანმა ასეთი საუცხოო საჩუქარი გამიკეთა: მედიკო ჭანკოტაძეს შეუთანხმდა და ყველა ახალი ნიგნის თითო ეგზემპლარს ანახვინებდა ჩემთვის, რის საფასურსაც მერე თვითონ იხდიდა. მართალია, ნიგნი მაშინ დღევანდელზე გაცილებით იაფი ღირდა, მაგრამ თვეში მაინც სოლიდური თანხა გროვდებოდა და სწორედ ამ დიდებული კაცის დამსახურებაა, რომ იმ წლებში შესანიშნავი ბიბლიოთეკა მომიგროვდა. მართალია, ერთი-ორჯერ უმიზეზოდ გუნებაშეცვლილმა და აალებულმა მედიკომ მითხრა: იცი რა! მერიდება უკვე მურთაზისი! მართლა ასეთი მდიდარი კი არ არის, რაც მაგას აქვს, ზოგისთვის ის სემიჩკის ფულიაო! — რის შემდეგაც გადაწყვიტე ძია მურთაზის ძღვენზე მადლიერებით უარი განმეცხადებინა, მაგრამ თვითონ მურთაზ ლიპარტელიანი დამიკავშირდა და მთხოვა, მედიკოს ბუზლუნისთვის ყურადღება აღარ მიმიქცია.

საერთოდაც, საოცარი ოჯახი იყო ლიპარტელიანების ოჯახი. ძია მურთაზის მეუღლე კლარა ელჩიბეგაშვილი ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი ბრძანდებოდა და გორის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა. ქმრის მსგავსად, ისიც ნერდა ლექსებს და გონიერებითა და სილამაზით გამოირჩეული, მიუხედავად იმისა, რომ ხშირი ურთიერთობა ერთმანეთთან არ გვქონია, ყოველი შეხვედრისას პირადად მე რალაც ახალსა და საინტერესოს მასწავლიდა. იმ წლებში ლიპარტელიანებს ჰქონდათ ვიდუომანგიტოფონი და ხანდახან ქალბატონი კლარა კასეტაზე ჩაწერილ ძალზე საინტერესო ფილმებს გვიჩვენებდა. არასოდეს დამავინწყებდა, როგორ მიგვიწვია ერთხელ მე და მყვალა და „მკვდარი პოეტების საზოგადოება“ გვიჩვენა. ფილმმა ჩემზე თავზარდამცემად იმოქმედა, მითუმეტეს, ასეთ რამეს მაშინ ხაშურში ვერსად ნახავდი, რაკილა იქაურ კლუბში ძირითადად ან ინდური მელოდრამები, საუკეთესო შემთხვევაში კი იმ დროისათვის განხაურებულ ფილმი „პატარა ვერა“ გადიოდა.

ჩემი კლასელები „პატარა ვერაში“ იყვნენ მონუსხულნი. ყოველ შემთხვევაში, ხელში ჰყავდათ შეკრული იმ ფილმის გორის სრული ანტიპოდი, მორიდებულობითა და ნესიერებით გამორჩეული ვერიკო ქურდაძე, იმდენად მოკრძალებული ადამიანი, რომ მისი ხმა მხოლოდ გაკვეთილის მოყოლისას გვესმოდა.

მაშინ სრულებითაც არ ვფიქრობდი ჩემი მომავალი ცხოვრება პედაგოგიური საქმიანობისათვის დამეკავშირებინა. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვოცნებობდი და „მკვდარი პოეტების საზოგადოების“ მთავარი არსი ჩემთვის ალბათ დაფარული დარჩა, მაგრამ მახსოვს, მთელი კვირა ვერ ამოვიგდე

თავიდან უოლტ უიტმენის ლექსი და დრამა, რომელიც ამ ფილმში გათამაშდა.

რა თქმა უნდა, მეორე დღესვე წავედი და ბიბლიოთეკიდან უიტმენის „ბალახის ფოთლები“ გამოვიტანე, რომელიც მანამდე, რამდენიმე წლის წინათ, მზია მაღალდაძის რჩევით მქონდა ნაკითხული. ოღონდ კი წავეკითხე, მაგრამ ბევრი ვერაფერი გავიგე და ერთ-ერთ დღეში დავაბრუნე უკან.

„მკვდარი პოეტების საზოგადოების“ მერე კი უიტმენის კარი ჩემ წინ მთელი სიღრმითა და დიდებულებით გადაიხსნა. უიტმენი იქცა ჩემს ყველაზე საყვარელ პოეტად, ურომლისოდაც ველარ გამეძღვებოდა. ის გახდა ჩემი ნამდვილი კაპიტანი და ჩემსა და ამ უმაგრეს ამერიკელს შორის ნამდვილი ტრანსცენდენტური მეგობრობა დაიბადა.

არ ვიცი, მხოლოდ მე მახასიათებს ეს თუ სხვებსაც სჭირთ ასეთი რამ. უფრო სწორად, ბავშვობაში უფრო მქონდა ეს ახირება და მერე რალაცნაირად — თვითშეგნებითა და სულიერი ვარჯიშით — თანდათან მოვიშალე:

ჩემს საყვარელ პოეტზე თუ კიდევ ვინმე იტყოდა, რომ მიყვარს და მომწონსო, თან მიხაროდა, მაგრამ თან ძალიან „ვეჭვიანობდი“. და ამ ეჭვიანობის ტანჯვა ნამდვილად არ ჩამოუფარდებოდა შეყვარებული მამაკაცის ეჭვიანობას.

უიტმენთან კი, გონჯი ცოლის პატრონოვით, შემეძლო მშვიდად ვყოფილიყავი. მაშინდელ ხაშურში ნამდვილი სიყვარულით ის ალბათ მხოლოდ მზია მაღალდაძესა და კიდევ რამდენიმე ადამიანს თუ უყვარდა.

მზიაზე ეჭვიანობა კი არც მიფიქრია, რადგან თვითონ მზია იმდენად მეძვირფასებოდა, რომ მისთვის „ჩემი უიტმენიც“ კი არ მენანებოდა...

უიტმენის პარალელურად ამ პოეტის თითქმის სრული ანტიპოდით — ებრაული პოეზიითა და მისი მთარგმნელით ჯემალ აჯიაშვილით — ვიყავი დიდად გატაცებული და ამ გატაცებამ ისე გამიტყუა, რომ ერთხანს აჯიაშვილის სტილისტიკის სერიოზულ გავლენასაც განვიცდიდი. უფრო სწორად, იმდენად ორგანული გახდა ჩემთვის ჯემალ აჯიაშვილის ეს იდუმალი სამყარო, რომ თვითონ ველარც კი ვგრძნობდი, რომ ვბაძავდი.

ეს საყვარული კარგახანს გამიგრძელდა და პირველ კურსზე ვახუშტი კოტეტიშვილს რომ არ მოვეყვანე აზრზე, ალბათ საერთოდ წამშლიდა და დამნაცრავდა. ამაზე თავის ადგილას, მოგვიანებით მოგიყვებით, მაგრამ სკოლის დამთავრებისას ჯემალ აჯიაშვილის ებრაული პოეზია ქართული მთარგმნელობითი საქმის უპირობო მწვერვალი მეგონა, მთელი ეს უფრცხვი ლექსები ზეპირად ვიცოდი და ლოცვასავით ვიმეორებდი: „მოთქმით გეტყვი, სებიაო, ზღვანა გაღმა ზღვებიაო, მოგიქარავს ოქროს ტახტი, მოგიდამბაზებიაო! სებია!“ ანდა: „ქება ვით გკადრო, ყოვლად ქებულო, ამ იდუმალი შესაქმისათვის?“ ჩემი ფიქრით, ქართული სიტყვის ფლორა ამაზე შორს ველარაფრით წავიდოდა და ჯემალ აჯიაშვილს გუნებაში ბიბლიურ პატრიარქებს ვადარებდი.

მედიკოსგან წამოსული კი შინ რომ მივედი, შორენამ ამბავი დამახვედრა, მზია კოჭლავაშვილმა დარეკა თბილისიდან, მისი მასალა იზექდება და თუ შეუძლია წინასწარ ეგებ ჩამოვიდეს, რალაცუები გვაქვს გასარკვევო. ჩიტს აფრენა უნდოდა და აქმეფვას ელოდაო, ისე დამემართა, გავემზადე და მეორე დღით თბილისისაკენ გამოვფრინდი.

არავის სანყენად არ ვწერ, უბრალოდ, რაც იყო, იმას ვამბობ: მე მგონი, არავის მაშინ ისე არ უმოქმედია ჩემზე, როგორც ამ საოცარ ქალბატონს — „ნორჩი ლენინელის“ განყოფილების გამგეს მზია კოჭლავაშვილს, რომელიც დროთა განმავლობაში ჩემი უახლოესი უფროსი მეგობარი გახდა.

მზია იყო გემოვნების, ადამიანური მიმართებების, უანგარო სიყვარულისა და თუნდაც წარსულის დაფასების უცდლო-



გოგი გოგოლაძე, მურად მთვარელიძე, ეკა ბაქრაძე, გიორგი ლობჯანიძე, კარლო ტაბატაძე

მელი საზომი. არაჩვეულებრივი ინტელიგენტი, რომელსაც შეეძლო სულ ერთი ფრაზით, ერთი გაღიმილით ადამიანზე საოცარი შთაბეჭდილება მოეხდინა, აბსოლუტურად განეიარაღებინა და თავისიანად ექცია.

ახლა რომ ვფიქრობ, ამის მთელი საიდუმლო მის საოცარ უანგარობასა და გულწრფელობაში იმალებოდა. მზია თუ რამეს იტყოდა, შენი, უფრო კი საქმის ინტერესებიდან გამომდინარე იქნებოდა, და შეუძლებელი იყო, ამის მიღმა მის სიტყვას თუ ქცევას რაიმე სხვა სარჩული დასდებოდა.

საერთოდ, სახელწოდების მიუხედავად, მთლიანად ეს საბავშვო გაზეთი უმნიშვნელოვანეს საქმეს აკეთებდა. მთელი საქართველოს ბავშვთა არაერთ თაობას მოიცავდა და რალაცნაირად აერთიანებდა. სწორედ „ნორჩი ლენინელის“ წყალობით გავიცანი უამრავი ჩემი თანატოლი, რომელთაც მერე ქართული კულტურის განვითარებაში, სამწევროდ თუ სხვა პროცესებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. ამ გაზეთით დავმეგობრდი მე და ირმა შიოლაშვილი, მე და რეზო შატაკიშვილი, ბაჩანა ჩაბრაძე, ინგა მელითაური და კიდევ ბევრი ჩემი გამორჩეული თანატოლი.

სხვათა შორის, რედაქციაშივე გავიცანი ჩემზე რამდენიმე წლით უმცროსი ნიკა მემანიშვილი, რომელიც მზიას „შვილობილი“ იყო. თავიდან ეს ბავშვი სასტიკად არ მომეწონა, რადგან მეტიჩარას შთაბეჭდილება დატოვა და მეც კარგად აფეხვორე. უფრო სწორად, მზია რომ არ ყოფილიყო, საერთოდ, დალაპარაკების ღირსადაც არ ჩავთვლიდი.

მზია კი გიჟდებოდა ნიკაზე და თავისი ოთახი მისი ნახატებით, ნოტებითა და წარწერებით ჰქონდა მოფენილი. გამუდმებით აქებდა და ეფერებოდა. ნიკაც ისე იყო იქაურობას მიჩვეული, სკოლიდან პირდაპირ მზიასთან გამოვრბოდა, საათობით იჯდა მზიასა და მედიკოს ლუდუშაურის ოთახში, საიდანაც მე მისი გამოჩენისთანავე მარინა თეთუმანიძისა და რუსუდან გაბროშვილის ოთახში ვინაცვლებდი. ესენი ჩემი უპირობო „მაქებრები“ და გულშემატკივრები იყვნენ და არავიზე გამეცლოდნენ. თუმცა ბავშვური ეჭვიანობა იქით იყოს და მართლა მერჩია, სადაც არ მიჯობდა, იქაურობას გავცლილიყავი. თანაც რუსუდანისა და მარინას გარემოცვა მაშინ უფრო მეტად მაინტერესებდა: აქ განიხილებოდა ერის საჭირობოროტო საკითხები და რა თქმა უნდა, ლაპარაკი მუდმივად იყო ახალგაზრდა პოეტების ლექსებზეც, რასაც რუსუდანი წაუკითხავად არ გაუშვებდა და მერე, თუ რამე მოეწონებოდა აზრს ყველას უშურველად გვიზიარებდა!

სწორედ რუსუდანის წყალობით შევიტყვე, რომ იმ დღეს ახალგაზრდა პოეტები აპირებდნენ შეკრებას და ლიტერა-

ტორთა რესპუბლიკური ცენტრის დასაარსებლად ძალების მოსინჯვას. რუსიკომ ამიყოლია და ასე მოვხვდი შეკრებაზე, სადაც, ძირითადად, გასულული ვიჯექი და მერჩინა სხვებისათვის დამეგდო ყური. ახალგაზრდები ძირითადად 30-35 წლისანები იქნებოდნენ, მაგრამ 16 წლის ბიჭისთვის მაინც ძალიან დიდები იყვნენ და, ახლა რომ ვიხსენებ, მეცინება, სოსო მაჭარაშვილს, რამინ საჯიას, ელგუჯა მარლიასა და კიდევ რამდენიმე მათ თანატოლ პოეტს „ბატონოთი“ რომ მივმართავდი. ნაკითხული მათი არაფერი მქონდა და შთაბეჭდილება ძირითადად გამოსვლების მიხედვით შემექმნა. ურიგო ადამიანები არ ჩანდნენ, განსაკუთრებით კი მათმა ახალგაზრდულმა სითამამემ და უზღვავემა ენერგიამ მომხიზლა.

რაც მთავარია, ამ შეკრებაზე გავიცანი ერთი საოცარი გოგო, რომელიც ჩემს დაქორწინებამდე, შეიძლება ითქვას, ჩემი ცხოვრების მთავარი ქალი გახდა. ამ პერიოდისათვის ჩემი თანაკლასელი უკვე თითქმის აღარ მიყვარდა, რადგან როგორც იმ შემთხვევაში ხდება ხოლმე, როცა გოგოს უნდა ბიჭი თავიდან მოიშოროს, იმანაც უფრო ღრმა ურთიერთობებზე „კლასელი იგივე ძმა და დაას“ ყოვლად სულელური პრინციპით თავაზიანი უარი განმიცხადა.

მეც ცოტა ხანს კი ვიგმინე პუშკინასთან ერთად და მერე აღმოვაჩინე ერთი უბრალო ქვეყნარტება: ცალმხრივი სიყვარული არ არსებობს და სიყვარულს ისევე სჭირდება ორივე მხარის კეთილგანწყობა, როგორც ჩიტს ორი ფრთა ასაფრენად.

ამიტომაც მოვეშვი და ბედის უკუღმართობაზე ჩვილს კი არ მოვეყვი, ბედისწერის ახალ საჩუქარსა თუ გამონგვევას დავკლოდე.

მოსწავლეობის წლებში საერთოდ სიყვარულის საკითხს ასე გონივრულად ვუდგებოდი.

პირველად, მახსოვს, მესამე კლასში შემიყვარდა ასევე ჩემი თანაკლასელი, რომელსაც ხუჭუჭი თმა ჰქონდა და ხუთოსანი იყო, ეს ორი პირობა კი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ჩემი ჩვილი გულის მოსაგებად.

ეს ჯერ კიდევ ნაბახტევის სკოლაში მოხდა. ერთხელ მამაჩემმა სახელმძღვანელოების რალაც უცნაური გადასაკრავები მომიტანა, რუსული ზღაპრების ილუსტრაციებით. ერთერთ ილუსტრაციაზე ივანუშკა სულელი და მეფის ქალს ეხატა. მიუხედავად იმისა, რომ ილუსტრაციის მეფის ქალს თავთუხისფერი თმა და ცისფერი თვალები ჰქონდა, ჩემი ტრფობის ობიექტი კი შავტუხა და მაცვალის თვალებბრიალა ბავშვი იყო, მე ამ პერსონაჟებში, როგორც ჩანს, მაინც ადვილად ამოვიცანი ჩვენი თავი და ნიგნის გადასაკრავს დიდი ასობით ჩემი და იმ გოგოს სახელები დავანერე.

ამ ამბავმა მასწავლებლები შოკში ჩააგდო და ჩვენმა კლასის ხელმძღვანელმა გოგოსთან ერთად დირექტორის კაბინეტში ამიყვანა.

დირექტორმა მკითხა, ეს რატომ გააკეთეთ, და მე ბავშვურად, გულუბრყვილოდ და ხმამაღლა ვუთხარი, იმიტომ, რომ ეს გოგო მიყვარს-მეთქი.

არ ვიცი, პედაგოგიკის რა მეთოდი იქნა გამოყენებული, მაგრამ დირექტორმა ამის გაგონებაზე ყბაში ერთი ისეთი მცეცხლა, რომ შეყვარებული თვალებიდან სულ მოელვარე ვარსკვლავები მაყრევინა.

მამაჩემი დაიბარა სკოლაში და პირობა ჩამოართვა, რომ ამორალურ საქციელს და საერთოდ იმ გოგოს შეეშებოდა. მოკლედ, ასე იქცა ბუზი სპილოდ და, კიდევ კარგი, მამას მაინც აღმოაჩნდა იმხელა ტაქტი, რომ შინ დაბრუნებულს ეთქვა: ეგენი ახლა მართლები არ არიან! არა უშავს, შვილო, გიყვარს, ხომ არ გეჯავრება! როგორც კი თვრამეტი წლისა გახდები, თუ კიდევ გეყვარება, ავდეგები, ავალ იმ გოგოს მშობლებთან და დაგაქორწინებთო.

ერთი სიტყვით, შინ კი ვაგებთ მომეკიდნენ, მაგრამ მე მაინც სირცხვილით ვინებოდი და, მახსოვს, ათი დღე სკოლაში არ მივიღია. ძირითადად ვინექი და თვალგაშტერებული ქერში ვიყურებოდი.

მათე დღეს ჩემმა მშობლებმა გაამზადეს პურმარილი, დაპატივეს სკოლის დირექტორი და ისიც, ცოტა რომ შეთვრა, თავისი საქციელის გამო ბოდიში მომიხადა.

მაგრამ ბოდიში საქმეს ველარ უშველიდა: ჩემი თანაკლასელის სიყვარული, ეტყობა, იმ ნაპერკლებთან ერთად გამომცვივდა. ყოველ შემთხვევაში, ამ ინციდენტის მერე მასთან შეხვედრას ისე გავურბოდი, რომ ამასობაში ყველა განცდა თანდათან მიმენავლა.

მოკლედ, მე მართლა ერთი ჩემი თანასოფლელივით დამემართა, რომელზედაც მთელი სოფელი იცინოდა: დედამისს უთხრა, გოგო მიყვარსო, და დედამ დაარია: დაწექი, შვილო და გადაგივლისო! იმას კიდევ შეუცხადებია, ენგრე გადამიაროს, მუცლის ტკივილი ხუ არ არისო!

იმ ბიჭისა არ ვიცი და, მე კი მართლა გადამიარა...

კიდევ ერთი დასკვნა, რაც იმ პირველი ტრფობიდან გამოვიტანე, იყო ის, რომ სიყვარულს მალვა სჭირდებოდა და ამის შემდეგ ამ საკითხზე არავისთვის აღარაფერი უნდა გამემხილა!

მოკლედ, ასე მივედი ლიტერატურთა რესპუბლიკური ცენტრის იმ შეკრებაზე, სადაც ეს გოგო, რომელიც უკვე პირველკურსელი იყო და მართლა ძალიან კარგ ლექსებს წერდა, თითქმის პირველივე დანახვისთანავე შემიყვარდა.

ოღონდ რაკილა ერთი პოეტი ახლდა თან, რომელიც მისთვის სრულიად ხაზგასმულად ირჯებოდა, მე ჩემი შანსები სავსებით უპერსპექტივოდ მივიჩნიე და იმ პოეტ ბიჭთან მეტოქეობა უაზრობად მომეჩვენა. ყმანვილი აშკარად ჩემზე სიმპათიურიც იყო და ჩემზე გამოცდილიც, მოკლედ, ასაკით უფროსი იყო და ჩემთან შედარებით ეს ძალზე დიდ უპირატესობას ანიჭებდა.

თუმცა საოცრება მოხდა, გოგომ უცებ თავისი კავალერის მხრიდან თავი წამოსწია, გამიღიმა და ფურცელზე დაწერილი ტელეფონის ნომერი მომანოდა: შენი ლექსები ნაკითხული მაქვს, მომწონს და, თუ სურვილი გექნება, დამირეკე ხოლმეო!

ესეც შენი ბედის გამონგვევა!

იმ შეხვედრიდან გაბრუნებული წამოვედი და ხაშურში ჩამოსულმა პუშკინას იდუმალი ხმით ვამცნე, რომ შეყვარებული ვიყავი, პუშკინას ჯერ თვალები გაუფართოვდა, მერე გაეცინა, თითი საფეთქელთან მიიტანა და ეშმაკურად დაიტრიალა...

თუმცა ცოტა ხანში მე თვითონ აღმოვაჩინე, რომ სახუმარო ნამდვილად არაფერი მჭირდა, რადგან ის, რაც ამ გოგოს ნახვამ დამმართა, ყველა აქამდე ნაცნობი გრძნობისაგან განსხვავდებოდა, რასაც ადრე პირობითად „სიყვარულს“ ვარქმევდი.

სასაცილო მხოლოდ ის შეიძლება ყოფილიყო, რომ ფაქტობრივად უცნობი ადამიანი მიყვარდა და თანაც ისე, რომ მის კავალერზეც ვეჭვიანობდი. აზრზე არ ვიყავი, რა ურთიერთობა შეიძლებოდა ჰქონოდათ იმ მგოსან ყმანვილსა და ამ პოეტ გოგოს, ეგებ ბავშვობიდან მოსწონდათ ერთმანეთი, ეგებ უკვე ისეთ ეშხში იყვნენ შესულები, სადაც მესამე სრულიად ზედმეტია...

სიტუაციიდან გამოსავალი მხოლოდ ის ვიპოვე, რომ ჩემთვის და გუნებაში ამ ყველაფრის გაშარება დავინყე. უფრო სწორად, „კავალერს“ ვაშარებდი მეტად უცნაური მეთოდით: ამოვიჩემე სიმღერა „არ დაიდარდოდან“: „ტაია, ტაია, ტაია, ვატატაია და მაგ კალათში რა და რაია, ყველი, პური, ხაჭაპური, წინილა“... ამ სიმღერის „რა და რაია“ პატივცემული კავალერის გვარს მომაგონებდა, წინმსწრები „ტაია, ტაია, ვატატაია“ ამ „რადარაიას“ უპატიურად მოაფრიალებდა, ხოლო მომყოლი: „ყველი პური, ხაჭაპური, წინილა“ კი ხელს საბოლოოდ უთავებდა....

მგონი, აქედანაც კარგად ჩანს, რა სიგიჟეც დამემართა.

თუმცა ვაგიჟება მაშინ უნდა გენახათ, როცა აღმოვაჩინე, რომ ჩემს დას ჩემი პერანგი ისე ვაერეცხა, ჯიბეები არ შეემონწებინა და იმ გოგოს ტელეფონის ნომერიც უიმედოდ ჩაფუფქულიყო.

დაყვარებდი დამდურული ქალადის ნაფლეთებს, რომელზედაც ნაწერი აღარ გაირჩეოდა და თვალებიდან მეც

მდულარე მცვიოდა... ვიცოდი მხოლოდ ის, რომ ჩემი შეყვარებული ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობდა და სადღაც რუსთავში ცხოვრობდა ძმის ოჯახში.

გრძნობები კარგა ხანს საგულდაგულოდ ვმალე, თუმცა ჩემი და მატყობდა, რომ რაღაც გუნებაზე ვერა ვბრძანდებოდი, მაგრამ არაფერი უკითხავს მანამ, სანამ ერთხელ მამიდა-ჩემი, თამარა, იგივე თანუშა, არ გვესტუმრებოდა.

მე სკოლიდან შინ მივედი და მივხვდი, რომ თანუშა მამიდასა და ლალის ჩემს მისვლამდე საფუძვლიანად ემსჯელათ ჩემს უნუგეშო მდგომარეობაზე. ამას მიმახვედრა თანუშას განდობილის ტონმა და „გენაცვალს მამიდამ“.

მამიდაჩემი ადრე დაქვრივებულიყო. ქმართან სულ სამიოთხი წელიწადი იცხოვრა. ომი რომ დაიწყო, მისი მეუღლე ფრონტზე გაიხმეს და მამიდა მერე დიდხანს გვიყვებოდა ხოლმე: დილით წაიყვანეს, ნანვიმარი იყო და ეზოზე მისი ნაფეხურები დარჩა, მე იმ ნაფეხურებს ცელოვანი გადავაფარე და ასე ვინახავდიო.

ბიძაჩემი ფრონტიდან აღარ დაბრუნებულა, მამიდაჩემი კი აღარასოდეს გათხოვილა და მთელი ცხოვრება თავის ქმარს უერთგულა.

მოკლედ, თამარამ, როგორც უიმედო სიყვარულის საკითხებში ნაცადმა ექსპერტმა, ყველაფერი უცებ გაარკვია და მირჩია: მერე, თუ გიყვარს, წადი და მოძებნე. განა მე არ გიცნობთ ლობჟანიძეებსა, ისეთები ხართ, თქვენი ყ...-ის ქეიფს ვლადივასტოკამდე ჩაჰყვებითო...

მადლობა ღმერთს, ვლადივასტოკამდე წასვლა არ მჭირდებოდა, ამიტომ მეორე დღესვე დავეჭექი ავტობუსში და თბილისისაკენ გამოვინე. მივედი ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე და მდივან ქალს ვთხოვე, ამა და ამ გოგოს ვეძებ, თქვენი სტუდენტია, და ეგებ მისამართი მიბოძოთ-მეთქი.

მდივანი ნათია, ლამაზი და უცნაურად მოჟუჟუნე ქალბატონი, რასაკვირველია, ყველაფერს ზედმეტი ახსნა-განმარტების გარეშე მიხვდა, მაგრამ მკაცრი და კანცელარული ტონით მიპასუხა: მესმის, გენაცვალე, მაგრამ მისამართის მოცემის უფლება მე არ გამაჩნია! რა ვიცი, რისთვის ეძებთ იმ გოგოს! რაღაცა რომ მიხდეს, მერე მე რაღა ვქნაო!

ამაზე მეტი რაღა უნდა მომხდარიყო, მაგრამ ნათია ძალიან გაჯიუტდა და სასურველი მისამართი ვერანაირი ხერხით ვერ დავტყუე.

გამოვედი, უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსის კიბეებთან ჩამოვჯექი და, ახლა რომ ვფიქრობ, სრულიად გიჟური რამე ჩავიდინე. კორპუსის წინ თავმოყრილი სტუდენტებიდან გამოვარკვიე, მეორეკურსელები რომლები იქნებოდნენ, მივედი და უცნობებს ვუთხარი: მე მგონი, თქვენს თანაკურსელს ვეძებ. ეგებ გადასცეთ, გიორგი ლობჟანიძე იყო მოსული და შენი მისამართი აინტერესებდა.

გოგოს, ვინც დამპირდა, აუცილებლად გადავცემო, უცნაური გვარი და სახელი — მადლენა კონონაშვილი — ერქვა.

წამოვედი ხაშურში და, როგორც იტყვიან, მომავალი განგებას მივანდე. ამ ამბიდან ნახევარი წლის მერე, როცა უკვე მეთერთმეტე კლასში ვიყავი, მომივიდა დეკემბა: „მითხრეს, რომ მეძებდი. ჩემი მისამართია...“

იმ ღამესვე წავედი რუსთავში, მეორე დღეს მივადექი მითითებულ მისამართს და კარი ერთმა ჯმუხმა ჯველმა გამიღო. გოგოს სახელი რომ გაიგონა, გაავებული ბუღალასავით შემომბღვირა და მითხრა: სახლში არ არის და არც იქნება, სოფელში წავიდაო!

ბოდიში მოვუხადე, საეგებისოდ, დავუბარე, ვინც ვიყავი და ვთხოვე გადაეცათ, რომ მისი ნახვა მინდოდა..

წამდელი „თინას ძმა“ იყო „არაჩვეულებრივი გამოფენიდან“... სულ ეს იყო...

ამის მერე, ვიდრე მე თვითონ უნივერსიტეტში ჩავირიცხებოდი და თბილისში არ გადმოვიდოდი, იმ გოგოს შესახებ აღარაფერი გამიგია. ერთადერთხელ, „ახალგაზრდა კომუნისტში“ სხვა პოეტებთან ერთად დაბეჭდილ მის ლექსსაც წავანყ-

დი: „ როგორ მომნატრებია ხეობები ლურჯები, გაცრეცილი პიერო, მზის სხივების ფუნჯებით...“

მეც ზუსტად პიეროსავით ვიდექი და წარმოსახვაში მის სახეს მზის სხივების ფუნჯებით ვხატავდი...

\*\*\*

ზაფხული ძალიან გაიჭიმა. სწავლის დაწყება რამდენჯერმე გადადეს. ჯერ 17 სექტემბერს ამბობდნენ პირველის ნაცვლად, მაგრამ მაინც არ დაადგა საშვებო. არადა, ერთი სული მაქვს, როდის წავალ უნივერსიტეტში. გამოცდებზე ჩაჭრილმა აბიტურიენტებმა იჩივლეს და თბილისში დიდი მღელვარებები დაიწყო.

ტელევიზიით გადმოსცემენ, როგორ შედიან ჩაჭრილი აბიტურიენტები თემურ ქორიძესთან, რომელიც განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეა, და ისიც პირდაპირ ეთერში სცდის ამ ბავშვებს.

მე რომ ასეთი რამ დამმართნოდა, ვერაფრით ვერ მოვახერხებდი საკუთარი ცოდნა და პოზიციები დამეცვა. დავიბნეოდი და მომერიდებოდა. არადა, ზოგი აბიტურიენტი მართლა ღირსეულად უმკლავდება ყველაფერს. ტელევიზიის კამერების წინ ცრემლმორეულნი და ხმააკანკალებულნი არაკარაკებენ ქართული ლიტერატურის საზეპიროებს თემურ ქორიძის ცინიკური კომენტარების თანხლებით.

ვითარება ისედაც აწვნილია: აფხაზეთსა და ოსეთში სიტუაცია თანდათან იძაბება. ზვიად გამსახურდიასაც უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს და დროდადრო ისინიც მიტინგებს მართავენ. ძალიან ძნელი ყოფილა დამოუკიდებლობა. სახელმწიფოებრიობის არანაირი გამოცდილება არ ვაგვაჩნია და, მეორე მხრივ, მტერი ძალიან ძლიერია, ვერაგი და დაუნდობელი. ზვიად გამსახურდია თითქმის ყველას კრემლის აგენტებად აცხადებს. იმდენზე ამბობს ამას, რომ უკვე ყველაფერი კომიკურ ელფერს იძენს. სხვათა შორის, სულაც არ არის გასაკვირი, ყოფილ მეტროპოლიას დაპყრობილ ქვეყანაში რომ ადენი დასაყრდენი ჰყოლოდა, მაგრამ დაუსაბუთებლად მაინც ძალიან ძნელია ადამიანების დანაშაულება და ამ ცილისწამების ყოველდღიურად მოსმენა.

განსაკუთრებით აუტანლად პრეზიდენტის მომხრე ქალები იქცევიან. მათ შორის რამდენიმე ჩემი ახლო მეგობარიც აღმოჩნდა, მაგრამ, კიდევ კარგი, სხვებთან შედარებით ზომიერებას ინარჩუნებენ. ეჭვი არ მეპარება, რომ უანგაროდ და გულწრფელად უყვართ თავიანთი სამშობლო, მაგრამ ამ სიყვარულის გამო ავიწყდებათ ადამიანი, რომელიც ყველა იდეის თავი და თავი, ამ იდეის მამოძრავებელი ძალა უნდა იყოს.

ადრე, კომუნისტების დროს, ყველა გაზეთი ერთი დევიზით გამოდიოდა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ახლა ეს ნაირგვარი ლოზუნგებით შეცვალეს და, მაგალითად, „ლიტერატურული საქართველოს“ პირველ გვერდზე გაჩნდა წარწერა : „ჩემი ხატია სამშობლო“ ...

კიდევ კარგი ცოტა ხანში ვილაც გონიერს მოაფიქრდა და ეს გენიალური სტრიქონები შესაბამისად დაამთავრა: „ სახატე — მთელი ქვეყანა...“

ხალხი ძალიან დაიძაბა და განერვიულდა. მაღაზიებში ჯერ კიდევ არის სურსათი, მაგრამ ყველა მოსალოდნელ შიშშილობაზე ლაპარაკობს და ხაშურში ზოგი ხუთი-ექვსი წლის შაქარს, კარტოფილს, მაკარონსა და სხვა პროდუქტებს წინასწარ იმარაგებს. თან არაფორმალურს ლანძღავენ: „ რა უნდოდათ?! რა აწყობილი ქვეყანა დააქციეს! ვყოფილიყავით რუსეთთან! ნეტაი რას გვართმევდნენ ეს რუსები!“

საქართველოს ნელ-ნელა ტოვებენ სხვა ერების წარმომადგენლები, მათ შორის, რუსი სამხედროები, რომლებიც აქ სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობდნენ. ბინები შედარებით იაფდება და ჩემი დები და სიძეები, რომლებიც ბინის რიგს წლობით ელოდებოდნენ, ახლა რუსთავში საცხოვრებელს ყიდულობენ.

სწორედ ერთ-ერთ დასა და სიძესთან მომიწევს ყოფნა თავიდან, ვიდრე სტუდენტობაში ჩემს ოთახს ავიღებდი. ეს ჩემი მეორე და, მარინა, მეორედ არის გათხოვილი.

მისი პირველი ქმარი, ფრიდონ ჯაფარიძე, გალის რაიონის სოფელ ფიჩორიდან იყო და ზაფხულის არდადეგებს თითქმის ყოველ წელს სამეგრელოს ამ ულამაზეს სოფელში ვატარებდი. ჩემი სიძეც ძალიან მიყვარდა. ისიც, როგორც ყველა მეგრელი, კარგი, მაგრამ უცნაური ადამიანია.

ამ უცნაურობას ამდაფრებდა ისიც, რომ ფრიდონს თოიძის სამხატვრო სასწავლებელი ჰქონდა წარმატებით დამთავრებული და, როგორც მხატვარს, ბევრი რამე „ეპატიებოდა“.

მაგალითად, ჩემმა მშობლებმა შედარებით იოლად აპატიეს ის, რომ ერთ დღესაც შინ ვილაც უცნობი ქალი მოიყვანა და ჩემს დას გამოუცხადა, გაიცანი, ჩემი ცოლიაო!

ჩემი დაც ჩუმის პირით ადგა, წამოიყვანა ორი შვილი და ხაშურში მშობლებთან დაბრუნდა. ცოტა ხანში კი საცხოვრებლად და სამუშაოდ რუსთავეში გადავიდა. აქ გაიცნო მომავალი მეუღლე — ისიც ფრიდონი, ოღონდ ამჯერად სვანი, სიდიანის კაცი, რომელთანაც მოგვიანებით კიდევ ერთი შვილი, გიორგი, შეეძინა.

ჩემი მესამე და, ოლია, ხომ გახსოვთ, სამართლიანი ენამწარე? — ჰოდა, ის ამბობდა ხოლმე მარინაზე, რა უცნაური გოგოა, ერთი ფრიდონი რომ არ ჰყავდეს გვერდით, არაფრით არ შეუძლიაო!

ამ კალამბურის მიზეზი მაინც ის იყო, რომ ახალი სიძის სიყვარულის მიუხედავად, ყველას რატომღაც მაინც „ძველი“ გვერდინა, მასთან უფრო ბევრი რამე გვაკავშირებდა. მეგრული ფრიდონი ძალიან მხიარული, ალალი და უშურველი ადამიანი იყო. ვიდრე ესენი თბილისში ნაქირავე ბინაში ცხოვრობდნენ, ჩემმა მომდევნო დებმა მთელი სტუდენტობა მათ ჭერქვეშ გაატარეს და ფრიდონს ყველა ემადლიერებოდა, ყველა აქებდა სრულიად არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებების გამო.

სანამ პირველი შვილი ეყოლებოდათ, მეც სულ ჩემს დას ვყავდი თავისთან. ერთხელ, მახსოვს, ხუთი წლისა თბილისიდან სოფელში წამომიყვანეს, ერთი ღამით დავრჩი ჩემს მშობლებთან და მეორე დღით ფრიდონი დაგვადგა თავზე: მარინამ წუხელ ძალიან ინერვიულა და გიორგი ისევ თან უნდა წაიყვანოო.

მოგვიანებით, როცა თბილისიდან ფიჩორში გადასვლა და ცხოვრება გადამწყვიტეს, ჩვენები ამას ძალიან განიცდიდნენ, შორია და ყურადღებას ვეღარ მივაქცევთო. ყველაზე უშიშრად და მხიარულად ახალ საცხოვრებელ გარემოში ისევ მარინა გაემართა და ცოტა ხანში იქაურობის სულად და გულად იქცა.

თავიდან მეგრული დედამთილი ამრეზით უყურებდა, „ქორთუ“, „ქორთუს“ ეძახდა, მაგრამ ერთ წელიწადში ისეთი მეგრული ისწავლა, რომ ფიჩორელი ქალებისაგან ვეღარ გაარჩევდი. ღმრისა მშვენიერს აკეთებდა და ყველაშეკარსაც.

ჩემი სიძის ოჯახს დიდი ტრაგედია ჰქონდა გადატანილი. მარინასა და ფრიდონის ფიჩორში გადასვლამდე დაახლოებით 7-8 წლით ადრე ჩემი სიძის ძმამ, მურთაზმა, მოტაცებით მოიყვანა ცოლი, რომლის ოჯახიც ახალ სიძეს არ შეურიგდა და მოსისხლე მტრად ექცა.

დაახლოებით ერთ წელიწადში, თუ არ ვცდები, მურთაზს პატარძლის ბიძაშვილი ჩაუსაფრდა და დედისა და უმცროსი ძმის თვალწინ მოკლა მხოლოდ იმის გამო, რომ ამ უბედურს მათი გოგო უყვარდა და ცოლად მოიყვანა.

ქართლში და ჩვენ ოჯახში ეს ამბავი ყველას ძალიან უკვირდა და უცნაურად მიაჩნდა, მით უფრო, რომ გარდაცვლილს ცოლთან უკვე პატარა გოგონა ჰყავდა და ქვრივმა ქმრის სიკვდილის შემდეგ მინ დაბრუნებაზე უარი განაცხადა. მამამთილმა იქვე, ეზოში ცალკე სახლი აუშენა და შვილთან ერთად ამ სახლში ცხოვრობდა.

მთავარი, ორსართულიანი ოდა კი ეზოს ცენტრში იდგა და ამ სახლის ნახვამ, როცა იქ პირველად ჩავედი, ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

ქართლის ეზოებისაგან განსხვავებით, ეს მეგრული ეზო ერთ რამედ ღირდა, მწვანე ბალახში ჩაფლული უზარმაზარი ტერიტორია, სადაც მსხლისა და ხურმის ხეები გადაშლილიყ-

ვნენ, ხეების შუაში კი ულამაზესი ჭა წამომართულიყო თავისი იდეალური, ჭრიალა ოწინარით.

შთაბეჭდილება გამომძაფრა ოდა სახლში შექმნილმა მისტიკურმა ატმოსფერომაც. ოჯახში, ბავშვებისა და ახალგაზრდების გარდა, ყველა ერთიანად ძაძაში იყო გახვეული, განსაკუთრებით მძიმე ძაძა კი სიძის დედას, ქალბატონ გულიშას, ემოსა.

გულიშას ნათქვამი ჰქონდა, სანამ ცოცხალი ვარ, ჩემს ოჯახში რადიო და ტელევიზორი აღარ ჩაირთვებო, და ამიტომაც სახლი რაღაცნაირ მდუმარებაში იყო ჩაძირული, რომელსაც მხოლოდ ხანდახან არღვევდა იმავე გულიშას გულამოსკვნილი მოთქმა და ტირილი.

საერთოდ, ბავშვობის მარტოობა ახლა აუტანლად მახსენდება. მე მგონი, ყველაზე მძიმე მარტოობაა, რადგან რაც განუხებს, იმისათვის ჯერ ვერც სახელი დაგირქმევია და არც გამოზიარებული გეგულება ვინმე, რომ შენი საწუხარი გააგებინო.

განსაკუთრებით მტკივნეულად საღამოს მოახლოებას განვიცდიდი ჩემს სოფელშიც და, მითუმეტეს, სამეგრელოში, სადაც ისე უცნაურად მწუხარედ ღამდება, რომ კოლხური ცინიანთელების სიმრავლეც კი ვერ მიმსუბუქებდა გულზე შემონოლი იდეალ კაეშანს. შეიძლება ამის მიზეზი სწორედ ეს მგლოვიარე სახლი იყო, სადაც ხშირად გაჩერება აღარ მინდოდა, მაგრამ რაკი ჩემს დას ძალიან ვუყვარდი და უჩემოდ არ გაეძლებოდა, მისი ხათრით ვრჩებოდი.

დღისით კი მთელი ამ დიდი ოჯახის ბავშვები თავს ვიყრიდით ჩემი სიძის შუათანა ძმის ოჯახში, რომელსაც უცნაური სახელი — დევიზი — ერქვა.

არც კი ვიცი, „ი“ ფუძისეულია თუ ბრუნვის ნიშანი ამ სახელში, მაგრამ რადგან წოდებითში „დევიზ, ო, დევიზ!“-ით“ მიმართავდნენ, ალბათ მაინც ბრუნვის ნიშნად უნდა ვიგულისხმოთ.

ამ დევიზს ჰყავდა ცოლი ფატიმა, რომელიც მაშინ ალბათ 20-21 წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ მე მაინც დიდი ქალი მეგონა და ამიტომაც ძალიან მიკვირდა, ფატიმაც ხანდახან ჩვენთან ერთად რომ გულიანად თამაშობდა ხოლმე.

დევიზის სახლზე გულიშას აკრძალვები არა ვრცელდებოდა და აქ ტელევიზორის ყურებაც შეგვეძლო. ფატიმას განსაკუთრებით ინდური ფილმები უყვარდა და, როცა ზოგჯერ რომელიმე არსზე ინდურ ფილმს გაუშვებდნენ, მთელ უბანს ესმოდა იმისი მხიარული შეძახილი: „ინდურ კინო რე!“

ბავშვებიც დავიხვეტებოდით და თავს ტელევიზორთან მოვიყრიდით. რუსული არავის გვესმოდა და ამიტომაც ფატიმა ფილმის ძირითად მომენტებს, როცა ეკრანზე განვითარებული დრამისაგან თავის დაღწევისა და ქვითინისაგან ამოსუნთქვის საშუალება მიეცემოდა, მეგრულად გვითარგმნიდა. სიმღერებს კი თვითონაც აყოლებდა ხმას და თავდავინყვბით მღეროდა.

ხმა და სმენა მართლაც კარგი ჰქონდა. სწორედ ფატიმამ მასწავლა უამრავი მეგრული სიმღერა, რომელთაც საქმიანობისას ძირითადად ჩუმად, თავისთვის ღლინებდა. დედამთილსა და ოჯახს ანგარიშს უწევდა, მაგრამ ხანდახან ავიწყდებოდა ყველაფერი და მაშინ მთელ უბანს ეფინებოდა მისი — მოვალეობის არტახებიდან სრულიად თავდახსნილი — ვოკალური მონაცემები.

ერთხელ, სწორედ ასეთი „თავანყვეტისას“, ეტყობა, გულიშას ყურთასმენასაც მისწვდა ფატიმას სიმღერა და შვილის ეზოში პირგამეხებული, არქარებული ნაბიჯით შემოიჭრა. მაგრამ მანამდე ბავშვებმა იმარჯვებს და მისი მოსვლის ამბავი ოდაში, შუაცეცხლთან მოფუსფუსეს, „ოი, ნანას“ მომღერალ ფატიმას აცნობეს.

ფატიმაც არ დაიბნა და სიმღერა უცებ გადააკეთა მოთქმად: „ნანანანანანანაააა! — გააგრძელა მეგრული გლოვის ყაიდაზე, — ნანა, ჩემი გაჭირებულ ცხოვრებაააა!“ — სახლში შემოსულ დედამთილს სათქმელი აღარაფერი დაუტოვა და ცხელი ღომი თევზზე ანუ „საინზე“ სულ ცრემლების ფრქვევით ამოუღო.

დიდი ოჯახი კი ჩვეულებრივ ერთად სადილობდა და ერთი თავი კერძი სუფრაზე ყოველთვის იდო გარდაცვლილის სულისათვის, რომლის სკამსაც გამონეულს ტოვებდნენ და მე იქით გახედვისა აუტანლად მეშინოდა.

გულიშა ყოველ საღამოს დადიოდა შვილის საფლავზე და იქიდან ნამტირალევი, მაგრამ შედარებით გულმოოხებულები ბრუნდებოდა, თვეში ერთხელ კი ამზეურებდნენ გარდაცვლილის ტანსაცმელს, საგულდაგულოდ გახამებულები და გაუთოებული რომ ეკიდა საგანგებოდ ამისათვის გამიზნულ კარადაში.

ტანსაცმლის გამზეურება თავისთავად შთამბეჭდავი რიტუალი გახლდათ: დედის მოთქმითა და გოდებით სათითაოდ გამოჰქონდათ გარეთ განსვენებულის ათეულობით შარვალი, პერანგი, ლაბადა თუ პალტო. გულიშას დატირებას კი რეფრენად გასდევდა შემზარავი ფრაზა: „მე რომ კაცები მყავდნენ სახლში, ჩემი უსამართლოდ მოკლული შვილის ჯავრს როგორ შემაჭმევდნენ!“

ამ ფრაზამ მოგვიანებით ჩემი სიძის ბედისწერაში სრულიად ფატალური როლი ითამაშა.

მე კი პირველად სწორედ ფიჩორში გავაცნობიერე, რომ ადამიანი მოკვდავია და ეს ამბავი ჯერ ძალიან გამიკვირდა, მერე მენყინა და არა შიშის, არამედ რალაც მეტაფიზიკური ძალისაგან შეურაცხყოფის გამო ერთ საღამოს ტირილი დავიწყე.

გულიშა ამ ამბავმა ძალზე ააფორიაქა და მკითხა, „მუ აშბე რე, ნიეო?“ მე კი ვუთხარი: „მაჭუ, მაჭუ!-მეთქი“ და უარესად აქვეითინდი.

გულიშამ გულში ჩამიხუტა და ძალიან გაუკვირდა, რომ ამასობაში მეც მესწავლა მეგრული. მაგრამ ეს გაკვირება რას მოვიდოდა ჩემი მშობლების გაკვირვებასთან, როცა ერთხელ, რამდენიმე წლის შემდეგ, შევიტყვეთ: ფრიდონს გაუგია ძმის მკვლეელი ციხიდან როდის გამოდიოდა, ეზოში ჩასაფრებია და შინ დაბრუნებული დედისა და ახლობლების წინაშე ზუსტად ისე ჩაუცხრილავს, როგორც იმან თავის დროზე ძმა მოუკლაო.

ჩემი ყოფილი სიძისაგან თითქოს აღარაფერს უნდა გავეკვირვებინეთ, მაგრამ ეს მაინც მეტისმეტი იყო. ყველანი გაოგნებულები ვიყავით და ვერაფრით ვიჯერებდით, რომ ასეთ კეთილ და თვინიერ ადამიანს შეეძლო ასეთი შემზარავი მკვლელობა ჩადენა.

ფრიდონი კი, ცხადია, დაიჭირეს და ცოტა ხანში რუსთავის ციხეში გადმოიყვანეს.

მესამე დამ, ოლიამ, გაამზადა დიდი ძღვენი და ფრიდონს, რომელიც სიძეებიდან გამორჩეულად უყვარდა, ციხეში შეუზღავნა.

ამ დროს კიდევ ერთი სრულიად წარმოუდგენელი ამბავი მოხდა, ჩემი დის მეორე ქმარმა, სვანმა ფრიდონმა, იყიდა სიგარეტის რამდენიმე ბლოკი და იმ ძღვენთან ერთად პატიმართან გაატანა. მერეც, წლების განმავლობაში, სანამ პირველი ფრიდონი პატიმარი იყო, მეორე ფრიდონი ამას თითქმის სისტემატურად აკეთებდა. მისი საქციელი ყველას ძალიან უკვირდა, თვითონ კი მშვიდად გვიხსნიდა: „რა მნიშვნელობა აქვს, ვინ არის?! პატიმრისა და, მითუმეტეს, „სამართლიან საქმეზე“ მჯდომი პატიმრის განკითხვა, ყველა კაცის მოვალეობაა“.

გარდა ამისა, სწორედ ჩემი დის ოჯახში რჩებოდნენ ხოლმე ჩემი პირველი სიძის მშობლები, როცა შვილის სანახავად სამეგრელოდან რუსთავში ჩამოვიდოდნენ და ჩემი სვანი სიძე მათ თავის დედ-მამასავით ექცეოდა.

ის კი არა, ერთი-ორჯერ მათთან დარჩა ჩემი სიძის მეორე ცოლი, ალბინაც, რომელიც ჩემმა დამ კეთილგანწყობით მიიღო. დასხდნენ და მთელი ღამე დედამთილზე ჭორაობით გული მოიხეს.

ოლიას ფიზიკურ თვალსა და ენას რა გამოეპარებოდა და ყველას ჩამოგვირაკრაკა: სულ გამოატყინა ეს გოგო ამ ბრახილიური სერიალების ყურებაზე. ავთო და გულიშა კიდევ ჰო, მაგრამ ალბინასთან რაღა გული უძლებს, ვერ გამიგიაო!



ელეა კოდლაშვილთან ერთად

მარინას კი ამაზე ელიმებოდა და, მე მგონი, ჩვენი და-ძმებიდან პირველი სწორედ ის მიხვდა უმთავრეს რამეს: ცხოვრება არასოდეს არის სწორხაზოვანი და მის ზიგზაგებში მხოლოდ მაშინ მოახერხებ ადამიანობის შენარჩუნებას, თუ შეძლებ პიროვნულ წყენასა და ამბიციებზე ამაღლდე.

მარინასთან დაკავშირებით იმიტომაც არ მგონია ეს სიტყვები ცარიელი ლოზუნგი, რომ მან (ალბათ მხოლოდ თვითონ იცის, რამხელა სულიერი ძალისხმევისა და მოთმინების ფასად) ამის გაკეთება მართლაც სამაგალითოდ მოახერხა.

აი, სწორედ ასეთ სიტუაციაში უნდა მეცხოვრა სტუდენტობის პირველ ხანებში და, ცხადია, სიხარულზე მეტად ცნობისნადილი უფრო მენეოდა, მაგრამ სწავლის რამდენჯერმე გადადებისა და საქმის ამგვარი გაჭიანურების გამო ხაშურში, უფრო სწორად, ნაბახტევეში ვრჩებოდი.

\*\*\*

ნაბახტევეში, ჩვეულებრივ, გივი ძია და ნათელა ძალი „მატრონობენ“. ნათელამ უგემრიელესი ფხალეული იცის ამქვეყნად, ისიც იცის, რომ მე ძალიან მიყვარს, და ამიტომ ამ „სიამეს“ არასოდეს მაკლებს. გივი ძიას გამოყვანილი ლორი ხომ საერთოდ საოცრებებია! დილით მე ჯერ კიდევ ძმინავს, ნათელა რომ ფანჯრის რაფაზე საუზმესა და სადილ-სამხარს შემომიდგამს და არც მალეძებს, უკან ისე გაბრუნდება. არც სხვა მეზობლები მივიწყებენ. ზიზო ძალოს იმ დღეს მთელი სათლი პომიდვრები და უკრეფია თავის ბაღში და ისეთი მოზოდინებით შემომანოდა, თითქოს კი არ მჩუქნიდა, რაიმეს მართმევდა:

„აბა, შენ რაში უნდა გჭირდებოდეს ესა, შვილო, მარა მანც გამისინჯე, დედა, როგორი პამიდორი მომივიდა!“

გლეხი ეძახე და ასეთი თავაზით, ადამიანის ასეთი გათვალისწინებით კიდევ ნეტავ რამდენს შეუძლია დაუმაღლებელი სიკეთის გაკეთება?

ძილზურანში გივის საშინელი გინება მესმის. მაგის გინებას შეჩვეული ვარ, მაგრამ ახლა რალაც ჩოჩქოლია, გარეთ გამოვედი, აივნიდან გადავიხედე და რა თქმა უნდა, კაკოს ავინებს, თავის მეორე ბიჭს. ამასწინათ უჩიოდა: „დანვება ფხიზელია, დღვიძებს თვრალია! ველარ გავიგე, სად ასწრებს ძილში ასე გამოზრუფვასაო!“

ახლაც ფინლისათვის დაუვლია ხელი და კაკოზე მიიწევს. ტანსაცმელი ჩავიცვი და სასწრაფოდ მათთან ავვარდი.

„ეს რჯულმ...ლი! — გაჰყვიროს გივი! — მეც არა ვთქვი, სად ასწრებს, სადა თვრება ასე ღვინის ბურნასავით-მეთქი და დღეს არ გაუფუგე?!“. თურმე რა უქნია, მე ამისი დედა კი ... ასეო!“

კაკო უკვე კარგად არის შეუყუყუნებული. შორიასლო დგას და მამის გინებაზე ალაღად ეცინება.

თურმე თავისი საწოლი ოთახის კედელი, რომელიც მარანს ემიჯნება, გამოუხერხებია, უშოვია სადღაც გრძელი მილი, ჩაუყვია კედლიდან ქვევრში და, ადგომაც კი არ სჭირდება, ისე ენაფება მამის დასურულ ნუნას. გაიღვიძებს, მონრუპავს კარგა გემრიელად და ისევ ისე ლოგინზე გაგორდება. მთელი ორი ქვევრი ამოუხაპავს და, ვიდრე რალაცისთვის ღვინო არ დასჭირდება, შინ ვერავინ ვერაფერი გაიგო.

ნათელა ძალოც იქვე დგას, თან გივი ძიას ამოშინებს და თან თვითონაც წუხს: „რა ვი, რამ დაამგელა ასე ე ბიჭები! ამწინებზე კიდევ ეს ჩემი მულიშვილი ლერი იყო მოსული. წყალი მინდაო. ვუთხარი, მიდი, შვილო, კრანთანა, ცოტა მოუშვი და ცივ-ცივი დალიე-მეთქი. მე კუნხაში ვტრიალებდი და იქიდან მესმოდა: უჰ, უჰ, რა კაია ეს დალოცვილიო! — რო იძახდა. ვიფიქრე, ცივი წყალი ესამოვნა და გამოვძახე, გაამოს, შვილო, მაქრათ შეგერგოს-მეთქი, დამავინყდა კია, რომ იქვე, კრანთანა ერთი ბოთლი ორნახადა ოტკა დამჩრჩენოდა. კარტიპაპამ ჩამომიტანა წამლათა. ჰოოდა, ეს ლერი იმ ოტკას არ მისდგომია და არ დასძახის ჰარალესა! ოტკა კი არ მენანება, მარა, ასე უზმელად როგორ უნდა ხაპავდენ ამოდენა სასმელსა! დაწყებებიან ეს ოხრები, დაწყებებიან და მიმხედავიც არავინ ეყოლებათ!“

საერთოდ, ლოთობა ჩვენი სოფლის სერიოზულ პრობლემად იქცა. ცხოვრება ნელ-ნელა გაჭირდა. ქარხნები და ფაბრიკები იხურება, მაგრამ სოფელში მთავარი ის არის, რომ მიწაზე მუშაობა აღარავის უნდა. სოფლის კაცები მთელ დღეს ბირუხაზე დგანან და საითაც ჩრდილი წამოვა, იქით ინაცვლებენ: დილით წყაროსთავეზე სხედან, შუადღისას წიფელს არიან შეფარებულები. თამაშობენ კარტს, იცინიან, ხუმრობენ და ქვეყნის თავზე არაფერი ადარდებთ. სულ რამდენიმე ადამიანია, ვინც ძველებურად მუხლჩაუხრელად შრომობს. შედარებით ახალგაზრდებიდან ერთი მუყაითი კაცი ჩემი ბიძაშვილი ველიზარი, იგივე ყარამანია.

ყარამანი ადრე დაობლდა და დედამისმა, მარგალიტა ძალომ, შრომას ბავშვობიდანვე შეაჩვია. შვილი მუდმივად გვერდში ეყენა და მთელ ბალ-ვენახს ისე ამუშავებდნენ.

მარგალიტა ძალო უკვე ხანში შესულია, მაგრამ ძველებურად მხნედაა და დაუღლელად ფუსფუსებს.

„ოლიკა ბაბოც ასე მოკვდა! ბალიდან ლობიო გამოეტანა, სახლის ბანზე სარჩევად დამჯდარიყო და სული დაელიაო!“ — მეუბნება და დედამთილის მაგალითს სახარების ციტატასავით იშველიებს.

აბა, აქ ბიბლიას არავინ კითხულობს და მხოლოდ უფროსი თაობის პირადი მაგალითებით თუ შეიძლება ქრისტიანობის საფუძვლებზე ჰქონდეთ რალაც წარმოდგენა.

ოლიკა ბაბო, მამაჩემის დედა, ოღლა მულაძე, მეც კარგად მახსოვს, 1982 წელს, 82 წლისა აღესრულა. მაღალი, ცისფერთვალეა ქალი იყო და უცნაურად მედიდური სიარული იცოდა.

პაპაჩემი კი ჩემს დაბადებამდე გარდაცვლილა და ამიტომაც ბაბოს სულ შავები ეცვა, შავ კაბაზე კიდევ შავი კაბა ემოსა. ოთხშაბათ-პარასკევს მარხვა არასოდეს გამოიჩნებოდა და მარხვას ხომ ისედაც მუდმივად ინახავდა.

რალაცას როცა გიყვებოდა, თან დაუმატებდა: ეს სული ამიძალდეს, დედა, თუ ვტყუოდო!

ასეთი შესავლის შემდეგ მაქვს მოსმენილი, მაგალითად ის, თუ როგორ შეუყვარდა პაპიას ბაბო, რომელიც მაშინ დედ-მამის სახლში, მეზობელ სოფელ ტკოცაში ცხოვრობდა. „პაპამა ჩემი სიყვარულითა თავის ხარებს დაარქვა ოლია, გამოივლიდა ჩვენ სახლთანა ტკოცაში, ხარებს სახრეს გადაუშვივლებდა და დაუძახებდა: „ხიიიმა, ვოლიაო!“

მე ამ მონათხრობზე და ამ „ხიიმა, ვოლიაზე“ სიცილისაგან ისეთი გულყრა მემართებოდა, მიწაზე ვგორავდი, ბებიჩემი კიდევ დასძენდა: „შე მამაძალო! კი არ გატყუებ! ეს სული ამიძალდეს, დედა, თუ ვტყუოდო!“

პაპაჩემი ძალიან მაღალი, ლამაზი და ღონიერი კაცი ყოფილა. ტრაქტორს ცალი ხელითა სწევდაო, — ასე იხსენებდნენ სოფელში მისი მომსწრეები. ბაბოც სულ თავის ერასტიანზე გველაპარაკებოდა, მაგრამ იყო ერთი ამბავი, რაც თვითონ არასოდეს მოუყოლია, თუმცა სიამოვნებით ჰყვებოდნენ მისი ოპოზიცია — რძლები და ამ ოპოზიციის განსაკუთრებით რადიკალური ფრთის წარმომადგენელი, დედაჩემი.

საქმე ისე ყოფილა, რომ ერთხელ ოლიკა ბაბოს ვიღაც მეზობლის დედაკაცი აუჩემებია და პაპაჩემს ტვინი გაუბურლა თურმე — „ჰყვარობ, ჰყვარობო!“

პაპა ძალიან უარობდა: რას ამბობ, ბეჩა, რავა შეიძლებაო?! — მაგრამ მისმა ფიცხლმა ოლიკაზე მაინც არ გაჭრა და საქმე ოჯახურ სასამართლომდეც მისულა. შეკრებილა მთელი ნათესაობა და ერასტი პაპიასათვის უკითხავთ: რა მოგივდა, ერასტი, მართლა ჰყვარობ ელიჩკასაო?! — და იმასაც ისე ჰქონია დიდებულად ჩიჩინი ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ ანგარიშ-მიუცემლად მიუგია: „აბა, რა ვიცი, მე მგონი, ვყვარობო!“

ეს საქმე როგორღაც დამთავრებულია. ბებიჩემისგან კი მე პირადად ძვირი არავიზე გამოიგია. ქებით კი ყველას აქებდა. ერთხელ ასეთ რამესაც იხსენებდნენ: წყაროზე რალაც უცხო მანქანა გაჩერებულა და იქიდან ვიღაც უცნობ ქალსა და კაცს ჩვენს თანასოფელელ ახალგაზრდა გოგოზე უკითხავთ: შვილისთვის გვინდა ცოლათა და როგორი გოგაო?

იმ ახალგაზრდა გოგოს შვილი ჰყავდა უკვე, მშობლებთან ცხოვრობდა და, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება, სოფელი კარგ თვალზე არ უყურებდა, ბებიჩემს კი მაინც უთქვამს: უი, კაი გოგოა, დედა, ძვირფასიო!

იმ უცნობ ქალს, რომელსაც, როგორც ჩანს, სცოდნია სინამდვილე და კითხვით ოლიკა ბაბოსათვის მხოლოდ გამოსაცდელად ეკითხა, მიუძახებია: „ჰოდა, თუ კაია, ეგეთი რძალი არ ააცილოს ღმერთმა შენ გვარ-ჯილაგასაო!“

მანქანა ადგილიდან მოუწყვეტიათ და დაუტოვებიათ ოლიკა ბაბო გაოგნებისაგან თვალებდაღვლებილი.

„ამხნის ქალი ვარ, დედა, და ჯერ ეგეთი სირცხვილი არ მიჭამნიაო!“ — იხსენებდა ხოლმე თვითონ და საყვარლად წითლდებოდა.

პაპა და ბაბო მამაჩემის ძმის, მიშას, სიკვდილის შემდეგ მოტეხილან. მიშა ძია ტყიბულის მალაროში მუშაობდა. 28 წლისას დინამიტი ხელში აფეთქებია და ნაფლეთებად უქცევია.

ისე დაუკრძალავთ, პაპაჩემი შინ არა ყოფილა. ხარებით მარილის ჩამოსატანად იყო წასულიო, — ასე მეუბნებოდნენ.

როცა ჩამოსულა და ეს ამბავი გაუგია, ლამის ჭკუაზე გადასულა, გაიპარებოდა ხოლმე და საფლავსა თხრიდა, ჩემი შვილი უნდა დავინახო.

მიშა ძიას და მარგალიტა ძალოს ორი შვილი დარჩათ: ნარი და ველიზარი. მარგალიტა ძალო აღარ გათხოვილა და მთელი სიცოცხლე ბაბოსა და პაპას სახლის გვერდით ცხოვრობდა, იმავე ეზოში. ჩემი სიყვარულის დროისათვის სულ თავისი ქმრის ამბებს იხსენებდა. განსაკუთრებით ქორწილის ამბის გახსენება უყვარდა. მეც მოუწყინრად ვაყოლებდი და ყურს ვუვებდი.

„ბიძაშენი რო შემიყვარდა, მალე ფრონტზევე გაიწვიეს. მამაჩემმა ერთი წელი იცადა და მერე გამომიცხადა: შენი მასიჯავები მომივიდნენ და უნდა გაგათხოვო, ლობჯანიძის ბიჭს ველარ დავგალოდებო! მე კიდევა მიშა მიყვარდა, ავდექი და რალაცნაირად, წერილით გავაგებინე ბიძაშენსა ჩემი სანუხარი, იმასა სახლში თავისიანებისათვის მოუწერია და გაგიუტებულა პაპია: „ჩემ ბიჭსა გოგო უყვარდეს და ის სხვა კაცმა მკლავზე როგორ უნა გადაინიწოსო!“ აქეთ გაუმზადებიათ ქორწილის პურმარილი, იქით ამოუყვანა უღელი ხარ-კამეჩი მამაჩემსა ერასტიან და უთხრა: აჰა, ეს საქონელი დაიტოვე და შენი გოგო გამატანეო!“

მამაჩემმაც გამოატანა ჩემი თავი, დამაჯინეს საქორწილო სუფრაზე, მომისვეს გვერდითა, ნეფის ადგილასა, მამიდაშენი თანუშაი და ასე ვიქორწილეთ უნეფოთა.

პაპიამა მალე მოახერხა, ნაჩაღნიკობასა ძღვენი გაუგზავნა, მიშაი ცოტა ხნით გამოაშვებინა და ერთი-ორი დღით მოგვეცა ერთმანეთთან შეხვედრის საშუალება. იმითანა ვიყავი, იმითანაი, სუ რძე და ღვინოსავით ვლუოდო! — დასძენდა ხოლმე ბოლოს და მე მთელ ამბავს, რომელიც ათასჯერ მქონდა გაგონილი, ამ ბოლო ფრაზის ხათრითლა ვუსმენდი. ეს ფრაზა ბებიჩემის „ხიმა, ვოლიასავით“ მამხიარულებდა... რადგან ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა ლუოდეს ადამიანი ერთდროულად რძესა და ღვინოსავით...

საერთოდ, მეგობრები ხომ მუდამ ჩემზე უფროსები მყავდა და ამას ისიც ემატებოდა, რომ მოხუცებთან ურთიერთობა ძალიან მიყვარდა. საგანგებოდაც დავდიოდი, ვუსმენდი მათ მონათხრობს და მერე ჩემთვის ერთ სქელ რვეულში ვინერდი. ამ ჩანაწერების საფუძველზე მეშვიდე-მერვე კლასში საკონფერენციო თემაც დამინერია, რომელსაც ამას წინათ ძველი ქალაქებისა და ლექსების მორიგი განადგურებისა შემთხვევით ნავაწყდი. ეს საკონფერენციო თემა, რატომღაც ცეცხლში შესაკეთებლად დამენა და შევიჩინა. თემა, ცხადია, ძალიან გულუბრყვილია და არანაირი ღირებულება არ გააჩნია იმის გარდა, რომ სოფლისადმი ჩემს დამოკიდებულებას და კიდევ რამდენიმე ჩანერულ ტექსტს უცვლელად ასახავს. ახლა ძალიან მეცინება, მაგრამ ტექსტის მთელი გულუბრყვილობის მიუხედავად, მაინც შეიძლება ამ წიგნისათვის რალაცით საინტერესო იყოს, ამიტომაც იმ ჩემს მეშვიდე კლასის თემას, სანამ დამეზარება, აქვე ავკრევ:

„ნაბახტევი ხაშურის რაიონის ერთ-ერთი უძველესი სოფელია. ისტორიულ დოკუმენტებში იგი ამ სახელით მე-14 საუკუნიდან იხსენიება. მანამდე კი „კურცხობა“ რქმევია და ახლა ეს სახელწოდება მახლობელ ეკლესიას შემოუნახავს, რომელიც, მკვლევართა ვარაუდით, მე-8-მე-9 საუკუნეებში უნდა იყოს აგებული. მდებარეობს სოფელი ნაბახტევი ლამაზია. გაშენებულია მაღალი სერების ძირში, უწინ გაუვალი, დაბურული ტყით რომ ყოფილა დაფარული. რაც კიდევ უფრო ამშვენებდა აქაურობას. ამის შესახებ ერთი პატარა ხალხური ლექსი შთამომავლობას დღესაც შემოუნახავს:

ნაბახტევი, შემკობილო,  
წინ მინდორო, უკან ტყეო,  
გოგოების საღვინო და  
ბიჭებისა სამოთხეო.

სოფელში რამდენიმე გვარის ადამიანები ცხოვრობენ, მაგრამ პროფესორ სერგი მაკალათიას გამოკვლევით, უძველესი გვარებიდან მხოლოდ გონგლაძეებია შემორჩენილი. მჭედლიძეები, მაისურაძეები, მულაძეები, შუბითიძეები, გელაშვილები, შერაზადშვილები, ლობჯინძეები, კუჭაძეები, ტაბატაძეები, ხაჩიძეები და სხვები შემდეგ არიან ჩამოსახლებულნი.

სახელწოდების, „ნაბახტევის“ შესახებ რამდენიმე ხალხური გადმოცემა არსებობს. ერთი მათგანი ასეთია:

სოფელში დღესაც არის დიდი ხევი, რომელსაც ხალხი „მანანათხევს“ ეძახის. თურმე ხევის ორივე მხარე ხშირი, გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული და სწორედ ამ ტყეზე უთქვამთ: „ნაბადივით არის გადაფარებული ხეზეო“ ე. ი. „ნაბადხევი“. სიტყვაში შემდეგ მომხდარა ფონეტიკური ცვლილება და გვაქვს „ნაბახტევი“.

ზოგი გადმოცემით, აქ ყოფილა მეფის საზაფხულო რეზიდენცია და წინათ „ნაბახტევი“ რქმევია.

მეორე გადმოცემით, ამ სოფელში თურმე ისეთი ძლიერი, გონიერი და კარგი ვაჟაკები იზრდებოდნენ, რომ ცხენებით ხტებოდნენ ცხრა გაშლილი ნაბდის სიგრძეზე („ნაბადზე მხტომი“ > „ნაბადხევი“ > „ნაბახტევი“).

სოფელში ბევრი ისტორიული ძეგლია: „კვერცხობი“ („კვირაცხოველი“), იოანე ნათლისმცემლის ეკლესია და წმინდა მარინის ეკლესია, რომლისთვისაც ხალხს თავისი უნიკალური მხატვრობის გამო „მოხატული“ შეურქმევია.

ეკლესიების გარდა, არის საკულტო ქვა, საკულტო ხე და ნიში. ერთ-ერთი საკულტო ქვის შესახებ არსებობს ასეთი თქმულება (მთქმელი დუშა ფაფაკერაშვილი, ჩანერილია 1986 წლის 22 აგვისტოს. მთქმელი ახლა უკვე გარდაცვლილია):

„წინათ თურმე დიდი ლეკიანობა ყოფილა. ლეკები არ ინდობდნენ არავისა და ამიტომ იმათი ყველას ეშინოდა.

ერთხელაც, ერთ ქალსა გაუკეთებია სამხარი და წაუღია ქმართანა, მინდორო. ცალ ხელში ბავშვი სჭერია, მეორეში კიდე — ქოთანი. რო მისულა კუჭაძეების უბანში, დიდ მუხათანა, დაუნახია, რო ლეკები მოდიან თურმე ცხენებითა. ლმერთს შეხვედნია: „ღმერთო, ოლონდაცა ამ ლეკების ხელში ნუ ჩამადგებ და გამაქვავიო.“ მართლაც გაქვავებულა“.

ეს ქვა ახლაც დგას კუჭაძეების უბანში, წმინდა ადგილად ითვლება და ხალხი მას „ქვადედაკაცას“ ეძახის.

იმის შემდეგ კი ასეთი ჩვეულებაც დამკვიდრებულა: როცა გვალვა დაიწყებოდა, სოფლის ქალები მოგროვებოდნენ და ჩამოივლიდნენ „ლაზარბატონობაზე“, „ქვადედაკაცასთან“ სიმღერით მივიდოდნენ, გადაბრუნებდნენ და წყალს დაასხამდნენ იმ რწმენით, რომ მალე წვიმა მოვიდოდა.

საკულტო ხე — თელა — მდებარეობდა ალის გზაზე. ამ ადგილის ჰქვია „საჯვარე“. მართალია, ახლა თელა უკვე გახმა, მაგრამ აქაურობა ისევ წმინდა ადგილად ითვლება და ხალხი აქედან რამის მოჭრასა და შინ წაღებას მაინც ერიდება.

ნიში — ქვა — არის მანანათხევი, გონგლაძეების უბნის განაპირას, დასავლეთით. ამ ადგილის ხალხი „წმინდა გიორგის“ უწოდებს. ეს უმთავრესად გონგლაძეების სალოცავია. ყოველ გიორგობას (გაზაფხულის გიორგობა აღდგომის შემდეგ არის ხოლმე — გ.ლ.) მთელი გონგლაძეების უბანი მიდის ღამის სათევად წმინდა გიორგში, კლავენ ცხენებს და ღამეს ქვიფში ათევენ.

ღვთისმშობლის ეკლესიის მახლობლად არის ციხის ნანგრევი. ერთ დროს ეს ციხე-სიმაგრე საიმედოდ გამაგრებულ და დაცულ სამალავს წარმოადგენდა. აქ ცხოვრობდა ქუცნა ამირეჯიბი (მეფე ალექსანდრე პირველის პაპა) და მის შემდგომ მომავალი ყველა დიდგვაროვანი, რომელთა სახელებიც ნაბახტევის ისტორიას უკავშირდება. ღვთისმშობლის ეკლესია კი მათი კარის ეკლესია ყოფილა. ქუცნა ამირეჯიბის კარგად განვრთნილი ჯარი ჰყოლია, რომელსაც გაშლილ მინდორზე ავარჯიშებდა, თვითონ კი ციხედან დაჰყურებდა და ამონებდა. ის მინდორი ახლა სახნავ-სათესი ადგილია, სახელწოდება კი უწინდელი შემორჩენია: მოედანი ან მეიდანია.

ხალხის მეხსიერებას ქუცნა ამირეჯიბისა და მის ულამაზეს ცოლთან, მანანასთან, დაკავშირებული ერთი ლეგენდაც შემოუნახავს, რომელიც 75 წლის პროკოფი გონგლაძემ ჩაგვანერია:

სოფელს მტერი შემოსევია. აუოხრებიათ, გადაუნვათ და გადაუბუგათ აქაურობა, მოუკლათ ქუცნა ბატონი და მისი ლამაზი ცოლი მანანა შაჰის ჰარამხანაში წასაყვანად გაუმზადებიათ. გამგზავრების წინ თვალცრემლიანი ბატონის ცოლი ჯარის მეთაურთან მიიჭრა და ეკლესიაში უპატრონოდ დაგდებული ქმრის ცხედრის დატირების ნება ითხოვა. ეკლესიიდან მანანა უკან აღარ დაბრუნებულა. თათრის ლაშქართა მსტოვრებმა იხილეს: საბრალო ქალი ქმრის ცხედარს ზედ დაჰკვდომოდა.

რა თქმა უნდა, ეს ლეგენდა სულაც არ ასახავს ისტორიულ სინამდვილეს, მაგრამ მე მაინც ჩავიწერე, როგორც საბუთი ხალხის მეხსიერებისა და ემოციური განწყობისა.

სოფელში კი ბევრი ნეს-ჩვეულებაა შემორჩენილი, რომელიც რელიგიურ აზროვნებას, სხვადასხვა ბუნებრივ მოვლენას უკავშირდება.

ნეს-ჩვეულებანი, რელიგიური რიტუალები: ბარბალობა — დადგებოდა თუ არა ქრისტეშობის თვე, მეოთხე დღეს თენდებოდა ბარბალობა, ამ დღისათვის ყველა ოჯახი იყო მომზადებული. დიასახლისები აცხობდნენ ლობიანებს. საქმიანობას კი დილაადრიან იწყებდნენ, რათა მეკვლისათვის განყოფილი სუფრა დაეხვედრებინათ. დილით მოვიდოდა მეკვლე და დალოცავდა ოჯახს:

„ჩემი ფეხი ბედნიერი ყოფილიყვეს, არაფერი დაგკლებოდეო, ყველა კარქათ და ჯანთელათ ყოფილიყვეთ, თქვენი წლის მოსავალი სუ ლხინში, ქორწილში და კაი საქმეში დაგეხარჯოო!“

ოჯახში მეკვლედ მოსულს აუცილებლად პური უნდა გაეტეხა და ცოტა ხანს სახელდახელოდ გამზადებულ სუფრასთანაც ჩამოშვდარიყო, რადგან ხალხი ამბობდა: „ფეხზე დაყსნტული მეკვლე და საბუდარიდან წამომხტარი კრუხიო“ — ე. ი. გაზაფხულზე დედლები წინილებს აღარ გამოჩეკავდნენ.

ბარბალობიდან ერთი კვირის შემდეგ „მარხვდებოდა“. „ჭამათ კრძალუობა“ გრძელდებოდა თოთხმეტ დღეს, შობის დღესასწაულისათვის ხსნილდებოდა და უკვე შეიძლებოდა ხორცის ჭამა, რომელსაც შობისათვის ხარშავდნენ. მოხარშული ღორის თავს შუბლზე ჯვარს დაუსვამდნენ.

შობის სწორზე თენდებოდა ახალი წელი, რასაც წინათ დიდი სამზადისი უძღვოდა: აცხობდნენ ლობიანებს და ქაღიანებს. პურის ცომიდან გამოიყვანდნენ: ხარის ქედს, კრუხ-წინილს, ბასილას, ძროხის ძუძუებს, ჯოხს, გამოაცხობდნენ ყველაფერს და ხის გორდაზე დალაგებდნენ, რომელსაც „აბრამიანს“ უწოდებდნენ. აბრამიანზე აუცილებელი იყო ტკბილეული, ჩურჩხელები, შემწვარი კვახი. დილით ისევე მოვიდოდა წლის მეკვლე. მის მოსვლამდე კი ყველა ადრე უნდა ამდგარიყო. ოჯახის უფროსი აანთებდა სანთელს და ილოცებოდა:

„კაი ახალი წელი დაგვდგომოდეს, სუ ჯანთელად, ბედნიერად ვყოფილიყვეთ. გლახა საქმე გვაშროს ღმერთმა. სუ კარქათ გყოლოდეს ცოლ-შვილი, ნათესავეები, კეთილები!“

მერე ბუხარში ნახევულ ცეცხლს გაჩხრეკდა, ნაკვერჩხლიან შუბის ნაჭრებს გამოიღებდა, ერთმანეთს შემოპკრავდა და ნაპერ-სკლები რომ გასცივდებოდა, იტყვოდა:

— ამდენი ქათამი, ბატი, იხვი, ცხვარი, ღორი გამზრდოდესო!

მერე ბოსელში ჩავიდოდა და საქონელსაც მიულოცავდა ახალ წელს, ყველას კვერცხს ჩამოუსვამდა ტანზე და ეტყოდა: ასე გასუქებული და დამგვალებული ყოფილიყვეთ!

სახლში მობრუნებული ოჯახის წევრებს ვერცხლის ათ-ათკაპიკიანებს ჩამოურიგებდა. ეს ფული ყველას პირში უნდა გამოეველო, რაც იმას ნიშნავდა, რომ კარგი კბილები ექნებოდათ.

მეორე დღეს იყო ბედობა. ახალი წლის შემდეგ კი სხვა უქმეებიც მოდიოდა: ნათილება, წყალკურთხობა, მარიაშლობა, დიდი შაბათი, ყველიერი, შავორშაბათი, რომლის შემდეგაც დიდმარხვა იწყებოდა. ამ დღეებში ეკლესიაში წირვა-ლოცვა იმართებოდა.

წყალკურთხობისას მღვდელი ჯვარს მდინარის წყალში გაავლებდა. ამის შემდეგ კი, ვითომდა, ყინვა მოეშვებოდა და სიცივეც აღარ იქნებოდა.

მარიაშლობა ხუთშაბათობით იცოდა. აუცილებლად უნდა დაეკლათ ქათამი, უმეტესწილად — დედალი. ზოგი დილით ზეიმობდა მარიაშლობას, ზოგი — საღამოთი.

დედლის მარცხენა მხარე ოჯახის უფროსს უნდა შეეკერა და ისე უნდა მოეხარშა. მერე იმ ნახევარს მარიაშელს მიართმევდა, თაროზე, ხატის წინ შემოდებდა, სანთელს აანთებდა და ღვინოსაც ამოიღებდა. ქათმის ნახევარს კი ბავშვები ჭამდნენ.

დიდი შაბათი მკვდრების დღე იყო. ამ დროს ის ოჯახი, რომელსაც „ახალი“ მკვდარი ჰყავდა (წლამდე) წანდილს აკეთებდა, ვისაც „ძველი“ მკვდარი (წლის შემდეგ) — კორკოტს ხარშავდა.

მერე იწყებოდა ყველიერი, რომელიც ერთ კვირას გრძელდებოდა. ყოველ ოჯახში ორჯერ-სამჯერ უნდა გამომცხვარიყო ხაჭაპურები, ამ დროს ხალხი საქანელას ჩამოაბამდა და ქანაობდა.

ყველიერის დღესასწაულის შემდეგ თენდებოდა შავორშაბათი. ამ დღეს ერქვა „ყეენობა“. ახალდაქორწინებულებს ჩააცვამდნენ ჩოხებს, თავზე დიდ, ნონოლა ქუდეებს დაახურავდნენ, რომლებშიც შინაური ფრინველის ბუმბულებს არჭობდნენ, სახეზე მომურავდნენ და ასე „მორთულ-მოკაზმულებს“ მიიყვანდნენ მდინარესთან. წყალში უნდა დაჭიდებულიყვნენ. მერე სოფელში ჩამოივლიდნენ, გამოიტანდნენ პურ-მარილს. ერთ-ერთის ოჯახში დასხდებოდნენ და ყველა ერთად ქეიფობდა.

დიდი მარხვა შვიდ კვირას გრძელდებოდა. ამის შემდეგ თენდებოდა აღდგომა. აღდგომის კვირაში, ოთხშაბათს, ყველა აანთებდა ჭიაკოკონას, მეორე დღეს იყო უბრობა. ზოგჯერ სოფლის მამაკაცები ჭონაზეც ჩამოივლიდნენ ხოლმე. 66 წლის დღეა მუხლად იხსენებს;

„რო დაღანდებოდა, მოადგებოდენ ჭიშკარსა და ილოცებოდენ:

სახლო, სახლინთ ნაშენო,  
ვინ დაგიდო მუხის კოჭი,  
ღმერთმა ყველა გაგიზარდოთ —  
გოგო იქნება თუ ბიჭი!

ანა კიდევა:

ტყიდან მგელი გამოვარდა,  
თხა შემიჭამა, ნისლაო,  
დედი, ერთი კვერცხი მომე,  
სხვაგანაც მინდა მისვლაო!

აღდგომის მეორე დღეს იცოდა დღეობა — გარეგნობა. ამ დროს ეკლესიაში იმართებოდა წირვა-ლოცვა, უკრავდნენ დოლ-

გარმონს, საფლავებზე გაჰქონდათ პურმარილი და გარდაცვლილთა შესანდობარს სვამდნენ.

ნაბახტევი ისტორიული სოფელია. ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში აქაურ მარცხოვრებლებს ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით თავისი წარმოდგენა ჰქონდათ, ჩემს საკონფერენციო ნაშრომში შევეცადე, ამ რწმენა-წარმოდგენების ერთი ნაწილი მეჩვენებინა“.

ცხადია, კარგად მესმის, რომ მეექვსეკლასელი ბავშვის თემას არ შეიძლება ახლა, ამ გადასახედიდან რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ ჩემთვის ეს ჩანაწერი მაინც ძვირფასი აღმოჩნდა აქ მოხსენიებული მოხუცებისა და იმ განწყობის გამო, რითაც ამ თხზულებას ვწერდი მასში.

დღეს ამ მოხუცებიდან აღარცერთი ცოცხალი აღარ არის, სოფლის წეს-ჩვეულებებიდან კი უკვე ბევრი რამ ჩემს ბავშვობაშივე იყო დაკარგული, თუმცა ნაბახტევი უამრავი რამე მაინც შემოინახა. ყოველ შემთხვევაში, ალბათ ამ საკონფერენციო თემაში სრულიად გამჭვირვალედ ჩანს დიდი სიყვარული, რომელსაც ჩემი სოფლის მიმართ ბავშვობიდანვე განვიცდიდი და წლებმა კი არ გაახუნა ეს გრძნობა, პირიქით, სულ მეტად და მეტად გააღრმავა.

ამ ბავშვური სიყვარულის დასტური იყო ისიც, რომ დაახლოებით ამავე დროსა და ამავე ასაკში, როცა ამ თხზულებას ვწერდი, დავხატე ჩემი სოფლის პოეტური რუკა, რომელზედაც სოფლის ყველა მნიშვნელოვანი ადგილი დავიტანე და გვერდით შესაბამისი ლექსიც მივუწერე.

ჩემი, როგორც მხატვრის, გაქანებაზე უკვე მოგახსენეთ, მაგრამ ეტყობა, ისე ძალიან მიყვარდა ჩემი სოფელი, რომ ამან საკუთარი რეალური შესაძლებლობები სავესებით დამავინყა...

ის რუკა, რა თქმა უნდა, მურად მთვარელიძეს ვაახლე და ალბათ, დღემდე იდება სადმე მის არქივში. ლექსებიც ძალიან სასაცილო მქნერა. მაგალითად, მდინარე ფრონის იმ შენაკადთან, რომელიც ჩვენს სოფელში მოედინება და რომელსაც ან ფრონეს, ანდა ჭერათხელას ეძახიან, ასეთი სტრიქონები მქონდა მიწერილი:

ჩემი ჭერათხელა — ონავარი მდინარე,  
მამულის ფესვებიდან მუდამ გაუმდინარი,  
ხან აბობოქრებული,  
ხან ნელ-ნელა მდინარი,  
ჩემი ჭერათხელა — ონავარი მდინარე.

დანარჩენი ლექსები ახლა აღარ მახსოვს და ალბათ არც ღირდა დასამახსოვრებლად.

ჭერათხელა კი მართლა გამორჩეულად მიყვარდა მთელ სოფელში. აქ ბანაობას არაფერი მერჩინა. არ მახსოვს, როდის ვისწავლე ცურვა, რადგან, რაც თავი მახსოვს, ოდნავ მოთებოდა თუ არა, სოფლის გოგო-ბიჭები სულ რიყზე ვეყარეთ ჭერეთხევით და ჩემს დებსა და მშობლებს დიდი ძალისხმევა სჭირდებოდათ, რომ, გაჯიუტებული, როგორც წყლიდან ამოვეყვანე. შინ სულ ფხოწიალით მიმართევდნენ. ზოდი-აქოთი „თევზები“ ვარ და ალბათ წყალი რომ მიყვარს, ამ ამბავსაც მიუძღვის წელილი. ისე, შვიდთვია დაეზადებულვარ, თორემ, წესით, აპრილში, ვერძის ზოდიაქოთი უნდა გავჩენილიყავი და ეგებ ცოტათი მაინც მშველებოდა... ყოველ შემთხვევაში, მე როგორც ყველა ჭეშმარიტი ქართველი, საკუთარ სისუსტეებს სულ სხვას, ამ შემთხვევაში, ზოდიაქოს ნიშანს ვაბრალებ და მშვიდადა ვარ. „თევზები“ რომ არა, სულ არ მექნებოდა ასეთი გაორებული და წინააღმდეგობრივი ხასიათი, რომ არა „თევზები“, ასე ძლიერად არ მივეჯაჭვებოდი სიგარეტს, რომ არა თევზები, არც ინტუიცია მექნებოდა განვითარებული და ვიცხოვრებდი როგორც ყველა ნორმალური ადამიანი — დღევანდელ საზრუნავს ერთგულად მიჯაჭვული... კი, როგორ არა! ყველაფერი „თევზების“ ბრალია...

\*\*\*

თბილისში წამოვედი, რომ პაატა ნაცვლიშვილის რეკომენდაცია აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე მივიტანო. პაატამ სთხოვა ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ ირინე გოცირიძეს, ლექსების წერასა და მეცადინეობაში ხელი რომ არაფერს შეეშალა, ეგება ჩემთვის სტუდენტობაში ცალკე ოთახის გამოყოფა მოხერხებულიყო. მივედი უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსში და ჯერ ცხრილს ჩავხედე. პირველი კურსის გრაფაში „არაბული ენის“ გასწვრივ ორი ლექტორის გვარი და სახელი წერია: მ. ანდრონიკაშვილი და ნ. კახიანი, ქართული ენა — ლ. გეგუჩაძე უნდა გვასწავლოს, ენათმეცნიერების შესავალი — ნ. ქუთელიამ, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია — ჯ. აფციაურმა, საქართველოს ისტორია — ნ. ვაჩნაძემ, რუსული ენა — ქ. გიორგიძემ, გერმანული — დ. ფანჯიკიძემ, სპეციალობის შესავალი — ა. სილაგაძემ, არაბული ქვეყნების გეოგრაფია — ო. ცქიტიშვილმა. ლიტერატურის თეორია — რ. ჭილაიამ, არის კიდევ პარტიკულარული და ფიზიკულტურა და არსებითად — ამ ორი საგნის გარდა — მე ყველაფერი ძალიან მაინტერესებს.

გაუბედავად შევადე დეკანის ოთახის კარი და იქ გამხდარი, ჭაღარაშერეული, მაგრამ ძალიან ლამაზი და ცოცხალი ქალბატონი დავინახე. მობრძანდითო, მითხრა, და რომ გაიგო, ვინც ვიყავი, დღემდე დაუვინყარი კეთილგანწყობითა და სიყვარულით მიმიღო: კი, გადმოგიგზავნეს უკვე საბუთები და შენი გაცნობა ყველას ძალიან გვაინტერესებდა. აბა, შენ იცი, არაბულსაც როგორ ისწავლი, ხომ იცი, ძალიან რთული ენააო.

ასე მგონია, ჩვენს დეკანს, ქალბატონ ირინე გოცირიძეს, მთელი ცხოვრება ვიცნობ. ბავშვობაში წაკითხული „თურქული ზღაპრების“ ერთ-ერთი მთარგმნელი ბრძანდება და უკვე ვწერდი, რომ ამ წიგნმა თავის დროზე ნარუშული შთაბეჭდილება დამიტოვა. განსაკუთრებით სწორედ ირინე გოცირიძის თარგმნილი ზღაპრების დასაწყისი დამამახსოვრდა: „ძველ დროში, საცრის დროში, როცა ჯინები დალალობდნენ, რწყილები დალაქობდნენ, ხოლო მე მამაჩემის აკვანს ვარწვედი...“ ანდა: „ დროსა შიგან, ძველსა შიგან, საცერისა დროსა შიგან, როს ეშმაკნი ჯირითობდნენ ძველსა აბანოსა შიგან, აქედანა, იქიდანა, მე არ ვიცი, საიდანა, მესაზამთროვე გამოხტა აი, იმა კუთხიდანა. აი, ბატონო, ვაი, ბატონო, საზამთრო და რა საზამთრო! არც სასწორზე დაიდება, არც საწინზე დაიდება, არც მეტრობით იზომება, არც არშინით იზომება, თვალთ თითქოს ინახვის და მნახველი კი არ იქნება. ნაქსოვია თითქოს ხელით, მაგრამ არ კი იქსოვება. შევხედე და თვალი ვკიდე, ათი ფარა მივეცი და ათი ცალი შევისყიდე! საზამთროა ისეთი, რომ გაჭრი — გული გაიხარებს. ასე თქვეს და აბა, ვნახოთ, წინასწარ კი რა მახარებს! ამოვიღე ჩემი დანა, ჩემი ცული და ნაჯახი; ჰა გავჭერი, ჰა ჩავჭერი, ჰა ჩავყვევი უფრო ღრმაზე, მაგრამ დანა დაფუსვი და ქერქი გასკდა ზედ შუაზე. როცა ქერქი გადავხსენი, სიღრმისაკენ ჩავყავ ხელი. ამოვიღე ხელსამეთქი, შიგ არ ჩავეჭერ გულისხეთქით?! ვხედავ, მაგრამ რასა ვხედავ! — ერთ მხარეზე ლერწამსა და მეორეზე მტვერსა ვხედავ. მის ერთ გვერდზე მჭედელი რომ რკინას ჰკვერავს, მეორეზე დგას მღებავი, ნაირ-ნაირ ფერად ჰჭვერავს. ასავალი, დასავალი, აი, თავგადასავალი! არც კედელი აქვს, რომ გავანგრიო, არც კარები აქვს, ჩამოვანგრიო. აქეთ ვეცი, იქით ვეცი, ვერსად კი ვერ გავიქეცი. მწყემსი ვნახე იქ მოსული, არც სახეში შემომხედა, არც ისმინა ჩემგან თქმული: თავად ცხვრები დაკარგოდა, ძებნად იყო წამოსული. საზამთროში მოვხვდით ორივე, მე ვუამბე მონაჭორი. დარდიანი იყო ისიც, დარდიანი ვიყავ მეცა, თავის თავგადასავალი საღამურზე დააკენესა. ტყუილები მოვაყოლე იმის გასართობად მეცა, ოღონდ კი ნუ დაიჯერებთ, რადგან ზღაპარია ესა!“

მოკლედ, მთელი ეს ამხელა შესავალი ზეპირად ვიცოდი და, ცხადია, მის მთარგმნელს დიდად ვაფასებდი. რაც მთავა-

რია, ბედნიერი ვიყავი, რომ იმ ზღაპრის შესავალიც, რასაც უნივერსიტეტის სტუდენტობა ერქვა, სწორედ ირინე გოცირიძესთან პირადი ნაცნობობით დაიწყო.

მერე და მერე ისიც გამოვარკვიე, რომ ქალბატონი ირა, საერთოდ საუცხოო მოქართულე იყო და, მიუხედავად იმისა, რომ ლექციებს სხვა სპეციალობაზე, თურქოლოგიაზე კითხულობდა, მისგან მეც მაინც უამრავი რამ ვისწავლე სწორედ ქართულის თვალსაზრისით.

იმ წუთას, პირველი შეხვედრისას კი, ისიც ძალიან მიხაროდა, რომ ჩემთვის ასეთ მნიშვნელოვან ადამიანს პირადად ვხედავდი. მორიდებით ვაჩუქე ჩემი პირველი ლექსების კრებული „ობლის კვერი“. ქალბატონმა ირამ მითხრა, მეც ობლად ვარ გაზრდილი, და წიგნი ინტერესით გამომართვა.

„ობლის კვერის“ გამოცემაც მთლიანად პაატა ნაცვლიშვილის დამსახურება იყო. უკვე მოგიყევით, როგორ ვეძებდით ერთ დროს ქალაქს ხაშურში ჩემი წიგნის გამოსაცემად, და რა საინტერესო ამბავი გადამხდა თავს, ერთ-ერთი ასეთი მცდელობისას.

ამის შემდეგ მე და მაცყალა ხაჩიძე კიდევ რამდენჯერმე საგანგებოდ ვიყავით ჩამოსული თბილისის სტამბებში. ჩემმა ხაშურელმა მეგობრებმა ფული შემიკრიბეს და გადამხდეს, წიგნისათვის საჭირო ქალაქი ეყიდათ.

მაგრამ მე და მაცყალა ყველა სტამბიდან უარით გამოგვისტუმრეს: ასე ცოტა ქალაქს ვერ გავყიდით და, თუ შეიძენთ, ერთი რულონი მაინც უნდა იყიდოთო. ერთი რულონი კი, როგორც მახსოვს, ძალიან ძვირი ჯდებოდა.

საქმის დაგვირგვინება ბოლოს ისევ პაატა ნაცვლიშვილმა მოახერხა. შემავკრებინა მთელი ჩემი ლექსები (რომლებიც მზია მაღალაძემ გადამიბეჭდა თავის ლეგენდარულ საბეჭდ მანქანაზე), თბილისში ჩამომიყვანა და გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციიდან ერთი სართულით ქვემოთ, გამომცემლობა „მერანის“ მთავარ რედაქტორთან, პოეტ გივი ალხაზიშვილთან მიმიყვანა.

„მერანში“ მანამდე პაატას გარეშეც ვიყავი ნამყოფი. ოღონდ გივი ალხაზიშვილი არ მინახავს, ტაგუ მებურიშვილი და გამომცემლობის რამდენიმე თანამშრომელი გავიცანი. მებურიშვილმა ჩემი ლექსები წაიკითხა, თავი გადაიქნ-გადმოიქნა და ქმენით მითხრა: იცი, რა, ამ ლექსების დაბეჭდვა, პრინციპში, ალბათ შეიძლება, ოღონდ, ერთი ეგ არის, გვარი არ გინყოფს ხელს! ლობჯანიძე არაპოეტურად ჟღერს და სანამ კრებულს გამოსცემდე, მანამდე იქნებ ფსევდონიმის შერჩევაზე გეზრუნაო.

სიძარტლე რომ გითხრათ, ეს წინადადება იმდენად არასერიოზულად მომიჩვენა, რომ „მერანის“ სიახლოვესაც კი აღარ გამივლია.

ასლა შემიძლია ვთქვა, რომ ტაგუ მებურიშვილი არ იყო ცული კაცი, მაგრამ მაშინ მისმა რეპლიკამ ჩემს გულსა და გონებაზე ცუდად იმოქმედა.

დაახლოებით ორი წლის შემდეგ კი უკვე სტუდენტს, ბატონი ტაგუ შემთხვევით ტროლეიბუსში შემხვდა, მომიკითხა და მკითხა „ბახვა ლობჯანიძე რომ არის მთავრობაში, თქვენნი ნათესავი ხომ არააო?“

მე ეს ბახვა ლობჯანიძე არც კი გამეგონა, ვინ იყო და, საერთოდ, რა თანამდებობაზე მუშაობდა. ტაგუმ მითხრა: ეგ აუცილებლად ნათესავი იქნება თქვენი. კაი გვარის ხალხი ხართ, გაამზადე შენი წიგნის ერთი ეგ ზემპლარი, ერთად მივიდეთ და ვაჩუქოთო!

აღარ მახსოვს, ზრდილობის გამო შეიძლება კიდევაც დავპირდი, კეთილი-მეთქი, მაგრამ, ცხადია, ბახვასთან, მითუმეტეს, ტაგუს თანხლებით, მისვლაზე სერიოზულად არასდროს მიფიქრია.

გივი ალხაზიშვილმა კი პაატა და მე თავაზიანად მივიღო. გიორგის ლექსები ისედაც ვიცი და, წიგნსაც რასაც ვუყურებ, ცული ალბათ არ უნდა გამოვიდეს, მაგრამ, ხომ იცი, ჩვენთან

როგორი რიგია. ახლავე ჩავაყენოთ რიგში და ერთი-ორი წლის მერე ალბათ შევძლებთ კრებულის გამოცემით, — უთხრა პაატას.

პაატამ სთხოვა: ორი წლის მერე, არ ვიცი, რა იქნება. ეს კრებული კი მალე მიიწვია დაიბეჭდოს. ხომ მიწვევს ახლა, რამდენიმე თვეში, წიგნის რიგი, ჰოდა, მოდით, ჩემი წიგნი ამოვიღოთ და, სამაგიეროდ, გიორგის ეს კრებული გავუშვათ.

ყურებს არ ვუჯერებდი! ასეთ რამეს ძალიან ცოტა ადამიანი, პრაქტიკულად, არავინ იზამდა. ახლა შეიძლება წარმოუდგენელი იყოს, მაგრამ მაშინ მწერლები თავიანთი წიგნების რიგს წლობით ელოდნენ და სხვა ყველაფერს, თუნდაც მიმზიდველ ჰონორარს რომ თავი დავანებოთ, ამდენი ხნის ლოდინის გამო მაინც არავინ დათმობდა იმას, რასაც პაატა ნაცვლიშვილი ჩემ თვალწინ სრულიად უყოყმანოდ შეელია!

გივის გაელიმა, კარგი, კარგი, — პაატას უთხრა, იქვე, გამოსაცემი წიგნების საკმაოდ გრძელი ნუსხა ამოიღო უჯრიდან, პაატა ნაცვლიშვილის გვარს ხაზი გადაუსვა და მის მაგიერ ჩემი გვარი და წიგნის სათაური ჩაწერა.

წიგნს სათაურიც პაატამ შეურჩია. მე არასოდეს მომივიდოდა აზრად, კრებულისათვის „ობლის კვერი“ დამერქმია, რადგან, მიუხედავად ჩემი ობლობისა, თუ სწორედ ჩემივე ობლობის გამო, ამ თემაზე ლაპარაკსაც კი გავუბრუნდი და ახლა, მითუფრო, შეიძლებოდა ვინმეს ეს სათაური საკუთარი უბედურებით სპეკულირებდად მოენათლა.

თუმცა ჩემი უფროსი მეგობრის რჩევას საბოლოოდ მაინც დავყვი და, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დღეს იმ პირველი წიგნიდან ძალზე ცოტა რამე მეჩვენება ღირებული, ან უფრო ზუსტად, არაფერიც აღარ მეპიტნავება, ვფიქრობ, სულერთია, რა სახელწოდება ერქმეოდა.

წიგნზე მნიშვნელოვანი ამ გადასახედიდან ადამიანობის ის დიდი გაკვეთილი მგონია, რომელიც მაშინ პაატა ნაცვლიშვილმა ჩამიტარა: როგორ უნდა დათმო საკუთარი სიხარული სხვის — მითუმეტეს, ობლისა და უპოვარის — გასახარებლად.

რაკილა ეს მაგალითი მიდევს წინ, ახლა ალბათ იმავს მეც ზედმეტი დაძაბვის გარეშე მოვახერხებ, მაგრამ, ვეჭვობ, პაატა ნაცვლიშვილი რომ არ მოქცეულიყო ასე, დღეს ასეთი რამის გაკეთება მეც შემძლებოდა.

კრებულის დიზაინიც პაატამ გააკეთა. გურამ თიკანაძის ფოტოებიდან შესაბამისი ფოტო შეარჩია და, ვფიქრობ, იმ დროისათვის საუკეთესო ყდაც გამოვიდა. მიხაროდა, რომ ჩემს კრებულს თიკანაძის ფოტო ამშვენებდა. საერთოდ, ჩემს თაობას ცოტა კუმირი თუ ჰყავდა, მაგრამ ამ ცოტაში ორი გურამი — გურამ თიკანაძე და გურამ რჩეულიშვილი — გამორჩეულად გვიზიდავდა.

სკოლას რომ ვამთავრებდი, ჩემმა უფროსმა მეგობარმა მანანა ზარიძემ გურამ თიკანაძის დედა, ქალბატონი ტატიანა, გამაცნო და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დეიდა ტანამაც თავიდანვე განსაკუთრებულად მიმიღო. არ ვიცი, რა დაინახა ჩემში, მაგრამ ამბობდა, ასე მგონია, გურამი გამოცოცხლდაო, და მანანას ლამის ემუდარებოდა, მასთან უფრო ხშირად მივეყვანე. მიყვებოდა გურამის ამბებს, მაჩვენებდა შვილის გადაღებულ ფოტოებს, ნეგატივებს, და მეც მეტი რა მიმინდოდა, მოუნყინებლად ვუგდებდი ყურს ულამაზესი ქალბატონის მონათხრობს, რომელიც ისევ გარდაცვლილი შვილის მოგონებითა და სიცოცხლით სულდგმულობდა.

ერთ დღესაც მანანა ზარიძემ მითხრა: ტატიანა თვითონ ვერ გეუბნება და მე დამავალა გადმომეცა, შენი შვილად აყვანა უნდა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებაზეც თვითონ იზრუნებს, მანამდე კი გასაღებს მოგცემს და მასთან გადადი საცხოვრებლადო.

ტატიანა კი ძალიან მიყვარდა, მაგრამ მართალი რომ ვთქვა, ეს წინადადება რალაცნაირად არ მესიამოვნა. 17 წლის ვიყავი და, ეტყობა, ასაკობრივი სიამაყის გამო, ეს ამბავი

ვიუკადრისე. მანანასათვის გასაღები არ გამომირთმევია, ვუთხარი, რად მიიწვია, როცა მივალ, დეიდა ტანია ისედაც სულ შინ არ არის? — კარსაც თვითონვე გამიღებს-მეთქი.

ამის შემდეგ კი ვაკეში, თიკანაძეებთან, სულ რამდენჯერმე მივედი. ვეცადე, დეიდა ტანისათვის ამეხსნა, რომ ოთახნახევრიანი ბინა, სადაც იმჟამად თვითონ ცხოვრობდა, სამომავლოდ ან მის ქალიშვილს, რუსუდანს, ანდა გურამის ცოლ-შვილს ეკუთვნოდა და მათ უნდა დაერჩინოდა, მე კი გურამ თიკანაძის გულწრფელი, უანგარო სიყვარულის მეტი არაფერი მაშობრავებდა და მჭირდებოდა.

დეიდა ტანიამ ეს ჩემი განმარტება რატომღაც შეურაცხყოფად მიიღო, თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ ვიგრძენი, რომ ჩვენს ურთიერთობაში რალაც გაიზარა და ამის მერე ვეცადე აღარ შემეწუხებინა. ერთადერთი, როდესაც წიგნის გამოსაცემად ყდისთვის გურამის ფოტო დამჭირდა, მივაკითხე და დასაბეჭდად ნებართვა ვთხოვე. ცხადია, უყოყმანოდ დამთანხმდა და, მე მგონი, თვითონაც გაუხარდა, რომ ყდისთვის სწორედ გურამის ფოტოს გამოვიყენებდი.

ისე, ახლა რომ ვფიქრობ, ძალიან ბევრი უცნაური ადამიანი შემხვედრია და ამ უცნაურ ადამიანთა ნახევარი სწორედ მანანა ზარიძემ გამაცნო.

მანანა, თვითონ უსაყვარლესი მეგობარი და კარგი ლიტერატორი, მაშინ ჟურნალ „საქართველოს ქალში“ მუშაობდა. ამავე ჟურნალში კი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა შესანიშნავი პოეტი ქალი ნაზი კილასონია, რომლის ახირებულ ხასიათზეც ჩვენს საახლოლო წრეში ლეგენდებს ჰყვებოდნენ.

ნაზი იყო ძალიან ფაქიზი ბუნების, მაგრამ ძალზე იმპულსური ადამიანი და, როგორც ასეთ ადამიანებს ემართებათ ხოლმე, ისიც უკიდურესობებს შუა მიმონყვებოდა: ნელთბილი არავინ და არაფერი უყვარდა. მის სიყვარულს სიყვარული ერქვა და სიძულვილს სიძულვილი.

მაგალითად, მიყვებოდნენ, როგორ დემონსტრაციულად იფურთხებოდა ხოლმე შევარდნაძის ცოლის დანახვაზე, რომელიც ამავე ჟურნალში მუშაობდა და ნაზის თურმე განსაკუთრებულად ჰყოლია ამოძულებული. ეს სიძულვილი კი უფრო მკაფიოდ ჩანდა იმ საყოველთაო მლიქვნელობის ფონზე, რაც ნაწული შევარდნაძის მიმართ „საქართველოს ქალის“ რედაქციაში გამეფებულიყო. შეიძლება ზოგ თანამშრომელს გულწრფელადაც უყვარდა, მითუფრო, აკვარგინი ქალი ყოფილა და ბევრი მისგან დავალებულიც იქნებოდა, მაგრამ შევარდნაძის ცოლს უბატონოდ სიტყვას ვინ შეჰბედავდა, და მხოლოდ ნაზი კილასონია ახერხებდა, სიგარეტი ებოლებინა და დემონსტრაციულად ეფუთხებინა მისი თანდასწრებით.

როგორც ჰყვებოდნენ, ნაწული შევარდნაძეს ნაზი კილასონიას ამ გამოწვევებზე პირდაპირი პასუხი არასოდეს დაუბრუნებია. ოღონდ წარმატებით აუმუშავებია ამ სიტუაციებზე მორგებული, ერთი უძველესი — „დაანებეთ თავი, გიჟიას“ — მეთოდი, რომლის წყალობითაც მონინალმდეგეს თანდათანობით ისეთ სახელს უქმნიან და ისეთ ვითარებაში აყენებენ, რომ მისი სიტყვა სერიოზულად აღარავინ აღიქვას.

იყო მეორე, უფრო უღმობელი მეთოდი, და ესეც „წარმატებით“ მოქმედებდა ნაზი კილასონიას შემთხვევაში: მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე პოპულარული პოეტი ბრძანდებოდა და ხალხს მისი ლექსები ძალიან უყვარდა, მაინც სადაც კი საჭირო იყო, ყველანაირად უღობავდნენ გზას და გასაქანს არ აძლევდნენ. გზის გადაღობვა ორნაირად შეიძლებოდა: ერთი, რომ არ გამოეცათ მისი წიგნები, და მეორე — დაებეჭდათ მისი არა ნამდვილი, არამედ პოლიტიკური კონიუნქტურით შექმნილი ლექსები. თვითონ ნაზიც ამის საშუალებას უხვად სთავაზობდა მონინალმდეგეთ. საქმე ის არის, რომ დღევანდელი გადასახედიდან მისი ლექსები თითქოს ორი სხვადასხვა ადამიანის დაწერილია. ერთი უფაქიზესი ლირიკული ნაკადია, თავბრუდამხვევი პოეტური სიღრმეებითა

და გრძნობებით გამორჩეული, მეორე კი — კომუნისტური პარტიის, კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციის სახობო პანეგირიკები, რომელთაც ნაზი კილასონია ქრონიკული უფულობის გამო დაუსრულებლად წერდა და დაუბრკოლებლად აქვეყნებდა ჟურნალ-გაზეთებში. წერდა იმიტომაც, რომ ოსტატობა საშუალებას აძლევდა, ნებისმიერი რამ გაერთიმა, თუმცა მკითხველს უჭირდა დაჯერება, რომ ერთი მხრივ: „ო, პიონერიავ, მომავლის არმია, დასჭედე, დასჭედე ეგ შენი არია!“ და მეორე მხრივ — „შენი თვალების დაღლილი ეშხი თან გამყვავ, როგორც ლურჯი ღილილო, მე მხოლოდ ბავშვი მიყვარდა შენში და აღარ მინდა, კაცად გიხილო“ — ერთი და იმავე ადამიანის დაწერილი იყო.

მოგვიანებით, როცა ისევ მანანა ზარიძის წყალობით, ხელში ნაზი კილასონის ჩანაწერები ჩამივარდა, ეს უცნაურად კარგი პოეტი და ადამიანი სულ სხვაგვარად დავინახე და პოლიტიკური კონიუნქტურით მოტივირებული მისი ლექსების არსებობაც მშვენივრად ავხსენი.

იყვნენ პოეტები, ასეთ ლექსებს რომ არასდროს დაბეჭდვდნენ, მაგრამ უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრები პოეტი ქალი, რომელსაც მარტოხელას სამი შვილი ჰყავდა გასაზრდელი, ამ ლექსების გამოქვეყნებას არ თაკილობდა და ეგებ ესეც უფრო დიდი პროტესტი იყო რეჟიმის წინააღმდეგ, ვიდრე სხვა რომელიმე პოეტის დროისაგან საზგასმული გამიჯნულობა და ასკეტიზმი.

რაც მთავარია, ნაზისთვის ეს, როგორც ჩანს, პირველ რიგში იყო პროტესტი პოეზიის წინააღმდეგაც, რომელმაც ყოფაში უსიამოვნების, სიღარიბისა და უბედურების მეტი არაფერი მოუტანა.

სხვათა შორის, არ ვიცი, სად არის ახლა ნაზი კილასონიას ის ჩანაწერები, არადა, მათი გამოქვეყნება საშურ საქმედ მიმაჩნია, რადგან იმ ეპოქის ბევრ ისეთ რეალიას ააშკარავებს, რომელთა გაუთვალისწინებლადაც ჩვენი კულტურის იმდროინდელი ისტორია სრულყოფილი ვერაფრით იქნება.

იმ პირველი გაცნობისას კი, ჩემი ლექსების მოზრდილი დასტა რომ მქონდა ამოიღლიავებული, მანანამ საგანგებოდ გამაფრთხილა, უცნაური ქალია და მისგან არანაირი რეაქცია არ გაგიკვირდეს, მშვიდად იყავიო.

გამოვიდა ნაზი კილასონია ოთახიდან, ხელში ტარიანი სიგარეტი ეჭირა და ღრმა ნაფაზებით ეწეოდა, სახეზე ფერი აღარ ედო და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, სადაცაა ნაიქცევა-მეთქი. კაბა რალაცნაირად, დაუდევრად ეცვა, აჯაჯულ-დაჯაჯული, უწინდებო ფეხი საშინაო ჩუსტებში წაეყო და რწევა-რწევით უფრო სწორად, ისეთი ფრთხილად მოდიოდა, იფიქრებდი, დაჭრილი და მომაკვდავი ჩიტი მოფრინავსო.

ოთახის ცენტრში, ფართო სავარძელში ჩაჯდა და ლექსების დასტის ჩამოსართმევად ხელი უხმოდ, წარბანკეპილმა გამოიმინოდა.

ცოტა ხანს ათვალერა ეს დასტა, მერე მითხრა, მე არ შემიძლია და, აბა, შენ თვითონ წამიკითხო. მეც დავინყე ნაკითხვა და ძალიან გამიკვირდა, რომ ბოლომდე დიდი ყურადღებით მომისმინა.

შიგადაშიგ ამოიხრებდა ან წამოიძახებდა ხოლმე, რა კარგია, რა დიდებულიაო!

ახლა რომ ვფიქრობ, ძალიან სწორი რეაქცია ჰქონდა მხოლოდ უკიდურესად გულწრფელ სტრიქონებზე, დანარჩენი თითქოს არც ესმოდა, მაგრამ უნდა გენახათ, ჩემი ყმანვილური ნაწერიდან ნამდვილი და ყალბი ერთმანეთისაგან როგორ ელვის უსწრაფესად გამოაცალკევა. ლექსები დაიტოვა და იმ უზარმაზარი შეკვირდან „საქართველოს ქალის“ მომდევნო ნომერში ნაზი კილასონიას შერჩეული ჩემი ხუთი თუ ექვსი ლექსი დაიბეჭდა. მანანასგან კი ისიც გავიგე, რომ მე თვით ნაზი კილასონიას საყვარელ ადამიანთა „კოჰორტაშიც“ აღმოვჩნდი... თუმცა მერე თვითონ ნაზი რედაქციაში აღარასდროს მინახავს. ავად გახდა და შინიდან გარეთ აღარ გამოდიოდა.

ერთხელ, მეორე თუ მესამე კურსზე ვიყავით, როცა ჩემმა მეგობარმა პირიში ხუცურაულმა მასთან შინ მიმიყვანა. ნაზი მაშინ უკვე ლოგინად იყო ჩავარდნილი და ფაქტობრივად ეს ჩემი მეგობარი უვლიდა. ხანდახან შეკვრებდით ჩვენს ღარიბულ სტუდენტურ დანაზოგს, ვყიდულობდით სურსათ-სანოვავს და ნაზისთან მივდიოდით, რომელიც, ავადმყოფობის მიუხედავად, ჩვენს დანახვაზე უცნაურად გამოცოცხლებოდა ხოლმე და ათასგვარ თავშესაქცევ ამბავს გვიყვებოდა, ძირითადად თავისი ახალგაზრდული სიყვარულების ამბებს და იმ ასაკში ჩვენც ეს ამბები მომეტებულად გვაინტერესებდა...

მანანა ზარიძეს კი ვუმადლი კიდეც ერთ დიდებულ ადამიანთან ნაცნობობას, რომლის ჯერ შემოქმედებამ და მერე პირადმა მაგალითმა ჩემს სამომავლო გემოვნებაზეც და საერთოდ ცხოვრებაზე უდიდესი გავლენა იქონია.

საქმე ის იყო, რომ ერთხელ „საქართველოს ქალის“ რედაქციამ გადაწყვიტა ოთარ ჩხეიძესთან ინტერვიუ გამოექვეყნებინა. რაკი მანანამ იცოდა, რომ ოთარ ჩხეიძის შემოქმედების დიდი თავყვანისმცემელი გახლდით, მთხოვა, ეგებ ეს ინტერვიუ მე ჩამეწერა.

კითხვები მოვამზადე და დიდი ღელვითა და გულისხეთქებით მივედი ჩხეიძესთან. კარი მწერლის მეუღლემ გამიღო. უნდა გითხრათ, რომ იშვიათად მინახავს ასეთი დარბაისელი ქალბატონი. სანამ ბატონი ოთარი გამობრძანდებოდა, მისი მეუღლე შეეცადა, თავი უხერხულად არ მეგრძნო და მღელვარება როგორმე გაეფანტა. „სიკეთით აღსავსე“ — ასე შემოვიდა ჩემს ცნობიერებაში ეს დიდებული ქალი და მერე, წლების ურთიერთობამ პირველი შთაბეჭდილება კიდეც უფრო დამიდარსტურა და გამიღრმავა.

თვითონ ბატონი ოთარი ხომ საოცრება იყო, დინჯად აუჩქარებლად მელაპარაკებოდა, ოღონდ რალაც შინაგანი დრამატიზმითა და არტისტიზმით. მასხოვს, რომ ჰაერზე, უსაგნოდ სიტყვაც არ უთქვამს, რასაც ამბობდა, ყველაფერს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ძირითადად კი მისი შედევის „ბორიყის“ შესახებ ვსაუბრობდით. „ბორიყი“ მაშინ ის-ის იყო წავიკითხე და შთაბეჭდილებით რეტდასხმული ვიყავი. მინდა გითხრათ, რომ ეს რომანი იმ იშვიათ ნიგნთაგანია, რომლის ყოველ ნაკითხვაზეც ის პირველი ალტაცება კი არ მინდებდა, პირიქით, კიდეც და კიდეც ახალი ძალით იფეთქებს ხოლმე.

ხომ არის, ზოგი წიგნი ბავშვობისაა, ზოგი ყმანვილობის, ზოგიც კიდეც სიჭარმაგისა. ზოგი წიგნი კი მთელი ცხოვრება მოგდევს, ყველა ასაკში თანაბარი მღელვარებით კითხულობ და განიცდი.

ოთარ ჩხეიძე თავისებური მწერალია. თავისთან ძნელად მიგიშვებს, გაგანვალებს, მაგრამ ერთხელ თუ გაუგე, მერე ვეღარასოდეს მოსცილდები. მეც რამდენჯერმე გადავდე მისი რომანები, დავინყე და ვეღარ გავაგრძელებ. ვინვალე, ვიდრე ერთხელაც, ეტყობა, როცა ამისი დრო დადგა, ამ დიდებული მწერლის შემოქმედებამ არ შემისრუტა. მას შემდეგ ამდენი ხანი გავიდა და ოთარ ჩხეიძე ჩემი უსაყვარლესი მწერალია. ბევრს უკვირს ეს სიყვარული. ბევრი შეიძლება რაიმე არაჯანსაღ სარჩულსაც უდებდა, როცა ამას პირდაპირ ვაცხადებდი, მაგრამ მაღლობა ღმერთს, არავის გულის მოსაგებად არასოდეს დამჭირვებია არაფრის თქმა და ყოველთვის ვახერხებდი, უბოდიშოდ მეთქვა ხოლმე სწორედ ის, რასაც განვიცდიდი.

ვისაუბრეთ და ცოტა ხანში როსტომიც მოვიდა. ოთარ ჩხეიძის შვილი და თვითონაც ძალზე საინტერესო მწერალი. მანამდე როსტომი მაყვალამ გამაცნო ერთხელ, უნივერსიტეტის რალაც თავყრილობაზე, მაგრამ მაშინ უბრალოდ გამიხარდა ეს ნაცნობობა, სინამდვილეში კი წესიერად ვერც აღვიქვი, ვინ გავიცანი.

იმ საღამოს კი ეს ბიჭი სულ სხვანაირად დავინახე. ილიმეზობა, ჩვეულებისამებრ რალაცას ხუმრობდა და ისეთი ხალასი და გადამდეები კეთილგანწყობა ჰქონდა, რომ როსტომ ჩხეიძე მაშინვე უფროსი ძმასავით შემიყვარდა.

ნატო კორსანტი

# დრამა ნაპირებისა „სიმინდის კუნძულში“ გრძელდება

(სიტყვაზე უფრო მტკიცელი კადრებით)

„...ჭეშმარიტება მერიდიანზეა დამოკიდებული. აფერუმ სამართალს, რომელიც მდინართა შემოსაზღვრული. ის, რაც სიმართლეა პირინეებს აქეთ, სიმრუდეა პირინეებს იქით... მოდი და ნუ გავცდები: ვილაცას უფლება აქვს, მომკლას მხოლოდ იმიტომ, რომ წყალგალმა ცხოვრობს და რომ მისი მბრძანებელი ნაეკიდა ჩემსას, თუმცა პირადად მე არაფერი მაქვს მასთან სადავო“.

ბლუზ პასკალი, „აზრები“

რეჟისორ გიორგი ოვაშვილის ახალი ფილმი „სიმინდის კუნძული“, რომლის მსოფლიო პრემიერა შედგა — კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზის „ბროლის გლობუსი“ მფლობელი გახდა და საქართველოს მხრიდან ოსკარზეა წარდგენილი, წლების წინათ აღიარებული მისივე ფილმის „გალმა ნაპირი“ გაგრძელებაა თითქოს.

მდინარე ენგურის მიერ წყალდიდობათა ჟამს მოტანილი მიწისგან წარმოქმნილი „სიმინდის კუნძული“ გალმა-გამოლმა ნაპირების საზიარო კუნძულივითაა. აქ განვითარებული ფსიქოლოგიური დრამა კი ამონარიდი იმ სინამდვილიდან, რომელიც ორივე ნაპირს აერთიანებს.

„სიმინდის კუნძულშიც“ ისევეა, როგორც „გალმა ნაპირში“: გალმა ნაპირი მამინვე გამოლმა ნაპირად იქცევა, როგორც კი იქითა ნაპირზე აღმოჩნდები და პირიქით.

ნაპირების დრამა გრძელდება...და ფილმის ერთ-ერთი უმთავრესი შეგონება: „მინას მოაქვს ბრძოლა!“ ორივე ნაპირის გასაგონად არის ნათქვამი, იმის გათვალისწინებით, ვის რა წილი უდევს ამ ბრძოლაში.

კითხვა - „ვისია ეს მინა?“ მიწისთვის ბრძოლასავით მარადიულია და მას „სიმინდის კუნძულის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი გოგონა უსვამს ბაბუას. ბაბუა კი, „ეს მინა თავისი შემქმნელისაა!“ - პასუხობს.

„ეს უფლის მინაა!“ - ასევე სჯეროდა კომანის ტაძრის ქართველ მოძღვარს მამა ანდრია ყურაშვილს, რომელიც სწორედ ამ რწმენის გამო, აფხაზეთის ომის ბოლო ტრაგიკულ დღეებში, ტაძარში შემოჭრილმა ბოევიკებმა დახვრიტეს. მაშინ მამა ანდრიას ხვედრი მისმა თანამოაზრე აფხაზმა იური ანუამაც გაიზიარა.

ფილმში ამ საკითხის გლობალურ მნიშვნელობას უდავოდ ამცრობს აფხაზი მოხუცის ერთგვარი „დაზუსტება“, როცა ის - ქართველების მინა, აი, ის არისო, - ამბობს და ხელს გალმა ნაპირისკენ იშვერს.

პრობლემის მარადიულობა ამგვარ კონკრეტულ ვერ გუობს, რადგან შემქნელს ასევე ეკუთვნის ის მინაც (და ყველა სხვა მინაც), რომელზეც აფხაზი გლეხი მიუთითებს. მეტიც, მასვე ეკუთვნის თავისი შექმნილი ადამიანიც, რომელიც თავიდანვე განუდგა შემქმნელს და ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური სტრიქონების პერიფრაზისა არ იყოს, აღიძვრის იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე იქნება.

ფილმში მინა - მარჩენალსა და ადამიანს შორის არსებული მაგიური ურთიერთობის ჩვენებისფონზე ვითარდება მოქმედება.

„მინას მოაქვს ბრძოლა!“ და „სიმინდის კუნძული“ (რომელიც ვერ იქცა თავისუფლების კუნძულად, მიუხედავად იმისა, რომ ამის ნიშნებს შეიცავდა) არის დრამა ნაპირებისა და ამ ნაპირებზე მცხოვრები ადამიანებისა, რომლებიც „მინისთვის ბრძოლაში“ მოჰყვნენ.

ფილმი დაქარაგმებულია, იმდენადაც კი, რომ ზოგიერთი ქარაგმა არათუ გალმა ნაპირზე, არამედ გამოლმა ნაპირზეც სხვადასხვაგვარად აღიქმება.

ძალიან შთამბეჭდავი კადრია, როცა „სიმინდის კუნძულზე“ ხის ნავით მოდის მოხუცი აფხაზი გლეხი და ორივე ხელით გამალეხით იწყებს მინის თხრას, თითქოს გულში უნდა ჩაუძვრეს მინას, გულისცემა უნდა შეუმომოსო, მერე თითქოს გემოსაც უსინჯავს მას (მოქმედება კულმინაციას მაშინ აღწევს, როცა გლეხი მინის სიღრმეში ძველებურ მუნდშტუცს პოულობს)...

რატომ აფხაზი გლეხი და არა ქართველი? ეს კითხვა უკვე დასვეს (გიორგი ოვაშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ ამ როლში თავიდან მასაცქართველი გლეხი წარმოედგინა, თუმცა მერე ის აფხაზმა ჩაანაცვლა).

ბუნებრივია, ამ კითხვასაც აქვს არსებობის უფლება, თუმცა ჩნდება სხვა კითხვებიც: ვის ეკუთვნოდა მინის სიღრმეში ნაპოვნი მუნდშტუცი? მაინც რატომ ესათუება ასე განსაკუთრებულად მას მოხუცი აფხაზი მთელი ფილმის განმავლობაში? სინამდვილეში ვინ იყო აფხაზი გლეხის წინამორბედი: აფხაზი თუ ქართველი მინათმოქმედი?

ნობელის პრემიის ლაურეატი ჯონ სტაინბეკი თავის ერთ-ერთ გახმაურებულ რომანში „მრისხანების მტეენები“ წერს: „თუ ადამიანს მინა აქვს, ოღონდ ისე, რომ თავის მინაზე დააბიჯებს და უფლის მას, ნუხს, როცა მოსავალს კარგი პირი არ უჩანს, უხარია, როცა დროულად მოდის წვიმა, მაშინ ეს მინა მასთან შეზრდილია და ადამიანი როგორცა უფრო დიდია, რადგან მას აქვს მინა“. „მინა კეთილი“, როგორც მას რევაზ ინანიშვილი უწოდებს. „მინა კეთილი“, რომლისთვისაც მისივე თქმით, ყოველდღე უნდა ილოცო: „ღმერთო, ჩემი კეთილი მინა მიცოცხლეო“...

შემდეგ კი უკვე, როცა დილიდან საღამომდე მინასთან მოფუსფუსე აფხაზ ბაბუასა და შვილიშვილს (თურქი მსახიობის ილიას სალმანისა და ქართველი დებიუტანტის, 15 წლის მარინამ ბუთურიშვილის განსახიერებულ დამაჯერებელ სახეებს) ადევნებ თვალს, რამდენადაც გიჩნდება მათ მიმართ თანაგრძნობა, იმდენად არ გტოვებს სინანული იმ ადამიანებისადმი, რომელთაც „მინა კეთილი“ წაართვეს.

„მინას“ მოაქვს ბრძოლა... და რა ამოა ეს ბრძოლა, რა განწირული... კონფლიქტებით დასერილმა მსოფლიომაც ძალიან კარგად უწყის. რასაკვირველია, ამიტომაც აღიარეს „სიმინდის კუნძული“ კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე; მონპელიეს კინოფესტივალზე, სადაც ოთხი მთავარი ჯილდო დაიმსახურა: საუკეთესო ფილმი, საუკეთესო მუსიკა, კრიტიკის ჯილდო და ფესტივალის მთავარი პრიზი „ოქროს ანტიგონე“ („L'Antigone d'Or"). ამიტომაც აღიარეს ამავე ფესტივალზე ფილმის მთავარი როლის შემსრულებელი მარიამ ბუთურიშვილი საუკეთესო მსახიობ ქალად, გიორგი ოვაშვილი — საუკეთესო რეჟისორად. ამიტომაც მიიღო ხორვატიისა და ანაპის საერთაშორისო ფესტივალების გრანპრი და ა. შ. ამიტომაც მოიპოვეს კიდევ არაერთ აღიარებას.

„სიმინდის კუნძული“ არის დრამა ბავშვობანართმეული ბავშვებისაც, რითაც ის „გალმა ნაპირის“ გაგრძელებასავით აღიქმება. ეს დრამაც ორივე ნაპირისთვის საერთოა.

„გალმა ნაპირის“ მთავარი გმირის - ქართველი თედოს გაუხარელ ბავშვობას „სიმინდის კუნძულში“ აფხაზი გოგონას გაუხარული ბავშვობის ამბავი ცვლის. გოგონასი, რომლის სახეც იმდენად განზოგადებულია, რომ ფილმში მისი სახელიც არ ხმინდება.

კონფლიქტთა საკითხებზე ბოლო წლებში არაერთი ფილმი გადაიღეს. გიორგი ოვაშვილი ამ პრობლემის ჩვენების განსხვავებულ გზას დაადგა: მან უშუალოდ კონფლიქტთა ისტორიის, რეალობის თუ ომის ბატალიების ასახვას, მისი მსხვერპლი უბრალო ადამიანების სულიერ მოძრაობათა, მათი შინაგანი სამყაროს გადმოცემა არჩია. გიორგი ოვაშვილის ფილმებში ისინი ძალიან ადამიანური არიან, მიუხედავად იმისა, რომელ ნაპირზე და როგორ რეალობაში ცხოვრობენ.

რეჟისორმა „სიმინდის კუნძულში“ ამ ყველაფრის მიტანა მაყურებელამდე მხოლოდ რამდენიმე წინადადებით შეძლო. ბაბუა და შვილიშვილი უმეტესწილად ჩუმად არიან. საკუთარ თავთან განმარტობულნი არასოდეს თამაშობენ სიტყვებით. დუმილით ესაუბრებიან ერთმანეთს და ამ დუმილში განიცდება სამყაროს სევდა, დარდი და საფიქრალი. ამასთანავე, საოცრად მეტყველი კადრებით, მინიმუმებითა და ქვეტექსტებით იგრძნობა, რომ მათი სულიერი ცხოვრება აშკარად ჯაბნის უსახურ ყოფიერებას.

მიუხედავად ამისა, ბაბუასა და შვილიშვილის ამგვარი ურთიერთობა მათ შორის გაუცხოებად არ აღიქმება. ისინი მანც შეიგრძნობიან ერთ მთელად, რომელსაც მინა კეთილი კრავს და ამთლიანებს.

ყველაზე მეტად ეს მიმართება იმ წუთებში ხდება საცნაური, როცა ბაბუასა და შვილიშვილს შიშველ მინაზე გვერდიგვერდ პირაღმა გართხმულებს ვუყურებთ. გოგონა ამ დროს სხეულის ყოველი ნაკვითი შეისრუტავს თითქოს მინის ყოვლისშემძლე ძალას, ენერგიას, სითბოს და...

ბავშვობიდან ქალიშვილობამდე სულ რამდენიმე ნაბიჯი აღმოჩნდება...

ომი ირგვლივ ყველაფერს ნაცრისფერ ბურუსში ხვევს, ნათელ ფერებს, სიყვარულსა და სიკეთეს მუქი საშლელით შლის, დადებით ემოციებსა და გრძობებს ახშობს, მეტიც — სპობს და ანადგურებს. ბუნება კი ომს არ დაგიდევს, ჩვეულ გზაზე მიდის და ყველასგან თავისას ითხოვს. მან აიყოლია გოგონაც, რომელიც მერე ჩუმი შიშითა და ბავშური გაოცებით უმნეოდ აკვირდება საკუთარ თავში მომხდარ ცვლილებებს. გულჩათხრობილი ბაბუას ანაბარა დარჩენილ გოგონას არც არავინ ჰყავს, თავისი საიდუმლო რომ გაუმხილოს, თუნდაც რჩევა ჰკითხოს...

მინა კეთილისგან „ნაქებულში“ გოგონა სხვა მხრივაც იცვლება: მინას უშინაურდება, თოხნის, სიმინდს უვლის, თევზს იჭერს, ასუფთავებს, აშრობს, ნიჩაბს მარდად უსვამს და სახლშიც მარტო დადის...

სადაც ამ შუალედში გაკრთება სწორედ მრავლისმეტყველი კადრი: თოჯინა და ჩაქუჩი გვერდიგვერდ; მერე უკვე ლოცვით მიგდებულ გოგონას განუყრელი ნაჭრის თოჯინა (სწორედ გაულში ჩახუტებული ამ თოჯინით მოდის ის პირველად „სიმინდის კუნძულზე“), რომელსაც მალე სულაც კედელზე ჩამოჰკიდებს. გოგონა თოჯინას - ანუ საკუთარ ბავშვობას — ეთხოვება და, როგორც ჩანს, ვიღაცებს ფილმში საოცარი ნიუანსებითა და სიღრმით გადმოცემული ამ ამბის ახსნა (ბევრ სხვა რამესთან ერთად) გამოდმა ნაპირზეც სჭირდება.

ქალიშვილი უკვე თვალსაც კი უსწორებს მოტორიანი ნავებით ჩამოვლილ აფხაზ სამხედროებს თუ ენგურს გაღმა ნაპირიდან ჭოგრიტით მომზირალ ქართველ ბიჭებს. აშკარაა, არც ამ ბიჭებს დადგომიათ კარგი დღე. ავტომატების კაკანსა და ზარბაზნების ქუხილში დაჭაბუკებულთ, ქალის ხილვაც კი, თუნდაც გაღმა ნაპირიდან, უჩვეულოდ აღელვებთ და აცეტებთ (ამ დროს დაკარგული თაობის განცდაც ჩნდება)...

დაჭრილი ქართველი ჯარისკაციც სწორედ ამ რთულ ვითარებაში მოდის „სიმინდის კუნძულზე“. მოდის, რათა რეალობას მონყვეტილი სამყაროს მინიმოდელი, თავის ბინადრებთან ერთად, რეალობაში დააბრუნოს.

მოხუცი აფხაზი დაჭრილ ქართველს უვლის და მას აფხაზ მებრძოლებს უმაღავს. ბუნება აქ ისევ მძლავრობს და ქალში ქალურ, ხოლო მამაკაცში მამაკაცურ ინსტინქტებს აღვიძებს, მიუხედავად იმისა, ვინ რომელი ნაპირიდანაა.

აფხაზი ქალიშვილი ქართველ ჭაბუკს ეკეკლუცება, თამაში იწვევს, მერე თავზე ერთ სათლ წყალს ასხამს და საბოლოოდ



გიორგი ოვაშვილი

აფხიზლებს თითქოს... მირბის აფხაზი ქალიშვილი სიმინდის ყანაში და მისდევს ქართველი ჯარისკაცი; ლეღავ, არ დაენიოს ქართველი ჯარისკაცი აფხაზ ქალიშვილს, რაღაც არ შეემალოს, რაღაც არ შეგვემალოს ათასი მოყურადისა და მოენის თვალნი და შვებით ამოისუნთქავ - ამბავს, რომელიც სხვა ფილმებში სულ სხვაგვარად განვითარდებოდა, აქ ზუსტად ჩვენთვის შესაფერისი თუ „მიზანშეწონილი“ ფინალი აქვს: ენგურში შესული ქალ-ვაჟი გარკვეულ დისტანციაზე ჩერდება და ერთმანეთს წყლის შხეფებით ეთამაშება. ამ შემთხვევაში ფილმის სხვა შეგონებაც გახსენდება: „მდინარეს მოაქვს სიცოცხლე“... თუმცა ამაზე შეჩერებაც ძალიან შორს წაგვიყვანს და სათქმელსაც შორს გაგვიქცევს.

სათქმელი კი ამ თითქმის უსიტყვო, მაგრამ საოცრად მეტყველი კადრებით დახუნძლულ ფილმში ამოუნურავია და ბარემ აქვე ვიტყვი: გიორგი ოვაშვილი პოლიტიკურ (და არამცადაარამც ეთნიკურ) კონფლიქტთა შედეგებზე შექმნილ ფილმებში ამკარა პოლიტიკურ აქცენტებს გაურბის, რითაც როგორც ხელოვანი, უთუოდ იცებს. მაყურებელი თავისუფალია, მას არავინ ზღუდავს ამათუიმ კადრში, ეპიზოდში ესათუის კონკრეტული ჩანაფიქრი ამოკითხოს. „სიმინდის კუნძულის“ ერთ-ერთი უპირატესობა ესეც არის.

ამ თვალსაზრისით ფილმის ფინალი ერთგვარ პოლიტიკურ ქვეტექსტადაც განიცდება: აფხაზ გლეხს წყალდიდობათა პერიოდი მოსავლის დაბინავებამდე მოუსწრებს. თავსხმასა და ნისლიან თქეშში მოყოლილი ბაბუა და შვილიშვილი თავგანწირვით ებრძვიან სტიქიას. აბოპოქრებულ ენგურს თავისავე მოტანილ მინას შლის და სიმინდებიანად შთანთქავს.

მოხუცი აფხაზი საკუთარი ხელით ამენებული ქოხის ნანგრევებში ექცევა. თუმცა მანამდე ნავზე ქალიშვილის დასამასა და გაცოფებულ ენგურში ნავის შეცურებას მოასწრებს... ამ შემთხვევაში აფხაზი ქალიშვილი შესაძლო გადარჩენის მინიმუმება გასაგება (ამაზე მეტყველებს თუნდაც სიმინდის ტაროებით ნახევრად დატვირთული ნავი და სადურგლო ხელსაწყოების ყუთი, რომლის შეგდებაც ნავზე ბაბუამ ბოლო წუთებში მოახერხა)...

ფილმი აქაც შეიძლება დამთავრებულიყო. თუმცა რეჟისორმა სათქმელი კიდევ უფრო მეტად განავრცო, როცა სიმინდის კუნძულიდან გადარჩენილ მინის ნაგლეჯზე, ისევე ადრიან გაზაფხულზე, ახალგაზრდა მამაკაცი მოიყვანა. ქართველი თუ აფხაზი? ეს უკვე მაყურებლის ინტერპრეტაციაზე დამოკიდებული. კუნძულის ახალი სტუმარიც თავისი წინამორბედივით მინის თხრით იწყებს და მასავით წინამორბედის ნაკვალევს — ამჯერად ჩვენთვის კარგად ნაცნობ ნაჭრის თოჯინას — პოულობს. ვინ იცის, იმის სიმბოლოდაც, რომ პოეტ შოთა ნიშნაინძეს რომ დავესესხოთ, ბედს ვერავინ გაექცევა და მის ხელში დიდიც, პატარაც თოჯინები ვართ ყველანი...

**P.S. კონფლიქტთა მოგვარების პროცესში ხელოვნების ენის მნიშვნელობაზე ბევრი დანერილა და თქმულა, მაგრამ თუ ეს ენა თვით ერთი ნაპირის მკვიდრთაც არ ესმით? წარმოსდგენადაც ძნელია, რა ჯაფაა გასანევი, რათა ხელოვნების ენა ორივე, გაღმა-გამოღმა, ნაპირებისთვის გასაგები და, მითუმეტეს, მისაღები გახდეს.**



მეფეა  
ზაალიშვილის  
თარგმანებიდან

უოლეს სტივენსი

ჯარისკაცის  
სიკვდილი

იკუმშება სიცოცხლე, სიკვდილია მოსალოდნელი,  
ისე, როგორც ჟამს შემოდგომის  
ჯარისკაცი ძირს ეცემა.  
ის არ მოიხვეჭს გმირის სახელს მხოლოდ სამი დღით,  
იმქვეყნად წასვლას თავს არვის ახვევს  
და არ მოითხოვს ზარსა და ზეიმს.  
უცილობელი არის სიკვდილი ძეგლის გარეშე,  
როგორც სჩვევია შემოდგომას,  
როცა ქარი სრულად ჩადგება;  
ქარი ჩადგება, მაგრამ ზეცაში  
ისევ და ისევ დიან ღრუბლები  
თავიანთ გზაზე...

**პლანეტა მაგიდაზე**

ლექსების თხზვისას არიელი ხარობდა მეტად,  
ის ლექსებს წერდა იმაზე, რაც ხსოვნას შემორჩა,  
რაც მოეწონა ან ლამაზად რაც მოეჩვენა.  
მზისგან შექმნილი სხვა ქმნილებანი  
უნესრიგონი და მწირნი იყვნენ,  
დაკრუნზულიყვნენ მწიფე ბუჩქებიც.  
მზე და მისი „მე“ ერთურთს ერწყმოდნენ  
და ყველა ლექსიც, რაც მის „მე“-მ შექმნა,  
იყო იმავე მზის სახექმნილება.

ის კი არ არის უმთავრესი, რომ ლექსი დარჩა,  
არამედ ის, რომ მას შესწევდა იმის უნარი,  
აღბეჭდილიყო ყველა ნაკვთი, ყველა წვრილმანი,  
რომ მოეხდინა თუნდაც სუსტი გავლენა მათზე  
იმ პლანეტის ღატაკ სიტყვებით,  
რომლის ნაწილსაც თვით ისინი წარმოადგენენ.

**სიტყვილი პარკი**

მარტი... თოვლზე ვილაცამ გაიარა,  
იმ ვილაცამ, შეუცნობელს რომ დაეძებდა.

ეს იმ ნავსა ჰგავს, ნაპირს რომ მოსწყდა  
ღამით და მწუხრის ბინდს შეერია.

ეს ჰგავს გიტარას, მაგიდაზე დადების შემდეგ  
ქალს რომ რატომღაც გადაავიწყდა.

ის იმ კაცის შეგრძნებებსა ჰგავს,  
ნაცნობი სახლის დასახედად კვლავ რომ დაბრუნდა.

ოთხმხრივმა ქარმა შეაღწია იმ ტალავერში,  
გარს რომ არტყია გამხმარი ვაზი.

ფელისიან მარსო

**ორი ნოველა**

იმაკოლათას მინა

— მარი'ანტო!

შუადღის ძილით ღრმად ჩაძინებულს ყვირილი მესმის და  
მალვობს. ვბუზღუნებ, გვერდს ვიცვლი. ამაოდ, ამაოა კვლავ  
ჩაძინების მცდელობა. როდესაც იმაკოლატა შვილს ძახილს  
უნწყებს, ოცნუთიანი მაინცაა. შემონმებული მატებს. დაახლოე-  
ბით ოცდაათი დაძახება მაინცაა საჭირო, რომ ან მარი'ანტომ  
გააგონოს ან დედამისი შეწუხდეს და მის საძებრად წავიდეს.

— მარი'ანტო!

ხმა ერთი ტონითაც არ იწვეს. თითქოს იმაკოლატა მექანი-  
კურად ყვირის, ისე უსაზმოდ. ფანჯრიდან ვხედავ ვინრო, კაქ-  
ტუსებით, ველური ყვავილებით, ფორთოხლისა და ლეღვის ხე-  
ებით გადავლილ ეზოს. ჭახჭახა მზუა. გადამხმარ მიწაზე ჩრდი-  
ლები დანით გადაჭრილებს ჰგვანან. არაფერი იძვრის. თვით მა-  
რი'ანტოც, ვის პატარა ნითელ კაბასაც ძალღყურძენას უკან  
ვხედავ. განაგრძობს თამაშს. სხვათა შორის, ზუსტად დედამი-  
სივით, რომელიც თავის სამზარეულოში განაგრძობს ყვირილს,  
ქვავების ხეხვას ან დანული ჩაღის მარათი დანიავენას, რო-  
მელსაც ნაღვერდალის გასაღვივებლადაც იყენებს ხოლმე. აქ  
რალაც უსიტყვო გასაუბრების მსგავსთან გვაქვს საქმე. ორი-  
ვემ, დედამაც და შვილმაც, კარგად იცის, რომ ეს ძახილი მხო-  
ლოდ რალაც ფორმალობას წარმოადგენს განკუთვნილს...

— მარი'ანტო!

...განკუთვნილს თითქმის უცვლელ ფინალურ რიტუალამ-  
დე მისაღწევად: იმაკოლატა იფეთქებს, წყევლა-კრულვით ეშ-  
ვება ეზოში, ერთი კარგად ნაუთაქებს მარი'ანტოს, მარი'ანტო  
ატირდება და იმაკოლატა კვლავ უბრუნდება სამზარეულოს  
ცას და დედამინას იმონმებს, შეჰლაღადებს ფორთოხლის ხე-  
ებსა და ძალღყურძენას ბუჩქებს, რომ ეს ბავშვი მისი ჯვარც-  
მაა, რომ ნამდვილად ის მოუღებს ბოლოს. რალა თქმა უნდა ეს  
უბრალოდ სიტყვის მასალაა, ლაპარაკის მანერაა. იმაკოლატა  
აღმერთებს თავის ნაბოლარას, ყველა ჭირვეულობას, ცელქო-  
ბას პატიობს. იმ დღეს მარი'ანტომ დახია ფურცლები, რომლე-  
ბიც ჩემს საწერ მაგიდაზე ნახა. დედა ძალიან გაუწყრა, მაგრამ  
ნამსვე დაამატა, რომ სხვა პატარა გოგონა ნაგლეჯებს ნამდ-  
ვილად მთელ ოთახში მიმოაბნევედა, მარი'ანტომ კი მშვენიერ  
პატარა გროვად დაყარაო. მართალი იყო, მაგრამ ურიგო არ  
იქნებოდა ეს მშვენიერება ამცდენოდა.

უეცრად რალაცამ განმაცვიფრა: იმაკოლატა აღარ იძახდა.  
მარი'ანტომ გაუგონა? არა, ისევ იქაა, ვხედავ მის კაბას ძალღ-  
ყურძენას გრძელ მტევენებს უკან. აქედან უნდა დავასკვნა: იმა-  
კოლატამ ფარ-ხმალი დაყარა. ეს, მაგალითად, სიახლეა. იმა-  
კოლატა სუსტია, მაგრამ ჯიუტი. თავისი ჩანაფიქრი, თუნდაც  
უმცირესი, ბოლომდე მიჰყავს. ოხვრა-კვნესით მიიწვეს წინ,  
მაგრამ უკან არასდროს იხვეს. ისიც მართალია, რომ ამ ბოლო  
ხანს იმაკოლატა ვერაა კარგად. რალაც შეუჩნდა, ხრავს, აწუ-  
ხებს. ვიცი, რაც. მელაპარაკა ამის თაობაზე. მისი მინის ნაკვე-  
თის ამბავია. გრძელი ისტორიაა. დიდი ხნის წინანდელი.

აქ უნდა ითქვას, რომ ერთ დღეს, ასე ათიოდე წლის წინათ,  
იმაკოლატამ ძმისგან მემკვიდრეობა მიიღო. იქამდე მშვიდად,  
ღარბად ცხოვრობდა თავის ხუთ შვილსა და ქმართან ერ-  
თად. განზრახ ვახსენე ქმარი ბოლოს. ახლა გარდაცვლილია,  
მაგრამ ცოცხალიც ყველაზე ნაკლებ ანგარიშგასანევი იყო  
მთელ ოჯახში. იმაკოლატა სრულად ბატონობდა. მხოლოდ

\* ციკლიდან: „კარგი ბუნებისანი“

შესახებდობითაც კი. ქალიშვილობაში ალბათ გამხდარი და ნარნარა იქნებოდა, მაგრამ რაც მე ვიცნობდი, სულ უზარმაზარი იყო, კაბაში ძლივს ეტეოდა, თმა სახეზე ჰქონდა ჩამოშლილი, სულ ხმამაღლა ლაპარაკობდა. ქმარი, პირიქით, პატარა, კაფანდარა, მშვიდი, თავაზიანი კაცი იყო. ხელობით დურგალი. და განსაკუთრებული სახასიათო ნიშანი ჰქონდა, სულ დანტე ადგა პირზე. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ნაწყვეტებს ამბობდა ზეპირად, არამედ ნამდაუნუმ ასხენებდა, იმონებდა: „დანტეს უნდა ენახა ეს“ ან „დანტე უკეთ ვერ იტყოდა“ ან კიდევ, უფრო მარტივად „ეს დანტესეულია“.

მოკლედ, იმაკოლატას ჰყავდა ძმა, მოხუცი ფაბიო, სოციალური მდგომარეობით მეწარმე, მის განკარგულებაში ოთხი კალატოზი და ხუთი თუ ექვსი მოხუცი ქალი იყო, სრულიად ნამდვილ გამოთავყვანებულნი, რომელთაც თავზე შემოდგმული კალათებით ნესვებს აზიდვინებდა, რაც ძალზე მოხერხებული მანერა იყო გადასახადებისგან თავის დასაძვრენად. ეს ფაბიო, ერთ დღეს მოკვდა და იმაკოლატას მთელი თავისი ქონება დაუტოვა: ბინა და ძალზე ცუდ მდგომარეობაში მყოფი რაღაც სამშენებლო მასალა. მასალა წამსვე გაყიდა. იმაკოლატამ და მისმა ოჯახმა დაიკავეს ბინა. ეს უკანასკნელი უზარმაზარი შენობის ნაწილი იყო, ოდესღაც მონასტერი ყოფილა, შემდეგ მეფე მიურატის ჯარისკაცთა ყაზარმა და მერე ორმოციოდე ბინად გადაყოფილი, სრულიად მოუვლელი, მაგრამ სქელი, ერთი მეტრი სისქის კედლებით და კიბით, სადაც ექვსი ცხენი გვერდგვერდ თავისუფლად გაივლიდა. შუაში დიდი ეზო იყო, სადაც სამი ბებერი, სპილოს თათებივით დამსკდარი პალმა იდგა.

მემკვიდრეობის მიღებიდან თხუთმეტიწლიანი თავზე იმაკოლატას ქალაქი მიუვიდა, რომელზეც მინის გადასახადი იყო მითითებული, რაც უნდა გადაეხადა. რაღა თქმა უნდა, ასეთი რამ ჯერ არასდროს შემთხვეოდა. ძალიან გაამყადა ამით, სამი კვირის განმავლობაში ამაზელა ელაპარაკებოდა მეზობლებს, კარგ ტონად მიაჩნდა, თავი შენუხებულად მოეჩვენებინა ამ გადასახადის გამო, ზუსტად ამბობდა თანხას, რომელსაც მისგან მოითხოვდნენ და ბოლოს გადაიხადა კიდევ, ისე რომ ქალაქი წესიერად არც კი წაუკითხავს და, რასაკვირველია, ქმრისთვისაც არ უჩვენებია. ეს უძრავი ქონება მხოლოდ მას ეკუთვნოდა და მასვე უნდა ემართა.

მომავალ წელს, როგორც მოსალოდნელი იყო, ისევ მოვიდა ქალაქი. იმაკოლატას ენთუზიაზმი ცოტა შენეულა. ფურცელი უფრო ყურადღებით გადაიკითხა და, მიუხედავად გარკვეული გონებაჩლუნგობისა, შენიშნა, რომ აქ საქმე მინის ნაკვეთს ეხებოდა, რომელიც ვია კაპოდიმონტეს ნომერ 17 მდებარეობდა და რომელზეც აქამდე არაფერი სმენოდა. აღელდა, რამდენიმე კვირა იფიქრა ამ საკითხზე და ბოლოს დაასკვნა, რომ როგორღაც ზარალს აყენებდნენ მის მემკვიდრეობას. აქედან გამომდინარე, ნოტარიუსს ეწვია და ძალზე გაცხოველებული საუბრის შემდეგ ამ კაცმა ძლივდობით და ხელის ხელში გაყრით როგორც იქნა დაარწმუნა, რომ მემკვიდრეობის გადაცემის ოპერაციები სრულიად მონესრიგებული იყო და საქმე სავარაუდოდ ადმინისტრაციულ შეცდომას ეხებოდა. იმაკოლატა კრუხივით აჯდა ამ პრობლემას რამდენიმე კვირის განმავლობაში, რის შედეგადაც შესენება მიიღო, რომელმაც გადასახადთა შემკრებთან მიიყვანა. ეს კაცი ოფიციალური აღმოჩნდა: შესაძლოა იყო შეცდომა, ის არ უარყოფდა ამ ჰიპოთეზას, მაგრამ ჯერ გადახდა იყო საჭირო.

- მინის ნაკვეთისთვისაც?
- მინის ნაკვეთისთვისაც.
- კი მაგრამ, ის ჩემი არაა...
- ჯერ უნდა გადაიხადოთ. იმავდროულად, ყურადღებით ჩავინიშნავ თქვენს საჩივარს. თუ ეს შეცდომაა, შიში ნუ გექნებათ, თანხა უკან დაგიბრუნდებათ.

— მაგრამ...

— ასეთია წესი.

ამ მკაცრმა კანონმა ააღელვა იმაკოლატა. გადაიხადა.

გადასახადთა ამკრეფი ბრწყინვალე კაცი იყო. მაგრამ უაღრესად ლათინური უცნაურობა სჭირდა: პრეტენზია ჰქონდა, რომ უკვე მანამდე იგებდა საქმის არსს, სანამ აუხსნიდნენ. რა თქმა უნდა სულ თავდაყირა შეადგინა საჩივარი. აქ კიდევ ახალი ადმინისტრაციული შეცდომა იქნა დაშვებული. კვლავ იმედგამაცრუებელი პასუხი მოდიოდა. ათი თვის თავზე იმაკოლატამ წერილი მიიღო, რომელიც აცნობებდა, რომ მისი საჩივარი შეუძლებელია ყოფილიყო გათვალისწინებული და დაკმაყოფილებული, რადგანაც ზემოხსენებული გადასახადის ნიხრი სრული სიზუსტით იყო ნაანგარიშები. და ორი თვის შემდეგ კიდევ ახალი ფურცელი: მინის ნაკვეთი იქ ისევ მოიხსენიებოდა კუთვნილ ზეგარასთან ერთად. იმაკოლატამ ისევ მიმართა გადასახადთა ამკრეფს. ისევ შეადგინეს ახალი საჩივარი და, პასუხის მოლოდინში, ისევ გადაიხადა.

ასე გავიდა ერთი წელი. გადასახადის ახალ ფურცელს ცოტა ხნის შემდეგ წერილიც მოჰყვა, რომელიც ხაზს უსვამდა, რომ ერთი წლის განმავლობაში გადასახადის გადახდელი პირნათლად იხდიდა ზეგარას; საიდანაც ასკვნიდნენ, რომ იმ მომენტისთვის ის იყო ამ მინის მფლობელი; და თუ შემდეგ მინა გადავიდა სხვის ხელში, საჭირო იყო გადახდელს ეცნობებინა მიმღების სახელი და წარედგინა გაყიდვის აქტის ასლი.

აქ იმაკოლატამ თავშეკავება დაკარგა. ისე დაუმძიმდა გული, დარდი ქმარსაც კი გაუზიარა. ამ უკანასკნელმა ერთი შესძახა და მდგომარეობას დანტესეული კვალიფიკაცია მიანიჭა. მაგრამ ეს არ იყო გამოსავალი. საკონსულტაციოდ ერთ მეზობელთან პენსიაზე გასულ კარაბინერთა სერჟანტთან წავიდნენ, რომელსაც უბანში გარკვეული წონა ჰქონდა. სხვა მეზობლებიც მოიხმეს მასველებად. საუბარმა მალე თავბრუდამხვევი მიმართულება მიიღო და ყველაზე გასაოცარი აზრობა იქნა გადმოსროლილი ხალიჩაზე. ამ ღრიანცელში იმაკოლატას ქმარი ცდილობდა თავისი აზრი გამოეთქვა.

— რომ ნაფულყავით და გვენახა ეს მინა?


მაგრამ გამტყუნებული დარჩა, წყნარი კაცი იყო და მხოლოდ ერთხელ მოახერხა სათქმელის თქმა. კაციშვილმა არ უგდო ყური. სხვები უთავბოლო კამათში იყვნენ თავით გადაშვებულნი. სერჟანტს რაც შეეხება, მას მიაჩნდა, რომ უნდა გადაეხადათ და ადმინისტრაციას მინდობდნენ.

— ჯერ გადახდა!

ეს ავტორიტარული პრინციპი მოსწონდა. ერთმა, უფრო გაქნილმა, თქვა, რომ გადახდის ძალით, ხანდაზმულობის ვადით შეეძლოთ ეთამაშათ და ერთ მშვენიერ დღეს დიდი სარგებელიც ენახათ. მესამემ უფრო შორს შეტოპა და თქვა, რომ რახან იმაკოლატა იხდიდა, ხვალვე სრული უფლებამოსილებით შეეძლო ნასულყო და მინა დაეკავებინა. სერჟანტმა წამოიყვირა:

— სად არის მფლობელობის საბუთი?

ამ სერჟანტს სწორი ცხვირი და გამოცარიელებული მზერა ჰქონდა, რასაც ძირითადად რომელიმე იმპერატორთა ბიუსტებში ვხვდებით. ეს მის სიტყვებს განსაკუთრებულ წონას მათ





მხატვარი იანა ზაალიშვილი

ტებდა. თავყრილობა გრძელი წერილის შედგენას შეუდგა, სადაც თითოეულმა თავისი აზრის შეიტანა და რამაც ის საკმაოდ უთავბოლოდ აქცია. დიდი გულმოდგინებით თუ ჩაუყვირდებოდათ, შეიძლება ამოგეკითხათ, რომ თუ იმაკოლატამ გადაიხადა პირველი წლის გადასახადი, ეს მისი დარდისა და დაბნეულობის ბრალი იყო; რომ ამ წიადაგზე, სხვათა შორის, არასდროს შეუდგენია საჩივარი; რომ მისი დავა შეეხებოდა მხოლოდ მომდევნო წლებს; რომ თუ ადმინისტრაციის ნება ასეთია, იგი მზადაა გახდეს მინის მფლობელი, მაგრამ რადგან არასდროს ყოფილა მეპატრონე, მას ძალზე უჭირს, მიუხედავად კეთილი ნებისა, გაყიდვის აქტის წარდგენა.

კეთილი. მაგრამ ქმარს უარი არ უთქვამს თავის აზრზე. მეორე დღეს ის მინის მოსაძებნად წავიდა.

ვია კაპოდიმონტე პატარა ქუჩაა, ძალიან მოკლე, მშვიდი და ქალაქის მეორე მხარეს მდებარეობს. დასაწყისში ძველი უხეში ქვის ყორეები ბუგენვილიებით გადავლილი. რასაც პატარა სახლები მოჰყვება. ქმარი ყურადღებით აკვირდებოდა ნომრებს. №14 იყო დაბალი, ჭყეტელა ვარდისფერად შეღებილი სახლი. წირთხლებზე პატარა გოგონა იჯდა, ძალზე დაკავებული ნაფოტზე ძაფის შემოხვევით. №15-ს დაბზარული ფასადი ჰქონდა და მიტოვებულს ჰგავდა. №16 უფრო დიდი სახლი იყო, ფანჯრებზე შეუფერებლად გამოფენილი სარეცხი მრავალი დამქირავებლის ყოფნას მიუთითებდა. №15 და №16 ნომრების შემდეგ ვია კაპოდიმონტეს სხვა ქუჩა კვეთდა, ქვიანი და აღმავალი. ქმარმა გადაკვეთა, გულაძგერებულმა. ჰა და ჰა მივიდოდა ამ ყბადაღებულ მინამდე. მაგრამ პერპენდიკულარული ქუჩის იქით მხოლოდ სახლები დახვდა. შეხედა ნომრებს: პირველი სახლი №1 იყო, სახლი მის პირდაპირ №2. მუნიციპალიტეტის კომპანობის წყალობით ნომრები მწვანე მაიოლიკის ფირფიტებზე შავად იყო გამოყვანილი და კედლებში მყარად ჩასმული. დღესაც ნათელი იყო, რომ №17 არ არსებობდა. ქმარი №2-ის ფანჯარაში გამოჩენილ ფაშფაშა ქალს შეეკითხა. არა, ვია კაპოდიმონტე მეორე მხარესაა. აქ ვია ნაპოლია. ქმარი გამობრუნდა. მაგრამ ცხადი იყო, რომ ვია კაპოდიმონტე №15-ით და №16-ით მთავრდებოდა. არავითარი კვალი №17-ისა არ ჩანდა. და არავითარი მინა თვალსაწიერზე.

გამარჯვებული ქმარი შინ დაბრუნდა. ძალზე გამარჯვებული. იმაკოლატას უკვე მიაჩნდა, რომ ქმარი ძალზე გადაჭარბებულად იყო დაკავებული მისი ადგილმამულის ქონებით, რაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მას სულაც არ

ეხებოდა. მისი მოტანილი ახალი ამბავი დამატებითი მიზეზი გახდა, რომ იმაკოლატას ბედი დაენწყებლა.

— თუ მინა არ არსებობს, როგორ დამტკიცდება, რომ ის ჩემი არაა?

სხვათა შორის საკმაო მიზეზი მქონდა მეფიქრა, რომ იმაკოლატა გულის კუნჭულში ელოლიავებოდა აზრს ამ მინაზე და თავის უფლებებზე ამ მინის მიმართ. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის მორჩილება, რითაც განაგრძობდა გადასახადების გადახდას, და ის იმედგაცრუება, რაც განიცადა იმის ვაგებისას, რომ მინა არ არსებობდა. ყოველ შემთხვევაში ქმრის თხოვნა-მუდარით მაინც გაუგზავნა ადმინისტრაციას ახალი წერილი, რომ ახალი გარემოება ეცნობებინა.

პასუხი იგვიანებდა. ამჯერად კარგი მიზეზი ჰქონდათ: ომი დაიწყო. იმაკოლატას ქმარი ჯარში გაიწვიეს. მისი არყოფნისას, ერთ დღეს იმაკოლატა სხვათა მსგავსად მიწვეულ იქნა მერიასი თავისი საკვები ბარათების მისაღებად. იქ მისულმა შემდეგი განცხადება გაიგონა, რომ მინის მფლობელებს, მათ, ვისაც შეეძლოთ დაემუშავენინათ ან დაემუშავენინებინათ მინა, არ ჰქონდათ ბოსტნეულის ბარათის მიღების უფლება. ეს ამბავი იმაკოლატას პირდაპირ გულში ლახვარივით ეძგერა. ბოსტნეული არ ეკუთვნის? და მისი შვილები? ეს უკვე მეტისმეტი იყო! ირბინა (არა, იმაკოლატას არასდროს ურბენია. გონება შეიძლება გადაერეოდა, მაგრამ არა ფეხები. ზორბა ტანი აიძულებდა მშვიდ სიარულს). მაშ ასე, ის მივიდა გადასახადთა ამკრეფთან. ამ უკანასკნელმა ჯერ ყურებს არ დაუჯერა. მინა, რომელიც არ არსებობს?! არა, ძალიან ხეპრული ხრიკი იყო, თეთრი ძაფით ნაკერი. შეიძლება შეცდეს მინის მფლობელის ვინაობაში, ასეთი მაგალითები არსებობს, მაგრამ მინა, რომელიც არ არსებობს... იმაკოლატას საპროტესტო ნივთი-კვილის წინაშე აღმოჩენილმა ბოლოს კადასტრში გააგზავნა. წავიდა კადასტრში. მის წინაშე დიდი ფურცელი გაშალეს. მოსამსახურის საჩვენებელმა თითმა ერთხანს იხეტიალა იისფერი ხაზის ზემოთ.

— აი, თქვენი მინა...  
რალა ექნა, ის იქ იყო. კარგად აღნიშნული. მზრუნველად შემოხაზული. მოგრძო ტრაპეციის ფორმის და ბოლოში მეზობელ ნაკვეთზე გადაბმული.  
ამ დარტყმას ბოლო უნდა მოელო იმაკოლატასთვის. ან აღეშფოთებინა მაინც, ანდა ქადაგად დავარდნილიყო, რაც ასე კარგად გამოსდიოდა და მძკინვარებიდან მოხერხებულად წუნუნზე გადასულიყო. არაფერი მსგავსი არ მომხდარა. ამ საჩვენებელ თითზე, ამ ტრაპეციაზე გადახრილი იმაკოლატა მოჯადოვდა. მაშ ის არსებობდა, ის მინა. ფორმაც კი ჰქონია. უიმედობაში ჩავარდნის ან გაბრაზების ნაცვლად დიდი შვება იგრძნო.

— გმადლობთ, — თქვა მან.  
მუნიციპალიტეტიდან გამოსვლისას მოედანზე კარაბინერთა სერჟანტი შეხვდა.  
— თურმე ვცდებოდი მინასთან დაკავშირებით, — უთხრა იმაკოლატამ, — ნამდვილად მე მეკუთვნის.  
სერჟანტის ისედაც დიდებული გამომეტყველება კიდევ უფრო გამედიდურდა. მან ხომ ძალზე კარგად იცოდა, რომ ადმინისტრაცია შეუძლებელია შეცდეს.

— აი, ხომ ხედავთ, — თქვა მან.  
და იმაკოლატამ გზა განაგრძო, გარდასახულმა.  
თავის ქმარში ეჭვი არ ეპარებოდა. უმნიშვნელო, მაგრამ მაინც სერიოზულ კაცად მიაჩნდა. თუ ადგილის დათვლიერებისას ვერ იპოვა მინის ნაკვეთის ნიშანწყალი, ესე იგი მინის ნაკვეთი არ არსებობდა. ან იმ ადგილას არ იყო. რადგან მეორე მხრივ, როგორ უნდა შეგპარვოდა ეჭვი კადასტრში?

ეს ხომ სერიოზული რამაა, კადასტრი. მასხარები კი არ არიან. ის ხალხი კი არაა, ვინც თავის შესაყოლებლად ტრაპეციებს ხაზავს, თუ არაფერი არსებობს. თუ მიწის ნაკვეთი დატანილია მათ ფურცლებზე, ესე იგი არსებობს კიდევც. ალბათ სხვა ადგილას. მაგრამ საბოლოოდ მას იპოვიან.

სერჟანტის, დიდი მოლაპარაკისა და სულ კაფეში დაყუდებულის, წყალობით ეს ახალი ამბავი მსწრაფლ მოედო უბანს. იმავე საღამოს მეზობლები მისალოცად ეწვივნენ იმაკოლატას. მან ისინი ყალბი თავმდაბლობის გარეშე მიიღო.

და ამგვარად შევიდა მინა მის ცხოვრებაში. იმაკოლატა მიეჩნია მასზე ლაპარაკს. ოჰ, ამპარტავენების გარეშე. ისე, რომ ამით არავის ამდაბლებდა, პირიქით, ფრთხილად უსვამდა ხაზს, რომ ქონების მატებამ საკმაო საზრუნავი გაუჩინა. ეს მინა ძალზე კარგი იყო, მაგრამ როგორ გამოეყენებინა? დამუშავება ღირდა თუ გაქირავება? აჰ, ვარდებით არაა მოფენილი მეპატრონის გზა. ხშირად ლაპარაკობდა კადასტრზეც, ქებას ასხამდა ამ ადმინისტრაციულ ორგანოს. ან კიდევ თავის სამზარეულოში ჩამომჯდარი ოცნებობდა საკუთარ მიწაზე. საბრალო მინა! სად შეიძლება იყოს? და რა მდგომარეობაში? იმ ხნიდან მოყოლებული, რაც მიტოვებულია, ალბათ ქვევით და სარეველა ბალახითაა სავსე. ამგვარი უთაურობა არაა აღმამოფრთხილებელი? იმაკოლატა უფრო და უფრო შედიოდა მეპატრონეობის ემზში.

რამდენიმე თვის შემდეგ მიატოვა ძველი საცხოვრებელი და სხვაში გადავიდა, მიწისპირა სართულში, სადაც ახლაც ცხოვრობს. რას შეესაბამებოდა ეს ქმედება? ვეჭვობ, ამით იმაკოლატამ მონახა საშუალება კიდევ მეტად შეეგრძნო მიწის მეპატრონეობა. თავისი ძველი ბინა უბრალო ხალხს მიაქირავა, რომელთა დატერორებაც თავის გემოზე შეეძლო, როდესაც მოზომილი კეთილმოსურნეობით და გარკვეული ქედმაღლობით ესტუმრებოდათ ხოლმე. მისი თვალსაზრისი რალაც-რალაცებზე შეიცვალა. ადრე საკმაოდ პროგრესული შეხედულებანი ჰქონდა. ახლა სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ თუ დიდ მეპატრონეებს თავიანთი ვალდებულებები აქვთ, მასაც აქვს უფლებები, რომელთაც საკმარის ყურადღებას არ აქცევენ.

— ამგვარად, ჩემი მიწის ნაკვეთით...

მისი წყალობით უფრო გავლენიანად, უფრო ძლიერად გრძნობდა თავს. ქმრის სიკვდილმა, თუკი საერთოდ დაამწყხრა, ვერ შეარყია მისი ახალშექმნილი თავდაჯერებულობა.

— საბედნიეროდ, ეს მინა მაქვს, შავი დღისთვის...

ამ მითმა საკმაოდ ხელსაყრელად გაათხოვებინა უფროსი ქალიშვილი, რომელიც ცხრამეტი წლისა მოიყარა. ისე, რომ ოფიციალურად არავითარი ვალდებულება არ აუღია, მძახლებს სიტყვა გადაუკრა, ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა ეს მინა ჩემს ქალიშვილისთვის გადავცე. აგრეთვე გარკვეული დროის მანძილზე ელოკიავებოდა აზრს, რომ ამ მიწაზე ჰიპოთეკური სესხი აეღო, რაც სულაც არ ჩანდა შეუძლებელი. თავისთავად ცხადია, კვლავ განაგრძობდა გადასახადის გადახდას ყოველწლიურად და, ვფიქრობ, დიდი სიამოვნებითაც.

ყოველივე ეს გასულ თვეს ერთი წერილის მოსვლით დაინგრა. ადმინისტრაციული წერილი იტყობინებოდა, რომ მის საჩივართა კვალდაკვალ ჩატარდა კვლევა და დადგინდა, რომ მოხდა ადმინისტრაციული გადაცდომა და შესაბამისად მას უკან დაუბრუნდებოდა უმართებულოდ გადახდილი გადასახადი. საკმაოდ დიდი თანხა იყო. მაგრამ რა არის ფული დამსხვრეული ოცნების პირისპირ. ამის მერე იმაკოლატა დასუსტდა, დაჭკნა. გუშინაც ვნახე, სახლს რომ ალაგებდა: დაკარგული აქვს მხნეობა და სიტყვათა სიტყვოვლე. აღარც კი წუნუნებს. უხალისოდ მოძრაობს და, ვხედავ, როცა მარიანტო მის დაძახილზე არ პასუხობს, მალევე შეეშვება ხოლმე. ბაზარზეც ვერ ბედავს გამოჩენას. თავის მიწაზე დელაპარაკებიან და რა უნდა უპასუხოს?

\* \* \*

მაგრამ ყოველთვის ცდები, როცა ადამიანის სიცოცხლი-სუნარიანობას აფასებ. ახლახან ბაღში ჩასული გადავანყდი იმაკოლატას. კვლავ მშვენივრად გამოიყურებოდა, ქათინაური ფუთხარი. ვილაპარაკეთ ამ მთისა, იმ ბარისა, შვილიშვილზე, რომელიც ეყოლება, მომავალ არჩევნებზე...

— ოჰ, ეს რესპუბლიკა! — თქვა საკმაოდ მწარე კილოთი.

— რაო, იმაკოლატა, არ გიყვართ რესპუბლიკა?

— ამ რესპუბლიკამ, — განაგრძო მან, — ამ რესპუბლიკამ მინა წამართვა.

ახალი მითი იწყება. ახალი ოცნება. ახალი საფუძველი სიცოცხლისთვის.

### საფასურის გადახდის სანაცვლოდ

თქვენ, ვინც არ იცნობდით ბიძია ეფენს, ვერ წარმოიდგენთ, როგორი სათნო, უბინო ადამიანი იყო და რამდენად სამაგალითო ჩვენთვის, როგორ მიგვიძლოდა მისი მაგალითი ათასგვარი საცდურით და მაცდუნებლის მახეებით სავსე ცხოვრების გზაზე.

ღმერთია მოწამე, ოჯახის წევრებს როგორ თავანულოთ, ამაყთ შეგვძლიერო სიარული. სახელმწიფოს ერთგული მსახურები, პატიოსანი ფუნქციონერები, მოუსყიდველი მოლაპარაკები, ასეთი იყო ათადან ბაბამდე ჩვენი მოდგმა. მაგრამ ყველა ამ პატიოსან კაცთაგან ბიძია ეფენი ყველაზე უფრო წესიერი გახლდათ. თავმოწონებით გვიყვებოდა, როგორ ჩაშალა ახალგაზრდობაში თავისი ნიშნობა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მომავალმა სასიამაორომ, ცნობილმა კონდიტერმა, ერთ დღეს მასთან დაიკვება თუ როგორ გააცურა გადასახადის ამკრეფები. „პატონო, ამბობდა ბიძია ეფენი, თქვენს ოჯახში შემოსვლისას ვფიქრობდი, რომ საკონდიტროში შემოვდიოდი, ჩემდაუნებურად კი ყაჩაღების ბუნაგში აღმოვჩნდი“. და წამოვიდა, უარი თქვა არამარტო ახალგაზრდა ქალთან დაქორწინებაზე, რომელიც, სხვათა შორის, უყვარდა, არამედ საერთოდ ქორწინებაზე, იმდენად იყო აღშფოთებული.

კარგადაა ცნობილი, ვაგლახ, რანიც არიან დაუქორწინებელი ბიძები. ბიძია ეფენი სამაგალითო იყო. არასდროს არავითარი ჭორი არ გავრცელებულა მის პირად ცხოვრებაზე. აგრეთვე, თავისი პატიოსანებისა და სათნოების ძალით სიამოვნებით მკაცრად განსჯდა მოვლენებსა და ადამიანებს. თუ ქალიშვილთან ხელკავგამოდებულს დაგვინახავდა რომელიმე მის ძმისწულს, მაშინვე სერიოზულად გამოკითხავდა ახალგაზრდა პერსონას, შეიტყოდა მისი განზრახვას, ინტიმური ურთიერთობის რა ზღვრამდე იყო მისული და, პასუხების მიხედვით, ან შეუპოვრად გვაიძულებდა ამ ურთიერთობის დარღვევას ან სრულიად კანონიერ, ლეგალურ სახეს მისცემდა. ამგვარად, მას უნდა ვუმადლოდეთ სამ ქორწინებასა და ხუთი ურთიერთობის ჩაშლას — რომლის შედეგებიც, უნდა ვაღიარო, ყოველთვის არ ყოფილა მის წმინდა განზრახვებთან აშკარა კავშირში. მეც ერთ დღეს, მასხოვს თხუთმეტი წლის ვიყავი, ოქმი შემიდგინეს ტროტუარზე ველოსიპედით სიარულისთვის. მშობლების გულისწყრომისა შემეშინდა და ბიძია ეფენთან გავიქეცი. „ბავშვო, მითხრა მან, აქამდე არასდროს ჩვენი ოჯახის არცერთ წევრს არ ჰქონია რაიმე გასაყოფი ქალბატონ იუსტიციასთან. ნუთუ შენით უნდა შემოვიდეს ჩვენს სახლში სახელის გატყევა? და შენ ჯერ მხოლოდ თხუთმეტი წლისა ხარ! ვცახცახებ... მაგრამ შეცდომა ჯერ მსუბუქია. ნავალ, ვნახავ კომისარს: ის ჩემი მეგობართაგანია. მაგრამ მაინც, თუ ახალი ცდუნება ჩაგისაფრდება, გახსოვდეს, რომ შენი შეცდომის გამო, პა-

ტიოსანი კაცი იძულებული გახდა ისეთი ნაბიჯის გადადგმას დათანხმებულიყო, რომელიც, ვმომბ, სცდება კანონის სწორ გზას“. არ ვიცი მისი სიტყვების სერიოზულობისა თუ სინდისის ქენჯნის გამო, მაგრამ ავტირდი კი.

\*\*\*

და ეს მოგონება წამომიტივტივდა ოცი წლის შემდეგ, ისევ ვტიროდი საძინებელი ოთახის მომიჯნავე უბრალო დარბაზში, სადაც გარდაცვლილის ნეშტი განისვენებდა. ყველა შევიკრიბეთ, მისი ძმები, რძლები, ძმისშვილები, ძმის-შვილიშვილები. ბიძია ეფენი გარდაიცვალა და ჩვენ გულდა-ნაღვლიანებულნი ვწონიდი დანაკარგს. ბიცოლა სოფი ჩუმად სლუკუნებდა. ჩემი რძალი მარგო ცდილობდა თავის განუყრელ ქსოვაში ეპოვა მცირეოდენი ნუგეში. ჩვენზე უფროსი ბიძია შარლი თავის ტკივილს არ ამჟღავნებდა და ბოლთას სცემდა. ის მწარე წუთი გვედგა, როდესაც ყველა ფორმალთა მოგვარებულა, უწყებები გაგზავნილი და ჩვენს წინაშე უღმობელი მყოფობა, რას ვამბობ, ჩვენს წინაშე იყო უღმობელი არმყოფობა სიკვდილისა.

და მაშინ, იმ წუთში, კარზე დარეკეს. ჩემი ძმისწული ლუსიენი წავიდა გასაღებად, მალევე მობრუნდა ხელში საკმაოდ პატიარ პაკეტით.

— წიგნის მალაზიიდანაა გზავნილი, — თქვა მან, — ბიძიას სახელზეა და საფასურის გადახდის სანაცვლოდ. სამასი ფრანკია გადასახდელი.

— რაღაც ნაშრომი იქნება, რომელიც ალბათ შეუკვეთა, — თქვა ბიძია შარლმა, — საბრალო ეფენი! ისე უყვარდა კითხვა.

თავისი საფულე ამოიღო და სამასი ფრანკი ლუსიენს გაუნოდა.

— გადაუხადე, — თქვა მან — უკანასკნელი ვალი წმინდათა წმინდას.

ჩაფიქრებულმა ხელით ანონა პაკეტი.

— ასე გადის ცხოვრება, — თქვა სხვათა შორის.

შემდეგ მე გამომინოდა:

— აიღე, შენ გქონდეს, შენც გიყვარს კითხვა. ეს წიგნი იყო უეჭველად უკანასკნელი საფიქრალი ჩვენი ეფენისა. შენთვის კარგი მოსაგონარი იქნება.

აღვლევებულმა, ცრემლით თვალდაბინდულმა დავინყე პაკეტის გახსნა.

— თხელია! — თქვა ჩემს მხარზე გადმოხრილმა ლუსიენმა.

შევხედე, სიჩუმისკენ მოვუნოდე. არ იყო საჭირო ოჯახს გაეგო. არა, არ იყო საჭირო. არასოდეს! რადგან ეს წიგნი, ეს წიგნი, რომელიც ძია ეფენმა შეუკვეთა, ეს წიგნი, როგორც ბიძია შარლმა ასე ზუსტად თქვა, უეჭველად იყო მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ფიქრი, ეს წიგნი, არ ვიცი, როგორ ვთქვა, ეს წიგნი, მისი სათაური და მისი გარეკანი რაც კი შეიძლება ნათლად მიუთითებდა, რომ ეს წიგნი ბოლოსდაბოლოს იმ წიგნთაგანი იყო, რომელთაც წიგნის გამყიდველები მხოლოდ მანტოში ფარულად შემალულს ყიდიან ან გადახრეულ ბერიკაცებზე ან გადარეულ კოლეჯის მოსწავლეებზე. ლუსიენს შევხედე. მისი გულლია სახე უხამს ღიმილს დაემახინჯებინა.

— ხმა-კრინტი! — კიდევ ერთხელ ჩავჩურჩულე.

საბედნიეროდ, ჩვენს გაგანია მგლოვიარობაში ვერავინ შენიშნა ვერც ლუსიენის ღიმილი და ვერც ჩემი თავგზააბნევა. პალტოს ჯიბეში წიგნის ჩაცურება შეეძელი.

მეორე დღეს დაკრძალვა იყო. მრავალრიცხოვანი მნიშვნელოვანი პუბლიკა მოგროვილიყო კატაფალკის გასაყოლად. ეკლესიაში სამრევლო კიურემ გარემოების შესაფერისად იქადაგა, ქება შეასხა მიცვალებულის სათნოებას, პატიოსნებას, სულითა და ხორციით სრულობას, მის ზნე-ჩვეულებათა განუხრელობასა და სიმკაცრეს. გული უნდა ამჩუყებო-

და, მაგრამ იმ საძაგელი წიგნის მოგონება მიშლიდა ხელს. ლუსიენი ჩემს გვერდით იმყოფებოდა. გამოვიჭირე, ილიმებოდა. ჩემსკენ გადმოიხარა და წამჩურჩულა:

— კიდევ კარგი, კიურეს ის წიგნი არ უნახავს.

ამოვიოხრე. ოჰ, არა, იქამდე არ მივსულვარ, რომ ბიძია ეფენი უღირს კაცად მიმეჩნია. არა. შესაძლოა გიყვარდეს გარყვნილი წიგნები და ამავე დროს იყო სამაგალითო მონაგარი. მაგრამ ბიძია ეფენს ბევრად მეტი სურდა ყოფილიყო, ვიდრე სამაგალითო მონაგარიშეობა. სურდა სამაგალითოდ უმნიშვნელო ყოფილიყო. აქ კი იტყუებოდა. როდესაც მორალს გვიკითხავდა, იტყუებოდა. როდესაც ჩვენს ალზრდამი მონაწილეობდა, როდესაც უმცირეს ნაკლსაც გვსაყვედურობდა, იტყუებოდა. და როდესაც კეთილი ღიმილით გვეტყოდა: „რა-ტომ ვიარო კაფეში? წიგნებია ჩემი საუკეთესო მეგობრები“, აი, თურმე რაზე ფიქრობდა, აი თურმე რით ტკბებოდა!

და მე ეჭვის თვლით დავუნყე ადამიანებს ყურება. რადგან ბოლოსდაბოლოს თუ ისეთმა ადამიანმა, როგორც ბიძია ეფენი იყო, ამ დონემდე შეძლო ჩვენი იმედის გაცრუება, სხვების სათნოებასა და პატიოსნებაზე რაღა უნდა მეფიქრა? იქ, იმ ეკლესიაში, სამგლოვიარო გალობის შუაგულში ჩემში რაღაც დაირღვა. აქედან, ამ დღიდან დაიწყო ჩემი გადასხვაფერება. ჯერ ეს გასახელებული წიგნი წავიკითხე. რა საკვირველია, რადგანაც ბიძია წამდვილად აპირებდა მის წაკითხვას. „მისღი-ეთ, მიბაძეთ მის მაგალითს!“ დაგვკოდა კიურე ქადაგებისას. ეშმაკმა დალახვროს, მივბაძე! და კიდევ წავიკითხე სხვა იმავე ჟანრის წიგნები. მომეწონა, ვისიამოვნე კიდევ. პატარა კოლექციაც შევაგროვე. ერთ დღეს უგულისყურობის გამო კარადა, სადაც მათ ვაწყობდი, ღია დამრჩენოდა. შინ დაბრუნებისას შევამჩნიე, რომ რამდენიმე აკლდა. ვინ აიღო? ჩემმა ცოლმა? რომელიმე ჩემმა შვილმა? უჰ, მაინცდამაინც თავი არ შემინუხებია. პასუხისმგებლობის გრძნობაც კი მომდუნებოდა.

იქამდე კარგი მეუღლე ვიყავი. ჩემი ერთგულება ბრიყვობად მომეჩვენა. რატომ უნდა მოვიკო ამქვეყნად რაიმე თუ თვით ბიძია ეფენებს აქვთ ნაკლი, სისუსტეები? და მე დავმორჩილდი თვალთა ჟუჟუნს, რომელსაც აგერ უკვე კარგა ხანი იყო ხელგაშლილად მიძღვნიდა ვინმე როზა, უბანში ცნობილი თავისი მსუბუქი ყოფაცქევით და შემოსავლით, რომელსაც ამისგან იღებდა. უყვარდა სასაქონლოდ სიარული, გართობა. დამყავდა ღამის კლუბებში. ერთ დღეს ერთი ჩემი თანამშრომელი შემხვდა იქ. ყველას მოუყვა, დარწმუნებული ვარ, რადგან ამის შემდეგ ვგრძნობდი, როგორ ჩურჩულებდნენ ჩემს გარშემო. ჩემი რეპუტაცია შეილახა. ერთ დღეს გარკვეული თანხა დაიკარგა. საბედნიეროდ, საკმაოდ სწრაფად იპოვეს. მაგრამ რამდენიმე საათის განმავლობაში ეჭვი ჩემს გამამელო ტრიანლებდა. „მე არავის დადანაშაულება არ მინდა, ხმაშეძლია ამბობდა ქალბატონი ბოსიუ, მაგრამ ცნობილია, რომ გვყავს ისეთი თანამშრომლები, რომელთა ხარჯები არ შეესაბამება მათ ხელფასს.“ როზს ახალი ავეჯი უნდოდა. ვაჩუქე, ამისთვის მოვაკელი ჩვენს ისედაც მცირე კაპიტალს. და რა მოხდებოდა ერთ დღეს, როდესაც ამას ველარ დავუმალავდი ჩემს ცოლს? ჩემი ვაჟი ერთ დღეს გამთენიისას დაბრუნდა. მხოლოდ თექვსმეტი წლისა იყო. ვუსაყვედურე.

— და შენ? — მიპასუხა კადნიერად.

ჩემი ქალიშვილის ხელზე ერთ დღეს სამაჯური შევნიშნე, რომელიც ადრე არ ჰქონდა. ვერ გავხედე ახსნა-განმარტება მომეთხოვა. რადგან ეს კეთილი ნელ-ნელა მთელ ოჯახს მოედო. ჩემმა მაგალითმაც უეჭველია თიამაშა ამაში გარკვეული როლი. ან იქნებ ლუსიენი ყვებოდა ყველასთან და ყველგან იმ წიგნის ამბავს. ნელ-ნელა ვხედავდი ჩვენი ყველა ღირსების გაცამტვერებას. ჩემმა ძმამ ჟიულმა დაიწყო საეჭვო საქმეების განარხვა. მისმა ცოლმა საყვარელი გაიჩინა, თავისი აფთიაქარი. ამ უბადრუკმა აიძულა ხელკავით გაყოლოდა ქუჩა-

ში. ამის შემდეგ უბანში კაციშვილი აღარ ესალმებოდა. ჩემმა ძმისწულმა სოფიმ, რომელიც იქამდე ყველას სერიოზულ გოგოდ მიაჩნდა, ვნებიანი წერილები მისწერა თავის ხატვის მასწავლებელს, შესთავაზა მასთან ერთად გაქცევა და პირველი ხარჯებისთვის საოჯახო ვერცხლეულობის წაღება. მასწავლებლის ცოლმა იპოვა წერილები, საბრალო დედასთან მივარდა და საშინელი სცენა მოუწყო. ვთქვით: საბრალო დედა. ეს სიტყვის მასალაა. თორემ ეს საბრალო დედაც სენ-შეყრილი იყო და სმა ჰქონდა დაწყებული. დათვრებოდა, ქალაქში დაეხეტებოდა და ავინყდებოდა, ვინ იყო და სად ცხოვრობდა ბოლოს პოლიციელს მიჰყავდა შინ. ლუსიენს რაც შეეხება, ის რაღა თქმა უნდა ყველაზე მეტად დაავადდა. ბარში მომუშავე ქალი შეუყვარდა, აიკიდა და ვალეებში ჩავარდა. მამამ შინიდან გააგდო. ლუსიენმა იქურდა. ახლა ის ციხეშია, მისი გვარი — ჩვენი გვარი — კი გაზეთებში.

\*\*\*

ამ დღეში ვიყავი და ერთ დღეს შევხვდი ჩემს ძველ მეგობარს ოსკარ მელონს. თავის ნაბოლარა შვილთან, ასე ოთხი-ხუთი წლის ბიჭუნასთან, ერთად სეირნობდა. რამდენიმე წელი იყო, ერთმანეთი აღარ გვენახა. მისიანები მოვიკითხე.

— ეჰ, — მითხრა დამწუხრებული სახით, — საბრალო დეიდა ჟანი დავკარგეთ. იცნობდი, არა? ჰოდა, გარდაიცვალა, ჩემო კარგო.

მივუსამძიმრე.

— ასეთი ყოჩალი ქალი...

— ასეთი ყოჩალი ქალი! — გაიმეორა ისეთი ალტკინებით, რაც სრულიად არ შეეფერებოდა ამ თემას. — ასეთი ყოჩალი ქალი! ჰო, ყველა ასე ვფიქრობდით. მოდი, აღიარე, რომ სრულ იმბეცილად მიგაჩნდა. ნუ უარყოფ, ჩვენ ყველა მასე ვფიქრობდით. კარგა მაგრად ვხალისობდით! დეიდა ჟანის სისულელე! დეიდა ჟანის უმეცრება. თვითონაც არ ეჩოთირებოდა. ეს მიღებული, ჩვეულებად ქცეული იყო! ერთ დღეს დავარწმუნეთ, რომ დიდ თბომავლებზე ზღვის მარილიან წყალს იყენებდნენ ბოსტნეულის დასამწნილებლად; კიდევ რომ ტანჯური ისლანდიის დედაქალაქი იყო. თვალთმაქცობდა, რომ სჯეროდა, და, უეჭველია, ჩვენ გასართობად იმეორებდა ჩვენს უბადრუკ ხუმრობებს. რადგან თვალთმაქცობდა, ჩემო კარგო!

— თვალთმაქცობდა?

— ჰო, თანაც არაჩეულებრივად, სწორედ ასე! იცი მისი სიკვდილისას რა აღმოვაჩინეთ? სამოცდაათოთხმეტი წლისა ეს ყოჩალი იმბეცილი დეიდა ჟანი, ეს სულელი, ეს მიამიტი, ეს ჩერჩეტი, რას აკეთებდა? ჰა? რუსულს სწავლობდა.

— რუსულს?

— გიკვირს, არა? რუსულს! ყველაზე უფრო რთულ ენას, რაც კი არსებობს. და თანაც მალულად. თავმდაბლად. ისე, რომ არაფერს გვიმხელდა, ნებას გვაძლევდა გვეხუმრა მის უფიცობაზე. აჰ, ალბათ რას იცინოდა ჩვენს ზურგს უკან. წარმოგიდგენია? არ გვიმხელდა! ხასიათის რა სიძლიერეა!... სათვალავში თუ არ ჩავაგდებთ ყველაფერს, რასაც ეს მოიცავს. რადგან ბოლოს და ბოლოს ენების სწავლას რუსულით არ იწყებენ. ალბათ სხვებიც ჰქონდა ნასწავლი. სამწუხაროდ, საფლავში ჩაიტანა თავისი საიდუმლო, მაგრამ, ვინ უწყის, იცოდა თუ არა უკვე ინგლისური, გერმანული, ესპანური, პორტუგალიური, ვინ უწყის? ეს თავბრუდამხვევია. ის, ვინც აღერთვანდებოდა, როცა ორ-სამ სიტყვას ძლივს მოვაბამდე ხოლმე თავს, ყველაზე სულელურ, საყველპურ სიტყვებს, **eggs and bacon, how do you do...**

— წარმოუდგენელია!

— წარმოუდგენელია!

არ თქვა. კიდევ მეტსაც გეტყვი. მას შემდეგ ძალიან შევიცვალეთ. შენ გვიცნობ, იცნობდი ჩვენს ოჯახს. იცი რანიც ვიყავით.

ვით. კარგი მომლხენები, არცთუ სერიოზულები, ცხოვრების დინებას მიყოლილნი, ყველაფრის ფეხებზე დამკიდებლნი, უდარდელნი, მუდამ სამასხაროდ მზადყოფნი, ყველას თავისი ჩვეულება აქვს, თავისი გასართობი. ჩემი ძმა ვილაც მათხოვარს დასდევდა. მისი ცოლი... უჰ, ღმერთო ჩემო, მისი ცოლი, მგონი, შენც გადაგივლია მისთვის, ჰა, ასე არაა? მე თვითონ კაბარეთა ბურჯი ვიყავი, ჩემი ცოლი კი მთელი დღე კარტს თამაშობდა. ყველაფერი ეს შეიცვალა. განუწყვეტლივ მაგალითად მოგვყავს დეიდა ჟანი და ეს ჩვენ გვაქეზებს, გვმუხტავს. ჩემი ძმა მიუბრუნდა მედიცინის შესწავლას, რომელიც მეორე კურსიდან ჰქონდა მიტოვებული. ჰო, ჩემო კარგო, ორმოცი წლისა, ვაჟაცურად ისევ მიუჯდა უნივერსიტეტის მერხს და კიდევ აქვს ბრწყინვალე კარიერის შექმნის იმედი. იცი, რომ მამაჩემმა მავთულის ქარხანა დაგვიტოვა. ძალიან ზარმაცები ვიყავით, რომ ჩვენ თვითონვე გვემუშავებინა და მმართველს მივანდეთ, რომელმაც გაგვძარცვა. ახლა მე მოვკიდე ხელი. ჰა და ჰა ერთ-ერთი პირველთაგანი გახდება რეგიონში. ჩემმა ცოლმა თარგმნა დაიწყო და ერთ-ერთი თარგმანი სადაცაა გამოვა. ჩემი შვილები ზარმაცები იყვნენ. ახლა საკმარისია დეიდა ჟანი ვუხსენო და მაშინვე გაკვეთილებს მიუსხდებიან. ჟანო გასულ თვეს პირველი იყო კლასში.

— საუცხოოა!

ერთი წამით შევჩერდით ცხოვრებაზე, მის უცნაურობებზე, მის მოულოდნელობებზე ჩასაფიქრებლად.

— კი მაგრამ, — ვუთხარი მე, — ერთი რამე ვერ გავიგე, შენ მითხარი, დეიდა ჟანი ყოველთვის გვიმალავდა, რუსულს რომ სწავლობდაო. ამ პირობებში შენ როგორღა გაიგე?

— შემთხვევით, ჩემო კარგო. ყველაზე დაუჯერებელი შემთხვევის წყალობით. წარმოიდგინე, მისი დაკრძალვის დღეს ფოსტალიონმა პაკეტი მოგვიტანა დეიდა ჟანის სახელზე. გავხსენით. ნაშრომი იყო, რომელიც შეუკვეთავს. და ეს ნაშრომი იყო რუსული ენის გრამატიკა. გრამატიკა არა დამწყებთათვის, ამას მინდა ყურადღება მიაქციო, არამედ — მესამე საფეხურის, ლამისაა ასპირანტურის დონისთვის. წარმოგიდგენია ჩვენი გაშტერება. გზავნილი საფასურის გადახდის სანაცვლოდ იყო, სამასი ფრანკი დამიჯდა. დიდი სიამოვნებით გადავიხადე. ყოველთვის სასიამოვნოა იმის გაგება, რომ ადამიანი იმაზე უკეთესია, ვიდრე ჩანს.

გზავნილი საფასურის გადახდის სანაცვლოდ! თვით დაკრძალვის დღეს! სამასი ფრანკი! ამგვარ დამთხვევებს შეუძლებელია არ განვეცვიფრებინე. განმაცვიფრა, მთელი დღე ამეკვივებოდა. რა არის ეს იდუმალება? ვინაა ეს წიგნის გამყიდველი, მხოლოდ მკვდრებს რომ ამარაგებს წიგნებით?

\*\*\*

მოვუხშირე გასვენებებში სიარულს. საკმარისი იყო შეტყობინება მომსვლოდა და ბეჯითად მივდიოდი დაკრძალვაზე. ხალხი ამას აფასებდა, მადლიერი რჩებოდა. ამგვარად, კვლავ დავიახლოვე რამდენიმე მეგობარი, რომლებიც ჩემმა უწესო ქცევამ დამაშორა. როდესაც დავინახავდი შაფამოფარებულ კარს, შევდიოდი და მორიდებულად ვკითხულობდი, ფოსტალიონს პაკეტი ხომ არ მოუტანია-მეთქი. ხომ არ იყო ვინმე არალეგალური წიგნის გამყიდველი? რუდუნებით ვადევნებდი თვალს ნეკროლოგებს გაზეთში. მხოლოდ შავები მეცვა, მკლავზე სამგლოვიარო ლენტე მეკეთა. ბოლოს ჩემი ქცევა ხალხს გაუკვირდა. მანიაკი ვიყავი, ცოდეიანი, ჭკუიდან გადასული? მაგრამ ჩემი მოთმინება ბოლოს უნდა დაჯილდოებულიყო. ერთ დღეს პენსიაზე გასული კაპიტნის ვინმე ჟან-ბატისტ პლას დაკრძალვაზე იმ დროს აღმოვჩნდი, როდესაც ძალზე გაოცებული მისი ერთ-ერთი შორეული ნათესავი სამას ფრანკს იხდიდა წიგნის ყიდის შემოკვრის სახელმძღვანელოში, რომელიც მიცვალებულის სახელზე იყო მოსული გადასახა-

დის საფასურად. შევძელი პაკეტის ქალაქის ხელში ჩაგდება. ზედ წიგნის მაღაზიის მისამართი იყო. გავიქეცი. ძალზე პატარა მაღაზია აღმოჩნდა, საბრალოდ გამოიყურებოდა.

— ბატონო ბეტრ?

თექვსმეტობდე წლის ვაჟმა ძლივს მოწყვიტა უეჭველად საინტერესო წიგნს მზერა და მომასხენა, ბ-ნი ბეტრი აქ არ არისო. გამოკითხვისას, როგორც მომეჩვენა, დიდი გაჭირვებით მითხრა, რომ წიგნის მაღაზია ხანდახან მართლაც აგზავნიდა წიგნებს გადასახადის საფასურის სანაცვლოდ. ვის უგზავნიდა? როგორი შეკვეთების საფუძველზე? დამარწმუნა, რომ არ იცოდა. რამდენ საათში მექნებოდა ბ-ნი ბეტრთან შესაძლებლობა? არ იცოდა. ეს ყველაფერი უცნაური იყო. მეორე დღეს კვლავ მივედი. ბედმა გამაღიმა. ბ-ნი ბეტრი იქ გახლდათ, პატარა კაცი პატარა წვერიით.

— ბატონო ბეტრ, — ვუთხარი ისე, რომ აღელვების დაფარვით თავი არ შემინუხებია. — ბატონო ბეტრ, მე გამოცანის წინაშე აღმოვჩნდი, რომელიც მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ამიხსნათ.

— დაბრძანდით, — მითხრა მან.

— ბატონო, ასე ორი წელი იქნება, ალბათ, აღარც კი გახსოვთ, თქვენ ბიძაჩემს, ბატონ ეფენი ბოსერანს, წიგნი გამოუგზავნეთ...

— საკლებით შესაძლებელია. მე მართლაც ვკისრულობ ხოლმე ზოგიერთი კლიენტისთვის მათთვის საინტერესო წიგნის მოძიებასა და გადაგზავნას.

— თქვენ ასევე გაუგზავნეთ წიგნი მადმუაზელ ჟან დიუფურს...

— არც ეგაა გამორიცხული.

— დაბოლოს, სულ ახლახან, გადაუგზავნეთ ნაშრომი კაპიტან პლას.

— ეგ მართლაც მახსოვს.

— კეთილი! ბატონო, ეს სამივე პიროვნება მკვდარია.

— მკვდარი? რას მეუბნებით?!

— სიმართლეს, ბატონო!

მე არ შემეძლო მომეთხოვა ამ წიგნის გამყიდველისთვის, ცრემლი ეღვარა თავისი სამი კლიენტის გამო, რომლებთანაც, ვინ იცის, არც კი ჰქონდა მუდმივი ურთიერთობა. სხვა თუ არაფერი, ზრდილობა მოითხოვდა, ღრმად დამწუხრებული გაცხადებული იერი მაინც მიელო. მის ნაკვეთებზე არაფერი მსგავსი არ ამომიკითხავს. თავჩახრილი ჩემზე მოციებულ მზერას სჯერდებოდა.

— კი მაგრამ, — თქვა რამდენიმე წუთის შემდეგ, — ეს სამი პიროვნება არ იყო საკმაოდ ხნიერი?

— გეთანხმებით. მაგრამ, ბატონო, როდესაც მოგახსენეთ, ისინი გარდაცვლილი არიან-მეთქი, მე მხოლოდ მოგხაზე ჩემი ფიქრი. მეტიც, სამივე შემთხვევაში თქვენგან გაგზავნილი წიგნი ზუსტად გასვენების დღეს მივიდა.

— რას მეუბნებით? რა უცნაურია!

— მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ამაზე ლაპარაკიც არ ღირს. ყველანაირი დამთხვევა შესაძლებელია, ვიცი. თქვენ შეგიძლიათ უამრავი მაგალითი ჩამომითვალოთ. ნუ იზამთ ამას. რაც მე მანუხებებს, მოსვენებას მაკარგვინებს, მღრღნის, მკლავს, ისაა, რომ არცერთ შემთხვევაში გამოგზავნილი წიგნი არაფრით არ შეესატყვისება, ბატონო, გარდაცვლილის ხანაობის, მის ახირებებსა თუ იმ აზრს, რაც ჩვენ მათზე გვქონდა.

ბატონმა ბეტრმა ხელები ასწია.

— მე არ ვარ პასუხისმგებელი, თუ რას მიკვეთავენ ჩემი კლიენტები.

— კი მაგრამ, ნამდვილად იმ წიგნებს ეხება საქმე, რომელიც შეუკვეთეს? ეს მინდა გავიგო. თქვენი გზავნილების სამსახური კარგად მუშაობს? შეცდომები ხომ არ იპარება? შეეცადეთ გაიხსენოთ. ხომ არ გაქვთ შემორჩენილი ამ შეკვეთე-

ბის წერილობითი მოთხოვნები? ეს ყველაფერი ისე უცნაურია. კაპიტან პლას თქვენთვის რაიმე წიგნი რომ შეეკვეთა სტრატეგიაზე, კიდევ გავიგებდი, პენსიაზე გასული კაპიტნები, როგორც წესი... ან კიდევ, რომ შეეკვეთა ნაშრომი მეზღვაობაზე, რადგანაც თავის ბალით იყო დაინტერესებული. მაგრამ რა აზრი უტრიალებდა, როდესაც შეგიკვეთათ წიგნის ყდის გადაკერის სახელმძღვანელო. რამდენადაც ვიცი, მას არასდროს გამოუმუშავებია ინტერესი ამ რთული ხელოვნებისადმი და წელიწადში ორ წიგნსაც კი ძლივს კითხულობდა?.. და მადმუაზელ დიუფური? მადმუაზელ დიუფური იმბეცილი იყო, ბატონო, რომლის ინტელექტუალური სამყაროც საპოვნელსა და ჩიტებს არ სცილდებოდა. და მან შეგიკვეთათ მესამე საფეხურის რუსული ენის გრამატიკა?! შეუძლებელია. თქვენ მეტყვევით, რომ ჩვენ შესაძლოა ვცდებოდით ადამიანის გონებრივ შესაძლებლობათა შეფასებისას. მაგრამ ამდენად?! დაბოლოს, ბიძაჩემი! ბიძაჩემი სათნოების, უმნიცკლობის, პატიოსნების მაგალითი იყო. და თქვენ მას გამოუგზავნეთ გარყვნილი წიგნი. ოჰ, ვიცი, ყველას აქვს თავისი საიდუმლო, ზოგჯერ სახტად რჩები, ისეთ რამეს აღმოაჩენ, ადამიანებს მოსწონთ თავიანთი ნაკლის დაფარვა. ბიძაჩემის შემთხვევაში ეს გასაგებია. მაგრამ კაპიტან პლას რატომ უნდა დაემალა, რომ წიგნის ყდის გადაკერის ხელოვნება ინტერესებდა? რა უცნაურ მორცხვობას უნდა ნაეჭებებინა მადმუაზელ დიუფური, რუსული ენის შესწავლა რომ დაემალა? უნდა მეგონოს, რომ არაფერია ნამდვილი, რომ ჩვენი მსჯელობები მერყევია, რომ ყველაფერი საბოლოოდ მოჩვენებითი და ყალბია? რალას დავეყრდნო? ფსიქოლოგია მაინც არსებობს, ბატონო...

ბ-ნი ბეტრმა თითქოს ამოყვინთა თავისი სიმშვიდიდან.

— ბატონო, — მითხრა და მკლავზე ხელი დამადო — თქვენი გულისწყრომა მესმის. ხომ არ შეიტანთ საჩივარს? ხომ არ გამამხელთ?

— გპირდებით.

— შეიძლება გენდოთ?

— გეფიცებით, ბატონო.

— უბრალო ამბავია. ორი წლის წინათ, შემთხვევით საჯარო ვაჭრობისას წონით ვიყიდე ასე ხუთასობად კილოგრამი წიგნების ქალაქის პარტია. მეგონა, გავასაღებდი. საქონლის პარტიის აღწესებისას შევნიშნე, რომ საქმე სრულიად არაგასაყიდ ნაშრომებს ეხებოდა. რა უნდა მექნა? შევკუთვნი ამ წმინდა ზარალს? ცოლ-შვილი მყავს, ბატონო. მაშინ გამიჩნდა აზრი, საგაზეთო ნეკროლოგებისთვის მედვენებინა თვალი და ჩემი ტომები იმ პირთათვის გამეგზავნა გადასახადის საფასურად, რომელთა გარდაცვალებასაც გაზეთიდან ვიგებდი. ფსიქოლოგია არსებობსო, თქვენ ბრძანეთ. აი, რა მომხვდა გულზე, ბატონო. ჩემი ქმედება ფსიქოლოგიაზე დაფუძნებული. სად მიდის ჩემი გზავნილი? მდიდრულ სახლებში, სადაც ინდიფერენტული მოსამსახურე ასე მცირედისთვის არ ანუხებს მგლოვიარე პატრონებს და მსწრაფლ იხდის. ღარიბულ სახლებში, სადაც სინდისის ქენჯნა დატანჯავთ, გარდაცვლილის ეს უკანასკნელი ვალი რომ არ გადაიხადონ. არ გჯერათ? მხოლოდ ათიდან ორი გზავნილი თუ არის ხოლმე უკან გამობრუნებული. აჰ, არიან კიდევ ყოჩაღი ადამიანები, რომელთაც ფსიქოლოგიისა არ სჯერათ, ბატონო. რასაკვირველია, ამ პირობებში შეუძლებელია გაარკვიო ყოველჯერზე, გაგზავნილი წიგნი შეესაბამება თუ არა კლიენტის სურვილებს. თუმცა რა სურვილებს? ისინი ხომ მკვდრები არიან... სხვათა შორის, ჩემი მარაგი ახლა თითქმის გამოლუფლია. რამდენიმე ტომილა დამრჩა. აი, სწორედ ერთ-ერთი უკანასკნელის გაგზავნას ვაპირებდი. ნაშრომი ჩინეთზე. არაა უინტერესო. თუ გასურთ, სიამოვნებით დაგითმობდით. არა?

ფრანგულიდან თარგმნა  
დალი იაშვილი

# სამს მოყვარე მოყვრისათვის

საქართველოში არაბთა ბატონობამ ისე ჩაიარა, როგორც ჩაივლის ხოლმე ქარიშხალი, ხანძარი ან შავი ჭირის ეპიდემია. საქართველო დარჩა საქართველოდ, სული მოითქვა, ჭრილობები მოიშუშა, წელში გაიმართა და თითქმის გაერთიანდა კიდეც; ვაჟკაცურად გაუმკლავდა ერთმორწმუნე ბიზანტიის ექსპანსიას, აგებულ იქნა ალავერდი და სვეტიცხოველი, თარგმნიდნენ წიგნებს და თავადაც თხზავდნენ.

და უეცრად, XI საუკუნის მეორე ნახევარში, აღმოსავლეთიდან დაძრული შავხელი ნიაღვარი მოასკდა ქვეყანას. თურქ-სელჩუკ დამპყრობელთა შემოსევა და გაბატონება მკვეთრად განსხვავდებოდა წინარე ვაებათაგან. მომთაბარე თურქ-სელჩუკები საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარების გაცელებით დაბალ საფეხურზე იდგნენ. დედანული-ანად აყრილი ტალღა-ტალღად მოედინებოდნენ დასავლეთისაკენ და დაპყრობილ ქვეყნებში იალაღებსა და ყიშღალებს ეძებდნენ. მათთვის სულერთი იყო, ვის ეკუთვნოდა მიწა-წყალი — ქრისტიანებს თუ მაჰმადიანებს. ამიტომაც „თურქსა“ და „თურქობას“ ერთნაირად ამკობდნენ ქრისტიანებიც და მაჰმადიანებიც.

სელჩუკებმა მთლიანად დაიპყრეს ირანი, აიღეს ბაღდადი, მანასკერტთან დაამარცხეს ბიზანტიელები, დაეპატრონენ მცირე აზიას, სომხეთს და უძლიერესი დამპყრობლის წინაშე მარტოდმარტო დარჩენილ საქართველოს არნახული განსაცდელი დაატყდა თავს. სელჩუკებმა თავიანთი ჯოგების საძოვრად გადააქციეს საქართველოს ყანები და ბალ-ვენახები. მარჩენალი მიწიდან აყრილი გლეხობა მთაში იხიზნებოდა.

აი, რას მოგვითხრობენ „დიდი თურქობის“ შესახებ თანადროული სომხური და ქართული წყაროები:

არისტოკრატებს ლასტივერტეცი: „ვის შეუძლია კალმით აღწეროს იმ დროის უბედურებანი, რომელიც შეემთხვა ჩვენს ქვეყანას, ან ვის გონებას შეუძლია აღრიცხოს. მთელი ქვეყანა გვაგებოდა აივსო: ნაშენი და უშენი, გზები და უდაბური ადგილები, ქვიანი და კლდოვანი, ტყიანი და გაშიშვლებული, და ყველა სამოსახლო ადგილი ცეცხლს მისცეს, გადაწვეს სახლები და ეკლესიები... გაქრა პირისაგან მიწისა მხიარულება. ყველგან ისმოდა გოდება და მოთქმა, ტირილი და კვნესა. აღარსად ჟღერდა მღვდელთა გალობანი და ღვთის განდიდების ხმა, აღარსად იხსნებოდა წიგნები დასამშვიდებლად და მსმენელთა ნუგეშის საცემად, ვინაიდან ნამკითხველი მახვილით ამომწყდარი მოედანზე ეყარნენ, ხოლო თვითონ წიგნები — გადამწვარი და ნაცრად ცქერული. არსად არ ისმოდა ქორნილის ხმა და ხარება ახლადდაბადებულ ყრმათა შესახებ. აღარ იგებოდნენ კალოები ხორბლით და სანახლები ღვინით“.

მატიანე ქართლისა: „და იქმნა საძაგელ ქვეყანა ქართლისა სახილველად კაცთა: მოოხრდეს ყოველნი ეკლესიანი და სიმრავლითა მძორისათა არლარა დაედგმოდეს ქვეყანასა თვალნი... და სისხლის მწვიმელი ღრუბელი აღმოსავლეთით მოეფინა ქართლსა ზედა; და იქმნა ღამე უკუნი, ვითარცა ნათელი დღისა“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: „და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქვეყანა და ტყვედ გარდაიქცა. და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა“.

მაგრამ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. 1089 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ასული დავით აღმაშენებელი შეურიგებელ ბრძოლას იწყებს დამპყრობელთა წინააღმდეგ. ამასთან ერთად, საგარეო მოვლენებიც საქართველოს სასარგებლოდ ვითარდება. 1092 წელს გარდაიცვალა სელჩუკთა

დიდი სულტანი მალიქ-შაჰი. მის მემკვიდრეთა შორის გაუთავებელი და დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა ტახტისათვის. სელჩუკთა იმპერია დაქვეითება-დაშლის გზას დაადგა. XI საუკუნის დამლევეს სელჩუკთაგან შევიწროებულმა ბიზანტიამ დახმარება სთხოვა დასავლეთ ევროპას. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გვაუწყებს: „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, ალიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწვენითა ღმრთისათა მოუშენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არლარა მისცა სულტანსა ხარაჯა და თურქნი ვერლარა დაიზამთრებდეს ქართლს“.

ქართველთაგან შევიწროებული სელჩუკები, გლოვის ნიშნად შავად ხელპირშელებილნი და თავზე ნაცარდაყრილნი, ნარუდგნენ სულტანს და მოახსენეს თავიანთი გასაჭირი.

მაჰმადიან მმართველთა უმეტესობას იმდენად მნიშვნელოვან და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა აღზევებული საქართველოს დამხობა, რომ ერთმანეთთან ანგარიშსწორება დროებით გადადებულ იქნა. საერთო საფრთხემ გააერთიანა სამკვედრო-სასიცოცხლოდ გადამტყრებულნი.

საქართველოსკენ დაძრულ მაჰმადიანთა კოალიციურ ლაშქარს მთავარსარდლობდა ნეჯმ ად-დინ ილლაზი, მარდინისა და მაიაფარიკინის გამგებელი, ალექსის დამპყრობი.

ახლა ისიც ვიკითხოთ, რა ესაქმებოდა ჯვაროსნებთან ცხარე ბრძოლით გართულ ილლაზის საქართველოში?

იოანე ბატონიშვილი, შვილიშვილი ერეკლე მეორისა, თავის ნაშრომში „ისტორია ქართლისა“ მოგვითხრობს: „იყო ბაღდადის იერუსალიმის მეფედ, რომელმანცა მრავალი ძლევით მოილო სარაცინელთა ანუ არაბთა ზედა. და ესე ბაღდადის მოვიდა იღუმალ ქართლსა შინა მოთხრობისამებრ სხვათა ისტორიებთა“.

ეს ამბავი მომხდარა 1119 წელს, როდესაც ჯვაროსანთა მიერ პალესტინაში დაარსებულ იერუსალიმის სამეფოს სათავეში ედგა ბაღდადის II (1118-1131) — მონანილე პირველი ჯვაროსნული ლაშქრობისა, ომსა და მმართველობაში გამოცდილი.

1119 წელს ზაფხულში მაჰმადიანებთან ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა და დაიღუპა ანტიოქიის მთავარი როჟერი. საგანგაშო ვითარება შეექმნა ბაღდადისა. ევროპიდან ახალი ძალები კანტიკუნტად მოდიოდა და ჯვაროსანთა გასაჭირი კატასტროფულ ხასიათს იღებდა.

ჯვაროსნებმა იმედის თვალი მიაპყრეს საქართველოს, რომელსაც ადრიდანვე თვლიდნენ ქრისტიანობის წინა ბურჯად აღმოსავლეთში. მტერი საერთო ჰყავდათ და ბუნებრივ მოკავშირეებად იგულისხმებოდნენ.

როჟერის დაღუპვის შემდეგ სირიაში დროებითი სიწყნარე ჩამოვარდა. მაჰმადიანები აღარ უტყვევენ ღონეგამოცლილ ჯვაროსნებს. ილლაზი ემზადება გადამწყვეტი დარტყმის მისაყენებლად.

მაგრამ 1121 წელს, სრულიად მოულოდნელად, ჯვაროსანთა წინააღმდეგ „სალვთო ომის“ სულისჩამდგმელი და დაუცხრომელი წინამძღოლი ილლაზი ანტიოქია-იერუსალიმის ნაცვლად საქართველოსკენ გამოეშურა.

აღმოსავლური წყაროები მოგვითხრობენ ქართველთა ლაშქრის თავდასხმას მაჰმადიანურ ოლქებზე 1120 წელს, ხოლო ერთი მათგანი ასახელებს, კერძოდ, სირიას. ამავე დროს, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, 1120 წლის ნოემბერში „ნარყვდა მეფე ამორნიას, დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარყვნა“. ამორნია მდებარეობს ბასიანის მეზობლად. აქედან არც ისე შორს იყო ზემოხსენებული ილლაზის სამფლობელონი — მარდინი და მაიაფარიკინი. როგორც ჩანს, ეს ცნობები ერთსა და იმავე მოვლენას ეხება, სახელდობრ, საქართველოს სამხედრო დახმარებას შესუსტებული ჯვაროსნებისათვის. ბაღდადის საიდუმლო ვიზიტის მიზანიც, ალბათ, ეს იყო და ქართველმა მეფემ პირნათლად შეასრულა თავისი ვალი — აღმოსავლეთიდან დაემუქრა ილლაზის ანუ მეორე ფრონტი გაუსხნა.

ვრცელ და მშფოთვარე მაჰმადიანურ ზღვაში ჩაკარგული ქრისტიანული კუნძული დახმარების ხელს უწვდოდა ამ მრისხანე ზღვის ტალღების დასაოკებლად დასავლეთიდან შემოჭრილ ქრისტიანულ ხომალდებს. ჯერ არ დანერილიყო ვეფხისტყაოსანი, მაგრამ უამისოდაც ეზმანებოდათ საქართველოში, რომ ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

ანტიოქიის სამთავროს კანცლერი გოტიე გადმოგვცემს, რომ ილლაზიმ, ერთ ხორასნელ სულტანთან ერთად, გადაწყვიტა დავით მეფის წინააღმდეგ გალაშქრება და მისი მოსპობა, რათა ხელები გახსნოდა ანტიოქია-იერუსალიმის დასამორჩილებლად. არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი ასევე ილლაზის მიიჩნევს საქართველოზე ლაშქრობის ინიციატორად. ვიდრე ილლაზი საქართველოში იმყოფებოდა, ჯვაროსნებმა შეუტიეს უპატრონოდ მიტოვებულ ალექსის და კინაღამ არ აიღეს იგი. 1121 წელს მთელი ზაფხულის განმავლობაში გრძელდებოდა ბალდუინის გამარჯვებანი. თავად ილლაზი კი დიდგორის ომში მძიმედ დაიჭრა და მომდევნო წელს სული განუტევა. ასე დასრულდა თავგადასავალი ჯვაროსანთა ყველაზე სახიფათო მტრისა.

გერმანელი ისტორიკოსი ანა ზინკენი თავის წიგნში „აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხები ლათინური ისტორიოგრაფიის გაგებით XII-XIV საუკუნეებში“ (კიოლნი, 1973) წერს: „ერთმანეთს რომ შევედართო ლათინთა მიერ ბერძნებისა და ქართველების შეფასება, განსხვავება გასაოცარი იქნება. დასავლეთისათვის ერთნიცა და მეორენიც ქალკედონიტი ერეტიკოსები არიან, მაგრამ ყოველი ლათინი საუცხოო შეფასებას აძლევს ქართველებს. უკვე ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის დროიდან გამოჩნდნენ ისინი ღვთისმოსაობის იდეალად... ქართველები შეესაბამებიან ჩვენს რაინდულ წესსა და წყობას. ისინი არიან მამაცნი და შეურიგებელნი მაჰმადიანთა მიმართ. მათ ჰქონდათ იგივე საბრძოლო მორალი, როგორც დასავლეთს და წმ. გიორგი, ვითარცა პატრონი და მფარველი დასავლეთსაც გამოადგებოდა შემედა“.

იერუსალიმში ჯვაროსანთა თითქმის ასწლიანი ბატონობის უამს პალესტინის ქართული მონასტრები (კერები ქართული კულტურისა) „აყვავებდა განიცდიდნენ“. ჯვაროსნებს თავიანთ მძლავრ მოკავშირედ მიაჩნდათ ქართველები და ერთი ბენოზეც არ ანუხებდნენ მათ მონასტრებს.

ერთი წელი და ათასი ბარდაბარია უამისა...

თითქოს გუშინ იყო დიდგორის ომი. ქართველი ხალხის მესხიერებაში ეს „ძღვეთი საკვირველი“ ისევე ღრმად არის ჩაჭედილი, როგორც ყველასთვის დაუვინყარი წლები ყრმობისა.

ქართველებს დიდგორში მტრისთვის ზურგი რომ ეჩვენებინათ, ეგებ ვედარ დანერილიყო ვეფხისტყაოსანი და რაღას დაიზეპირებდა შთამომავლობა ჭირსა თუ ლხინში სათქმელად? ქართველებს დიდგორში მტრისთვის ზურგი რომ ეჩვენებინათ, ალბათ, მიწასთან გაასწორებდნენ სვეტიცხოველს. დიდგორში მტრისთვის ზურგი რომ ეჩვენებინათ, ვინ იცის, ეგებ მომთაბარე სელჩუკად გადაქცევა ენერათ, მერე — ნახევრადველურ მონღოლად, უფრო მერე — მძვინვარე ყიზილბაშად. მარაბდის გამოცდა აღარასოდეს ჩატარდებოდა, უკრწანისოდაც დალევდა სულს ჩვენი სამშობლო.

დიდგორის ომმა, ქართული წყაროს მიხედვით, სულ სამი საათი გასტანა, თუმცა მტრის ლაშქარი ყოფილა „სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ქვეყანა“.

ქართველებმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მცირე სისხლით მოიგეს დიდგორის ომი. აურაცხელ ტყვეებთან ერთად დიდალი ალაფი იგდეს ხელთ. გლეხებიც კი ოქრო-ვერცხლს გარდა ნადავლიდან სხვას არაფერს კადრულობდნენ.

გოტიეს ცნობით, დიდგორის ომში მონაწილეობდა ორასი ჯვაროსანი რაინდი — სიმბოლური გამოხატულება დავითისა და ბალდუინის მოკავშირეობა-მეგობრობისა. გოტიემ, ცხადია, მათი ნაამბობის მიხედვით აღწერა ქართველი ხალხის ტრიუმფი დიდგორში.

ანტიოქიის სამთავროს კანცლერის აღტაცება სავესებით გასაგებია. დიდგორის ომმა გააცამტვერა ილლაზის პერსპექტივები. დიდგორში ძღვეულს ჯვაროსნებისათვის აღარა სცხელოდა.

ასევე გასაგებია სომეხი მემატინის მათე ურჰაელის აღტაცება, როდესაც იგი აღწერს დავით აღმაშენებლის მიერ სომხეთის ძველი დედაქალაქის — ანისის განთავისუფლებას (1124 წ.): „და იქმნა სიხარული ყოველსა სახლსა სომეხთასა... და იყო დავით მეფე წმინდა და სათნო და ყოვლად შემკული ღმრთის მოსავლობით და სამართლიანობით. იგი გამოუჩნდა შემწყნარებელი და მოყვარული სომეხთა ტომს. დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი“.

თბილისიცა და ანისიც დიდგორმა იხსნა მაჰმადიანთა ბატონობისგან.

ხამს მოყვარე მოყვრისათვის...

გამოჩენილი ფრანგი მკვლევარი რენე გრუსე თავის წიგნში „ჯვაროსნულ ლაშქრობათა ისტორია“ (პარიზი, 1934) წერს: „თურქ-სელჩუკთა ამ დიდმა მარცხმა ჩრდილოეთში ისეთივე შეძრწუნება გამოიწვია მაჰმადიანურ სამყაროში, როგორც ფრანკთა გამარჯვებებმა სირიაში. კავკასიიდან ბაღდადს ჩასული მაჰმადიანები ივედრებიან ანტიქართული საღვთო ომის წამოწყებას, ისევე როგორც მაჰმადიანები ალექსოდან აქეზებენ ბაღდადის ხალიფას ანტიფრანკულ საღვთო ომზე. მაგრამ ეს ვედრება-მონოდებანი ამაო იყო... ქრისტიანული ამიერკავკასიის გამოღვიძებისა და ფრანკთა მიერ სირიის ოკუპაციის შედეგად თურქ-სელჩუკთა საბრძანებელი გრძნობდა, რომ მას ყოველი მხრიდან ემუქრებოდნენ“.

იმდენად დიდი იყო დიდგორის ომის საერთაშორისო რეზონანსი, რომ დავით აღმაშენებელი, ვის შესახებაც XII საუკუნის პირველ ნახევარში ევროპელებს სავესებით რეალისტური ცნობები ჰქონდათ სირია-პალესტინიდან, თანდათანობით გადაიქცა ლეგენდარულ ფიგურად, „ქრისტიანთა ჩრდილოელ მეფე დავითად“, ვისგანაც XIII საუკუნეში მოელოდნენ შეწვევას შეჭირვებული ჯვაროსნები. 1221 წელს მესხეთე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი წინამძღოლი — კარდინალი პელაგეუსი რომის პაპს ამცნობდა ქართველების მზადყოფნას ჯვაროსანთა შესანენად და, ამასთან ერთად, მოუთხოვდა „მეფე დავითის“ მიერ მთელი „სპარსეთის“ დამორჩილებას და ძღვევამოსილ სვლას იერუსალიმისაკენ.

ჯვაროსანთა ფანტაზიებში უცნაურად გადაეხალართა ერთმანეთს საქართველოს მეფის, „მეფე დავითად“ მონათლული ლაშა-გიორგის სამზადისი ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობისათვის და ირანის (ანუ „სპარსეთის“) დამპყრობელ მონღოლთა გამოჩენა ამიერკავკასიაში.

ხამს მოყვარე მოყვრისათვის... ეგებ უკვე სმენოდით კიდეც ვეფხისტყაოსნის უკვდავი სტრიქონები.

სამშაბათს, 2 დეკემბერს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დარბაზში უურნალ „ჩვენი მწერლობის“ თაოსნობით გაიმართება განხილვა

**თემურ ამყოლადის** მხატვრულ-დოკუმენტური რომანისა

**„დადუშაქლიანების ამბავი“**

მომხსენებელი **მანანა კვატია** დასაწყისი 14 საათზე კოსტავას 5